



მზა

**გილოცავეთ
უღებოების
ბრწყინვალე
დღესასწაულს!**

1977 წელს დაარსდა. 1999 წლის 10 თებერვალიდან გამოდის.



**ნილო ბურჯანაძე
პრეზიდენტობისთვის
ემზადება**

**ემუქრება თუ არა
მის ოჯახს საფრთხე**

**ერთგანათილთა
გამქდავებელი
სიყვარული**



**„შავბერეანი
ბიჭები მომწონს“**

**გამის სავის
გამბრქელბელი**



**ზურაბ ანჯაფარიძის
19 წლის გემქვიდრა**



იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან

Decor

D I V I S I O N
OIKOS

Paint

D I V I S I O N
OIKOS

Facade

D I V I S I O N
OIKOS



OIKOS

მზის გზის გზნილები

ჟურნალი ჟურნალი



ყველა ჩალი
დამბინებულთა,
შიბ მამდემ მში

სოციოლოგიად ხოთი იჩენებს, თუ ცოცხს
წაყოცემებს და სხანდსოსსც მოსხუბს.



გულავენიშომის გელაგი



მითაბი გაზაფხულზე




გზავნილ-სტუდია

39-70


ღათო გელკამის პოეტი პლსაგმა

„ხ ე ლ ო ვ ე ბ ი ს
რომელი ჟანრის წარ-
მომადგენელიც არ
უნდა იყო, შენი თვის-
გომის სატკივარი უნ-
და გამოთქვა. ეს ლექ-
სითაც არის შესაძლე-
ბელი, მხატვრობითაც
და მუსიკითაც“...



28

„გარსკვლავების აკადემიის“ წამყვანებმა არ იცინან, კულისებში რა ხდება




„პირდაპირი ეთერი მცირე
შეცდომებს იგანს. თანაც, ვფიქ-
რობ, ეს მეგ ეშს სძენს გადაცე-
მას და კარგი საყურებელი
გამოდის. არ მომწონს, როცა
გამოდინ და დაშეპირებული
ფრაზებით ლაპარაკობენ“.

20



№17 (411)
24 - 30 აპრილი,
2008 წ.
ფასი 80 თეთრი

- **მინიატიურები**
- საარჩევნო „იუმორინა 2008“ ანუ უთავო სივამი და გა-სივამ-ული თავები 5
- **ფაქტი და კომენტარი**
- „არჩევნებისთვის კიდეც გვერი სინსლე გველის“ 6
- **არჩევანი**
- ნიმო გურჯანაძე პრეზიდენტობისთვის ეგზადავა 7
- **ტკივილი**
- გაზაფხულის სეველიანი ფიქრები და ნოსტალგია აფხაზეთზე 10
- **ჟურნალისთვის როლში**
- გამგზავნებელი ურთიერთსივამითა ანუ როდის ვაუყვარდა გვადროს ნინა 12
- **პოლიტიკა**
- როგორ მოქმედებს რუსეთი ღღს და – საუქუნის ნინ... 14
- **ღაიჯისტი** 16
- **კრიმინალი**
- ✓ ყადაღა ღიანსაღის სელი გაარტყა, შვილს კი პირი სკოღით აუკრა 18
- ✓ საგომოღონ ღალაბში გრალღებულები განაღინს მოგაველ კვირავი მოისმინან 18
- ✓ გარეჯოვსკი პოლიტიკოსკიანას მკველღობას უარყოფს 19
- ✓ 45 წლის მამაკავი არასრულწლოვენიის გავაბიურავინსთვის ღააკავანს 19
- **ანტიღეპრესანენი** 20
- **განღევი**
- „პარსკვლავების აკადემიის“ წამყვანებმა არ იცინან, კულისებში რა ხდება 20
- **არკულიტი**
- რა საერთო აქვს ლონღონს, პარიღს, პავანანსა და ზუგღიღს? 22



didgoris caze
frenda is jvari

საქართველოს ახალი
მგერი გამოუნდა –
თურქ-სელჩუკთა ღიღი
სულთანის მალიქ შაპი!
ყველას დაასწრო ივ-
ანე ბაღვამა. ჯერ კიდეც
სამხრეთ საქართველოს
სამღვრებთან იღვა სელ-
ჩუკთა ღაშქარი, როცა თავისი შვილი, ლიპარიგი
აახლა სულთანს და მოკავშირეობა შესთავაზა (ის
ლიპარიგი, რომელიც ახლა მეფე გიორგის აღსარ-
თანთან ომში მოკავშირეობას ჰპირღებოღა).

82


■ თეა	
რით სჯობს ლინის ტანის „შიშველი“ ვინაა ფაშენბერგის ბინას	24
■ ქალი საქონთა	
ანანო მჟავია და მისი სამკლომო გამომწილვა...	27
■ სოფლის წყარო	
დათო მადრაპის სულიერი თავგადასავალი...	28
■ თინეიჯერული პონგები	
✓ მხიარული „მისფარი ზომბის“ პირველი რჩეული	30
✓ როგორ ჩაებაბართ მისდავინ გამომწილვა	32
■ არაჩვეულებრივი გამოყვანა	
ბიჭი, ყვალსბან გამორჩეული...	34
■ ჯანმრთელობა	
ბასტრიტი – სებაზაფხელო სფრთხე	37
■ ჟურნალი ჟურნალში	
გზავნილავი	39-70
■ ახსია	
რეპორტაჟი გურჯაანიდან	71
■ სამოზლო	
ამაყად მომზირალი მასხევაი და იღვამლეზით მომული ნაბარალი	72
■ თანამეაველენი	
უხეოთის სის ქევე	72
■ რომანი	
სევა ქვარახელი. ქარის სიღვმელო... (გაბრქელება)	74
■ ტაიმ-აუტი	
საქითხევი ქალეზისთვის	78
✓ რა ზემთხევაევი უნდა ერიღოთ მამაქასს	80
✓ რომელი ჟარის თეთრეული მოგნოთ	81
■ ისტორიული რომანი	
გორა მანელიქა. დიღგორის მახე ჟრენდა ის ჯვარი (გაბრქელება)	82
■ საბანქარი	
გოღის ვარღევი	86
■ ტაქარი	
აღღომის ბანახევა ყოველღიურად, ყოველ აღღომის დღესანახეულხე ხღევა	88
■ ვარსკელევი	
✓ გზა სან-ღიგომს ქრევიდან პოლიურის ოლიგომს მენეარეაღევა	90
✓ ქარარ ღეარღი – იბალიური სასამართლოს ნინევი	91
✓ რიღლი სქოტის ახალი ფიღვი	91
■ ქვალი	
ზურაბ ანჯაფარიძის გოგოქარი სსოვრევა...	92
■ ბელადი	
მხედართმთავარი სბალინი (გაბრქელება)	96
■ ასპარეზი	
ახალქასი არევეაქესა და ივანეკოვირის მხევეა, სოლო ქეხბიანს ქვიპროსხე ანევეა	98
■ სორტული მოქაიქა	101
■ ავტო	103
■ სანეკორღი	104
■ ტანტი	105
■ პროგნოზი	106

გარეკანევა: ირმა ღივარტალიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გაყოღის კვირაში მრთხეველ, სუთევაბათოზით გაჯეტი „კვირის პალიტრის“ ღამაქევა ჟურნალი ხელმღეველოლხე თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაღლო არ ემთხვეოღეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქეჯავაძე მენეჯერი: მათე კვილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

საბელსნეპო ქრნალისტრი ღეაღევა



„აფხაზეთის ომში უნიკალური კადრები გადაიღო და... ცოცხალი გაღარჩა. 1993 წლის 24 ოქტომბერს სამუშაოდ ამერიკული სააგენტოს WTN-ის („მსოფლიოს საგეღევიზიო ახალი ამბები“) კავკასიის ბიუროში მიიწვიეს და მეორე დღესვე დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომის გასაშუქებლად გაგზავნეს“.

34

გზა კოლიგუღის მხეგრქეღეღე



იმ წლებში კამერონი მსახიობისა და მოღელის კარიერაზე არც კი ოცნებობღა. მას მოლოლოგია იგაცეღებღა. სახლში მთელი მოპარკი ჰქონღა.

90

უკრაინე ქონევის ქართული გზარი



ერთ დროს თბილისის კავკასიის მეგაპოლისის ფუნქცია ჰქონღა. ახლა კი ბაქოში საცხოვრებელი და კომერციული ფართობი გაცილეებით ძვირი ღირს, ვიღრე აქ.

24



– არც ერთი ქალი არ იმსახურებს ამქევენად მამაკაცის სიყვარულს, ყველანი დაუნდო ბეღი ხართ. ეს შენც

გეხევა ნაწილობრიგ, – ბექას ხმა ვიცანი, სმენა დაგებაღე – მართალია, შენ არ მაგყეუბ და მეუბნები მაინც, რისთვისაც გჭირღება ჩემთან ურთიერთობა, მაგრამ არც შენი ქმეღეღეაა გამართლეღული. გავკარი ამ ცხოვრებას, არასღროს ცოლს არ შევირთავ. ყველა ქალი ერთნაირი ნაგავია.

74

საარჩევნო „იუმორინა – 2008“ ახე უთავო სიენი და გა-სიენ-ულო თავენი



სათაურად „იუმორინა“ იმიტომ შევარჩიე, რომ პარტიების საარჩევნო მზადება, სიენის დადგენა და მათში, ხმების მიღების მიზნით, პოპულარული ადამიანების შეყვანა პირდაპირ კავშირშია იუმორთან და სიცოცხლს თუ არა, ღიმილს მაინც იწვევს და ყველა პარტიიდან პირველი ათეულები მაინც თუ მოხვდნენ პარლამენტში, პრეზიდენტის პაროდისტსაც ვინილავთ, ქუჩის მუსიკოსებსაც და მსახიობებსაც (ეტყობა, სიცოცხლის დედოფალმა რიგითი დეპუტატობა იუკადრისა, თორემ ვინ ეტყოდა უარს). მოკლედ, 21 მაისის მერე „იუმორინა“ პირდაპირ პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართება, ფილარმონია ხომ მაინც რემონტშია, და პარლამენტის თავმჯდომარეობა და ვიცე-სპიკერობა მამაშვილ ბალაშვილებს ეკუთვნის. მით უმეტეს, პარლამენტის თავმჯდომარის ადგილიც ვაკანტური იქნება.

დღევანდელმა თავმჯდომარემ და „ნაცმოძრაობის“ სიის



უალტერნატივო პირველმა ნომერმა ისეთი რამ განაცხადა, ვიფიქრე, დენი თამაშობს-მეთქი და ტელევიზორიც გამოვრთე და მაცივარიც. რომ ჩავრთე, სიის პირველი ნომერი სხვა — მამაკაცი აღმოჩნდა. მმართველი პარტიისთვის ბურჯანაძის არყოფნა სიაში რომ სერიოზული „მუხრუჭია“, ერთმნიშვნელოვნად ცხადია. თანაც, მისი ქალობის, ტაქტის, განონასწორებულობის და ავტორიტეტის წყალობით, პარლამენტში ბევრი კამათი კამათადვე დარჩა და ხელჩართულ ბრძოლაში არ გადაზრდილა. დიდი შანსია, მომავალი პარლამენტი „იუმორინის“ სცენადაც ბევრჯერ იქცეს და კრივის რინგადაც.

სამაგიეროდ, ოპოზიციური პარტიების მაღლი მოისხა ბურჯანაძემ; კიდევ ერთხელ შეაქვს საკუთარი პოლიტნოსტრადამუსობა, — ხომ გეუბნებოდით, მთავრობის ერთსულოვნება შიგნიდან სულ დანგრეულია... რატომ არ იტყვიან, როცა სიის ყოფილმა პირველმა ნომერმა თვითონ განაცხადა, — ისეთი ხალხი არ ჩამასმევიანეს სიაში, ქვეყანას რომ გამოადგებოდნენო.

ვერ გეტყვით, ვის ჩასმა უნდოდა პარლამენტის სპიკერს, მაგრამ აშკარაა, რომ პრეზიდენტს სერიოზულად აფიქრებს 21 მაისი და სიის გასაძლიერებლად მინისტრებიც კი ჩასვა: საგარეო საქმეთა მინისტრი სიას ლიდერობს, სახმინისტრი ლტოლვილთა საკითხებში — მეორეა, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და კიდევ რამდენიმე მინისტრი მაჟორი-

ტარობას აპირებენ და ვილაც ახალი სახეებით გარისკავდა პრეზიდენტი საარჩევნო ფსონებს?! რა თქმა უნდა — არა!

ახალ პარლამენტში ძლიერი დასაყრდენი გუნდის შექმნა მისთვის მთავარია, რომ საჭირო კანონები დამტკიცდეს, არასაჭირო — ჩავარდეს. მინისტრობას კი რა უნდა? დანიშნავ ნებისმიერს და რასაც ეტყვი გააკეთებს, ვერ გააკეთებს და რა პრობლემაა — საცხეა ელიავას ბირუა მინისტრობის კანდიდატებით...

არანაკლებ სახალისო მდგომარეობაა სხვა პარტიებსა თუ ბლოკებშიც: როგორც ჩანს, ამ არჩევნებზე პლანეტათა განლაგება არ სწყალობს ქალებს და „ნაციონალურ მოძრაობას“ ვინ დაეძებს, ქალთა პარტიის სიასაც კი მამაკაცი — აკაკი ასათიანი ლიდერობს. ყველა პარტია ცალცალკე ისეა დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ სხვებს რა ახარებთ, ვერ გამიგია. ისე კი მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ქართულ შოუბიზნესს რომ ეშველება, ფაქტია (ისე ეშველა ჩემს მტერს!), რადგან თითო-ოროლა მუსიკოს-მსახიობი ყველას ჰყავს სიის პირველ ათეულში: გაა მაჭარაშვილი მაისაშვილს უმშვეენებს მხარს, მამუკა ლომაშვილი — გუგული მალრაძეს და ქართული ესტრადის უგვირგვინო მეფე, თუ არ ვცდები — ბატონ ნათელაშვილს. ათასჯერ ვუთხარი „ვარსკვლავების აკადემიის“ რექტორს, — ერგემლიძის ბიჭი არ გააგდოთ, თორემ მამამისი რალაცას ცუდს დამართებს საკუთარ თავს-მეთქი, — და აი, კაცი ლეიბორისტულ პარტიაში შევიდა.

ისე, რას ნიშნავს გაჭირვება, თორემ რა მიგარბენინებს პოლიტიკაში?! რისი ნიჭიც მოგცა განგებამ და რითაც გიცხოვრია, კომპოზიტორობაა: წელიწადია, ერთი ახალი სიმღერა ვერ დაგინერია და კანონს დაწერ, თანაც ისეთს, აქამდე რომ ვერავინ დაწერა და აწი რომ აგვაშენებს?! — ღმერთმა ქნას!

ან კიდევ, პრეზიდენტის პაროდისტი იმის წყალობით გამოჩნდი სოფელ-ქვეყანაზე, რომ პრეზიდენტის მსგავსი ხმის ტემბრი გაქვს და ცოტათი გარეგნულადაც ჩამოჰგავხარ. იმას უნდა ცდილობდე, რაც შეიძლება დიდხანს იყოს და შესაბამისად, შენი პაროდებიც აქტუალური იყოს და შენ ებრძვი, რომ ეს ხელისუფლება წავიდეს? რომ არ გაგიმართლოს, ვერ მოხვდე პარლამენტში და „იუმორინაშიც“ აღარ მოგილონ, ხომ დარჩი, ბიძიკო, იმ თავუნასავით, თავგობა რომ იუკადრისა?!

ამიტომ, ის „პური აცხვეთ, რისი მეპურეებიც“ ხართ და ყველასთვის უკეთესი იქნება, მაგრამ როდის იყო ჩემი პროვოკაციების გჯეროდათ?! — „აგერ ვარ მე და აგერაა გერმანია“. ასე რომ, ახალი „იუმორინა“ იწყება!..

- PS. პარტიის თათბირი:*
- ისეთი ხალხი უნდა ჩავწეროთ საარჩევნო სიის პირველ ათეულში, ხალხს რომ უყვარს და ხმას მისცემს.
 - მაშინ მე ჩამწერეთ.
 - შენ ხალხს კი არა, საკუთარ ძალს არ უყვარხარ, დაკბენილი მოდიხარ ყოველ დილით... გამახსენდა, მარო ჩიმარო ჩავწეროთ, გიჟდებიან ქალები და ხმასაც მოგცემენ.
 - კარგი აზრია, მარა მოიცლის?
 - რა მოუცლელი სჭირს? სანამ „იმედი“ გაიხსნება, მაინც უმუშევარია...

პროვოკატორი

„არჩევნებისთვის კიდევ ბევრი სიასლა გველის“

პარლამენტის თავმჯდომარემ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. ნინო ბურჯანაძე არჩევნებში კენჭისყრაზე უარს აცხადებს. მის ამ განცხადებას უმრავლესობის წევრები გამოეხმაურნენ. საარჩევნო სიის მიღმა დარჩენილმა ბესო ჯუღელმა კი თავი ვერ შეიკავა და აღნიშნა: ბურჯანაძეს სიაში თავისი ხალხის შეყვანა სურდა. უმრავლესობა ამ წინადადებას არ დათანხმდა და ქალბატონმა ნინომ სწორედ ამის გამო მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. საზოგადოების დიდ ნაწილს კვირის მნიშვნელოვან მოვლენად სწორედ ეს ფაქტი მიაჩნია, თუმცა ზოგიერთი მათგანი აფხაზეთში სეპარატისტების წვრთნასაც მტკივნეულად განიცდის.

ნათია ქივიცა

ნანა ფხაკაძე, დიასახლისი, 46 წლის:

— კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაკვირველია, ნინო ბურჯანაძის განცხადებაა. ის, რომ მან არჩევნებში კენჭისყრაზე უარი განაცხადა, ხელისუფლების გეგმებს ცვლის. ყოველთვის მიკვირდა, ასეთი ღვთისნიერი ქალბატონი ამ დამნაშავეების ჯგუფში როგორ არის, ნუთუ ისიც მათნაირია-მეთქი? საბედნიეროდ, ვცდებოდი. მათგან თავის დაღწევა, როგორც ჩანს, არცთუ ისე ადვილია, ნინომ კი ეს, როგორც იქნა, მოახერხა. ისეთი პირი უჩანს, რომ არჩევნებისთვის ბევრი სიასლა გველის. კარგი იქნება, თუ აფხაზეთში ომი არ დაიწყება, თუმცა ამის დიდი საშიშროება მართლაც არსებობს. იმედი მაქვს, ქვეყნის პრეზიდენტი ამ ტრაგედიას თავიდან მაინც აგვაცილებს.

მანანა სორდია, ფიზიკოსი, 43 წლის:

— მეშინია, აფხაზეთში ომი არ დაიწყოს, არადა, ამის საშიშროება ნამდვილად გვემუქრება. საქართველოს პრეზიდენტი რომ ამბობდა, ნატოში აუცილებლად შევაღწეოთ, რატომ ვერ შევედით?! იმიტომ, რომ ამერიკელებს არაფერში ვჭირდებით. თვითონ ხომ გამოიყენეს ჩვენი ჯარები ერაყში და კიდევაც გამოიყენებენ, ჩვენ კი არაფრით დაგვეხმარებიან. მხოლოდ მე კი არა, ომის ყველა ქართველს ეშინია. ჩვენს დაქვემდებარებას კიდევ ომი უნდა?! მხოლოდ ღმერთის იმედი მაქვს, თორემ ჩვენი ხელისუფლების იმედი, ჩემს მტერს ჰქონდეს.

ავთო ბაბუჩიშვილი, პენსიონერი, 72 წლის:

— ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, ნინო ბურჯანაძემ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი რომ განაცხადა. როგორც იქნა, ამ ქალბატონმა გონივრული გადაწყვეტილება მიიღო. სხვა პოლიტიკოსებიც თუ მას მოჰპაძავენ, არ იქნება ურიგო. ძალიან მიკვირს ბატონი გია როინიშვილის. არაჩვეულებრივი მსახიობია. მას და მის ოჯახსაც ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. რამ გადაწყვეტინა პოლიტიკაში წასვლა, ვერ გავიგე?! ვინ მისცა ასეთი რჩევა? მისი ეს ნაბიჯი არ მომეწონა. მერაბ სეფაშვილი პოლიტიკაში არ წასულა, მხოლოდ „ნაციონალებს“ უჭერდა მხარს და ამის გამო ქართველმა ხალხმა მისადმი ნდობა და პატივისცემა დაკარგა. არ ეშინია გია როინიშვილს, რომ ხალხის

სიყვარულს ისიც დაკარგავს?! არადა, როგორც ვიცი, ეს არტისტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია...

დავით პარნიკანაშვილი, იურისტი, 38 წლის:

— საქართველოში სულ არჩევნებია და ხალხი ამის გამო დაიღალა. ნინო ბურჯანაძის გადაწყვეტილებას მივესალმები. პარლამენტში ახალი სახეები ნამდვილად უნდა მიიღონ. ასევე, ძალიან გამიხარდა, ბესო ჯუღელი სიის მიღმა რომ დარჩა. ბატონ ბესოს სერიოზულ პოლიტიკოსად ვერასოდეს აღვიქვამდი და სულ მიკვირდა, მას პარლამენტში რა უნდა-მეთქი. ელენე თევდორაძეზე კი გული დამწყდა. ქალბატონი ელენე ყოველთვის ადამიანების უფლებებს იცავდა და არცთუ ურიგოდ. სანყენია, რომ მას ამ სფეროს ჩამოაშორებენ. არადა, მიმაჩნია, რომ ამ ქალბატონს კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მაინტერესებს დათო კირკიტაძის, მაია ნადირაძისა და გიგა ბოკერიას შესახებ ინფორმაციები. პირველ ათეულში ისინი არ ჩანან, თუმცა მეეჭვება, მიხეილ სააკაშვილი მათ ასე მარტივად შეეღობოს. ალბათ, სხვა უფრო საინტერესო თანამდებობებს შესთავაზებს.

გულიკო ელოშვილი, პედაგოგი, 49 წლის:

— მიუხედავად იმისა, რომ ახლა საქართველოში, როგორც ყოველთვის, ისევ არჩევნების ციებ-ცხელებაა, ჩემთვის მნიშვნელოვანი ფაქტი მაინც მოზარდების გაუთავებელი ჩხუბი და ერთმანეთის ხოცვაა. როგორც ჩანს, ზოგიერთი ბავშვი იმდენად არაქრისტიანულად იზრდება, რომ ბზობის დღესასწაულზე თავისი თანატოლის მოკვლაზეც კი არ ამბობს უარს. ავლაბრის მეტროსთან საშინელი ფაქტი მოხდა. 16 წლის ბიჭს დანით გულში მიაყენეს ჭრილობები და გარდაიცვალა, მეორე კი კლდიდან გადმოაგდეს და შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. სწორედ იმ დროს, ეკლესიიდან მრევლი მსვლელობაზე ვიყავით წასულები და ამ ფაქტს შევესწარი. მადლობა ღმერთს, რომ გადაარჩა. მისი თვალები არასოდეს დამავიწყდება...

ნიგნის საერთაშორისო დღე



23 აპრილი ნიგნისა და საავტორო უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით, პუშკინის სკვერში ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივითა და მერისის მხარდაჭერით ნიგნის გამოფენა-გაყიდვა მოენწყო. გარდა ამისა, გაიმართა დაჯილდოება: ყველაზე ნიგნიერად პოლიტიკოსებიდან ლევან ბერძენიშვილი აღიარეს, ჟურნალისტებიდან —

უკვე მესამე წელია, ხელოვნების, კულტურისა და სპორტის მოამბაგე კომპანიებს აჯილდოებს შემოქმედ ხელოვანთა კავშირი — „განმანათლებელი“. მისმა მესვეურებმა საკუთარ ჯილდოს საუცხოო სახელი — „სოფლის მაშენებელი“ შეარქვეს და პრიზიც ამის შესაფერისი შეურჩიეს — მამალი, რომელსაც შენების დაწყებისას განმსაზღვრელი ხმა ეკუთვნის...



„კვირის პალიტრა“ – „სოფლის მაშენებელი“



რამდენიმე დღის წინ გამართულ ცერემონიაზე, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წამყვან კომპანიებს შორის, ერთადერთი მედიასახლი — „კვირის პალიტრა“ დაჯილდოვდა საპატიო ტიტულითა და პრიზით. ჩვენი საგამომცემლო სახლი მედიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გამოაჩინეს. განსაკუთრებულად გაესვა ხაზი იმ ობიექტურობას, კეთილსინდისიერებასა და მიუკერძოებლობას, რომელსაც 1995 წლიდან — გაზეთ „კვირის პალიტრის“ პირველსავე ნომრიდან იჩენენ მისი მესვეურები

და ჟურნალისტები. სწორედ საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების, საზოგადოების წინაშე გამოჩენილი დიდი პასუხისმგებლობის წყალობით შეიყვარა და ირწმუნა მკითხველმა მისი და თუ წლების წინ, „კვირის პალიტრა“ ერთი ყოველკვირეული გაზეთის სახელთან ასოცირდებოდა, დღეს ის დიდი საგამომცემლო სახლია, რომელიც არაერთ გაზეთს, ჟურნალს, საინფორმაციო სააგენტოსა და გამომცემლობას აერთიანებს და ათასობით ქართველ მკითხველს ემსახურება.

დაჯილდოების ცერემონიაზე გამოსვლისას, „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ **ნუცა დუშაბაძე** ასეთი სიტყვებით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას:

— დიდი მადლობა ჩვენი შრომის დაფასებისათვის. გვინდა, საქართველოს რაც შეიძლება მეტი წარმატებული კომპანია ჰყავდეს. ეს ქვეყნის ძლიერების საწინდარია. ამ დარბაზში ბევრი, ჩვენი გაზეთის მკითხვე-



მადლობა ჩვენი შრომის დაფასებისათვის

დავით პაიჭაძე, ბიზნესმენებს შორის კი ყველაზე ნაკითხი, ყიურის აზრით, მამუკა ხაზარაძეა. გამარჯვებულებს წიგნის ასოციაციამ საჩუქრად ხუთასლარიანი ვაუჩერი გადასცა, რომლითაც დაჯილდოებულნი სამი გამომცემლობის — „პალიტრა L“-ის, „პარნასისა“ და „ბაკურ სულაკაურის“ წიგნის მაღაზიებში ისარგებლებენ.

TBC ბანკმა ეს ვაუჩერი მიუსაფარ ბავშვთა ერთ-ერთ სახლს გადასცა. დაჯილდოების შემდეგ, „პალიტრა L“-ის მიერ გამოცემული ახალი წიგნების „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ პრეზენტაცია მოეწყო.



და თუ წლების წინ, „კვირის პალიტრა“ ერთი ყოველკვირეული გაზეთის სახელთან ასოცირდებოდა, დღეს ის დიდი საგამომცემლო სახლია, რომელიც არაერთ გაზეთს, ჟურნალს, საინფორმაციო სააგენტოსა და გამომცემლობას აერთიანებს და ათასობით ქართველ მკითხველს ემსახურება.

ლია და მინდა ქათინაურად გითხრათ: თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!.. რაც შეეხება „სოფლის მაშენებელს“, — ალბათ გაგახსენდათ: აი, მესამე ხმაც მოვედი!.. საქართველოს ახლა არც პირველი, არც მეორე და არც მესამე ხმა არ სჭირდება — საქართველოს გუნდური მრავალხმიანობა გადაარჩენს, ყველამ ერთად უნდა ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

„კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლს „სოფლის მაშენებლის“ სიმბოლო — მამლის ქანდაკება სამეფლისო ცეკვებში საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა ია კვირიკაშვილმა გადასცა.

ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტობისთვის ემზადება

ელის თუ არა საფრთხე მის ოჯახს



პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის მიერ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა, სახელისუფლებო და ოპოზიციურმა პარტიებმა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მიზეზებით ახსნეს. როგორც კულუარული ინფორმაციით გახდა ცნობილი, ბურჯანაძის განაწყენება საარჩევნო სიამ გამოიწვია... მართალია, ხელისუფლებას, განსაკუთრებით, პრეზიდენტ სააკაშვილს გულთბილად დაემშვიდობა, მაგრამ ოპოზიციაში გადასვლა კატეგორიულად უარყო და საჭიროების შემთხვევაში, სახელისუფლებო გუნდს სრული თანადგომა გამოუცხადა. და მინც, როგორც მავანნი ამბობენ, რეალურად, ის ახლა ტაიპ-აუტს იღებს და სამომავლოდ, სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება. პოლიტოლოგები ბურჯანაძის ამ ნაბიჯს უფრო შორსგამიზნულ სტრატეგიად მიიჩნევენ და არ გამორიცხავენ, რომ ხუთი წლის შემდეგ პრეზიდენტის პოსტზეც ვისილოთ.

ნინო ბურჯანაძის მიერ, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის სავარაუდო მიზეზებზე სასაუბროდ, მისი თანაგუნდელების გარდა, ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც მოვიხილოთ, მათი მოსაზრებებისა და თავად ბურჯანაძის მიერ გადადგმული ნაბიჯის შეფასება კი პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ვთხოვეთ.

ხათუნა ბახტურიძე

— თქვენი აზრით, რატომ განაცხადა უარი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე ნინო ბურჯანაძემ სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში?

დავით ზურაბიშვილი:

— მე ამ საკითხს ძალიან მარტივად ვუყურებ. ახლა გამეორდა ის, რაც მოხდა ოთხი წლის წინ: ბურჯანაძე მამინაც ცდილობდა, რომ თავისი გუნდი უფრო სოლიდური რაოდენობით წარმოედგინა სიაში და სიმბოლური თავმჯდომარეობის მაგივრად, რეალური ბერკეტები მოეპოვებინა. მაშინ ეს არ გამოუვიდა. ახლაც იგივე სცადა და ისევ არ გამოუვიდა, ამიტომ წასვლა არჩია.

კახა ძაბანი:

— როგორც ჩანს, ეკონომიკური გავლენის სფეროების გადანაწილებისას, ბურჯანაძემ იმაზე მეტი მოითხოვა, ვიდრე, სააკაშვილის აზრით, ეკუთვნოდა. ამიტომაც მიატოვდა უმრავლესობა სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში. ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ხელისუფლებაში, ძალაუფლების მოპოვებისა და ქონების დაგროვებისათვის კი არა, ხალხის სამსახურისთვის მოდიან.

— რამდენად შესაძლებელია, რომ მისი ეს ნაბიჯი, ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის შედეგი იყოს?

ფიქრია ჩიხრაძე:

— ვფიქრობ, შესაძლებელია. ბურჯანაძემ იმდენი შეცდომა დაუშვა და იმდენი სიბინძურე იტვირთა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. სხვათა შორის, „მემარჯვენეები“ თავიდანვე ვაფრთხილებდით, რომ სააკაშვილი შვს საქმეებს გააკეთებინებდა და მერე თავიდან მოიშორებდა. ჩვენი ნათქვამი გუშინდელი სიზმარივით აუხდა. მას რომ თავის დროზე, სამართლიანი და პრინციპული გადაწყვეტილებები მიეღო, ამ დღეში არ ჩავარდებოდა. მართალია, სააკაშვილის ბრძანებების შეუსრულებლობის გამო, უმრავლესობიდან წამოსვლა მინც მოუწევდა, მაგრამ საქართველოს უახლეს ისტორიაში კარგი სახელი შევიდოდა. ახლა ის უმრავლესობიდან იმიტომ წამოვიდა, რომ კვლავ ვერ გადაინანილეს, ეს კი იმას ნიშნავს — გამოიყენეს და მერე — „მოტყეს“...

— თქვენი აზრით, მოინდომებს ის საკუთარი ოპოზიციური გუნდის ჩამოყალიბებას?

დავით ზურაბიშვილი:

— სხვა გზა არ ექნება. სააკაშვილის ხელისუფლების არსი არის ასეთი: თუ ჩვენი არ ხარ, ესე იგი ჩვენი მტერი ხარ. ასე რომ, ბურჯანაძე თუ „ნაციონალებს“ ისევ არ დაუბრუნდა, ჯერ თავადაც არ იცის, მაგრამ ოპოზიციაში აუცილებლად წავა. ისიც მინდა დავამატო, რომ თუ „ნაციონალებთან“ თანამშრომლობა გააგრძელა, მისი პოლიტიკური ფიგურა საბოლოოდ დასამარდება.

— ბურჯანაძეს, ოპოზიციაში გადასვლამდე, ალბათ ბადრი ბიჩაძის წინააღმდეგ არსებულ კომპრომატებს დაუდებენ...

— ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნება. ის ოპოზიციაში ნებისმიერ შემთხვევაში წავა. კომპრომატებით ნადირობის დრო უკვე ისტორიას ჩაჰბარდა. ახალი მონეტის პარლამენტში ოპოზიცია სოლიდურად იქნება წარმოდგენილი და სახელისუფლებო გუნდი ვეღარავის დაშინებს და დაშანტაჟებას ვეღარ შეძლებს.

კახა ძაბანი:

— ჩემი აზრით, ის შექმნის ისეთივე ოპოზიციურ პარტიას, როგორებიც სხვებს აქვთ...

რა გულისხმობთ?

— საქართველოში, ლეიბორისტების

გარდა, არც ერთი ოპოზიციური პარტია არ არსებობს. ყველა დანარჩენი, სხვადასხვა დროს, შევარდნაძის ან სააკაშვილის თანამოაზრე იყო, ოპოზიციაში კი მხოლოდ პირადი წყენის გამო გადავიდნენ.

— სააკაშვილმა და ბურჯანაძემ ერთმანეთის მიმართ საკმაოდ თბილი განცხადებები გააკეთეს. როგორ ფიქრობთ, მათ ერთმანეთისადმი პირადი წყენა მაინც დარჩათ?

— ეს მხოლოდ თვალეში ნაცრის შეყვრაა და სხვა არაფერი. ასეთი მაღალი თანამდებობის პირი თავის პოსტს ტოვებს სწორედ მაშინ, როდესაც ის ყველაზე მეტად სჭირდებათ, — ეს ლოგიკურად მიგაჩნიათ? ფაქტია, რომ „ნაციონალებში“ სერიოზული დაპირისპირება დაიწყო. ბურჯანაძე აუცილებლად შექმნის ოპოზიციას, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ შური იძიოს და გავლენა, რომელიც სააკაშვილმა არ დაუთმო, ხელში ძალით ჩაიგდოს.

— თუ ბურჯანაძემ ოპოზიციაში საკუთარი ნიშის დაკავება მოინდომა, როგორ შეხვდება ამას დანარჩენი ოპოზიცია? შეძლებთ თუ არა მასთან თანამშრომლობას?

ფიქრია ჩიხრაძე:

— თავის დროზე, პრინციპულობა და სამართლიანობა რომ გამოეჩინა (შედეგობაში მაქვს ხელისუფლებისა და ოპოზიციის დიალოგი), ჩვენ მას შესაბამისად დავაფასებდით, მაგრამ დღეს ოპოზიციისათვის ნინო ბურჯანაძე დიდი მონაპოვარი ნამდვილად არ არის.

დავით ზურაბიშვილი:

— 7 ნოემბერს განვითარებული მოვლენების შემდეგ, რესპუბლიკური პარტია ბურჯანაძესთან ნამდვილად არ ითანამშრომლებს. მან სერიოზული დანაშაული ჩაიდინა, როდესაც საგანგებო მდგომარეობა გამოგვიცხადა, სააკაშვილს აპყვა და ჩვენ ყველნი, რუსეთის აგენტებად გამოგ-



ვაცხადა. ვფიქრობ, მას სერიოზული ბრძოლა მოუწევს იმისათვის, რომ ოპოზიციანში ადგილი დაიმკვიდროს.

კახა კახაია:

— არა, რა თანამშრომლობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?!

ელენე თივლორაძე:

— ჩემთვის ნინოს განცხადება მოულოდნელი იყო, მაგრამ — გასაგებია. ის ძალიან კარგი თავმჯდომარე იყო. ასეთი პოლიტიკოსის დაკარგვა ძალიან ცუდია და დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი სანაცვლოდ, რაღაცას სერიოზულს შესთავაზებს.

— ახალ სივრცეში არც თქვენ აღმოჩნდით, გული არ დაგწყდა?

— მე უკვე სამჯერ ვიყავი არჩეული და ალბათ ჩათვალეს, რომ პარლამენტში საჭირო აღარ ვარ.

— როდესაც თქვენ სურვილით ტოვებდით დეპუტატის მანდატს, მაშინ არ გაგიშვეს, ახლა რა მოხდა?

— ახლა აღმასრულებელ ხელისუფლებაში წავალ და იქ გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას.

გიგა წერეთელი:

— ძალიან უსიამოვნო ფაქტია. როგორც ჩანს, ქალბატონმა ნინომ თავისი პოზიციები ბოლომდე პრინციპულად დაიცვა. მოხარული ვარ, რომ მან მშვიდი და ღირსეული განცხადება გააკეთა. პოლიტიკაში მოსვლის დღიდან, მისი გუნდის წევრი ვარ და მიმაჩნია, რომ კარგ ურთიერთობებს ბოლომდე შევინარჩუნებთ. ხელისუფლებაში უახლოეს მომავალში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებენ და ქალბატონ ნინოს საკმაოდ სერიოზულ მისიას დაავსირებენ.

ელენე თივლორაძე:

— პარლამენტში, დეპუტატებთან კონსენსუსის მიღწევის კარგი უნარი აქვს. გარდა ამისა, ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

— **ხომ არ ფიქრობთ, რომ მან ავტორიტეტი და რეიტინგი დაკარგა მას შემდეგ, როდესაც მოშომილე ოპოზიციას მკვეთრად დაუპირისპირდა?**

— სულ ახლახან ჩამოვედი ევროპიდან და არ მიგრძნია, რომ მის მიმართ დამოკიდებულება შეცვლილიყოს. პირიქით — ყველა მეუბნებოდა, — ნინო ძალიან მაღალი რანგის პოლიტიკოსიაო.

— მომავალი პრეზიდენტის რანგში ხომ არ წარმოგიდგენიათ?..

— წარმომიდგენია. მას ძალზე სერიოზული პოლიტიკური სკოლა აქვს გავლილი და ყოველთვის, ყველგან ღირსეულად წარმოადგენდა საქართველოს. თუ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, სერიოზული შანსები ექნება.

— თქვენ რას იტყვით ამის შესახებ, ბატონო გიგი?

— პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია. ჩემთვის ის განცხადებაც მოულოდნელი იყო, რომელიც ახლახან გააკეთა ქალბატონმა ნინომ. ასე რომ, ვერაფერს გამოვიცხავ.

— გამორიცხავთ, რომ ის ოპოზიციურ გუნდს ჩამოაყალიბებს?

— მჯერა მისი და ვფიქრობ, რომ იმ კურსის მხარდამჭერი იქნება, რომელსაც ერთად ვახორციელებდით. თუმცა რობოტები არა ვართ და შეიძლება, რაღაც შეიცვალოს. ასეთ სავითხებთან დაკავშირებით, უკვე მიღებული გვაქვს რთული და მტკივნეული გადაწყვეტილებები. ალბათ ამას ყველა გაითვალისწინებს.

— ბატონო სოსო, რამდენად ობიექტურად შეაფასეს კოლეგებმა ნინო ბურჯანაძის გადაწყვეტილება — არ მიელო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში?

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:
— ოპოზიცია და სახელისუფლებო ძალები, ასე ვთქვათ, დაინტერესებული პირები არიან, ამიტომ ისინი ობიექტური მსჯეულები ვერ იქნებიან...

— თქვენ როგორ შეაფასებდით მის ამ ნაბიჯს?

— ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს მხოლოდ ერთი ფაქტორი არ არის განმსაზღვრელი. ბურჯანაძეს, როგორც გამოცდილი და ჭკვიან პოლიტიკოსს, თავისი პოლიტიკა-

რი მომავალი აინტერესებს და დიასახლისობას ნამდვილად, არ აპირებს. მან პირდაპირ თქვა, რომ პარლამენტის ახალი შემადგენლობა ვერ პასუხობს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას. მე ვფიქრობ, რომ მისი მოსაზრება ამ მხრივ, სწორია. როინიშვილის, ნიკლაურის და სუბელიანის (ისე კი კარგი, მშრომელი ბიჭია) მიერ დანერგილი კანონებით ჩემმა მტერმა იცხოვრა!.. ასე რომ, ბურჯანაძეს ამ ნაბიჯის გადასადგმელად, მიზნების მთელი კომპლექსი ჰქონდა. ეს არ იყო ევოციანზე დამყარებული განცხადება ან ბოლო წუთებში მიღებული გადაწყვეტილება. ის გრძობდა, რომ აღრე თუ გვიან, ასეთი გადაწყვეტილების მიღება აუცილებლად მოუწევდა.

— როგორ ფიქრობთ, მას აკმაყოფილებდა ის როლი, რომელიც მას პარლამენტში ჰქონდა?

— რასაკვირველია, ის აღფრთოვანებული ვერ იქნებოდა იმ როლით, რომელიც მისთვის იყო განკუთვნილი, განსაკუთრებით — ბოლო ორი თვის მანძილზე. ის იყო პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ პარლამენტს რეალურად, სულ სხვა ხელმძღვანელი ჰყავდა. ეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო და პარლამენტის კულუარებშიც არ იმალებოდა. ის თანდათან, გავლენასთან ერთად, ავტორიტეტსაც კარგავდა. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ მისი რეიტინგიც დაბლა ეცემოდა. ამ ყველაფერმა ის ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. ბურჯანაძე დიდიწის წინაშე იდგა: ან უნდა დარჩენილიყო „სვადებნი გენერლის“ როლში, ან — წასულიყო პარლამენტიდან. გიგი უგულავას ერთ-ერთ გადაცემაში წამოსცდა — ბურჯანაძემ ტაიმაუტი აიღოო. სხვათა შორის, „სწორად“ წამოსცდა. ბურჯანაძე თავის დროს დაელოდებდა და საჭიროების შემთხვევაში, გააქტიურდებოდა.

— თუ ის ატყობდა, რომ გავლენას კარგავდა ხელისუფლებაში, რატომ გადაიმტერა ოპოზიციონერები, რომლებიც მის მიმართ სიმპათიით იყვნენ განწყობილნი?

— ის ოპოზიციასთან მწავე მოლაპარაკებებს, ტაქტიკურ სავითხებზე კი არა, სტრატეგიულ სავითხებზე აწარმოებდა. მოლაპარაკება, რომელიც ბურჯანაძის კაბინეტში მიმდინარეობდა, ერთ-ერთი მხარის კაპიტულაციით უნდა დასრულებულიყო. რომელი მხარეც დათმობდა, ის წააგებდა, კომპრომისი გამორიცხული იყო. სანამ ბურჯანაძე ხელისუფლების დედაბოძი იყო, ის სხვანაირად ვერ მოიქცეოდა.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ბურჯანაძემ თავისი ოპოზიციური გუნდი ჩამოაყალიბოს?

— გამორიცხულია. ის ახლა დიპლომატიურ სამსახურში წავა. თავის გუნდს მხოლოდ მაშინ ჩამოაყალიბებს, როდესაც გარკვეული დრო გაივლის. შესაძლოა, ზუთი წლის შემდეგ, პრეზიდენტობის კანდიდატადაც მოგვევლინოს და ვფიქრობ, სერიოზული შანსებიც ექნება. მან ამისთვის მზადება უკვე დაიწყო.

ნიკა არაბიძე, შოუმენი:

— თქვენს ჟურნალს სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე. იმასაც გეტყვით, რომ სახლში სამი-ოთხი წლის განმავლობაში შეგროვებული „გზის“ ყველა ნომერი მაქვს და ჩემი არქივიც შევქმენი. თუ დაგჭირდათ რომელიმე ნომერი, შემიძლია გათხოვოთ. დედაჩემსაც უყვარს „გზა“ და ყოველ ხუთშაბათს, როგორც წესი, მოუთმენლად ელის, რომ ჟურნალი შეიძინოს. ბევრი საინტერესო რუბრიკა გაქვთ. იწყებთ ჟართული სინამდვილიდან და უცხოეთშიც ინაცვლებთ. ისე, ერთი უცნაურობა მჭირს: ჟურნალის კითხვას ბოლო გვერდიდან ვიწყებ და პირველით ვასრულებ. ასე რომ, ფოტოკურიოზებიდან — „პროვოკატორამდე“ ვეცნობი ყველაფერს. რა თქმა უნდა, ძალიან მომწონს „გზაში“ დაბეჭდილი ჩემი ინტერვიუებიც. რაც არ მომწონს, იმასაც გულწრფელად გეტყვით: ეს მესიკებია, რომლებიც ჩანართში — „გზავნილები“ — იბეჭდება, ეს ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა...



გაზაფხულის სეკდიანი ფიქები და ნოსტაღგია აფხაზეთზე

ეს წერილი რედაქციაში 22 წლის ასმათ შამუგამ გამოგზავნა. მოუხედავად იმისა, რომ მშობლიური კუთხე 6 წლის ასაკში დაატოვებინეს, მისი სიყვარული არ განელეზბია. დანარჩენს, ერთი ამოსუნთქვით დაწერილი ამ წერილით, თავად ასმათი გეტყვით...



ჩემი დამწვარი სახლი გაღმად დღეს

მე დევნილი ვარ ქალაქ გალიდან. ყოველთვის, როდესაც თბილისში გაზაფხული დგება, მახსენდება აფხაზეთში ჩვენი კარმიდამო. ნუ მინყენთ, თბილისელებო და გაზაფხული ზღვის ნაპირას უფრო ლამაზად და უფრო ადრე შემოდოდა.

ვისაც ერთხელ მაინც უოცნებია მაგნოლიის ხის ქვეშ, ვისაც ერთხელ მაინც ურბენია თოლიებთან ერთად, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს აქოჩრილი და მოქაფქაფე ზღვის ტალღები, მხოლოდ ის მიმიხვდება სატკივარს...

ღმერთო, მომავალ გაზაფხულს ჩემს აფხაზეთში შემახვდრე:

ოი, გაზაფხულის ძლიერება! მალე აფხაზეთი დამბრუნე, ჩემს ეზოში ერთხელ კიდევ გამატარე, თურად მორთულ მაგნოლიებს ჩამხუტე ზღვაზე კენტები მაკრეფინე ჩემი კვრა კვლავ ძალუმად აგუგუნე; ღმერთო, ეს სურვილი ამისრულე საპოვნელავ, აფხაზეთი მაპოვნინე...

6 წლის ვიყავი, როდესაც გალი დაეტოვეთ, ჩემი ძმა კი — 5 წლის, მაგრამ მაინც მახსოვს და მენატრება ჩემი მხარე... ომი, ტყვიები, შიში —



დაე, მაგროს ამ კვამლა, გამმუროს, რათა ჩემი ქვეყნის ტკივილით ვიცხოვრო

ასმათ შამუგია

ყოველივე ეს გამოვიარეთ, ვუყვებით აფხაზეთის სილამაზის შესახებ ამ ხნის განმავლობაში თბილისში შექმნილ მეგობრებს და იმ დღეზე ვოცნებობთ, როდესაც ღირსეულად დავუბრუნდებით მშობლიურ მინაწყალს...

ამ კონფლიქტს ჩვენი უახლოესი ნათესავები შეენივნენ: 1994 წლის 2 თებერვალს — ბებია, ნათელა ტაბალუა, სრულიად უდანაშაულო ადამიანი, გზად მიმავალ რვა ადამიანთან ერთად, აფხაზმა სეპარატისტებმა ტყვიით განგმირეს... ცხრავე გარდაცვლილი ბაბუამ (დანიელ შონიამ) ჩამოასვენა გალიდან სოფელში და ჩუმად დაასაფლავა. დედამ, დეიდამ და ჩვენ, ნათესავებმა, ბებია ვერ დავიტირეთ. ამ ამბის შემდეგ, ბაბუა გულჩათხრობილი და საოცრად სევდიანი გახდა... 1998 წლის მაისის მოვლენების შედეგად, ჩვენი სახლი, სოფელ ზემო ბედლებში, მეორედ გადაწვეს. ყოველივე ამან ძლიერ იმოქმედა ბაბუაზე და იგი 1999 წლის 29 აგვისტოს უეცრად გარდაიცვალა. პირადად ჩემთვის ეს დიდი დანაკლისი იყო, რადგან ბაბუა თბილისში ჩვენთან ცხოვრობდა და ძლიერ გვიყვარდა ყველას, შეჩვეული ვიყავით მასთან ერთად ცხოვრებას.

ჩემი ძმა, დეიდაშვილები და ბიძაშვილები ასაკით ჩემზე პატარები იყვნენ და ამით, ვფიქრობ, ბედნიერები არიან, რადგან არ ახსოვთ ის საშინელება, რაც აფხაზეთიდან გადმოსვლის დღეს იქ ხდებოდა...

ომს კიდევ ერთი ბებია, მამაჩემის დედა — ირინე ხარჩილავა შეენირა: გალიდან რომ გადმოდიოდა, აფხაზმა სეპარატისტმა ავტომატის კონდახი ჩაარტყა და ცენტრალური ნერვული სისტემა დაუზიანა. იგი დიდხანს ავადმყოფობდა და 2002 წელს ქუთაისში, ბიძაჩემის — ვალერი შამუგიას ოჯახში გარდაიცვალა. მთელი ბავშვობა მიცვალებულების გარემოცვაში მაქვს გატარებული და მკვდრის დანახვაზე უკვე რეაქცია აღარც მაქვს...

22 წლის ვარ, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბი-

ზნესისა და მართვის ფაკულტეტი დავამთავრე, მენეჯმენტის სპეციალობით. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ვემუშაობ...

მტრობითა და ომით დანგრეული მხოლოდ სიყვარულითა და ურთიერთ-თანადგომით აშენებულა — ასე იყო საუკუნეების წინ, რუსთაველამდეც და მის შემდეგაც, ასეა დღესაც... მტრობა, შუღლი, ძმათამკვლელი ომი ჩვენი თაობისათვის უცხო როდია. ჩვენმა თაობამ ინწვინა ომის საშინელება, ნახა ნგრევა და სიკვდილი, შიმშილი და გაუტანლობა.

დაიხ, მტრობამ და არაკაცობამ ნაც-ართუტად აქცია წლობით დაგროვილი და სიყვარულით ნაშენები ჩემი დიდი ქვეყნის პატარა, მაგრამ ძალზე ლამაზი კუთხე — აფხაზეთი, მტრობამ და გაუტანლობამ მიწასთან გაასწორა მთელი ზღვისპირეთი.

როცა ჭუბერიდან მომავალმა დევნილებმა „გოლგოთის გზა“ გამოიარეს, ბევრი გახდა ღვიძლი ადამიანის დაკარგვის მომსწრე, ბევრ პატარას ბედმა არგუნა ობლის კვერი, ბევრი მეუღლე ცალუღელა შეატოვა ცხოვრებას, ბევრი დედა გაამწარა შვილის დაკარგვამ და ვინ იცის, როდემდე გაგრძელდება ეს საშინელება?..

იმ ენკენისთვის მართლაც, „თაფლისა და რძის სუნი ასდიოდა აფხაზეთს...“ ქუჩა სასყე იყო ბავშვებით, ქალებით, უმწეო მოხუცებით; მებრძოლები კი ფრონტის ხაზზე მიდიოდნენ. ცენტრალურ გზებზე დააშლიგინებდნენ ტანკებს... საზარელი სანახავი იყო ყოველივე. ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა. სიტყვა „ევაკუაცია“ ელდასავით მოედო აფხაზეთს. სოხუმი დაეცა. იგივე ბედი ეწეოდა მალე, აფხაზეთის სხვა რაიონებსაც. გალის რაიონს სოხუმიდან, გაგრიდან, გუდაუთიდან, ოჩამჩირიდან დევნილმა ნათესავებმა დროებით შეაფარეს თავი. ყველა ელოდა მშვიდობის დაწყებას სოხუმი... მაგრამ 27 სექტემბერს აფხაზმა ბოვიკებმა მდინარე ენგურამდე მოაღწიეს და თავიანთი დროშა ააფრიალეს...



შავი ზღვის თვალწარმტაცი სანაპირო, პალმების შრიალი, ლურჯი ზღვის ტალღების დგაფუნი, თოლიების ჩურჩული — ცისფერი და ზღვისფერი უკიდვანო სივრცე — სიხარულის ცრემლს ბადებდა ჩვენი; რინის ტბის სილურჯე, ძველი გაგრის სიკობტავე და სოხუმის სინმინდე სიხარულით გვიჩქროლებდა გულს. შევყურებდით ამ მიწას, ვსუნთქავდით ამ ჰაერს და ეს გვაგრძობინებდა აფხაზურ-მეგრული მორდუობის სითბოს, ძიძიშვილობის ძირმაგარ ადათს და გვსიამოვნებდა, რომ სწორედ აქ, ამ ნალკოტში დავიბადეთ, გავიზარდეთ და ეს ზღვის ნოტიო ბუნება იყო ჩვენი დედაადგილი...

დღეს, როცა ფიქრებით დაღლილს,

ავებუღა, მაგრამ მაინც ვებედავთ მიწის ყივილზე პასუხის გაცემას! გადავლახავთ მშფოთვარე ენგურს და ხიფათგამოვლილი, ფეხშიშველი ვეხებით აფხაზეთის მიწას, რომ უფრო ცხოვლად ვიგრძნოთ მისი სითბო და ძალა... ისიც, დაუზოგავად გვანვდის ახალ ენერგიას... გვეფერება, გვესაღბუნება და, როგორც ჭკვიან დედებს სჩვევიათ, წარსულიდან მხოლოდ თბილ სურათებს გვიცოცხლებს...

ინვის აფხაზეთი, სტკივა იარები და ხრჩოლავს. მაინც მსიამოვნებს მწარე კვამლში ცხვირის შეყოფა. დაე, მატიროს ამ კვამლმა, გამშუროს, რათა ჩემი ქვეყნის ტკივილით ვიცხოვრო, სხვანაირად არ შემიძლია!

გალის რაიონი აფხაზეთის ის ნაწილია, რომელიც იმედის ნაპერწკალს გვიტოვებს — გაუტყეული სამურზაყანოელი გლეხი ისე ვერ მომორდა მშობლიურ კერას, როგორც ჩვილი — დედის თბილ კალთას... გვიყვის ძლიერი სული ჯიშისა და გენისა და მხოლოდ იქ ვეძებთ შვებასა და სიხარულს. ჩვენს მამებს იქ სურთ დაღვარონ ოფლი. ოფლი, სისხლთან და ცრემლთან ერთად.

ასეთი ტკივილიანი ფიქრები ახლავს აფხაზეთს... გულის მოუშუშებელი იარა.

დაგვალა და დაგვასუსტა ომმა. მინავლებულა ჩვენი ძმობაც. მაგრამ მჯერა — ასე უცებ ვერ გაცივდება

ერთ დროს გრძნობით გამთბარი გულები. ისე არ გადაშენდებიან ყაბალახიანი მორდუები, რომ ერთურთის სიყვარული და ძმობა ისევე არ დათესონ სამომავლოდ...

ვიცი, კარგად მესმის, რომ ბრძოლით დაკარგული ტერიტორიები უბრძოლველად არასდროს დაუთმია მტერს: ასე იყო დავით აღმაშენებლის, დიდი თამარის ხანაში... მაგრამ ეს იყო საუკუნეების წინ. დღეს კი, როცა მსოფლიო მშვიდობიან თანაარსებობას არჩევს ომსა და განადგურებას, ჩვენც მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკებით უნდა შევძლოთ აფხაზეთის დაბრუნება. უნდა შევიგნონ აფხაზმა სეპარატისტებმა, რომ ომი და ხოცვა მათ სიკეთეს არ მოუტანს, ურთიერთგაგებითა და სიყვარულით უნდა ვაშენოთ ქვეყანა და თუ მაინც ასე არ მოხდა, სჯეროდეს ყველას, რომ მოდის თაობა (ჩვენი სახით), რომელიც მტერს მტრულად დაუხვდება, მოყვარეს — მოყვრულად და მტრისგან წართმეულს დაიბრუნებს, მტრისგან დაქცეულს სიყვარულით ააშენებს და დაამშვენებს...

ჩემს სახლს, ეზოს, ქუჩას, სადაც ბავშვობა გავატარე, ხშირად ვნახულობ სიზმარში. ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც ეს ამბებდა, როცა ჩვენს მიწა-წყალზე ჩავიყვან ჩემს თბილისში შეძენილ მეგობრებს და საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს გავაცნობ მათ.

მჯერა, რომ ჩვენ სულ მალე დავბრუნდებით მშობლიურ აფხაზეთში, ეს მხოლოდ დროის საკითხია; პირადად მე და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა ამ იმედით ვცოცხლობთ!..

ასმათ შამუგია



ბაბუს სახლი სოფელ მჭო ბარლებში



ჩემი მშობელი ვივი შონია დღესაც გალში ცხოვრობს

გრძნობები ამერევა, დედასავით მომენატრება ჩემი მხარე, ჩემს წარმოდგენაში გაბრწყინდება ლამაზი აფხაზეთის თვალწარმტაცი სურათი, რაც კიდევაც დამამშვიდებს და თავისებურად, კიდევაც ამანრიალეხს: ნუთუ დავკარგეთ ეს ზღაპრული ადგილი?! აფხაზი და ქართველი ხალხების სიხსლოვე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე უბრალო კეთილმეზობლობა. მაშ, რა მოხდა?..

ვერ გავუფრთხილდით ერთ ცას, ერთ ჰაერს, ვერ შევაფასეთ მორდუს სიყვარული და ჩვენი სილამაზით გააღმასებულ მტერს დაეუჯერეთ. ამის შედეგად, ჯერ წვეთ-წვეთად გამოყოფა უდანაშაულოთა სისხლმა, მერე ნაკადულის ღვარებად გამოჩნუხდა.

ომის მძიმე შედეგებმა ორივე მხარეს დაანახვა ერთი ჭეშმარიტება — აფხაზეთი უსაქართველოდ და საქართველო უაფხაზეთოდ — შეუძლებელია!

ცეცხლის კვამლში გახვეულა, საოცნებო მხარე გავერანებულა, დაგლახ-

ნაქსოვი ინტარფაისი

დიზაინერმა რებეკა სტერნმა ადამიანები კომპიუტერებს პირდაპირი მნიშვნელობით მიაჯაჭვა. სტერნი საკუთარ თავს „მედიის ახალ მხატვარს“ უწოდებს. მისი ახალი პროექტის მიზანი ადამიანებსა და მათ მიერ გამოყენებულ აპარატურას შორის რთული ურთიერთდამოკიდებულების ჩვენებაა. ხელით ნაქსოვი ინტერფეისები პროგრამისტებს ხელეხს გაუთბობს და ამავე დროს, ხალხმრავალ ადგილებში საკუთარ ნოუტბუკებთან განმარტოებასა და სიმშვიდის მოპოვებაში დაეხმარება.



ნათია ქვიციანი

ქრნალისტი - ნინა წკრილაშვილი
რასონაწი - ზია ცინაძე

— პირველ რიგში, სასიამოვნოა შენი გაცნობა. შენ შესახებ საერთოდ არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ გქვია მყუდრო და თამაშობ სერიალში „ჩიფსების თაობა“. იქნებ მიაშობ შენს თავზე რაიმე?

— თეატრალური ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. 30 წლის ვარ, მაგრამ ჯერჯერობით უცოლო გახლავარ...

— ქართველმა მაცურებელმა ყველაზე უკეთ, სერიალით — „ჩიფსების თაობა“ გაგიცნო. საინტერესოა, როგორ მოხვდი ამ სერიალში?

— უკვე ორი წელია, კომპანიაში — „ფორმულა კრეატივი“ ვმუშაობ. ჩემთან ერთად, ნიკა ქავთარაძე, მიშა მშვილდაძე და კიდევ სხვა ბიჭები არიან.

— უო, რას ამბობ! ნიკუშა ჩემი მეგობარია...

— ჩვენი ფირმა იღებს — რეკლამებს, კლიპებს, სერიალს და სულ მალე მხატვრული ფილმის გადაღებასაც ვაპირებთ. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ეს ერთ-ერთი საინტერესო ფილმი იქნება.

— რა კარგია! ნიკუშას უნდა დაფურეკო, იქნებ, იმ ფილმში რაიმე პატარა როლი გამოიმჩნასო...

— არ იქარო. შენი სურვილის შესახებ ნელ-ნელა შემოგვაპარე... ჰოოდა, ბიჭებმა ამ სერიალის სცენარი რომ დანერგეს, მათვე გაუწინდათ იდეა, რომ მყუდროს როლი მე შემესრულებინა. თანაც, პროფესიით მსახიობი ვარ და იფიქრეს, დავალებას თავს იოლად გავართმევდი.

— მსახიობი რომ ხარ, ამას მივხვდი, რადგან თეატრალური რომ არ გქონდეს დამთავრებული, ამ როლს ასე კარგად ვერ შეასრულებდი. ისე, მანცდამანც მყუდროს როლი რატომ მოგცეს?

— არ ვიცი, ალბათ ჩემში რალაც დაინახეს, თუმცა უნდა ვთქვა, რომ მე და ჩემი პერსონაჟი ერთმანეთს არ ვგავართ. როცა მყუდრო ტყვიანურ აზრებს აფრქვევს, მაშინ ვგავარ მას, ისე, ცხოვრებაში უსაქმურობა ნამდვილად არ მიყვარს.

— ისევე, როგორც შენს პერსონაჟს, სახლში ტრუსით სიარული გიყვარს?

— უნდა ვაღიარო, რომ მიყვარს. თუმცა იმას, რითიც მთელი ზაფხული დავდივარ, მთლად ტრუსს ვერ დავარქმევ. თითქმის სულ შორტი მაცვია. ქუჩაშიც ასე გავდივარ. მერე ისე ავიჩემებ ხოლმე შორტს, რომ ზამთრის მოსვლამდე აღარ ვიხდი.

— არა უშავს, მეც ასე ვარ. ზაფხულში ძალიან რომ ცხელა, ტანსაცმელი დისკომფორტს მიქმნის, ამიტომ, მაისიდან ოქტომბრამდე, მეც სულ შორტი დავდივარ... გია, უნდა ვაღიარო, რომ ჩემს შვილს ოჯახში ყველანი მყუდროს ვეძახით, რადგან 24 საათის განმავლობაში ნითელი

გაყვანებული ურთიერთობათა ანუ როლის შეუქარა მუდროს ნინა

მომღერალ ნინა წკრილაშვილს რომ დავეუკავშირდი და ჩვენს რუბრიკაში მონაწილეობა მსახიობ გია ცინაძესთან, იმავე მყუდროსთან ერთდ ვთხოვე, ძალიან გაუხარდა და ასე მიპასუხა: „ჩიფსების თაობა“ ჩემი საყვარელი სერიალია, ყველა მისი პერსონაჟი ძალიან მომწონს, მით უმეტეს — მყუდრო. ჩვენმა შეთავაზებამ გია ცინაძეც გაახალისა და ინტერვიუზე მაშინვე დაგვთანხმდა.



„შავხრეანი ბიჭები მოხონს...“

ტრუსით დადის და ხელში მობილური ტელეფონი უჭირავს. თქვენი სერიალის ნახვის შემდეგ მაშინვე მივხვდი, რომ შინ მერე მყუდრო მყავდა... ისე, სერიალი „ჩიფსების თაობა“ თავად თუ მოგწონს?

— რა თქმა უნდა, მართლა ძალიან მომწონს. არ მინდა, სუბიექტური ვიყო, მაგრამ რეჟისორიც უნიჭიერესი გვყავს, სცენარისტებიც და მსახიობებიც. ამიტომ, ნამუშევარიც მართლა საინტერესოა.

— სერიალი მეც მართლა ძალიან მომწონს. ტელევიზორთან მოკალათებული, მოუთმენლად ველოდები ხოლმე მის დაწყებას. ჩემს ოჯახში „ჩიფსების თაობას“ ყველა თაობის ადამიანი უყურებს... ჩვენს ინტერვიუს დავუბრუნდეთ და მითხარი, რაიმე სპექტაკლში თუ მიგიღია მონაწილეობა?

— თეატრალური ინსტიტუტი 1998 წელს დავამთავრე და სწორედ იმ პერიოდში, ერთხელ, მარჯანიშვილის თეატრში ერთ-ერთ სპექტაკლში ვითამაშე, მერე კი — მოზარდ მაცურებელთა თეატრში. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ თეატრი ჩემი საქმე არ იყო. კინო უფრო მაინტერესებს.

— მსახიობი ვიყო, მეც ასეთსავე არჩევანს გავაკეთებდი... „ჩიფსების თაობას“ ყველა მონაწილე მსახიობი უცებ გახდით პოპულარულები. როგორი შეგრძნებაა ეს?

— არ ვიტყვი, რომ პოპულარობა არ მომწონს. ძალიან მაგარია, ქუჩაში ვილაქ-

ბი რომ გცნობენ და გიღიმიან. თუმცა ერთხელ, მანქანამ ჩამიქროლა და გავიგონე, რომ ვილაქამ ძალიან მაგრად შემაგინა, ქართველ ბიჭებს ყველაზე მეტად რომ შეურაცხყოფს, ისე, საოცარი რეაქცია მქონდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ პოპულარობას ასეთი რალაცებიც ახლავს...

— თინეიჯერებს ალბათ განსაკუთრებულად უყვარხარ...

— აქ რომ მოვდიოდი, ავტოგასამართ სადგურზე შევედი. მაშინვე გოგონები დამესიგნენ და ავტოგრაფი მთხოვეს. მათგან ყურადღებას ნამდვილად ვგრძნობ. საჩუქრებსაც ვიღებ ხოლმე. სიღნაღში ორი დღე ვიყავით და საერთოდ არ დავგისვენია, რადგან გადაღების შემდეგ თინეიჯერების არმია დაგვყვებოდა თან. ეს ყველაფერი მართლა ძალზე სასიამოვნოა.

— ისე, როგორც აღნიშნე, 30 წლის ხარ, ცოლი რატომ არ მოგყავს?

— ალბათ იმიტომ, რომ ადამიანს, რომელიც ჩემი ცოლი უნდა გახდეს, ჯერჯერობით არ შევხვდრივარ.

— ხომ იცი, როცა არ ელი, სიყვარული სწორედ მაშინ გენწევა ხოლმე...

— სიყვარული ერთხელ უკვე გამოცადავ. დარწმუნებული ვარ, ეს გრძნობა მეროდაც მენწევა.

— საინტერესოა, როგორი გოგონები მოგწონს?

— ჩვეულებრივი. ქერა იქნება თუ შავგვრეანი, გამხდარი თუ ოდნავ შევსე-

ბული — ამას მნიშვნელობა არა აქვს. — მართალია. მე შეგვფრემან ბიჭები მომწონს, მაგრამ ქმარიც ქერა მყავდა და რამდენიმე სიმპათიის ობიექტზე. ამას წინასწარ ვერავინ დაგეგმავს... დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. საინტერესო იყო შენი გაცნობა. ახლა შენი ჟურნალისტობის ვეროა.

ქართლისტი — ზია ცინაძე
რამკონსენტი — ნინა წარმოალებელი

— პატარა შესავალს გავაკეთებ: ჟურნალისტიკა რომ დამირეკა და მითხრა, ინტერვიუ წინასთან უნდა ჩანეროო, უწყობანოდ დავთანხმდი. ახლავე აგისხნო, რატომ: სიმართლე რომ გითხრა, შენს შემოქმედებას თითქმის არ ვიცნობ, მაგრამ შენი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ რომ გავიგე, მას შემდეგ მართლა ძალიან მეგასები. როცა ტელევიზიით გამოდიოდი, ყოველთვის გულწრფელად ლაპარაკობდი. „ნაციონალების“ მომხრე იმიტომ კი არ ხარ, რომ მათ დაგირეკეს და კონცერტებში მონაწილეობა შემოგთავაზეს, — ლაპარაკზე გეტყობა, რომ ნამდვილად მოგწონს ისინი. სწორედ ამის შემდეგ შემოვივარდი. ვილაღე ქალები რომ დაგესოვნენ და გცემეს, ეს ჩემს მეგობრებთან ერთად, ტელეგადაცემაში ვნახე და ძალიან ცუდი სიტყვებით ვიგინებოდი. ამ ფაქტმა აღმაშფოთა.

— ის ქალები არ გამახსენო. მართლა ისე მცემეს, რომ ჩემი დაგრძელებული თმა ხელში შერჩათ...

— ამ ცემის გამო, „ნაციონალებმა“, კომპენსაციის სახით, არაფერი გაიღეს?

— ჩხუბის დროს მანქანის სარკე და კიდევ მანქანის სხვა ნაწილები გაიღებეს. „ნაციონალებმა“ მითხრეს: მანქანას შეგიკეთებთო, მაგრამ უარი ვუთხარი. საერთოდ, ცხოვრებაში პრობლემები იმის გამო მექმნება, რომ რასაც ვფიქრობ, ყოველთვის იმას ვამბობ. რა ვქნა, პროტესტის გრძნობა რომ მიჩნდება, ვერ დავმალავ და უნდა გამოვხატო. ბავშვობიდან ასეთი ვარ.

— ძალიან კარგი. მთავარია, რომ მართალი ხარ... სხვათა შორის, კლიპი და სიმღერა — „მიშა მაგაროა“ — ჩვენი კომპანიის გაკეთებულია და ამით ძალიან ვამაყობ. სწორედ ამიტომ მისხარა, რომ შენც ჩემი თანამოაზრე ხარ. ჩვენი ხელისუფლება პროგრესულად მოაზროვნე და ევროპული ორიენტაციისაა. ამჟამად ქვეყანაში საკმაოდ რთული მდგომარეობა გვაქვს, ვეღარ გავიგეთ, ევროპელები ვართ თუ — აზიელები...

— პირადად მე ევროპელი ვარ. — მეც, მაგრამ ამ შემთხვევაში, ზოგადად, ხალხზე მაქვს ლაპარაკი... მოდი, პოლიტიკაზე საუბარს შევეშ-

ვით და შენზე ვილაპარაკოთ. თუ არ ვცდები, შენი პირველი სიმღერა და კლიპი — „მატირე“ იყო. კლიპში ვილაღე გოგონა, ზანგი ბიჭის შეყვარებულია. რატომ გადაწყვიტეთ, რომ გადასალბო მოედანზე ზანგი მოგწვიათ?

— რადგან ეს ჩემი პირველი კლიპი იყო, არ მინდოდა, სტანდარტული გამოსულიყო. დღეს ამ ნამუშევარს რომ ვუყურებ, ვფიქრობ, ბევრ რამეს შევცვლიდი, მაგრამ მიმაჩნია, რომ როგორც პირველი ნამუშევარი, კარგი გამოვიდა.

— შესაძლოა, თქვენ მაშინ ამაზე არ გიფიქრიათ, მაგრამ ჩემი აზრით, ამით იმის თქმა გინდოდათ, რომ შავ მამაკაცს უფრო მეტი ტემპერამენტი აქვს...

— ამაზე რომ ვფიქრებ, ის ზანგი ამ კლიპში სწორედ ამიტომაც მოხვდა.

— „პლეიბოიში“ შენი ფოტოები რომ დაიბეჭდა, ეს მისასალმებელი ფაქტი იყო და ამის გამო, კიდევ ერთხელ გცემე პატივს, მაგრამ ამ ფოტოებში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, როგორც ამბავიც ატყდა.

— სხვა ქვეყანაში რომ მეცხოვრა, შესაძლოა, კიდევ უფრო თამამი ფოტოები გადამეღო. გეთანხმები, რომ ასეთი ტიპის ჟურნალში ბევრად უფრო თამამი ფოტოები უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ იმის გამო, რომ ქართველები ჯერ კიდევ მაგდონის არ ვართ, დაბალი მენტალიტეტი გვაქვს. ამიტომ, ასეთ ფოტოებს ვერ გადავიღებდი.

სხვა ქვეყანაში რომ მეცხოვრა, შესაძლოა, კიდევ უფრო თამამი ფოტოები გადამეღო



— აბსოლუტურად მართალი ხარ... ისე, ბოდიშს ვისდი ამ შეკითხვისთვის.

— სხვათა შორის, ამ ნაბიჯს საერთოდ არ ვნანობ.

— არც უნდა ინანო. ამჟამად რაიმე ახალს თუ აპირებ?

— რა თქმა უნდა. საკმაოდ ბევრი ახალი სიმღერა დამიგროვდა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში სულ არჩევნებია და მათი პრეზენტაციისთვის ჯერ ვერ მოვიცალავე. ალბომი უკვე მზად არის, მაგრამ კიდევ ორი კარგი

სიმღერა ჩავწერე. ერთ-ერთ მათგანზე კლიპს გადავიღებ. ვიდგორგოლისთვის სიუჟეტად ისეთ ამბავს ავიღებ, რომელიც ყველა ქალს გადახდენია თავს, მაგრამ ამაზე არ საუბრობენ და მალავენ. ამ კლიპით ვიტყვი, რომ ასეთი ფაქტები დასაბამი სულაც არ არის. ადამიანები ვართ და ყველას შეიძლება, რაღაც დაგვემართოს. სირცხვილი სულაც არ არის, თუ ვილაღე მიგატოვებს ან შენ გიყვარს და იმას არ უყვარხარ... სიმღერა ბლუზის სტილშია. სურვილი მქონდა, რომ ეს, ფოტოკლიპი ყოფილიყო, მაგრამ ვინაიდან სხვა ფოტოკლიპები უკვე არსებობს, ამიტომ, აღარ გავიმეორებ. იცე კი, ეს სიმღერა კომერციული სულაც არ არის. უბრალოდ, მე მომწონს და ამიტომაც გადაწყვიტე, მასზე კლიპის გადაღება. საერთოდ, ამ ბოლო დროს, იმ დასკვნამდე მივედი, რომ სულ ჩემთვის მოსაწონი სიმღერები უნდა ჩავწერო. რეპერტუარში მხოლოდ რამდენიმე კომერციული სიმღერა მექნება.

— კლიპში — „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“ — არაჩვეულებრივად გამოიყურები. ძალიან ლამაზი კაბა გაცვია.

— დიდი მადლობა. რეჟისორმა მითხრა, — შენ რომ იცი, ისე ჩაიცვიო. გადაღებაზე რომ მივედი, აღფრთოვანდა: ზუსტად ეს მინდოდაო.

— ვანო ჯავახიშვილსა და მის გუნდს ამოჩემებული ჰყავხარ, სულ შენზე ხუმრობენ. როგორი რეაქცია გაქვს ამაზე?

— ვანო იმდენად კარგად ხუმრობს, რომ აბსოლუტურად არ მაღიზიანებს, მომწონს კიდევც. გოჩა თანდარაშვილს კი ხუმრობა არ გამოსდის და თან, არც უხდება. იმ დღეს „ვანოს შოუს“ უყურე?

— არა.

— სოსო ჯაჭვლიანს უთხრა: ფილმში „სვანი“, თუ მაინცდამაინც მომღერალი გჭირდებოდათ და თან უნდა მოგეკლათ, სალომე გასვიანს რას ერჩოდით, ნინა წკრილაშვილი ვერ მოკალითო?! იცი, ამაზე რამდენი ვიცინე?.. ნამდვილად არ გავბრაზებულვარ. ერთხელ კიდევ, ქალებს 8 მარტს ულოცავდა და ნითელი ვაშლი ამოიღო, თან დაამატა: არ დაგავინყდეს, ვისი გორისა ხარო! ამაში იცი, რამდენი რამ იდო?! მე გორელი ვარ და ვაშლიც გორთან ასოცირდება, ალბათ, „პლეიბოიზე“ გააკეთა მინიშნება... გოჩას კი ხუმრობა არ გამოსდის.

— მოდი, დავამთავროთ ინტერვიუ, რადგან ასე, შენ პირისპირ, ჟურნალისტის ამპლუაში რომ ვზივარ, შეკითხვები არ მებადება. სადმე კაფეში რომ ვისხდები, უამრავ შეკითხვას დაგისვამდი... შენს შვილს ჩემგან მოკითხვა გადაეცი და უთხარი, რომ ოდესმე აუცილებლად მოვიხანულებ და მოვეფერები. შენი გაცნობა კი ჩემთვის ნამდვილად სასიამოვნო იყო...

— დიდი მადლობა.

საქართველოს პოლიტიკა რუსეთი ღღეს და — საუკუნის წინ

პარალელი ისტორიულ ნარსულთან

საქართველოს მიმართ აგრესიული ქმედებები რუსეთის მხრიდან, საკმაოდ შორეული წარსულიდან იღებს სათავეს, თუმცა თანამედროვე რუსეთი ყველაზე მეტად, თითქმის საუკუნის წინ დაწყებული სტალინისეული პოლიტიკის ერთგული რჩება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევის დაწყების საუკეთესო ნინა პირობა, ავტონომიური ერთეულებით მანიპულირება იყო, რასაც კრემლი მუდამ წარმატებით ახორციელებდა. მიუხედავად ჩვენთვის მძიმე მდგომარეობისა, დღეს არც ჩვენს ძლიერ მონინააღმდეგეს აქვია პრობლემები, რადგან ქართული სახელმწიფოც მოძლიერდა და საერთაშორისო რეალობაც შეიცვალა. ამიტომაც, ის აფხაზეთში, ხან ტაივანის მოდელის შემოღებას გეგმავს, ხან კი მისი პირდაპირი აღიარებით იმუქრება.

საერთაშორისო სამართლის პროფესორი, აკადემიკოსი **ლევან ალექსიძე** მიიჩნევს, რომ რუსეთის აგრესიული დამოკიდებულება ჩვენთვის საზიანოა, მაგრამ ამასთანავე, ფიქრობს, რომ განონასწორებელი ქმედებებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში, ჩინიდან გამოსვლა შესაძლებელია.



ლევან ალექსიძე

— ბატონო ლევან, საქართველოსა და რუსეთის შორის ვითარება უკიდურესად დაძაბულია. რუსეთი ლამის საომარი მოქმედებებით იმუქრება. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

— დავიწყეთ იქიდან, რომ რუსეთისთვის აფხაზეთი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მან იცოდა, საქართველოსთვის ტერიტორიული მთლიანობა რასაც ნიშნავდა და თავის დროზე, ავტონომიების სახით, ნაღმი ჩადო, რომელსაც დღემდე წარმატებით იყენებს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში, როცა რუსეთი საქართველოს ანექსიისთვის ემზადებოდა, ორჯონიკიძე და კიროვი წერდნენ: თუ ჩვენ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს გავაკონტროლებთ, საქართველოსკენ გზა ხსნილი გვექნება. 1921 წელს სერგო ორჯონიკიძე ცეკას სწერდა: პირველ რიგში, საქართველოს რეგიონები ავტონომიურ ერთეულებად გამოვყოთ და ამასთან, ყურადღება საზერგელოსა და აჭარასაც უნდა მივაქციოთ (როგორც ჩანს, სამეგრელო და აჭარა შესაბამისად ვერ გამოიყენეს, თუმცა გარკვეული მცდელობები იქაც იყო), საქართველოს ავტონომიებად დანაწევრებით, მასზე გავლენას მოვიპოვებთ. 1921 წელს, როცა ნიუტონი არმია შემოვიდა (ამ ინტერვენციის სულისჩამდგმელები — სტალინი და ორჯონიკიძე იყვნენ), აფხაზეთმა მაშინვე თავი დამოუკიდებელი აფხაზეთის სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა. მოგვიანებით, აფხაზეთი საქართველოს „სახელმწიფოებო რესპუბლიკის“ სახით მიუერთეს და ეს არც აფხაზეთს გაუპროტესტებიათ (სხვათა შორის, თავის დროზე, საკუთარი სურვილით შეუერთდნენ საქართველოს მენშევიკურ

რესპუბლიკასაც). მაშინ ისინი გაცილებით ფართო ავტონომიითა და მეტი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის ყველა დოკუმენტში აფხაზეთი ავტონომიის სტატუსით იყო მოხსენიებული და მას განსაკუთრებული სტატუსით არავინ არასდროს ცნობდა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში აფხაზები მოსახლეობის 17% წარმოადგენდნენ, ნებისმიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში უმრავლესობაში იყვნენ. და მაინც, იმავდროულად, იქ ანტიქართული ისტერია თანდათან ღვივდებოდა, რაც ცენტრალური ხელისუფლების „დამსახურება“ იყო. საერთო ჯამში კი ფარული დაპირისპირება მოსკოვის დაკვეთით ხდებოდა. როცა შევარდნაძე ცეკას მდივანი იყო, აფხაზეთს თავიანთი რადიო, ტელევიზია და გამომცემლობები ჰქონდათ, ასეთი რამ საბჭოთა კავშირში არც ერთ სხვა ავტონომიას არ გააჩნდა. მეტიც — როცა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, უბიხები და ა.შ. ფაქტობრივად, გადაგვარებული იყვნენ, აფხაზეთში აფხაზურენოვანი სკოლები იხსნებოდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, რუსეთის ინიციატივით, აფხაზეთში 10 წელიწადში ერთხელ მაინც მცირე აბუნტება ხდებოდა, აფხაზები ამბობდნენ, — ქართველები იქ სტალინმა ჩაასახლაო, ქართველები კი ირწმუნებოდნენ, რომ საუკუნეების განმავლობაში იქ ცხოვრობდნენ.

— ანუ ავტონომიის საკითხზე იყო დავა?

— დიას, ეს მუდმივად ასე იყო. აფხაზეთს ყოველთვის აბორიგენობაზე ჰქონდათ პრეტენზია და დამოუკიდებელი სახელმწიფოების ცხოვრების სურვილი მათში ყოველთვის ცოცხლობდა. მაგრამ ისიც მასხოცს, აფხაზ პოლიტიკოსებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე, ახლანდელმა დე ფაქტო უმმართველმა საბჭოს

მდივანმა, სტალინსაც ლაპობამ რომ თქვა, — აფხაზეთს საქართველოს იქით გზა არა აქვს და დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი არ ღირსო... მას შემდეგ, რაც საქართველოში ეროვნულ მოძრაობა დაიწყო და ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია მოვიდა, მათ ეს უფლებები შეუმცირეს და ამან კატალიზატორის როლი შეასრულა. მაშინ პარლამენტის წევრი ვიყავი. ზვიად გამსახურდიამ დამიზარა და მითხრა: არძინბა მოსკოვში ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას აპირებს და ყველა ავტონომია დამოუკიდებელი გახდება, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს, ფაქტობრივად, საქართველოსთან გათანაბრებული უფლებები ექნებათ... ამ საკითხზე სასაუბროდ, სოხუმი ჩავდი. ვლადისლავ არძინბას, სერგეი ბალაფუმს, სერგეი შამბას, ზურაბ აჩბას შევხვედი და 25-ადგილიან პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა შევთავაზე, რაზეც ადგილობრივი ქართველები გამინანწყენდნენ, მაგრამ ეს ერთადერთი გამოსავალი იყო იმ სიტუაციიდან. როცა სამოქალაქო ომი დაიწყო, აფხაზეთმა ამით ისარგებლეს და სუვერენიტეტი მოითხოვეს... მოგვიანებით კი ომიც დაიწყო... ამას იმიტომ ვყვები, რომ ზოგიერთი ქართველი პოლიტოლოგი ამბობს, — აფხაზეთს ბოდიში უნდა მოვუხადოთო. ეს არასწორია: თუ ბოდიშის მოხდაზე მიდგა საქმე, პირველ რიგში, ჩვენ, საქართველოს მამინდელმა ხელისუფლებამ, მერე — აფხაზეთის ხელმძღვანელებამ ორივე ერს უნდა მოვუხადოთ ბოდიში იმისთვის, რომ რუსეთის პროვოკაციაზე ნამოვლეთ... საქმე ის არის, რომ აფხაზები ხვდებიან — რუსებს მათი ბედი სულაც არ ადვლევთ, მათ იმ მინისა და იქ ჩადებული კაპიტალის ბედი აწუხებთ, რომელსაც უაფხაზეთოდ კიდევ უფრო კარგად გამოიყენებენ. ვერაინ დამაჯერებს, რომ აფხაზებს ზატულინის „ტუბილი სიტყვების“ სჯერათ... უბრალოდ, ისინი საბჭოთა კავშირის შემდგენლობაში არსებული რესპუბლიკების დაბრუნებას ცდილობენ.

— ფაქტია, რომ რუსეთი უკვე აშკარად, საქართველოს ნაწილის ანექსირებას აპირებს. თქვენი აზრით, ხომ არ არის მოსალოდნელი XX საუკუნის 20-იანი წლების ისტორიის გამეორება?

— თუ რუსეთისგან პირდაპირ ანექსიას გულისხმობთ, არა მგონია, მან ეს აშკარად გააკეთოს, თუმცა ყველა შესაძლო მეთოდს გამოიყენებს, რომ საქართველოს მისგან წასავლელი ყველა გზა ჩაუკეტოს. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მით უმეტეს, რომ 1921 წლიდან მოყოლებული დღემდე, რუსეთის ნებისმიერი ნაბიჯი გახლავთ საუკუნის წინ დაწერილი გეგმის გაგრძელება. დაუჯეროდით, რა თქვა ჯერ კიდევ 1988 წელს ზატულინმა: ქართველებში მომხრეს ვერასდროს ვიპოვით, რადგან ისინი დასავლეთისკენ ისრნაფვიან და ისლა დაგვრჩენია, მათ ყელში უნდა ნაუჭიროთო. ისინი ამას აკეთებენ კიდევ. თუ ბორის ელცინის პოლიტიკურ თამაშს გეთავაზობდა, ვლადიმირ პუტინის საერთოდ, არაფრის რცხვენია და ბოლომდე „გვანება“. თანამედროვე რუსეთს ისეთივე

რევანსისტები მართავენ, როგორც საბჭოთა კავშირის დროს. 1992 წლიდან ყველა იმ წინადადებისა და გეგმის ავტორი ვარ, რომელსაც სეპარატისტებს ვთავაზობდით და ყველა მათგანი უნდა, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, აფხაზეთი კი — მისი შემადგენელი ნაწილი, აფხაზეთს, როგორც ისტორიულად იქ მცხოვრებ ხალხს, განვითარებისთვის განსაკუთრებული პრივილეგიები უნდა ჰქონდეთო. მაშინდელი უფლებები რომ ნახოთ, გაცოცხლები დარჩებით, თუმცა მიხელო საკავშირის მიერ შეთავაზებული ახალი პროგრამა საერთოდ, საოცრებაა.

— მიუხედავად ამისა, მაინც უარი თქვას...

— დიას, იმიტომ, რომ იქ აფხაზეთი საქართველოს საზღვრებშია მოხსენიებული, ეს კი მათთვის, კოსოვოს პრეცედენტის შემდეგ, განსაკუთრებით მიუღებელი გახდა. არადა, კოსოვოს პრეცედენტით აფხაზეთის საკითხის განხილვა წარმოუდგენელია, თუნდაც იმიტომ, რომ სლობოდან მილოშევიჩმა კოსოვოში ჩაატარა ეთნოწმენდა, აფხაზეთში კი ქართველების გენოციდი მოხდა და კიდევ ჩვენ უნდა დავსაჯოთ?! მაგრამ რუსეთი ბოლო დროს გამდიდრდა და მიაჩნია, რომ ენერგორესურსების მემკვიდრეობით, დასავლეთზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ამიტომაც, ის არც პატარა საქართველოს მიმართ ერიდება აგრესიულ ქმედებებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, ჩვენს მიწაზე მცხოვრებ მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობას აძლევს, რაც იურიდიულად დაუშვებელია. ეს არის „მცოცავი ანექსია“ — ეს ტერმინი პირველად მე დავამკვიდრე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში და მისი გამოგონება რუსეთმა მაიძულა... რაც უნდა დაუფერებელი იყოს, იმავეს აგვთვება ადოლფ ჰიტლერი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მან ყველა მეზობელ სახელმწიფოში მცხოვრებ გერმანულ გერმანიის მოქალაქეობა მისცა და მერე ამ ქვეყნებში მათი დაცვის საბაბით შეიჭრა. რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებასა და იმდროინდელ გერმანია-პოლონეთის ურთიერთობებს შორისაც არსებობს მსგავსება, ოღონდ — გერმანიამ პოლონეთთან ომი სხვანაირად დაიწყო: ჰიტლერის დავალებით, 30 კაცს სასიკვდილო ინიექცია გაუკეთეს, რომელიც 24 საათის შემდეგ იწყებდა მოქმედებას; მათ პოლონელების ფორმა ჩააცვეს და პოლონეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს. მათი სიკვდილი ჰიტლერმა ომის დანებების საბაბად გამოიყენა... რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, — რა არ გააკეთა რუსეთმა, მაგრამ საქართველოში ანტირუსული განწყობილება მაინც ვერ შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ იქ წლების განმავლობაში ვიცხოვრე, მათგან პატივისცემას ყოველთვის ვგრძნობდი, კრემლის პოლიტიკა მზინილება, თუმცა ადამიანური ურთიერთობები მაინც შევინარჩუნე. მე კარგად ვიცი რუსული პოლიტიკა, მაგრამ ჩემზე კარგად იციან აფხაზეთმა და ალბათ იმასაც კარგად ხვდებიან, თუ რა ელთ რუსების ხელში...

— ასიმილიციას გულისხმობთ?

— დიას, „აიდგილარას“ ლიდერი, ზურაბ აზნა მუხბენბოდა: თუ ჩვენ რუსეთს შევეერთდით, 10 წელიწადში ჩვენს თვითმყოფადობას დაკარგავთ; ჩვენ ისტორიულად, თქვენთან

ცხოვრებისთვის ვართ განწირულები და ახლა იმას უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი თავი რაც შეიძლება მაღალ ფასში მოგვიდოთო, — ანუ ჩვენი მხრიდან რაღაც დამთმობებს გულისხმობდა. ის სწორედ ასეთი პოლიტიკის გამო მოკლეს... როგორც მან იცოდა, ისე იცის ნებისმიერმა აფხაზმა პოლიტიკოსმა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა — ილუზიაა. რუსული მხარე ყველა ხელშეკრულებას არღვევდა. ასე გრძელდება დღესაც, როცა მან კონფლიქტის ზონის პირობით საღვარზე, 12-კილომეტრიან უსაფრთხოების ზონაში მძიმე ტექნიკა შეიყვანა. ასეთი რამ საერთაშორისო სამართლისთვის წარმოუდგენელია, მით უმეტეს, თუ ის დამრგვლებულირებულ მხარედ არის წარმოდგენილი... ის, რაც სეპარატისტებმა მიხელო საკავშირის მიერ შეთავაზებულ ფართო ავტონომიასა და თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ ახალ პროექტზე განაცხადეს, — ეს ყველაფერი ქართულ მხარეს 20 წლის წინ უნდა შემოეთავაზებინათო, — უბრალოდ, სიტყვების თამაშია, რადგან მაშინ ასეთი მოდელი საერთოდ არ არსებობდა და ვერც ჩვენ გამოვიგონებდით. ფართო ავტონომიაში კი მიუღებელი არაფერია. ჩინეთში არსებობს შანხაის ავტონომია, რომელიც თავისუფალ ეკონომიკურ ზონად არის გამოცხადებული და აყვავებულია. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ჰონკონგზე, რომელიც აგრეთვე ჩინეთის შემადგენლობაშია, მაგრამ სპეციფიკური სტატუსი აქვს. აფხაზურმა მხარემ კარგად იცის, რომ ქართულ მხარე აფხაზეთის დამოუკიდებლობას არასდროს ცნობს. თუ აფხაზეთი საქართველოს საზღვრებში განსაკუთრებული სუბიექტის სახით ყოფნას დათანხმდება (თუნდაც ესპანეთის კატალონიის მაგალითი ავიღოთ), ეს ორივესთვის მისაღები იქნება. თუმცა ისინი ამას ვერ წყვეტენ, რადგან ზურაბი რუსული ხიშიტი აქვთ მიზღვნილი.

— ვლადიმირ პუტინი აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ ალიარეზზე უკვე აშკარად ლაპარაკობ...

— დიას. თან, რუსები ამბობენ, — ჩვენ მათ დამოუკიდებლობას ვერ არ ვაღიარებთ, მაგრამ სეპარატისტულ სტრუქტურებთან დიპლომატიურ ურთიერთობებს ვამყარებთო. ამავდროულად, იქ რუსეთის არჩევნები ტარდება, რუსეთის მოქალაქეები ცხოვრობენ

და ხალხი ამბობს, რომ პუტინი მათი პრეზიდენტია. რამდენად ლოგიკურია ეს ყველაფერი?.. აფხაზეთი დამოუკიდებელია და ორი პრეზიდენტი ჰყავს?.. ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა საომარ მოქმედებებში ჩაგვითრიოს, ისე, როგორც ეს 90-იან წლებში მოხდა. ჩვენი ხელისუფლება ჯერჯერობით სწორ გზას ადგას, როცა ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოებას რუსეთის ზრახვები დაანახვოს. ეს ძალიან კარგი მაგალითი იქნება ევროპისთვის — საფრანგეთმა და გერმანიამ ხომ უარი გვითხრა MAP-ზე?.. ვერაფერს დამაჯერებს, რომ საქართველოს ამით, დემოკრატიის ხარისხი დაუზღუნეს: ბევრად უარესი ამბები ხდებოდა ალბანეთში, მაგრამ მაინც მიიღეს ნატოში. მთავარი ის არის, რომ მათ რუსეთს გაუჩინეს ანგარიში. ასეთ საკითხებში საფრანგეთი ძალიან თანამიმდევრულია. ასე იყო 1921 წელსაც, როცა საქართველოს ერთა ლიგაში შესვლა უნდა, მაგრამ საფრანგეთმა და ინგლისმა არ დაუჭირეს მხარი. საფრანგეთმა განაცხადა, — საქართველო, რუსეთის პრობლემა და მისი საშინაო საქმეაო. მაშინ ერთა ლიგაში რომ შევსულიყავით, შესაძლოა, „გასაბჭოებაც“ არ მომხდარიყო.

— მაშინდელისგან განსხვავებით, დღეს ჩვენთვის საკმაოდ სასიკეთო საერთაშორისო კლიმატია...

— დიას. მაგრამ ამ ქვეყნებს რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა, რაღაც ფაქტორების გამო ყოველთვის ახასიათებდათ. განსაკუთრებით, ყუჯ შირაკის დროს: მან და პუტინმა ზოგიერთი აქაურის დახმარებით, საქართველოს ბევრი ზიანი მიაყენეს... ახლა საბედნიეროდ, მსოფლიოში ვითარება შეიცვალა. მართალია, სარისკოა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას შანსი აქვს, რუსეთის აგრესია სათავისოდ გამოიყენოს. მან მთელ მსოფლიოს უნდა დაანახვოს, რომ რუსეთი საკუთარი მიზნის მისაღწევად, არავის მოერიდება და ამით, ნატოში ჩვენი ქვეყნის შესვლის აუცილებლობა კიდევ უფრო ცხადი გახდება. იმ შემთხვევაში კი, თუ ის საკუთარ ძალას ირწმუნებს, ამბიციები კიდევ უფრო მოეძალება და, რბილად რომ ვთქვათ, პრობლემებს სხვასაც შეუქმნის.

მაია ასათიანი, გავაშურანდისი:
— დავიწყებ იმბო, რომ თქვენი ჟურნალის სახელწოდება მრავლისმთქმელია: „გზას“ ხომ უოველთვის საინტერესო ადგილას მიჰყავხარ!.. საოცრად მადიზიანებს ბულგარული პრესა, ამიტომ მომწონს, რომ „გზა“ ცდილობს, ბულგარული პრესის ჩარჩოებს გასცდეს, რასაც კარგად ახერხებს კიდევ. გისურვებდით, რომ ჟურნალი არა შინაარსით, არამედ ფორმით (ფურცლები), ფერადი გახდეს, რაც, ვფიქრობ, თქვენთვის უფრო მომგებიანი იქნება და მეტ მკითხველს შეგძენთ... როდესაც „გზას“ ინტერვიუს ვაძლევ, არ მეშინია, ვიცი, რომ ჩემი საუბარი პროფესიონალურ დონეზე დაიბეჭდება. გისურვებთ წარმატებებს!



რუსეთი – ესპანური ხრიტიანის ქარცაცხლში

მსოფლიო პრესაში რუსეთის შესახებ გამოქვეყნებული ნეგატიური პუბლიკაციების რაოდენობით ესპანეთში აშკარად ლიდერობენ. ესპანეთში გამოქვეყნებული რუსეთის ფედერაციისადმი მიძღვნილი მასალის 26% უარყოფითი ხასიათისაა. ეს მონაცემები კომპანიის — LexisNexis მიერ ჩატარებული კვლევის შედეგია, რომელიც აპრილში გამოქვეყნდა. აღმოჩნდა, რომ რუსეთის შესახებ ყველაზე ცოტა ნეგატიური პუბლიკაციას გერმანული პრესა ავრცელებს (3%), პოზიტიური მასალები კი ყველაზე ხშირად იტალიაში იბეჭდება (23%). ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსეთის შესახებ გამოქვეყნებული დადებითი პუბლიკაციების რაოდენობამ 17% შეადგინა, კრიტიკულმა სტატიებმა

კი — 15%. დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი შესაბამისად, 17 და 10 პროცენტით განისაზღვრა.

კვლევის შედეგების თანახმად, აპრილის დასაწყისში მსოფლიო პრესამ რუსეთისადმი მიძღვნილ სტატიებს ორჯერ უფრო ნაკლები ადგილი დაუთმო, ვიდრე ინდოეთს და 3-ჯერ ნაკლები, ვიდრე ჩინეთს. ანალიტიკოსთა შეფასებით, შექმნილი მდგომარეობა ერთი მხრივ, ჩინეთისადმი საერთო ინტერესს, მეორე მხრივ კი — პეკინის მომავალ ოლიმპიადას უკავშირდება. რაც შეეხება ინდოეთს, — იქ უამრავი ინგლისურენოვანი საინფორმაციო წყარო არსებობს, რაც მსოფლიო მასმედიას ამ ქვეყნის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალებას აძლევს.

ბაქომ ირანისთან მიმავალი რუსული ბჰირთი დაახაჰა



და, აღჭურვილობას საექსპერტო კონტროლი წარმატებით აქვს გავლილი. მას არც ირანის მიმართ გაეროს მიერ გატარებული სანქციები ეხება, რადგანაც „ბუშერის“ ატომური ელექტროსადგური ამ დოკუმენტში საერთოდ, არაა მოხსენიებული.

რუსეთი ირანს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში, ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების სფეროში თანამშრომლობის შესახებ მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში ეხმარება. ბოლო მონაცემებით, სადგური 2008 წლის ბოლომდე უნდა ამუშავდეს, თუმცა მისი მშენებლობის დასრულება თავდაპირველად, 2007 წლის ოქტომბრისთვის იგეგმებოდა. სადგურ „ბუშერისთვის“ რუსული სანჯავის მიწოდება 2008 წლის იანვრის ბოლოს დასრულდა.

როგორც რუსული სააგენტო Интерфакс იუწყება, უკვე თითქმის ერთი თვეა, რაც აზერბაიჯანელი მებაჟეები და მესაზღვრეები ირანში „ბუშერის“ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობისთვის განკუთვნილი რუსული აღჭურვილობით დატვირთულ ავტომატარებელს საზღვარზე არ ატარებენ.

აზერბაიჯანელი მესაზღვრეების განცხადებით, სასაზღვრო გადასასვლელ „ასტარაზე“ დაკავებული ტვირთის გატარება მათ ხელმძღვანელობამ აუკრძალა. არა-

სომხურ ოპოზიციურ ბალანსიან ეთერი გაუთიშეს



სასამართლოს აღმასრულებლებმა 16 აპრილს სომხური ოპოზიციური ტელეკომპანია „გალას“ სატრანსლაციო მოწყობილობის დემონტაჟი განახორციელეს. ერთი დღით ადრე, სომხეთის საკასაციო სასამართლომ კომპანიას ტელეანტიდან მოწყობილობის მოხსნა უბრძანა. „გალას“ და ხელისუფლებას შორის კონფლიქტი 2007 წლის 26 ოქტომბერს დაიწყო, როდესაც არხმა სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის, ამჟამად ოპოზიციონერი ლევონ ტერ-პეტროსიანის მიტინგზე გამოსვლა გადასცა ეთერში. 2007 წლის ნოემბრიდან ტელეკომპანიას საგადასახადო ინსპექცია რამდენჯერმე ესტუმრა. ადმინისტრაციულმა სასამართლომ მას, საგადასახადო ინსპექციის სასარგებლოდ, 90.000 დოლარის გადახდა დააკისრა. კომპანიამ დახმარებისთვის მაყურებელს მიმართა და ჯარიმის გადახდა მოახერხა, მაგრამ 2008 წლის 7 აპრილს უცნობმა პირებმა არხის გადამცემს ცეცხლი წაუკიდეს.

„გალას“ ხელმძღვანელობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართავს და აცხადებს, რომ „ტელეკომპანიისთვის ეთერის ჩამორთმევა ხელისუფლების ნომერ პირველი ამოცანაა“. ჩვენს მკითხველს ალბათ კარგად ახსოვს, რომ სომხეთის 19 თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სერჟ სარქისიანმა გაიმარჯვა. ოპოზიციამ არჩევნების შედეგები არ ცნო, რასაც მარტის პირველ რიცხვებში ერევანში ქუჩის აქციები და არეულობა მოჰყვა.

ფხვიანი თვალის მინისტრმა ავღანეთი მოიარა

როგორც გაზეთი „ინდიპენდენტი“ წერს, ესპანეთის ახალი თავდაცვის მინისტრი, ექვსი თვის ფხვიანი კარმე ჩაკონი ავღანეთში 24-საათიან მოგზაურობაში იმყოფებოდა. მინისტრი იქ დისლოცირებულ ესპანური ჯარის ნაწილებს ეწვია და სლოვენელი და ალბანელი მშვიდობისმყოფელების ადგილსამყოფელიც დაათვალიერა. მოგზაურობაში ჩაკონის, გინეკოლოგი, ანესთეზიოლოგი და პედიატრიც კი ახლდნენ. მინისტრის თქმით, მოგზაურობის



შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ ექიმებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღო. „ჩემს შვილს ზიანს არასოდეს მივაყენებ“, — დასძინა მან. ზოგიერთი გამოცემა ირწმუნება, რომ მინისტრი ჩაკონის მოგზაურობა მხოლოდ პიარ-აქცია იყო, რადგან ესპანეთის მთავრობის დადგენილებით, ავღანეთში განლაგებული ესპანური რაზმები საომარ ოპერაციებში არ

მონაწილეობენ. ამავე გამოცემის მტკიცებით, „თალიბანის“ ბოევიკების წინააღმდეგ ძირითად მოქმედებებს ამერიკული, ბრიტანული და კანადური ჯარების ნაწილები ახორციელებენ. 37 წლის კარმე ჩაკონი ესპანეთის თავდაცვის მინისტრად 12 მარტს დაინიშნა, როცა პრემიერ ხოსე ლუის როდრიგეს საპარეტოს მინისტრთა ახალი კაბინეტი დაამტკიცეს.

ინდონეზიის „მთავარ ბარონისტ“ 15 წელი მიუსაჯას

როგორც BBC News იტყობინება, ინდონეზიის სასამართლომ ტერორისტული დაჯგუფება „ჯემა ისლამიას“ სამხედრო ლიდერ აბუ დუჯანს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, ჯაკარტის საოლქო სასამართლომ დუჯანი ტერორისტების დახმარებასა და აგრეთვე, იარაღისა და სპეცსამუშაოების უკანონო ფლობაში დაადანაშაულა. თუმცა როგორც სააგენტო „როიტერი“ იტყობინება, თავად დუჯანი საკუთარ დანაშაულს უარყოფს.



„ჯემა ისლამიას“ შეიარაღებული ფრთის ლიდერი 2007 წლის ივნისში დააპატიმრეს. დუჯანის აყვანა 2007 წელს განხორციელებულ დაპატიმრებათა იმ სერიის ნაწილი იყო, რომელმაც „ჯემა ისლამიას“ დიდი დარტყმა მიაყენა. BBC News-ის მონაცემებით, პოლიცია ეჭვობს, რომ აბუ დუჯანი ბოლო წლებში ინდონეზიის ტერიტორიაზე მომხდარი თითქმის ყველა ტერაქტის მომზადებაში მონაწილეობდა. ერთ-ერთი ინფორმაციით კი ავღანეთში განვრთნილ დუჯანს „ალ-ქაიდასთანაც“ აქვს კავშირი. მისი საქმის განხილვისას მოსამართლემ, ინდონეზიის სასამართლო პრაქტიკაში პირველად, „ჯემა ისლამია“ ტერორისტულ ორგანიზაციად ოფიციალურად მოიხსენია. არადა, ჯერ კიდევ 2002 წლის 12 ოქტომბერს, კუნძულ ბალიზე, ინდონეზიის მთელი ისტორიის მნიშვნელოვანი სისხლიანი (202 დაღუპული, 209 დაჭრილი) ტერაქტის მოწყობაზე პასუხისმგებლობა სწორედ ამ ორგანიზაციას ეკისრება.

გაგრძელება იხ. გვ. 100

ზორა მანვლიძე

მგლები

4

გამოვიდა!
იკითხათ
წიგნის მაღაზიაში

ყაჩაღმა დიასახლისს ხელი გააჩნია, შვილს კი პირი სკოლაში აუკრა

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მიიმე დანაშაულში ბრალდებულებს საბოლოო განაჩენი გამოუტანა. საქმე ყაჩაღურ თავდასხმასა და მკვლელობას ეხება. პროკურატურის ბრალდებით, დანაშაული ზაზა და ისიდორე დალაქიშვილებმა ჩაიდინეს. სახელმწიფო ბრალმდებელმა სასჯელის ზომად, მათთვის შესაბამისად 34 და 27 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

საქმის მასალების მიხედვით, 2006 წლის 5 სექტემბერს, დაახლოებით ღამის 3 საათზე, შეიარაღებული და ნიღბიანი ბოროტმოქმედები ჭელიძეების ოჯახში შეიჭრნენ. თავდამსხმელებმა ოჯახის უფროსს ხელები გადაუგრიხეს და ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. ხმაურზე დიასახლისს — ნატო გაბელაშვილს და შვილებს — ეკა და გიორგი ჭელიძეებს გაეღვიძათ. თავზარდაცემულებმა მაშინვე ყვირილი ატეხეს და საშველად მეზობლებს მოუხმეს. ბოროტმოქმედებმა ეკა ჭელიძეს პირი სკოლით აუკრეს, დედამისს კი სახეში ხელი გაართყეს. იმასაც მიხვდნენ, რომ ოჯახის უფროსმა ისინი იცნო. ამიტომ, როგორც ჩანს, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა და კვალის დაფარვის მიზნით, ერთ-ერთმა თავდამსხმელმა — ისიდორე დალაქიშვილმა მას თავში ბლაგვი საგანი ჩაართყა და მიიმე დაზიანება მიაყენა. ბოროტმოქმედები მიიმალნენ, უძიმეს მდგომარეობაში მყოფი ჭელიძე კი საავადმყოფოში მიყვანაზე გარდაიცვალა.

დანაშაულში ეჭვმიტანილები დააკავეს და გამოძიების დასრულების შემდეგ, ისინი ამბროლაურის რაიონული სასამართლოს წინაშე წარდგნენ. სასამართლომ ორივე მათგანი დამნაშავედ ცნო, ზაზა დალაქიშვილს 21, ხოლო ისიდორე დალაქიშვილს 22

წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აღნიშნული განაჩენი მხარეებმა ჯერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, შემდეგ — უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. მსჯავრდადებულების ადვოკატები გამამართლებელ განაჩენს მოითხოვდნენ, რადგან მათი თქმით, სასამართლო მხოლოდ დაზარალებულთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს დაეყრდნო, მათ მიერ წარმოდგენილი, ჭეშმარიტების დასადგენად მნიშვნელოვანი მტკიცებულებები კი არ გაითვალისწინა. ადვოკატები საკასაციო საჩივარში ხაზგასმით აღნიშნავენ იმასაც, რომ არასრულწლოვანი დაზარალებული მისი კანონიერი წარმომადგენლის და ადვოკატის გარეშე დაიკითხა.

განაჩენით უკმაყოფილო დარჩა ბრალდების მხარეც. პროკურორმა მიიჩნია, რომ სასამართლო ზედმეტად ლოიალური იყო განსასჯელების მიმართ. საკასაციო საჩივრით სახელმწიფო ბრალმდებელმა სასჯელის დამძიმება — ზაზა დალაქიშვილისთვის 34 წლით, ხოლო ისიდორე დალაქიშვილისთვის — 27 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. ბრალდების პოზიციით, მსჯავრდადებულთა გამართლება ყოვლად დაუშვებელი იყო, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებები ნათლად მიუთითებს მათ დანაშაულზე. საქმის მასალების თანახ-

მად, პოლიციელებმა შემთხვევის ადგილზე გაიყვანეს ზაზა დალაქიშვილი და მან მიუთითა იმ ადგილზე, სადაც თავდასხმის დროს ოჯახის უფროსი იწვა; ასევე უჩვენა სამართალდამცველებს ტბა, რომელშიც ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ, იარაღი — გადაჭრილი თოფი ჩააგდო. აღსანიშნავია ისიც, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნებოვან ლენტზე (სკოჩზე) ზაზა დალაქიშვილის ხელის თითის კვალი დაფიქსირდა. ისიდორე დალაქიშვილის სახლის ჩხრეკისას კი მისი საძინებელი ოთახიდან ამოიღეს ლიურჯი სპორტული ტანსაცმელი, რომელზეც ექსპერტიზის შედეგად, იმავე ჯგუფის სისხლის კვალი აღმოჩნდა, რაც ან გარდაცვლილ ჭელიძეს ჰქონდა მაშინ, როდესაც გარდაცვლილის და მსჯავრდადებულის სისხლი სხვადასხვა ჯგუფისაა.

პირადი ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა ზაზა დალაქიშვილს ნარკოტიკული საშუალება — მარისუანა აღმოუჩინეს. საკასაციო პალატის მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ ჩხრეკის ოქმზე დალაქიშვილს ხელი აქვს მოწერილი და თავის დროზე, ამ ოქმთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს შენიშვნა. ასევე ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ან გარდაცვლილს დაზიანებები მხოლოდ ისიდორე დალაქიშვილმა მიაყენა. მოსამართლეების თქმით, საქმეში არაფერი ადასტურებს იმას, რომ დალაქიშვილებს მკვლელობის საერთო განზრახვა ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, პალატამ არც სახელმწიფო ბრალმდებლის საჩივარი დააკმაყოფილა და სასჯელის დამძიმებაზე უარი განაცხადა. პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენში ცვლილება მხოლოდ ზაზა დალაქიშვილის სასჯელის ნაწილში შეიტანეს: თავისუფლების აღკვეთა მას 5 წლით შეუმცირეს. ■

სამშობლოს ღალატში ბრალდებულები განაჩენს მომავალ კვირაში მოისმენენ

სამშობლოს ღალატში ბრალდებული 12 პირის სასამართლო პროცესი თბილისის სააპელაციო სასამართლოში მომავალ კვირაში დასრულდება. იგორ გიორგაძის მხარდამჭერები განაჩენს 29 აპრილს მოისმენენ. თავიანთი საბოლოო სიტყვით მსჯავრდადებულებმა სასამართლოს უკვე მიმართეს და პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდება კიდევ ერთხელ უარყვეს. დაცვითი სიტყვა თქვეს ადვოკატებმაც. მათი თქმით, სააპელაციო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გააუქმოს, რადგან ის არც ერთ რე-

ალურ მტკიცებულებას არ ეყარება. „ჩვენ სასამართლოს დაგუდეთ უტყუარი მტკიცებულებები, დოკუმენტები, რომლებიც ამ ადამიანების უდანაშაულობას და მათ უკანონოდ მსჯავრდებას ადასტურებს. მოვიყვანეთ არგუმენტები, დავდეთ ცრუმონმეთა ჩვენებებიც და მასალებიც, რომლებიც ამ ჩვენებებს სრულიად უარყოფს“, — აღნიშნავს ადვოკატი **გალა ნიკოლაიშვილი**. შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო გადატრიალების მიზნით შეთქმულებასა და სამშობლოს ღალატში ბრალდებული 12 პირი თბილისის საქალაქო სასამართლომ გაასამართ-

ლა. 2007 წლის 24 აგვისტოს მოსამართლე მამუკა ნოზაძემ განსასჯელები დამნაშავეებად ცნო და მათ სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა: მაია თოფურიას — 8 წლითა და 6 თვით, გიორგი მეტრეველს — 4 წლით, მაია ნიკოლეიშვილს — 2 წლით (პირობით), თემურ ჟორჟოლიანს, გენადი არჩვაძეს და რამაზ სამნიძეს — 7-7 წლით, ვახტანგ ტალახაძეს — 4 წლითა და 6 თვით, ზაზა დავითიას, გია ახობაძეს, გურამ პაპუკაშვილს, რევაზ ბულიას — 4 წლითა და 6 თვით, ხოლო კახა ქანთარიას — 8 წლით. ■




ბრალდება პირველად, რუსეთის გენპროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის უკვე ყოფილმა ხელმძღვანელმა — დიმიტრი დოვგინმა გაახმაურა. რამდენიმე დღის წინ დოვგინი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მის წინააღმდეგ, თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ზემოთ აღნიშნული განცხადება ბერეზოვსკის მისამართით დოვგინს სწორედ პოსტის დატოვების შემდეგ გააკეთა. ამასთან დაკავშირებით ინტერვიუ მან გაზეთ „იზვესტიას“ მისცა. ჟურნალისტთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ცნობილი ჟურნალისტისთვის სიცოცხლის მოსპობით, პირველ რიგში, ბერეზოვსკი იყო დაინტერესებული. მისი თქმით, ბიზნესმენი, ჩქჩქნი სეპარატისტების ერთ-ერთი ლიდერის — ხოჟ-აჰმედ ნუჰაევის მეშვეობით მოქმედებდა.

ბერეზოვსკომ პასუხი დოვგინს, რადიოს — „ესო მოსკვი“ ეთერში გასცა. „ეს არასერიოზული განცხადებაა. მას უბრალოდ, დაავალეს, ასე ეთქვა“, — აღნიშნა მან. სხვათა შორის, ყოფილი ჩინოსნის სიტყვებსა და გულწრფელობაში „ესო მოსკვის“ მიმომხილველსაც ეპარება ეჭვი. „ყველასთვის ნათელია, რომ დოვგინი ახლა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და საზოგადოების მხარდაჭერა ძალიან სჭირდება. შესაძლოა, ასეთი განცხადება მოსახლეობის თვალში ქულების დასანერად გააკეთა. არც ისაა გამორიცხებული, რომ მართლაც, „ზემოდან“ მიეღო ეს დავალება. თავის გადასარჩენად

ბერეზოვსკი კოლიტკოვსკაიას მკვლელობის შიკვითას უარყოფს

რუსეთისგან დევნილი და ლონდონს შეფარებული ბიზნესმენი ბორის ბერეზოვსკი, მის წინააღმდეგ წაყენებულ ახალ ბრალდებას (თუმცა ჯერჯერობით არაოფიციალურს) — ჟურნალისტ პოლიტკოვსკაიას მკვლელობის შეკვეთას კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, ასეთი განცხადება აბსოლუტურად დაუსაბუთებელი და რეალურ საფუძველს მოკლებულია. ბერეზოვსკი იმასაც აღნიშნავს, რომ ბრალდება რუსეთის მთავრობიდან მოდის და ისევ და ისევ, ნამდვილი შემკვეთების მფარველობითა და კვალის არევის მიზნითაა განვირობებული.



ახლა ის ნებისმიერ რამეზე წავა. აღსანიშნავია ისიც, რომ დოვგინი, როცა ბერეზოვსკის დანაშაულზე ლაპარაკობს, თავად ვარდება წინააღმდეგობაში: ინტერვიუში, საუბრის დასაწყისში ამბობს, რომ ჟურნალისტის მკვლელობა მის პროფესიონალურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული არაა, შემდეგ აღნიშნავს: „პოლიტკოვსკაია მთავრობას მუდამ ოპოზიციამი ედგა... ბოლო დროს, საეჭვო პიროვნებებთან ერთად ჩნდებოდა. ბერეზოვსკის რამდენჯერმე შეხვდა... მალე მოკლეს კიდევ“. ეს ცარიელი და არაფრის მთქმელი სიტყვებია. ინტერვიუში დოვგინს რაიმე არგუმენტი არ მოუყვანია“, — აღნიშნავს „ესო მოსკვის“ ჟურნალისტი.

„ნოვია გაზეტას“ რედაქტორი — დიმიტრი მურატოვი, რომელთანაც პოლიტკოვსკაია წლების მანძილზე თანამშრომლობდა, დოვგინს განცხადებას წინდაუხედაობად მიიჩნევს. „სასამართლოში საქმის გადაგზავნამდე, მსგავსა განცხადებებმა შესაძლოა, საქმის გამოძიება შეაფერხოს. თუ ამ ხალხს მკვლელობასთან მართლაც აქვს კავშირი, სამართალდამცველების მხრიდან რაიმე კონკრეტული ღონისძიების მიღებამდე ეცდებიან კვალის დაფარვას და თავის გადარჩენას. საქმე ისაა, რომ ბევრი სამართალდამცველი ამ მკვლელობის გამოძიებაზე რეალურად არ ფიქრობს და პოლიტ-

კოვსკაიას გვარს საკუთარი მიზნებისთვის, თანამდებობრივი წინსვლისთვის იყენებს. ამერიიდან არც ჩვენ გავჩუმდებით. ვიტყვით იმას, რის გამოაშკარავებასაც, ისევ და ისევ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, აქამდე ვერიდებოდით. მკვლელობიდან უკვე წელიწად-ნახევარი გავიდა, კითხვები კი კვლავ უპასუხოდ რჩება. გვაქვს ინფორმაცია და დოკუმენტური მასალები, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტკოვსკაიას პოტენციურ მკვლელებსა და ჩინოვნებს ერთმანეთთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ...“

ანა პოლიტკოვსკაია 2006 წლის 7 ოქტომბერს, საკუთარი სახლის სადარბაზოში ჩაცხრილული იპოვეს. დანაშაულთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე, 9 პირის პასუხისმგებლობის საკითხი დაყენებულია. ბრალდება წაყენებული აქვთ: პოდპოლკოვნიკ პაველ რიაგუზოვს, აჩხო-მარტანის რაიონის გამგებელს — შამილ ბურაევს, ძმებ მაჰმუდოეებს და ასევე, მოჰამედ დემილ-ჰანოვს. გამოძიების ვადა 2008 წლის სექტემბრამდეა გაგრძელებული. დღემდე, 61 მონევა დაკითხული და 5 ექსპერტიზაა ჩატარებული.

45 წლის მამაკაცი არასრულწლოვნების გაუკატიურებისთვის დააკავეს

ახალ ზელანდიაში უმძიმესი დანაშაულებისთვის დაკავებული, 45 წლის რიჩარდ მილერი ცხიდან თავდებით გაათავისუფლეს. შინ დაბრუნებისთანავე მან მორიგი სისასტიკე ჩაიდინა. მილერი, რომელსაც სერიულ გაუბატოურებებში (ძირითადად, არასრულწლოვნების) ადანაშაულებდნენ, ბრალს არ აღიარებდა, მაგრამ ამჯერად, მას ფაქტზე წაასწრეს. ბრალდებულს შინაპატიმრობა ჰქონდა შეფარდებული, მაგრამ დანაშაულის ჩადენა შინიდან გაუსვლელადაც მოახერხა.

მანაკმა საკუთარ სახლში, სპეციალურად არასრულწლოვნებისთვის, წვეულება მოაწყო. მოსანვევები თინეიჯერებს ინტერნეტით გაუგზავნა. ბევრი მის მიზატიჟებას მამინვე გამოეხმაურა, რადგან მასპინძელი მათ ენერგიულ მუსიკასა და კარგ დროს ტარებას ჰპირდებოდა. მოსანვევში მილერს არც ორიგინალური სიურპრიზების ხსენება დავიწყებია... თინეიჯერთა უმრავლესობა, იმავე რაიონში მცხოვრები მოზარდები იყვნენ. მოტიულებული ბავშვები მილერმა დაპირებისამებრ, გაართო, მაგრამ საღამო დასასრულს რომ მიუახლოვდა, მის

მიერ შეთვალეირებულ რამდენიმე გოგონას დარჩენა შესთავაზა. უთხრა, რომ ისინი რჩეულები იყვნენ და განსაკუთრებულ სიურპრიზს იმსახურებდნენ. ისედაც ცნობისმოყვარე და გულუბრყვილო ბავშვები მილერმა ალკოჰოლური სასმელით გააბრუნა. ამის გამო, მოზარდები კიდევ უფრო დამყოლები გახდნენ. ერთბაშად რამდენიმე მსხვერპლი რომ მოიხელთა, სახლიდან გასასვლელი ყველა კარი ჩარაზა და გამომწყვდეულ ბავშვებს სრულად შიშველი მიუბრუნდა. მოზარდები მიხვდნენ,

გაგრძელება იხ. გვ. 94

ინფორმაციულ-მედიის სექტორში

ეონი დვალის უბის წიგნაკრები:

1. ბუდეშური — ვაზის ჯიშია.
2. განქორწინება ჩილეში აკრძალულია კანონით.
3. ქაქუცა ჩოლოყაშვილი სოფელ მატანშია დაბადებული.
4. „დიდი მთავრობა ცუდი მთავრობაა“, — ამბობდა რონალდ რეიგანი.
5. „ესეგდა ნა სვაიომ სტოიატ ტოლკო პამიატნიკი“, — ამბობენ რუსები.
6. ქალაქ ნეშვილში ყველაზე მეტი ეკლესიაა მთელი ამერიკის მასშტაბით.
7. ლობოს, კარტოფილის ან სიმინდის დასათესად გაკეთებულ პატარა ორმოს, ბუდნას ეძახიან.
8. ფემოკვეთილი ადამიანის ხის ფეხს ამბობს ჰქვია.
9. ბეატრიჩე პარტინარი — დანტე ალიგიერის მუზა იყო.
10. ოლოლი დიდი ბუ არის. მეორენაირად მას ზარნაშოს ეძახიან.
11. მკურნალ ექიმს საავადმყოფოებსა და კლინიკებში ორდინატორი ჰქვია.
12. ამაყი ხასიათის გამო ნიკო ფიროსმანს მეტსახელად, „გრაფი“ შეარქვეს.
13. გაყიდვამდე, ყველა „ფერარი“ მარანელოს განთქმულ სარბოლო ტრეკზე გადის გამოცდას.
14. პირველი ქართული მულტფილმის — „არგონავტების“ გმირები ლადო გუდიამვილის დახატულია.
15. მანჰეტენზე მოსახლეობის ისეთივე სიმჭიდროვე რომ იყოს, როგორც ალასკაზეა, მაშინ ამ კუნძულზე მხოლოდ 25 ადამიანი იცხოვრებდა.



16. დედოფალ ელისაბედ მეორის კორონაციას ინგლისელთა უმრავლესობა საკუთარი ტელევიზორების ცხრად უიმიან ეკრანებზე ადევნება თვალყურს.
17. შუა საუკუნეების ევროპაში რაინდის აბჯრისა და სრული აღჭურვილობის ფასი საშუალო ფერმის ფასს უტოლდებოდა.
18. მოშურნეები გალაკტიონ ტაბიძეს „კუხარკების“ პოეტს ეძახებენ. მის „ლურჯა ცხენებს“ კი პროვინციულ რომანსად ნათლადენენ.
19. „ია ლიუბლიუ ტებია, ჟიზნ, შტო სამო პო სებე ნე ნოვო, ია ლიუბლიუ ტებია, ჟიზნ, ტოლკო ტი მენია — სნოვა ი სნოვა...“ — წერს ანდრეი ალიაკინი.
20. „თუ შეუძლებელია საქმის ვითარების ლოგიკური ახსნა, მაშინ დიდია ალბათობა, რომ ყველაზე არალოგიკური ვერსია აღმოჩნდეს ჭეშმარიტი“, — ამბობდა შერლოკ ჰოლმსი.

ფურნალისტმა გიორგი ქორძამ და მომღერალმა სოფო ხალვაშმა ერთმანეთი „ვარსკვლავების აკადემიაში“ გაიცნეს. მათთან ინტერვიუს ჩასაწერად იმ დროს მივედი, როცა ისინი „აკადემიის“ სტუდენტებთან ერთად, რეპეტიციას გადიოდნენ. ალბათ კონცერტის მსვლელობის დროს შეამჩნევდით, რომ სოფო და გიორგი ერთმანეთს სშირად ლაპარაკს არ აცლიან. რეპეტიციაზეც იგივე ხდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ერთმანეთს სცილით ეუბნებოდნენ, — ახლა ჩემი რიგია და შენ გაჩუმდიო.



„ვარსკვლავების აკადემიის“ წამყვანებია არ ისინი, კუჩისაზუი რა სეზა

მარეხ ჭონიშვილი

— როგორ გადამყვანა შოუში თქვენ ერთად მუშაობა?

სოფო:
— ორგანიზატორებმა დამირეკეს და შემომთავაზეს, რომ ერთ-ერთი წამყვანი ვყოფილიყავი. ეტყობა, არაპროფესიონალი წამყვანი სჭირდებოდათ (იციინს)... ხოლო, როგორც პროფესიონალს, გიორგის დაუკავშირდნენ.

გიორგი:
— ვერ დაგეთანხმები, იმიტომ, რომ მე პროფესიონალი წამყვანი არ ვარ.

სოფო:
— ჩემგან განსხვავებით, შენ შოუს წაყვანის გამოცდილება გაქვს.

გიორგი:
— შოუს წაყვანის და არა — სცენაზე დგომის გამოცდილება... თავიდანვე ვიცოდი, რომ წამყვანი ვიქნებოდი, მაგრამ არ ვიცოდი, ვინ იქნებოდა ჩემი პარტნიორი.

სოფო:
— იმიტომ, რომ თავიდან უარს ვამბობდი, მეშინოდა და მეგონა, ამას ვერ შევძლებდი, მაგრამ როდესაც სასინჯი გადაცემა ჩაწერეთ, მიხვდი — წამყვანობა ცუდად არ გამომიდოდა და ორგანიზატორების წინადადებას დავთანხმდი.

გიორგი:
— მიუხედავად იმისა, რომ სოფოს პირადად არ ვიცნობდი, გამიხარდა, მასთან ერთად რომ უნდა მეშუშავა.

— ახალ ამბულაში თავს როგორ გრძნობ?

სოფო:
— თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, ახლა კი ყველაფერს შევქვი და კვირებით ვერთობი ხოლმე.

გიორგი:
— მეც შევეგუე და ამაში სოფო

მაგრად დამეხმარა. კარგია, ორნი რომ ვართ, ერთმანეთს ვეხმარებით, როცა მერაღაც დამავიწყება ან ამერევა, სოფოს გამოყვავარ სიტუაციიდან, ან — პირიქით.

— სანამ სცენაზე გახვალთ, რჩევებს თუ აძლევთ ერთმანეთს?

— ამის გაცემა არ გვინევს, რადგან რეჟისორები და პროდიუსერები ისედაც გვაძლევენ რჩევებს.

სოფო:
— სამაგიეროდ, ერთმანეთს სცენაზე, როგორც შეგვიძლია, ვეხმარებით.

გიორგი:
— მე და სოფო კარგად შევეწყვეთ ერთუროს და შოუს წაყვანაც კარგად გამოგვდის.

— სშირად ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლით...

სოფო:
— (იციინან) ჰო, სშირად არ ვაცლით ერთმანეთს ტექსტის დამთავრებას.

გიორგი:
— პირდაპირი ეთერი მცირე შეცდომებს იტანს. თანაც, ვფიქრობ, ეს მეტეშის სძენს გადაცემას და კარგი საყურებელი გამოდის. არ მომწონს, როცა გამოდიან და დაზეპირებული ფრაზებით ლაპარაკობენ.

— „ვარსკვლავების აკადემია“ მოგწონთ?

სოფო:
— ბევრს არა აქვს იმის საშუალება, რომ სცენაზე გამოჩნდეს და თავისი ნიჭი გამოავლინოს, ეს პროექტი კი მათ შანსს აძლევს, ცვევის ილეთებს, სცენაზე დგომას სწავლობენ და რაც მთავარია, ვოკალურ მონაცემებს ხევენ.

გიორგი:
— ასეთი პროექტები საჭიროა, თან, „ვარსკვლავების აკადემია“ ამით არ მთავრდება — კიდევ გაგრძელდება და

ბევრ ახალ და კარგ მომღერალს წარმოაჩენს.

— სოფო, „ვარსკვლავების აკადემიაში“ შენ თუ მიიღებდი მონაწილეობას?

— მე ამგვარ პროექტში ვმონაწილეობდი და აქაც სიამოვნებით ვიმღერებდი. დამწყები მომღერლებისთვის ეს ძალიან კარგი შანსია კარიერის შესაქმნელად.

ბიორგი:

— გთხოვთ, იგივე კითხვა მეც არ დამისვით (იციინის), რადგან მე და სიმღერა ერთმანეთისგან ძალიან შორს ვართ.

სოფო:

— გიორგი, ისე, გეცადა და ერთად გვემღერა, იქნებ გამოგვიდეს. მეც მეგონა, ნამყვანობას ვერ შევძლებდი, მაგრამ ხომ ხედავ — ვცაადე და გამომივიდა.

დამეგობრება თუ მოასწართ?

— რა თქმა უნდა, დამეგობრდით, რადგან ერთსა და იმავე პროექტში ვმუშაობთ, ერთად ყოფნა დიდხანს გვინებს და სხვანიარად არც შეიძლებოდა, მომხდარიყო.

ბიორგი:

— მე და სოფოს ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ძირითადად, სამსახურში ვხვდებით, სხვა დროს ჩემთვის არ სცალია, იმიტომ, რომ სახლში პატარა ჰყავს და მას ყურადღება სჭირდება.

სოფო:

— გიორგი კი სულ აქაა, თავიდან ბოლომდე ამ პროექტშია ჩაბმული და შეიძლება ითქვას, „ვარსკვლავების აკადემიით“ ცხოვრობს და ცოცხლობს (იციინიან).

ბიორგი:

— სოფოს ძალიან შევეჩვიე. წინა გადაცემის შემდეგ, ერთმანეთი 5 დღე არ გვინახავს და რომ დავინახე, მივბეზრი — ძალიან მომნატრებია. სოფომაც იგივე მითხრა.

— სოფო, როცა შინ არ ხარ, პატარას ვინ უვლის?

— ამ დროს ქეთი ძიძასთანაა და ის უვლის.

ბიორგი:

— სოფო, დღეს კარგ ხასიათზე ხარ, ეტყობა, კარგად გამოიძინე.

სოფო:

— ამას იმიტომ მეუბნება, რომ იცის: თუ კარგად გამოიძინებული არ ვარ, ხმას არ ვიღებ და გაბუტულივით დავდივარ (იციინიან).

— გიორგი, შენ თუ გაციანი სოფოს პატარა?

— კი, სოფოსთან სტუმრად ვიყავი და პატარა ქეთიც ვნახე. ძალიან კარგი ბავშვია. სოფოს მეუღლეს გავიცანი, რომელიც ჩემი ბავშვობის მეგობრების მე-

გობარი აღმოჩნდა.

— **ჟურნალისტობა არ მოგეწონება?**

— უმოქმედოდ არა ვარ, ვმუშაობ, მაგრამ ის დრო მაინც მენატრება, როცა სიუჟეტებს ვაკეთებდი და გადარბენაზე ვიყავი. მოკლედ, გადაღების „ლომკა“ მაქვს. როგორც კი „ვარსკვლავების აკადემია“ დამთავრდება, მაშინვე დავუბრუნდები აქტიურ ჟურნალისტიკას.

— **სოფო, შენს შემოქმედებით ცხოვრებაში რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

— ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება ახლა — ჩემი შვილია. წინასწარ არაფერს ვგეგმავ, რადგან მერე არაფერი გამოდის, ამიტომაც ცხოვრების დინებას მივყვები. ვნახოთ, მომავალში რა იქნება.

— **შოუში თქვენი ფავორიტები თუ გყავთ?**

— რა თქმა უნდა, მყავს, თან, ერთდროულად რამდენიმეს ვგულშემატკივრობ, მაგრამ მათი დასახელებისაგან თავს შევიკავებ. ზოგი — ძალიან კარგია, ზოგს კი წარმატების მისაღწევად ბევრი შრომა დასჭირდება.

ბიორგი:

— ყველა კარგია, მაგრამ რამდენიმე გამოორჩეულია. ჩემი და სოფოს აზრები ამ შემთხვევაში, ერთმანეთს დაემთხვა და ერთი და იგივე ფავორიტები გვყავს. დარწმუნებული ვარ, ფინალში ისინი გავლენ.

— **საინტერესოა, კონცერტის დროს კულისებში რა ხდება?**

სოფო:

— ჩვენ კონცერტის დროს კულისებში მონაწილეებთან ერთად არ ვიმყოფებით და შესაბამისად, მათ ციებ-ცხელებას ვერ ვხედავთ.

ბიორგი:

— ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა ბავშვებს უკვე დაეტყოთ. ძალიან ფიცები გახდნენ, დაძაბულები არიან, მაგრამ კონცერტზე ყველანი მომზადებულნი მოდიან.

ინფორმაციულ-ჰუმანური კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრები




21. „არ მიყვარს საინტერესო ადამიანების გვერდით ყოფნა, იძულებული ვსდები, მეც საინტერესო ადამიანად წარმოვაჩინო თავი“, — ამბობდა ბერნარდ შოუ.

22. „ქალი და საჭე“ — უშრეტო თემაა. რას აღარ ჰყვებიან ამასთან დაკავშირებით?! აი, თუნდაც ეს ამბავი: მოსკოვში წითელი ავტომობილის საჭესთან მჯდომმა ქალმა, რომელსაც წითელი კაბა და ტყავის წითელი ჩექმები ეცვა, წითელი პომადო ესვა და მხარზე წითელი ხელჩანთა ეკიდა, წითელ შუქზე გადააჭრა ქუჩა. იგი ავტორის სპექტორმა გააჩერა და შენიშვნა მისცა: მოძრაობის ნესებს რატომ არღვევთ, გზაჯვარედინი წითელ შუქზე რატომ გადმოკვეთეთ? ქალი გულწრფელად აღშფოთდა: ერთი კარგად შემომხედეთ, ძვირფასო, და მითხარით — თქვენი აზრით, მწვანეზე უნდა გამეგლოო?!.

23. ტელენამყვანი ვლადიმირ პოზნერი ჰყვებოდა: ტეხასის შტატში ერთ ფერმერს შევხვდი, რომელიც მარწმუნებდა, პომიდვრის ისეთი ჯიშო გამოვიყვანე, ოთხკუთხედ ნაყოფს ისხამს; მოსავალი ერთდროულად მწიფდება, რაც თავის მხრივ, მისი მექანიზებული მოკრეფის საშუალებას იძლევაო. პოზნერს ნაყოფი გაუსინჯავს და უკითხავს: კი, მაგრამ გემო ხომ არა აქვსო?! ფერმერს მხრები აუჩქრავს: მერე რა, ამერიკაში მალე აღარ იქნება თაობა, რომელსაც ნამდვილი პომიდვრის გემო ახსოვს და ბიზნესიც აწეყობაო.

24. მაო ძე დუნი საკმაოდ კარგი მოცურავე გახლდათ. წინეთში ხრუშჩოვის ვიზიტის დროს ერთ-ერთი მოლაპარაკება მან პირდაპირ საცურაო აუზში გამართა. ხრუშჩოვს სამაშველო რგოლი ეკეთა. მალე დაიქანცა. წყლიდან ძლივს ამოათრეეს. ამის შემყურე მაომ თავის ექიმს გადაულაპარაკა: ხომ მის ვართვი მახათი საჯდომშიო!..

25. ახალ ზელანდიაში თეთრკანიანმა ახალ-მოსახლეებმა ადგილობრივ მკორებთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დადეს და შეთანხმება თვითონვე დაარღვიეს. ამის გამო, 1843 წელს მკორები აჯანყდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ინგლისელთა ნდობის მოპოვება შეძლო, წინ წაუძღვა და ბუტაფორიულ სიმარგესთან მიიყვანა, რომელსაც თითქოსდა მკორები იცავდნენ. სინამდვილეში სუთიოდე მკორი ქმნიდა წინააღმდეგობის ილუზიას. თეთრკანიანებმა მთელი ტყვია-წაწალი ამ სიმარგეს დაახარჯეს. შიგნით მყოფი რამდენიმე მკორი საიდუმლო ხერხით გაიპარა ტყვია-წაწლის გარეშე დარჩენილ თეთრკანიანებს წინასწარ ჩასაფრებული აბორიგენები ზურგიდან დაესხნენ თავს და პრიმიტიული იარაღით მუსრი გაავლეს.



ერთი და იგივე ფავორიტები გვყავს

მას საერთო აქვს ლონდონს, ჰააგის, ჰაგენსას და ზოგჯერ...

„ამ ხითხვაზე უნდა მკვასუნა, ჩაპოვარი“

„ერუდიტი“ რამდენჯერმე წამიკითხავს, გამოცდაზე გასვლას ჰგავს... კი, ბატონო, მობრძანდით, არ გაგეცქვეით“, — მოხსრა ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაპაბა ჯიგლაძემ და ოფისში მიმიპატიჟა. დღეს ის პლუტარქეს კითხულობს, განსაკუთრებულად არც ერთ ჟანრს არ გამოყოფს, მაგრამ პოეზიას პროზა ურჩევნია. თანამედროვე ქართული მწერლებიდან, ყველაზე დიდი ინტერესით გოჩა მანველიძის ნაწარმოებებს კითხულობს. კითხვაზე — ოდესმე წიგნი თუ მოგიპარავთ? — სიცილით მკვასუნობს, — შინაურებს, ბაბუას „დავით აღმაშენებელი“ მოგპარეო. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად, ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაურს ირჩევს. ამბობს, რომ ამ პერსონაჟთან ურთიერთობა საინტერესო იქნებოდა.



თამუნა კვიციანი

— ერეკლე მეფემ 1770 წელს რუსების ჯვართან ერთად, ანყურის ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ რუსები უკან დაბრუნდნენ და ბრძოლის ველზე ერეკლე მარტო დარჩა. მიუხედავად ამისა, ერეკლემ იმ დღეს გაიმარჯვა. ვინ სარდლობდა რუსულ ჯარს?

— გენერალი ტოტლებენი. საქართველოს ისტორია მიყვარს და კარგად ვიცი. პროფესიით ეკონომისტი ვარ.

— ეს მათემატიკური სიდიდეა, რომელიც შედის მათემატიკურ ფორმულაში და თავის მუდმივ მნიშვნელობას ინარჩუნებს მხოლოდ მოცემული ამოცანის პირობებში. რა ჰქვია მას?

— (ფიქრობს) უნდა ვიცოდე, მაგრამ ვერ გიპასუხებთ.

— პარამეტრი. რომელ ფილმში შედგა ლეილა აბაშიძის დებიუტი?

— სავარაუდო პასუხები ჩამომითვალეთ.

— „აბეზარა“, „შესვედრა მთაში“, „ქაჯანა“.

— ფილმში „ქაჯანა“.

— რომელი ხის ფესვები საუბრობენ ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „ფესვები“?

— მუხის.

— რომელი სახელმწიფოს გერბზეა გამოსახული თამბაქო?

— კუბის.

— ცდებით, ბრაზილიის გერბზე.

— ეს არ უნდა შემშლოდა, ბრაზილიის ნაკრების ფანი ვარ.

— მხატვრობაში რამდენად ერკვევით?

— მეტ-ნაკლებად.

— რომელი ჟანრით არის ცნობილი ივან აივაზოვის-კი — ნატურმორტი, პორტრეტით თუ პეიზაჟით?

— ნატურმორტი.

— ვერც ამჯერად გამეცით სწორი პასუხი. აივაზოვისკი პეიზაჟების ხატვით გაითქვა სახელი. პორტუგალია, კუბა, ლიტვა, შვეიცარია, დანია — ჩამოთვლილთაგან ტერიტორიით რომელია ყველაზე პატარა ქვეყანა?

— (ფიქრობს) თუ შეგიძლიათ, გამიმეორეთ. (გამეორების შემდეგ) შვეიცარია.

— სარდინია, მალტა, იავა, კვიპროსი — ამ კუნძულებიდან რომელი არ მდებარეობს ხმელთაშუა ზღვაში?

— იავა.

— რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია კატმანდუ?

— ნეპალის.

— გამოდის, რომ გეოგრაფია კარგად იცით. შემდეგი კითხვა ხელოვნებიდანაა. ამჟამად რა სახელს ატარებს საოპერო მომღერალი ნუგზარ გამგებელი?

— (ფიქრობს) არ ვიცი.

— ვალერიანო. აშშ-ის სასამართლოში ვის გამოაქვს

ვერდიქტი — მსაჯულებს, ადვოკატს, პროკურორს თუ მოსამართლეს?

— მსაჯულებს.

— ვინ იყო თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის დამაარსებელი?

— (ფიქრობს) ვერ გიპასუხებთ.

— აკაკი ხორავა.

— ვფიქრობდი და არ გითხარი...

— ერთი ქვეყნის გარდა, მსოფლიოში ყველა ცნობილი ერთ თავის გარდაცვლილ მეფეს გლოვობდა. ამ ერის დამახასიათებელი განსაკუთრებული ჩვეულება ის იყო, რომ მეფის გარდაცვალების დროს, მისი რწმუნებული, ახალი მეფის კურთხევამდე, ერს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!“ რომელ ერზეა საუბარი?

— ინგლისელებზე.

— დარწმუნებული ხართ?

— (ფიქრობს) „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!“ შეცდომით ვთქვი. მგონი, ასე საფრანგეთში ხდებოდა.

— ისინი რუსი თავადაზნაურები და რევოლუციონერები იყვნენ, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1825 წელს პეტერბურგში შეიარაღებული აჯანყება მოაწყვეს...

— დეკაბრისტები.

— სად ჩაედინება მდინარე კონგო?

— ატლანტის ოკეანეში.

— რა ჰქვია იმ ანბანს, რომელსაც დღეს ვიყენებთ?

— მხედრული.

— ინგლისის რევოლუციის შემდეგ, ცნობილმა სამხედრო დიქტატორმა 1599-1658 წწ. მიიღო ლორდ პროტექტორის თანამდებობა. ვინ იყო ეს სამხედრო დიქტატორი?

— ოლივერ კრომველი.

— რა უწოდეს მემატთანებმა XI საუკუნის 80-იან წლებში მტრის განუწყვეტელ შემოსევებს?

— დიდი თურქობა.

— რა ქვია პოპინა ერისთავის ძალღს ფილმში — „არაჩვეულებრივი გამოფენა“?

— (იციან) უნდა გავისხენო! (ფიქრობს) პერი, ხომ?

— დიას! დაასახელეთ მსოფლიოში ამჟამად არსებული ყველაზე ძველი მონარქია... მიგანიშნებთ, იგი ჩვ. წ.აღ-მდე 660 წელს დაარსდა.

— მაინც ვერ გპასუხობთ.

— დღეს მას ამომავალი მზის ქვეყანას უწოდებენ.

— იაპონიის მონარქია. ძლივს არ მიმახვედრეთ?!

— რა ერქვა ცნობილ მოგზაურს — მაგელანს?

— ვერ ვისხენბ.

— ფერნანდო. სადაური იყო იგი?

— პორტუგალიელი.

— პირობითად, რომელ ქალაქზეა გავლენილი ნულოვანი მერიდიანი?

— გრინვიჩზე.

— რომელი ოკეანე დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან პანამის არხმა?

— წყნარი ოკეანე.

— რომელ ქართველ მეფეს ეკუთვნის ლექსი „გაბაასება რუსთაველთან“?

— თეიმურაზ II-ს.

— ქართული ხალხური ეპოსის რომელი გმირი იყო ნადირობის ქალღმერთის — დალისა და უცნობი მონადირის შვილი?

— ამირანი.

— მას შეუძლია ალაგზნოს ადამიანის გონება, რათა ფული გამოსძალოს. ეს არის საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა.

— ვერ გიპასუხებთ.

— პროფესიით ეკონომისტი ხართ, ამის არცოდნა არ გეპატიებათ.

— კიდევ ერთხელ გამიმეორეთ. (გამეორების შემდეგ) ვიცი, რომ ადვილად პასუხგასაცემი კითხვაა, მაგრამ ვერ ვხვდები, რა უნდა იყოს.

— რეკლამა.

— (იციან) ამაზე მართლა უნდა მეპასუხა, ჩავიჭერი.

— რომელი ხლით მოწამლა ჯადოქარმა ფიფქა?

— ვაშლით.

— რა ერთევა გაიძვერა კატას ტოლსტოის ზღაპარში „ოქროს გასაღები ანუ ბურატინოს თავგადასავალი“?

— ბაზილიო.

— ლონდონი, დელი, თეირანი, ნიუ-იორკი — ამ ქალაქებიდან რომელში არ არის მეტროპოლიტენი?

— დელიში.

— დღეს ეს სიტყვა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში პოლიციელთა მეტსახელია, ხოლო წარსულში, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს მეფეთა ტიტული იყო.

— ფარაონი.

— რომელი პოეტის სრული სახელია ჯორჯ ნოელ გორდონი?

— ბაირონის.

— „დედაო ღვთისაჲ, მზეო მარიამო/ როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი,/ ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია/ და შორეული ცის სილაჟვარდე“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— არ ვიცი, პოეზია ჩემი სუსტი წერტილია.

— გალაკტიონ ტაბიძე. ჰერალდიკაში მარტორქა სიძლიერის სიმბოლო იყო, სვაფი — მძვინვარების, ვარდი — სინმინდის. რისი სიმბოლოა გასაღები?

— გულის.

— გულახდილობის. რა საკითხს მიუძღვნა ილიამ 1871 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი „გამოცანები“?

— აჭარის შემოერთების საკითხს?

— თქვენი პასუხი არასწორია. ავტორმა „გამოცანები“ მამათა და შვილთა ბრძოლას მიუძღვნა. დამისახველეთ პოეტ ალექსანდრე აბაშელის ნამდვილი გვარი?

— არ ვიცი.

— ჩოჩია. ვინ უთხრა ბოლშევიკებს სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას შემდეგი სიტყვები: „სული ღმერთს ეკუთვნის, გული საქართველოს, მძორი კი წაიღეთ, სადაც გინდათ“?

— ამბროსი ხელაიამ.

— ყველაზე მეტი განვევა სცენაზე მიიღო მომღერალმა, რომელმაც 1988 წლის 24 თებერვალს დასავლეთ ბერლინის ოპერის თეატრში შეასრულა ნემორნოს პარტია დონიცეტის ოპერაში „სასიყვარულო სასმელი“. ტაში 1 სთ და 7 წუთს გაგრძელდა, ხოლო ფარდა 16წ-ჯერ აიხადა. ვინ იყო ეს მომღერალი?

— დღესაც ცოცხალია?

— არა, დაახლოებით 1 წლის წინ გარდაიცვალა.

— ლუჩანო პავაროტი.

— რომელია მსოფლიოში ყველაზე დიდი სტადიონი?

— „მარაკანა“.

— რომელია ეგვიპტის ყველაზე დიდი პირამიდა?

— ხეოფსის პირამიდა.

— რამდენი სწრელი აქვს დატანებული ბილიარდის მაგიდას?

— ბილიარდს ვთამაშობ ხოლმე... (ითვლის) 6, ხომ?

— დიახ. რა იყო მაია წყნეთელის მეტსახელი?

— მათე.

— რა აქვთ საერთო ლონდონს, პარიზს, ჰავანას და ზუგდიდს?

— ვერ გეტყვით. იქნებ მინიშნება მითხრათ.

— ამ ოთხ ქალაქში ერთი და იგივე ნივთი ინახება.

— დიახ, ეს არის ნაპოლეონის ნიღაბი.

— როგორ მოხვდა იგი საქართველოში?

— აშკარა მიუარატი წყალობით, რომელმაც სამეგრელოს მთავრის — დავით დადიანის ასულზე იქორწინა.

— „თუ შენ გარშემო ანგელოზები მომრავლდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ...“ დაასრულეთ ხალხში გავრცელებული ეს გამონათქვამი.

— არ ვიცი.

— „...რომ საარჩევნო კამპანია დაიწყო“.

— (იციან) ძალიან მაგარი შედარებაა.



გაღინა. რეპერი:

— ჟურნალი „გზა“ იმიტომ მომწონს, რომ ტაბუდადებულ თემებს თამამად და თავისუფლად აშუქებს. ამას სხვა ჟურნალები უმეტესწილად, რატომღაც, ერიდებიან. ასევე საინტერესოდ აშუქებთ ცხოვრებისეულ ამბებს. სიმართლის მთქმელები ხართ, რაც თქვენი დიდი ღირსებაა. მინდა, წარმატებები გისურვოთ, ტირაჟის საფუძვლიანი მომატება და მაღალი ხელფასები. ასევე — თქვენი ხმა მიგეწვდინოთ მაღალმთიანი რეგიონებისთვისაც და სათქმელი იქაური მოსახლეობისთვისაც გეთქვათ. პატივს გცემთ და თქვენგანაც იმავეს ვგრძნობ ჩემ მიმართ. მიყვარხართ!..

— ეს მოგზაურთა 1643 წელს პარიზში დაიბადა და 1713 წელს გარდაიცვალა. 1671-1679 წლებში აღმოსავლეთის ქვეყნებში იმოგზაურა და ამ მოგზაურობაზე ფრცვლი თხზულება დაწერა. წერილობითი წყაროებიდან ქ. ზუგდიდი პირველად ამ თხზულებაშია მოხსენიებული. რომელ ევროპელ მოგზაურზეა საუბარი?

— ვერ გიპასუხებთ.

— თბილისში მისი სახელობის ქუჩაც არის.

— შარდენი.

— დაასრულეთ კურტ ვონეგუტის ცნობილი გამონათქვამი — „ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, ძალა, შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონება, რომ...“

— „... ვიპოვებ“.

— „...რომ განვასხვავო ერთი მეორისგან“.



რით სჯობს ლისის ზღის „შიზველი“ მიწა ფაუნაბაულურ ბინას



უძრავი ქონების ქართული ბაზარი ქარქარობით ღარიბია

თბილისში უძრავი ქონება დღითი დღე ძვირდება. მხოლოდ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, საცხოვრებელი ფართობის ფასი სულ მცირე 100%-ით გაიზარდა, კომერციული ფართობი კი ათჯერ და მეტჯერ გაძვირდა. ექსპერტები და მენაშენეები გაძვირების სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ, მაგრამ ერთ საკითხში თანხმდებიან: უძრავი ქონების ფასი მომავალშიც მნიშვნელოვნად გაიზრდება.

რას ნიშნავს უძრავი ქონების ბაზრის შიმშილი? რა საფრთხეს შეიქცავს სამშენებლო „პირამიდები“ და რთ ჯობია ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია ფალიაშვილის ქუჩას? — ამ და სხვა საკითხების შესახებ ჩვენი რესპონდენტებისგან შევიტყობთ.

იმა ტუხიაშვილი

დავით ნარმანი, ექსპერტი

ეკონომიკურ საკითხებში:

— უძრავი ქონების ბაზარზე ფასების ზრდა, რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. პირველ რიგში, ეს გახლავთ ზოგადად, ქვეყანაში ფასების საერთო ზრდა, განსაკუთრებით — ისეთი პროდუქციისა, რომელიც პირდაპირ კავშირშია სამშენებლო ხარჯებთან, ესენია: საშენი მასალები, სანავი და ა.შ. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, სამშენებლო ბიზნესი, რისკის თვალსაზრისით, ყველაზე უსაფრთხო ბიზნესად ჩამოყალიბდა. ვინაიდან უძრავი ქონება გამუდმებით იზრდება, ამიტომ, დღეს მასში დაბანდებული ფული მომავალში, ყოველგვარი პრობლემის გარეშე, მოგებას გვიქადის. ფასების ზრდის კიდევ ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ საბჭოთა პერიოდში აგებულ შენობათა დიდი ნაწილი მოძველდა, ამორტიზებულია, ამიტომ ბაზარზე გაჩნდა მოთხოვნა ახალშენებულ სახლებზე. ამას ემატება ისიც, რომ მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიას შემოსავალიც გაეზარდა. მართალია, ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელიც იზრდება და სულ უფრო მეტი ადამიანი იმყოფება შიმშილის ზღვარზე, მაგრამ ამის პარალელურად, ად-

ამიანთა გარკვეული ნაწილის ქონებაც იზრდება. რაც დრო გადის, საზოგადოების ეს ორი ფენა სულ უფრო შორდება ერთმანეთს. მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს, ხოლო მცირე და ძალიან მდიდარი ნაწილი ფულს აბანდებს, მათ შორის — უძრავ ქონებაში. ქართული ხასიათის, ბუნების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა — რაც შეიძლება მეტი სახლი, ბინა და აგარაკი ჰქონდეს. შემდეგ, ასევე ქართული ტრადიციისამებრ, ამ უძრავ ქონებას შვილებზე ანაწილებს... უკანასკნელ ხანს, უძრავი ქონების ღირებულების ზრდა იმანაც განაპირობა, რომ დოლარის კურსის მკვეთრი ვარდნის გამო, სამშენებლო კომპანიებმა ფასების ევროში კონვერტაცია მოახდინეს. ვალუტის კონვერტაცია კი ყოველთვის საკომისიო ხარჯებთან და გარკვეულ დანაკარგებთან არის დაკავშირებული. უძრავი ქონების გაძვირება ორ-სამ წელიწადს კიდევ გაგრძელდება. შემდეგ, ბაზარი გაჯერდება, რაც მოთხოვნას შეამცირებს და მიწოდებას გაზრდის: ისინი, ვინც დიდი მოცულობის საცხოვრებელ და სამშენებლო ფართობს ფლობენ, ვეღარ შეძლებენ მათ რეალიზაციას. ვერ ვიტყვი, რომ ამან შეიძლება, უძრავი ქონება მკვეთრად გაიფაროს, მაგრამ ფასების გარკვეულ კლებას ნამდვილად გამოიწვევს.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ორ-სამ წელიწადში, საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ფინანსური კრიზისი დაიწყება, რაც ნეგატიურად აისახება სამშენებლო ბიზნესზე.

ცოტნე ავრალიძე, სამშენებლო კომპანია „არსის“ მარკეტინგის დირექტორი:

— ნამდვილად ვერ ვუნოდებ სახარბიელოს იმ მდგომარეობას, რომელიც დღეს ქართულ სამშენებლო ბიზნესში გვაქვს. ჩემი აზრით, საქართველოში დღეს არსებულ „ბიზნესებს“ შორის, ყველაზე წარმატებული — საბანკოა. ფინანსური ინსტიტუტები ყველაზე სტაბილურად ვითარდება და ყველაზე უკეთ აუმჯობესებს საკუთარ ფინანსურ მაჩვენებლებს. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ დღეს თბილისში სამშენებლო ბუმი, მაგრამ მეორე მხრივ, სიტუაცია არცთუ ისე სახარბიელოა. იმას, რაც დღეს სამშენებლო ბიზნესში ხდება, შევადარებდი პერიოდს, როდესაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში უამრავი კომერციული ბანკი დაფუძნდა. გახსოვთ ალბათ, რაოდენ წარმოუდგენელ წლიურ პროცენტს ჰპირდებოდნენ ისინი მენაბრეებს...

— ისიც კარგად მახსოვს, თუ რით დასრულდა ეს ყველაფერი... იმის თქმა გასურთ, რომ სამშენებლო კომპანიებს ფინანსური პრობლემები აქვთ?

— დღეს სამშენებლო ბიზნესში განხორციელებული პროექტის მოცუბა 5-10%-ს არ აღემატება. შესაბამისად, იმისათვის, რომ ახალი პროექტი განახორციელო, ფინანსური სახსრების თვალსაზრისით, შეზღუდული ხარ. საუკეთესო შემთხვევაში, ბანკები მხოლოდ პროექტის მთლიანი ღირებულების 20%-ს გიფინანსებენ, დანარჩენი თანხები კომპანიამ თავად უნდა მოიძიოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მენაშენე წინასწარი გაყიდვა უნდა განახორციელოს, ეს კი ჩვენს ბიზნესში ძალზე სახიფათოა. მარტივად აგისნით: თუ გასურთ, რომ ჯერ არარსებულ სახლში გაყიდოთ ბინა, მომხმარებელს ბინის ფასის ასივე პროცენტს წინასწარ ვერ გადაახდევინებთ, ამიტომ განვადება უნდა შესთავაზოთ და მშენებლობის დასრულებამდე ეს ეტაპობრივად შემოიტანს თანხას. შესაბამისად, იმისათვის, რომ სამშენებლო სახსრები მოიძიოთ, კომპანიების უმეტესობა იძულებული ხდება, ბინების 50-70% წინასწარ გაყიდოს. ამ დროს, მენაშენეების უმეტესობა არ ითვალისწინებს ინფლაციის ფაქტორს და ამით დიდ შეცდომას უშვებს. მხოლოდ უკანასკნელი 3 წლის მონაცემებს თუ გადავავლებთ თვალს, სამშენებლო ხარჯების საშუალო ინფლაცია (არ ვგულისხმობ რეკლამასა და მარკეტინგზე გაწეულ ხარჯებს) ყოველწლიურად, 35-45%-მდე მერყეობდა. მაგალითად, თუ ერთ წელს ერთი კვადრატული მეტრის ასაშენებლად, ვხარჯავდით პირო-

ბითად, 100 დოლარს, მომდევნო წელს იმავე ფართობის ასაშენებლად, უკვე 130 დოლარი იყო საჭირო, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი — 160-180 დოლარამდე. შესაბამისად, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, სამშენებლო ხარჯები თითქმის გაორმაგდა. ამიტომ, ბინის რეალური ღირებულება მანამ იზრდება, სანამ მენაშენე მის მშენებლობას დაიწყებს. წინასწარ გაყიდული ბინებიდან მიღებული თანხა კი არათუ მოგებას, არამედ მშენებლობაზე განეულ ხარჯებსაც ვერ ფარავს. ერთი წამგებიანი პროექტის შემდეგ მენაშენე ცდილობს, მეორე დაიწყოს, რათა კვლავ განხორციელოს წინასწარი გაყიდვა და დაწყებული მშენებლობა დაასრულოს. ენ. სამშენებლო „პირამიდების“ პროცესი თბილისში რამდენიმე წლის წინ დაიწყო და ვერაუღობ, რომ უახლოეს წლებში კრახით დასრულდება. ყველაზე მეტად კი ასეთ შემთხვევაში, მომხმარებლები იზარალებენ. ორიოდ თვის წინ, ქალაქის მერიის დაკვეთით, სამშენებლო სექტორის მონიტორინგი განხორციელდა. დასკვნა, რომელიც ამ კვლევის შედეგებს ასახავს, ცხადყოფს: მართალია, უძრავ ქონებაზე ფასები და მოთხოვნა სტაბილურად იზრდებოდა, იზრდება და მომავალშიც გაიზრდება, მაგრამ თვით სამშენებლო ბიზნესი რისკის წინაშე დგას. ამის მიზეზად, იმას ასახელებენ, რომ ბევრ სამშენებლო კომპანიას ისე აქვს ნაკისრი ვალდებულებები, რომ ამ ვალდებულებათა შესაბამისი აქტივები ჯერჯერობით არ შეუქმნიათ. რაც დრო გადის, სამშენებლო სექტორში აქტივების შესაქმნელად სულ უფრო მეტი ფულია საჭირო, ამიტომ ნურავის გაუკვირდება, თუ ახლო მომავალში სამშენებლო კომპანიები იმ საფინანსო ინსტიტუტების ბედს გაიზიარებენ, რომლებიც წელან ვახსენეთ.

— თქვენ მშვიდად საუბრობთ ამ პრობლემაზე. თქვენი კომპანია ფინანსური კრახისგან დაზღვეულია?

— შესაძლოა, სხვა მენაშენებთან შედარებით, ამ ბიზნესს უფრო კონსერვატიულად ვუდგებით, მაგრამ 18 წელია, რაც ამ ბაზარზე ვმუშაობთ, ბევრი სირთულე გამოვიარეთ, დიდი გამოცდილება შევიძინეთ და ვცდილობთ, რომ ყოველთვის გავითვალისწინოთ: სანამ უძრავი ქონების ბაზარი აღმავლობის ეტაპზე იმყოფება, მშენებლობის პროცესში გაყიდული ბინის ფასი მშენებლობის დასრულების შემდეგ სულ მცირე, 50%-ით გაიზრდება. ამიტომ, ყოველთვის „ოქროს შუალედს“ ვმოულობთ, რომ არ გავყიდოთ იმაზე მეტი ბინა, ვიდრე აშენებული გვაქვს. მაგალითად, თუ გარკვეულ ეტაპზე, სამშენებლო ხარჯების 50% უკვე განეული გვაქვს, ვცდილობთ, ბინების მხოლოდ 50% გავყიდოთ. ეს გვაძლევს საშუალებას, რომ დროთა განმავლობაში თუ სამშენებლო ხარჯები გაიზრდება, გასაყიდ ბინებზე ფასს გავზრდით და მოგების წილს შევინარჩუნებთ. ამის დასტურად, ერთი საინტერესო შემთხვევის შესახებ მინდა გიამბოთ. შარშან ისრაელიდან ბი-

ზნესმენები გვესტუმრნენ და ერთ-ერთ ჩვენს მშენებარე პროექტში ყველა ბინის შექმნის სურვილი გამოთქვეს. გვეითხეს: ასეთი მასშტაბური შენაძენის შემთხვევაში, რა მოცულობის ფასდაკლებას გავგინვეთომ? გაუკვირდათ, როდესაც ვუპასუხეთ, რომ პირიქით — ამ ქონების ფასს სულ მცირე, 30%-ით გავუქვირებდით. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ იმ მომენტისთვის, პროექტის ხარჯის მხოლოდ 20% გვქონდა განეული და ყველა ფართობ ერთბაშად რომ გავგვიდა, ჩვენს ბიზნესს რისკის ქვეშ დავაყენებდით.


— ბევრი სამშენებლო კომპანია, მათ შორის თქვენიც, მომხმარებლებს ბინის შესაძენად, გრძელვადიან სესხს სთავაზობს. არ გეშინიათ, რომ ერთ დღესაც საქართველოშიც იგივე მოხდება, რაც ახლა ამერიკაში ხდება: მოსახლეობა ვეღარ შეძლებს კრედიტების დაფარვას და ბანკებსაც და სამშენებლო ბიზნესსაც სერიოზული პრობლემები შეექმნება?

— ის, რაც ამერიკაში მოხდა, სამომხმარებლო კრიზისით იყო გამოწვეული. სესხების დიდი ნაწილი ბანკებმა ისეთ ადამიანებზე გასცეს, ვისაც ამ სესხის დასაფარვად საკმარისი შემოსავლები არ ჰქონდათ. თან, ეს კრედიტები გაცემული იყო 20-30-წლიანი ვადით, ამ დროის განმავლობაში მომხმარებლები იხდიდნენ მხოლოდ პროცენტს, ხოლო სესხის ძირი ვადის ამონურვისას უნდა დაეფარათ. როდესაც მომხმარებელთა უმრავლესობამ სესხის დაფარვა ვერ შეძლო, ამერიკული ბანკები იძულებული გახდნენ, უზრუნველყოფის სახით, მათი უძრავი ქონება მოეთხოვათ და გასაყიდად, ბაზარზე გამოიტანეს. ამერიკის უძრავი ქონების ბაზარს ერთბაშად ამდენი ბიზის ათვისება გაუჭირდა, ამიტომ ბანკები იძულებულნი გახდნენ, ბინებზე ფასები დაენიათ. ამას ბაზარზე ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა: უძრავ ქონებაზე ფასები დაადგეს მენაშენებმაც, ბანკებს გაუჭირდათ გასაყიდად გამოტანილი უძრავი ქონების რეალიზება და ფინანსური ზარალის დაფარვა; საფონდო ბირჟებზე დავარდა იმ საინვესტიციო ფონდების აქციების ფასები, რომლებსაც სამშენებლო პროექტებში ჰქონდათ ჩადებული ფული. ყოველივე ამას სადაზღვევო სექტორის კრიზისიც მოჰყვა. მაგალითად, თუ ვილაცას ბინა დაზღვეული ჰქონდა, პირობითად რომ ვთქვათ, 100 დოლარად, ფინანსური კრიზისის შემდეგ, მისი უძრავი ქონების საბაზრო ფასი განახევრდა. ასეთ დროს, ადამიანების უმეტესობა ზარალის ანაზღაურებაზე ფიქრობს. მაგალითად, შეგიძლია განგებ ცეცხლი ნაუკიდო სახლს, დაზღვევით გათვალისწინებული 100 დოლარი მიიღო, ისევ უძრავი ქონება ნახევარ ფასად იყიდი და ფულიც დაგრჩება. ბევრი ამერიკელი მოიქცა ასე. ფინანსური კრიზისის დროს, ამერიკაში ათჯერ გაიზარდა სახლების განზრახ გადაწვის ფაქტები, ხოლო სადაზღვევო კომპანიები ზარალის ანაზღაურება მოუხდათ... საქართველოში სამომხმარებლო კრიზისი

არ არსებობს. იპოთეკური სესხის გაცემის შემთხვევაში, ადგილობრივი ბანკები საფუძვლიანად ამოწმებენ კლიენტის სანდოობის დონეს. რასაკვირველია, ყოფილა ცალკეული შემთხვევა, როდესაც მომხმარებელმა ვეღარ შეძლო აღებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვა, მაგრამ ამას მასშტაბური სამომხმარებლო კრიზისის გამოწვევა არ შეუძლია. როცა ბანკი კლიენტზე იპოთეკურ სესხს გასცემს, კლიენტი უძრავი ქონების ფასის 20%-ს წინასწარ ფარავს, შემდგომ, ეტაპობრივად, სესხის ძირსა და პროცენტს ერთად იხდის. აშკარაა, რომ ქვეყანაში ყალიბდება საზოგადოების საშუალო ფენა, რომელსაც საკუთარი შემოსავლით ბანკიდან სესხის გამოტანა და უძრავი ქონების შექმნა ძალუძს. საქართველოში იცვლება სოციალური სტრუქტურა: თუ ადრე რამდენიმე თაობა ერთ დიდ ოჯახად ცხოვრებას ამჯობინებდა, ახლა ყველა თაობის წარმომადგენელს საკუთარი კერა და ცალკე ცხოვრება სურს. და მინც, თუ თბილისს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ჩვენში ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მცირე საცხოვრებელ ფართობი მოდის. არსებული მონაცემებით, თბილისში ყოველწლიურად 12-14 ათასი ბინა იყიდება, ეს კი თბილისში არსებული მთელი უძრავი ქონების მხოლოდ 3-4%-ია. მხოლოდ გასული სამი წლის განმავლობაში, პირველად ბაზარზე უძრავი ქონების ღირებულება მინიმუმ 100%-ით გაიზარდა. მაგალითად, თუ სამი წლის წინ, დასრულებული ახალმშენებლობის ფასი ერთ კვადრატულ მეტრზე 350-450 დოლარამდე ღირდა, დღეს იმავე ქონების ფასის ქვედა ზღვარი 600-800 დოლარს შეადგენს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ერთი წლის შემდეგ უძრავი ქონების პირველად ბაზარზე ფასები მინიმუმ 1.000 დოლარიდან დაიწყება.

გურამ ფალავანდიშვილი, უძრავი

წლების წინ, უძრავი ქონება ყოფილი საბჭოთა კავშირის გერიტორიაზე ყველაზე ძვირად ჩვენში ფასობდა



ქონების სააგენტოს ხელმძღვანელი:

— 10-15 წელი მაინც არის საჭირო იმისათვის, რომ უძრავი ქონების ბაზარი გაჯერდეს. ჯერჯერობით მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას. როდესაც ქვეყანაში უძრავი ქონება ძვირდება, ეს ცხოვრების დონის გაუმჯობესების მაჩვენებელია. როდესაც ქვეყანაში პური ძვირდება, ეს ცხოვრების გაუარესებაზე მეტყველებს. უძრავ ქონებაზე ფასები მაშინ ეცემა, როდესაც ქვეყანაში საომარი ვითარებაა. მაგალითად, გროზნოში უძრავი ქონება ძალიან იაფია, ლონდონში კი — საკმაოდ ძვირი. უძრავი ქონების გაძვირება იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის კაპიტალი იზრდება, თითოეული ჩვენგანის ქონება იზრდება. ნუ შევიქმნით იმის ილუზიას, რომ თბილისში უძრავი ქონების ფასი ევროპულს უტოლდება. თბილისის ფასებით, ევროპის რომელიმე ქვეყნის სოფლის ფასებს თუ გავუტოლდებით მხოლოდ. არადა, წლების წინ, უძრავი ქონება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველაზე ძვირად ჩვენში ფასობდა. სამოთხიანი ბინა თბილისში, მოსკოვში ოთხოთახიანზე იცვლებოდა. ერთ დროს თბილისს კავკასიის მეგაპოლისის ფუნქცია ჰქონდა. ახლა კი ბაქოში საცხოვრებელი და კომერციული ფართობი გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე აქ. მაგალითად, ბაქოს ყველაზე მიყრუებულ უბანში ერთი კვადრატული მეტრი კომერციული ფართობი მინიმუმ, 30.000 დოლარი ღირს, თბილისში კი რუსთაველის გამზირზე კომერციული ფართობის ფასი 15.000 დოლარს არ აღემატება. ბაქოს პერიფერიულ უბნებში საცხოვრებელი ფართობის ფასი 3.500 ევროდან იწყება, ცენტრალურ უბანში კი მინიმალური ზღვარი 12.000 ევროა. სხვათა შორის, იქაუ-

რი ფასები უძრავი ქონების ჩვენს ბაზარზეც ახდენს გავლენას. ბევრ ბიზნესმენს ვიცნობ, ვისაც ბიზნესი ბაქოში აქვს, მაგრამ იქ არსებული სიძვირის გამო, თბილისში ცხოვრობს და აქედან მართავს კომპანიას. ჩვენი უძრავი ქონების ბაზარი ახლა ვითარდება, ამიტომ ის, რაც



უძრავი ქონების გაძვირება იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის კაპიტალი იზრდება

დღეს 5.000 დოლარი ღირს, ხვალ ათჯერ მეტი ეღირება. ჩვენი ბაზრის პოტენციალი არ გამოჰპარვიათ ებრაელ ბიზნესმენებს. ებრაელები ვაჭრობაში დახელოვნებული ხალხია. თბილისში ყველაფრის ყიდვა სურთ — დილმის საავტომობილო ტრასით დაწყებული, ისტორიული უბნებისა და კრწანისის სამთავრობო რეზიდენციით დამთავრებული. ყიდულობენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ მომავალში ეს ქონება გაცილებით ძვირად გაყიდონ. ცოტა ხნის წინ, ჩვენი ჯგუფი ისრაელიდან ჩამოსულ ერთ-ერთ ბიზნესმენს უძრავი ქონების შეძენაში დაეხმარა. როდესაც გარიგება შედგა, ბიზნესმენმა გვითხრა: ამ ქონებას ათჯეროცჯერ უფრო ძვირად გავყიდო. უძრავი ქონების ფასები მყისიერად რეაგირებს

პოლიტიკურ პროცესებზე. გარწმუნებთ — როგორც კი ნატოსა და ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის საკითხი პრაქტიკულად დადგება, უძრავი ქონების ფასი თბილისში და მთელ საქართველოში მომენტალურად გაოთხმაგდება. უძრავი ქონების ფასთა ტენილს თუ დავაკვირდებით, 7 წლის განმავლობაში პერმანენტულად იზრდება და ტენილიც აღმავალია. შესაძლოა, 7 წლის შემდეგ, უმნიშვნელო სტაგნაციის მომსრუნი გახდეთ, ფასების ზრდა ოდნავ შეჩერდეს, მაგრამ ტენილის მკვეთრი დაცემა არ მოხდება. ჩვენს უძრავი ქონების ბაზარზე ჯერ კიდევ შიმშილია, ასათვისებელია ტურისტული სექტორი. მასსოვს, კომუნისტური მმართველობის პერიოდში საქართველოში ყოველწლიურად 10 მილიონი ტურისტი ჩამოდიოდა, ახლა კი მილიონიც აღარ გვსტუმრობს. ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა პოზიტიურად აისახება უძრავი ქონების ბაზარზე. ფაქტობრივად, ნულიდან ვითარდება კომერციული სექტორი, რაც გაზრდის მოთხოვნას კომერციულ ფართობზე. შარშან პეკინის ქუჩაზე ერთ კვადრატულ მეტრ კომერციულ ფართობს 4.000 დოლარად შეიძენდი, ახლა კი იგივე ფართობი 12.000 ღირს. რუსთაველის გამზირზე კი ცოტა ხნის წინ კომერციული ფართობის ერთი კვადრატული მეტრი 20.000 დოლარად გაიყიდა. თბილისის პარალელურად, უძრავი ქონების ფასი რეგიონებშიც გაიზარდა. წლების წინ, ტყიბულში სახლს 200 დოლარად იყიდდი, ახლა კი 20.000-იც არ გეყოფა. გაძვირდა სახლები თელავში, სიღნაღში. ბათუმი კი მალე, უძრავი ქონების სიძვირით, თბილისს გადააჭარბებს.

— განვითარების თვალსაზრისით, თბილისის რომელ უბანს აქვს ყველაზე დიდი პოტენციალი ანუ სად გვირჩევდით ფულის დაბანდებას?

— ახლო მომავალში ახალი განაშენიანება მოხდება ავლაბარში, ოლონდ გასათვალისწინებელია, რომ უბნის ისტორიული სტატუსის გამო, იქ მშენებლობაზე გარკვეული შეზღუდვები არსებობს. განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს საბურთალოს. რამდენიმე წელიწადში თბილისის ამ რაიონში ყველაზე პრესტიჟული, მრავალსართულიანი კომერციული და საცხოვრებელი კომპლექსები აშენდება. არ არის გამორიცხული, რომ ფასების სიდიდით, საბურთალოს რაიონმა ვაკესაც გადააჭარბოს. მაგრამ თუ ამ ეტაპზე ფულის დაბანდებას უძრავ ქონებაში აპირებთ, მე მაინც გვირჩევდით — ლისის ტბის მახლობლად შეიძინოთ მიწის ნაკვეთი, ეს უფრო ჭკვიანური იქნება, ვიდრე მაგალითად, ბინა ბარნოვის ქუჩაზე, რადგან თუ უძრავი ქონება ბარნოვზე ახლო მომავალში სამჯეროთხჯერ გაძვირდება, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის ფასი ოცდაათჯერ მაინც მოიმატებს...

კალიფორსკოში

ნაომი ჯამვალის სისხლის მიღებაზე ბრაზილია უარს აცხადებს

ცნობილმა ტომოდელმა ნაომი კემპბელმა ტროპიკული ცივებით გატანჯული რიო-დე-ჟანეიროელების დასახმარებლად, სისხლის ჩაბარება განიზრახა, მაგრამ ბრაზილიელი ექიმებისგან უარი მიიღო. შავკანიანი მოდელისგან დახმარების მიღებაზე უარს მედიკოსები იმ მიზეზით ხსნიან, რომ 37 წლის



სუპერმოდელს თებერვალში კისტა ამოჰკვეთეს. კანონის თანახმად კი იმ პირებს, რომელთაც ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდათ, ოპერაციის შემდგომი 6 თვის განმავლობაში სისხლის ჩაბარება ეკრძალებათ. ასე რომ, ნაომი ბრაზილიელთა დახმარებას მხოლოდ აგვისტოში თუ შეძლებს... ბრაზილიაში ტროპიკული ცივების ეპიდემიამ უკვე 83 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ქვეყნის 75000 მცხოვრები კი მძიმედაა დასნებოვნებული.

ანანო მეაქია და მისი სამძლოლო გამოცდილება...

ეკა მინლაძე

— მანქანის მართვის სურვილი ბავშვობიდან გამიჩნდა. გარშემო, ვისაც კი ავტომობილი ჰყავდა, ყველას ვთხოვდი, რომ საქვსთან დავესვი, მაგრამ მანქანის სერიოზული მართვა მაინც ინსტრუქტორმა მასწავლა. 19 წლის ვიყავი, როცა ავტომანქანის მართვის შემსწავლელ კურსებზე მივედი. სხვათა შორის, გამოცდები ისე ჩავაბარე, რომ არავინ დამხმარებია. გამოცდაზე, რომელზეც თეორიული მასალა უნდა ჩამებარებინა, პირველად რომ გავედი, მხოლოდ 10 ბილეთი ვიცოდი. ვიფიქრე: იქნებ, გამომართლოს და ის საკითხები შემვხედეს, რომლებიც ვიცი-მეთქი, მაგრამ ასე არ მოხდა. ამის შემდეგ, საფუძვლიანად მოვემზადე და ხელმეორედ გასულმა მაღალი ქულაც მივიღე. სხვათა შორის, გამოცდაზეც, რომელიც „პრაქტიკა“ გახლდათ, პირველ გასვლაზევე ჩავიჭერი. მასხოვს, იმ დღეს მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით გავატარე მანქანა და ალბათ, ნაწილობრივ, ამანაც განაპირობა ჩემი ჩაჭრა. მეორედ კი უკვე ბოტასი ჩავიცვი და შესანიშნავად ჩავაბარე (იციან).

— ეს მანქანა, რომელიც ახლა გყავს, როდის შეიძინე?

— 6 თვის წინ. ერთ მშვენიერ დღეს, ოცნება რეალობად ვაქციე, ჩემს დანაზოგს ბანკის კრედიტი დავუმატე და შევიძინე შავი ფერის „ტოიოტა RAV-4“.

— ყველაზე დიდი სიჩქარე, რომელიც საქვსთან მგდომს გაგივითარებია?

— იმ შემთხვევაში, თუ ტრასა თავისუფალია, 150 კმ/სთ სიჩქარე „ამინვეია“. საერთოდ, არ მიყვარს სწრაფად სიარული. მირჩევნია, 5 წუთის დაგვიანებით უვნებელი მივიდე დანიშნულების ადგილას, ვიდრე დიდი სიჩქარის გამო, ცოცხალმა ვერ მივაღწიო. ჩემი აზრით, როგორც ზღვის ტალღებს არ უნდა გაუთამამდე, ასევე — ავტომობილს.

— ყველაზე მეტად საქვსთან ჯდომისას, რაზე გეშლება წერვები?

— წერვებს მიშლის გზებზე არსებული ორმოები და შუქნიშნები. არ მიყვარს, როცა მარჯვენა მხრიდან შემომივლიან და გამასწრებენ. სხვათა შორის, მანქანა რომ შევიძინე, გამაფრთხილეს: ცოტას თუ არ „ინაგლებ“, მოძრაობა გაგიჭირდებაო. მაგრამ მიუხედავად ამისა, შეძლებისდაგვარად, ყოველთვის ვცდილობ, მოძრაობის წესები არ დავარღვიო. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში, მოძრაობის წესებს სრულად ვერ დაცავ, რადგან მას თითქმის ყველა არღვევს და თუ ამ რიტმს არ აპყვები, შეიძლება, ავარია მოახდინო.

— პატრულს თუ დაუჯარიმებინარ?

— კი, როგორ არა?! თუმცა ყოფილა შემთხვევა, როცა დარღვევისთვის გაუჩერებდნენ, მაგრამ ჯარიმა არ გამოუწერიათ. „ჯეოსტარიდან“ გვახსოვხარო, — მითხრეს. მერე ერთ-ერთმა მათგანმა მოაყოლა: „იმ შემთხვევაში გაგიშვებ, თუ დათო გოგინაიშვილს ჩემს მოკითხვას გადასცემ, ის ჩემი შვილის ნათლიააო (იციან).“

— ოდესმე საქვს ნასვამი თუ მისჯდომისარ?



„მირჩევნია, სუთი წუთის დაგვიანებით უვნებელი მივიდე დანიშნულების ადგილას, ვიდრე დიდი სიჩქარის გამო, ცოცხალმა ვერ მივაღწიო“, — ამბობს მომღერალი ანანო მეთაფია, რომელიც საქვსთან ჯდომისას, ცდილობს, მოძრაობის წესები არ დაარღვიოს.

— ბევრჯერ. ოღონდ, როცა საქვსთან მიწევს ჯდომა, 3 ჭიქაზე მეტს არ ვსვამ. თუმცა მე მყავს დაქალი, რომელიც რაც არ უნდა მაგარი მთვრალი იყოს, საქვს როგორც კი მიუჯდება, მაშინვე ფხიზლდება და საოცრად მობილიზებული ხდება.

— ანანო, შენი მანქანით ყველაზე შორს სად წასულხარ?

— ბაკურიანში. შეიძლება, გაგიკვირდეს, მაგრამ თოვლზე სიარული ნამდვილად სუთიანზე ვიცი (იციან).

— მანქანის მართვის დროს, ოჯახის წევრებიდან შენიშვნას ვინ გაძლევს?

— არავინ. შენიშვნა მხოლოდ მაშინ მივიღე, როცა მანქანა გამომარცხვეს. აი, მაშინ მისაყვედურეს: მანქანის კარს რატომ არ კეტავო? აბა, რას წარმოვიდგენდი ასეთ რამეს. შუქნიშნზე ვიდექი მანქანით და ის იყო, უნდა დავძრულიყავი, რომ უეცრად კარი გაიღო და ვიდრე მე თავი მოვბარუნე, ჩანთა უკვე სავარძელზე აღარ იდო. იმ დღეს საშინელი ტრავმა მივიღე. იმ ჩანთაში მთელი „ჩემი ცხოვრება“ მდებოდა: დისკები, სუნამო, პარფიუმერია, პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, ტექ-პასპორტი და სხვა მრავალი წვრილმანი. სხვათა შორის, მეგონა, საბუთებს მაინც ვიპოვიდი, მაგრამ ჯერჯერობით, არ გამოჩენილა.

— დამოუკიდებლად მანქანის საბურავი თუ გამოგიცვლია?

— კი, ოღონდ მეგობრის მანქანაზე.



რომ დამჭირდეს ჩემს მანქანაზე საბურავის გამოცვლა, აღარ მეშინია

მე ის „სასწრაფო დახმარებას“ მეძახის. ამიტომ, როცა მას მანქანის საბურავი გაუსკდა, იმის ნაცვლად, რომ რომელიმე ბიჭის მეგობრისთვის მიემართა, მე დამირეკა. მეც, რა თქმა უნდა, მაშინვე მასთან გავჩნდი. მოკლედ, მივედი თუ არა, კარგი გამოცდილი სპეციალისტივით საბურავის მოხსნას და ახლის დაყენებას შევეუდევი. მას საბურავი ჩემს სახლთან ახლოს გაუსკდა. ამის გამო, ჩემს ხელმარჯვეობას მთელი უბანი ადევნებდა თვალყურს. სხვათა შორის, საქმეს მშვენივრად გავართვი თავი. დღეს, რომ დამჭირდეს ჩემს მანქანაზე საბურავის გამოცვლა, აღარ მეშინია, რადგან ვიცი, რომ უპრობლემოდ გამოვცვლი.

— შენი მეგობრებიდან ყველაზე სწრაფად რომელი ატარებს?

— დუტა. ის იმდენად სწრაფად ატარებს, რომ ბევრს ეშინია მის მანქანაში ჩაჯდომა. მე სულაც არ მეშინია, რადგანაც ვიცი, რომ დუტა პროფესიონ-

ნერვებს მიშლის გზებზე არსებული ორბობები და შექნიშნები



ალ მძღოლს არაფრით ჩამოუვარდება.

— შექნიშნთან დროებით გაჩერებულს თუ გაგვიკეთებია მაკიაჟი?

— კი, სხვათა შორის, შექნიშნთან გაჩერებულს არა მარტო „ბლესკი“ წამისვამს ან თმა დამივარცხნია, მესიჯიც კი გამიგზავნია და მობილურზე ლაპარაკიც მომიხსრია...

— მანქანის მოვლაში ვინ გეხმარება?

— მეგობრები მეხმარებიან. ამას წინათ, ჩემი მანქანა მეგობრის მეუღლემ წაიყვანა და შემიკეთა. რა ვქნა, სახელოსნოში სიარული ნამდვილად, არ შემიძლია.

— რას ურჩევდი მათ, ვისაც ტარება ახალი ნასწავლი აქვთ?

— პირველი სამი წელიწადი მაინც, საჭეს ნუ გაუთამამდებით. ■

დამოუკიდებელი სულიერი თავგადასავალი, პოეტური აღსაქმვა ანუ „ვის უწოდებენ ზუგუნიანებით უკუნდობა“ ...

პოეტი დათო მალრადე ამბობს, რომ ბედმა გაუღიმა, მკითხველმა თავიდანვე შეიყვარა მისი ლექსები. ის თავის სტრიქონებში საკუთარ სულიერ თავგადასავალს გადმოსცემს და წერის დროს, ყოველთვის გულწრფელია. შემოქმედს მკითხველები, არც ლიტერატურულ კაფე — „ქარაფანში“ გამართული მისი ორი ახალი წიგნის („შეჩერდინამო“, „დედაქალაქი“) პრეზენტაციას აკლდნენ. კიდევ ერთი ლექსიც წაგვიკითხეთო, — სთხოვდნენ პოეტს და სულგანბული უსმენდნენ მას...



თამუნა კვინიკაძე

— ბატონო დათო, როგორც ამბობენ, წიგნმა მკითხველი დაკარგაო, პრეზენტაციაზე შეკრებილ საზოგადოებას თუ გადავხედავთ, საქმე მგონი, მთლად ასეც არ უნდა იყოს. რას იტყვი?

— წიგნს მკითხველი არ დაუკარგავს. ასე რომ იყოს, წიგნის მალაზიებში წიგნი რატომ მომრავლდებოდა?! წიგნს თავისი სურნელი, მაღლი და ხიბლი აქვს, რომელსაც სხვა ვერაფერი ჩაენაცვლება. განა შეიძლება, სიყვარულს სხვა გრძნობა ჩაენაცვლოს?! თავის დროზე ისიც ეგონათ, რომ თეატრის ადგილს კინო დაიკავებდა, მაგრამ შეცდნენ. არცთუ დიდი ხნის წინ, ჩემი ერთ-ერთი წიგნის პრეზენტაცია „პარნასში“ ჩატარდა, ბოლოს, როცა იქ შეკრებილი ხალხი დაიშალა, ყმანვილების მოზრდილი ჯგუფი დარჩა, რომელსაც მე, გაგა ნახუცრიშვილი და პაკო სვიმონიშვილი ლექსებს ვუკითხავდით. ყმანვილები დიდხანს არ იშლებოდნენ, რაც ჩვენთვის ძალზე სასიამოვნო იყო, რადგანაც იმ ახალგაზრდებს წიგნის, პოეზიის სიყვარული აერთიანებდათ.

— თინიფერობის ასაკში, თავად როგორი მკითხველი იყავით?

— დაინტერესებული. პროზაც მიზიდავდა და პოეზიაც. მხატვრული ლიტერატურის აქტიური კითხვა V-VI კლასიდან დავიწყე. ამ და შემდგომ წლებშიც, სამყაროს შემეცნების განცდა გამომძაფრდა.

— თქვენი თანატოლებიც ასეთივე აქტიურები იყვნენ?

— დიას, ზოგიერთი სკოლის სავალდებულო საგნებს არ სწავლობ-

და, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურას კითხულობდა. თუ რომელიმე ახალი მწერლის ახალ ნაწარმოებს წავიკითხავდით, შემდეგ ერთმანეთს ვუზიარებდით შთაბეჭდილებებს. მოგვიანებით კი ის წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა. ასეა, წიგნსაც თავისი ბედი აქვს, მას როგორ ეზიარები, ეს შენზეა დამოკიდებული. უწინგურობა დამლუპველია, ეს ერს ბუმერანგით უკან უბრუნდება.

— დღეს თავად ბრძანდებით ავტორი, რომლის წიგნებსაც კითხულობენ, რა გიქმნით წერის განწყობილებას?

— თვით ცხოვრება. (ფიქრობს). მე ხომ ჩემს სულიერ თავგადასავალს ვწერ, რომელიც მკითხველის პირად თავგადასავალთან ერთად არსებობს.

— წერის დროს რამდენად გულწრფელი ხართ?

— ბოლომდე გულწრფელი ვარ, როგორც ლექსის წერისას, ასევე ცხოვრებაშიც. „კრძალვით ვეტრფოდი საყვარლის მერდინს/ არა ვპრანჭავდი კეკლუცად ხაზებს/ დღესასწაული მტკიოდა, ვწერდი.../ შეკავებული ცრემლების ზღვარზე. სულ თან დამაქვს პატარა ბლოკნოტი, სადაც „კარგ რამეებს“ ვინიშნავ. ვწერ მაშინ, როცა წერის განწყობილება მექმნება: დილით, შუადღეს, შუალამისას...

— ბევრი საყვარელი პოეტი გყავთ?

— ყმანვილკაცობის წლებში, ბევრი ადამიანით ინტერესდები, შემდეგ მათი ნაწილი შენი სულიერი სამყაროდან ქრება, ნაწილი კი — მთელი ცხოვრება მოგყვება.

— დღემდე ვინ შემოგრჩათ?

— ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბი-



ბე, გოგლა ლეონიძე, აკაკის ლექსი „პოეტი“ შემომჩნა, რომლის ყოველი წაკითხვის შემდეგ, ჩემში ალტაცებას იწვევს, ისევე, როგორც პოემა „აღუდა ქეთელაური“. უცხოელებიდან შემომჩნენ — თავორი, შექსპირი...

— „პოეტი“ ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა პოეტი „გარემოების საყვირი“?

— ხელოვნების რომელი ჟანრის წარმომადგენელიც არ უნდა იყო, შენი თვისებების სატიკვარი უნდა გამოთქვა. ეს ლექსითაც არის შესაძლებელი, მხატვრობითაც და მუსიკითაც... ქვემარტივ ხელოვანს ადამიანში მიწვევებული სიკეთის აბრიალება უნდა შეეძლოს. მას ისეთი ამბავი უნდა მოუყვეს, რომ სამუდამოდ მასში დარჩეს და ვეღარ დაივიწყოს.

— თანამედროვე მწერლებსა და პოეტებზე რას ფიქრობთ?

— საერთოდ, კარგი და ღირებული ნაწარმოები ყველა დროში ცოტა იქმნება, თუ მაინცდამაინც ისეთი „აფეთქება“ არ მოხდა, როგორც რენესანსის ეპოქაში იყო. მაღალმხატვრული ნაწარმოებები დღესაც იქმნება, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ მოვლენებს საზოგადოება ზოგჯერ დიდ ყურადღებას უთმობს, ზოგჯერ — ნაკლებს.

— დღეს როგორაა საქმე?

— დღეს ღირებულებების დევალიზაციას მასმედიაც ხელს უწყობს. ყველა საინფორმაციო გამოშვება იმით იწყება, რომ ეს იმას შეხვდა, ამან ეს თქვა, იმან ეს მოკლა, დაჭრა, გაძარცვა... მერე გადადის მსოფლიოს ამბებზე: რა მოხდა ბრაზილიაში, ერაყში... შემდეგ გადადის სპორტზე... ამინდზე... სადაც სულ ბოლოს, როცა უკვე აღარც კი ელი, გაკრთება სიუჟეტი კულტურაზე. ადრე ტელევიზიაში იყო რუბრიკა — „პოეზიის ხუთი წუთი“, რომელიც ძალიან მომწონდა. დროდადრო ტელევიზიიდან კარგ ლექსებს ისმენდი, ამაში ცუდი რა იყო? დღეს ხელოვნებაში დილუტანტები მომრავლდნენ, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ფილმის გადაღება, მუსიკის შექმნა, ლექსის დაწერა იოლია. სხვათა შორის, ეს მსოფლიო ტენდენციაა.

— შარშან თქვენი წიგნი ბერლინში, წელს კი იტალიაში გამოვიდა, ამის შესახებაც მიახლოეთ.

— დიახ, პრეზენტაცია ვატიკანში, წმინდა გრეგორის დარბაზში მოეწყო. ჩემი ლექსები ნუნუ გელაქემ თარგმნა, ის შესანიშნავი ლიტერატორია, მილანში მეუღლესთან — პოეტ ეჯიდ-იო ფუსკოსთან ერთად ცხოვრობს. გამომცემლობა „ლალოტრამ“ წიგნი პოეტ კლაუდიო პოცანის რეკომენდაციით გამოსცა.

— იტალიელმა მკითხველმა თქვენი პოეზია როგორ მიიღო?

— ძალიან კარგად. პრეზენტაციაზე



კარგი და ღირებული ნაწარმოები ყველა დროში ცოტა იქმნება

მონვეული იყო ტონინო გუერაც, მაგრამ შეუძლოდ გახლდათ. კლინიკაში მკურნალობის კურსს გადიოდა, რის გამოც მოსვლა ვერ შეძლო. ამ დღეს მან ხელნაწერი გამომიგზავნა, სადაც აღნიშნავს: „ყოველთვის, როცა სიტყვა საქართველოზე ჩამოვარდება, სიამაყის გრძობით ვივსებ. იტალიას, ჯერ კიდევ ბორის პასტერნაკის თაოსნობით ეწვივნენ დიდი ქართველი პოეტები, რომელთაც იგი აგრერიგად აფასებდა. რაოდენ ბედნიერი ვარ დღეს, როცა ეს საოცარი ქვეყანა და აფეთქების ძალის მქონე პოეტური აღსარება, მეგზურობას გაუწევს მკითხველს“.

— პრეზენტაციას, ალბათ, იტალიაში მცხოვრები ქართველებიც ესწრებოდნენ, არა?

— დიახ, ამ დღეს განსაკუთრებით

შთამბეჭდავი, ქართველი ქალბატონების მიერ შესრულებული „წინწყარო“ იყო. დარბაზში საქართველოს ხედები: გელათის, ალავერდის ფოტოები, კავკასიონის პეიზაჟი იყო გამოფენილი. ეს ერთი შესანიშნავი ქართული დღე იყო.

— ახლო მომავალში თქვენი ლექსების სხვა ენებზე თარგმნაც ხომ არ იგეგმება?

— უკვე თურქულად ითარგმნა და მალე წიგნად გამოიცემა. უახლოეს დღეებში კი ჩემი ლექსების კრებული მოსკოვში გამოვა. და მაინც, ჩემთვის ქართველ მკითხველთან შეხვედრის მოლოდინი ყველაზე მძაფრია.

— რას გვეტყვით თქვენს მკითხველებზე? რამდენად ხშირად აწყოთ მათთან შეხვედრებს?

— ჩემი ნაფიქრი და განცდილი ფურცელზე იმიტომ გადამაქვს, რომ მკითხველს გავანდო. ბუნებრივია, ამ დროს, იმის მოლოდინიც მაქვს, რომ ჩემი დანახული სამყარო, მისთვისაც საინტერესო გახდება. რა გითხრათ, ჩემი მკითხველი ძალიან მიყვარს, რადგან ის ჩემს ლექსებს კითხულობს, ესე იგი, ერთმანეთთან რაღაც საერთო მაინც გვაკავშირებს. მკითხველის მხრიდან უყურადღებობა არასდროს მიგრძნია. ყველაზე მეტად ის მახარებს, როცა მეუბნებიან, — ლექსი წაგვიკითხო.

— რას ეტყვით მათ?

— ჯვარი გწერთა!..

მოხალისეთა რაზმებმა ზღვების სანაპიროებზე 3000 ზგ ნაგავი შეაგროვეს

საზოგადოებრივი ორგანიზაციის — Ocean Conservancy — წარმომადგენლებმა ყოველწლიური აქციის ფარგლებში, ზღვებისა და ოკეანეების სანაპირო ზოლში 6 მილიონი გირვანქა (თითქმის 3 მილიონი ტონა) ნაგავი შეაგროვეს! ამ ცოტა ხნის წინ, ორგანიზაციის საიტზე, 2007 წლის სექტემბერში ჩატარებული აქციის შედეგები გამოქვეყნდა, სადაც აღნიშნულია, რომ მოხალისეებმა სანაპიროს 33000-კილომეტრიანი ზოლი დაასუფთავეს. გრანდიოზული „შაბათობა“ 76 ქვეყანასა და აშშ-ის 45 შტატში ჩატარდა. ბუნების ქომაგებმა 2,3 მლნ ცალი სიგარეტის ნაშენი, 588000 პაკეტი, 1,7 მლნ შესაფუთი ქალაღი და 1,2 მლნ ბოთლი და ქილა შეაგროვეს და გზადაგზა, ნაგავში გახლართული 81 ფრინველი, 63 თევზი, 49 უხერხემლო, 11 რეპტილია და 30 ზღვის ძუძუმწოვარი გაათავისუფლეს. Ocean Conservancy სანაპიროს დასუფთავების აქციას 1986 წლიდან ატარებს. 2008 წელს ის 20 სექტემბრისთვისაა დაგეგმილი.



მხიარული „სისფერი ზომავის“ პიკველი ჩრეული

ანუ პომონა, ჰომელსას „აქსაქალული ხილის“ ყუჰმავს ჰბავინ უჰკაქლავს



„გზის“ მწიწ-ში დაიბეჭდა ინტერვიუ „ქლავ-შოუს“ ერთ-ერთ აქტორ სახესთან, ამიკო ჩოხარაძესთან და ამის შემდეგ, ჩვენს რესპონდენტთან შეხვედრის სურვილი უამრავმა გამოთქვა. ამჟერად, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, 16 წლის სესის გაუმართლა, რომელიც ყველაზე მეტად აქტურობდა და ამიკოსთან შეხვედრას დაჟინებით გვთხოვდა. გბრდებით, რომ უახლოეს მომავალში ამიკო სხვა თაყვანისმცემელსაც შეხვედბა და ის ერთ-ერთი იმათგან იქნება, ვინც ინტერვიუს მესაჯების მეშვეობით გამოეხმარა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, მის ვინაობას ვერ გაგიმხელთ, რადგან ეს ერთგვარი სიურპრიზია. თუმცა, იქნებ თავადაც გამოიცნოთ, კიდევ რომელი მესაჯის აქტორი დაიმსახურებს ჩვენს რესპონდენტთან შეხვედრას.

ლიკა ქაქაია

ხაზი:

„მითვრინ ღამეს, ვარსკვლავთა ცის ქვეშ/ შენს ერთ კოცნაში სიცოცხლეს მივცემ... ამო, იცი, ძალიან „საკვალელი“ არსება ხარ? ნეტავ, რა დედამ გშობა ასეთი პატარა და პრიკოლი? ვგიჟდები შენზე, პატარა ანგელოზო.“

ამიკო:

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის და იმისთვის, რომ ჩემზე გიჟდები (იცინის).

ნათ-აპა:

„ამიკო, ძალიან საყვარელი არსება ხარ, შენი გაცნობის დიდი სურვილი მაქვს და თუ სანიანაღმდეგო არაფერი გექნება, ამ ნომერზე დამიმეხიჯე. მერმშენე, ამით ძალიან გამახარებ.“

— დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი, ვნახოთ, შეიძლება დაგიმეხიჯოთ კიდევ—

უპარება გომო:

„გამარჯობა. მინდა, ამიკოს ვუთხრა, რომ ძალიან კარგი ადამიანია. გახსოვს, ბათუმში, ზღვაში კინალამ რომ დამახრჩვე? მერე კი წვენი გადამასხი? მაინტერესებს, ისევ ისეთი საყვარელი ხარ?“

— მგონ, არ შეეცვლილვარ და ალბათ, ისევ ისეთი საყვარელი ვარ (იცინის).

სალა:

„ამიკო, შენც ბათუმელი ხარ და მეც, შენც 20 წლის ხარ და მეც, შენც თბილისში ხარ და მეც. ჰოდა, გავიცნოთ ერთმანეთი, ვიმეგობროთ, ვიახლობლოთ და კიდევ უფრო ვიახლობლოთ. ბათუმური სათვისტომო შევექმნათ და რა ვიცი, თუ გინდა, მერე ჯვარიც დავინეროთ.“

— სიამოვნებით გაგიცნობ, ამაზე

უარს ნამდვილად ვერ გეტყვი, მაგრამ დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

სოფი 17:

„დაგელოდები გაზაფხულის ერთ წვიმიან დღეს/ იქნებ ამ წვიმას მოჰყვე შენ“. ამიკო, რა მოხდება, მართლა ასე რომ მოხდეს?... ჰო, კიდევ დღემ დაითვალა ბოლო წუთები/ სინათლე ჩაქრა/ ჩამოწვა ღამე/ ახლა მარტო ვარ, თან — მოწყენილი, გამახალისე, მომწერე რამე. ამიკო, მოდი, კიდევ ერთს გეტყვი: ღამაზმა თვალებმა ღამაში ცრემლები იცის/ ღამაზმა ცრემლებმა ღამაში ციმციმი იცის/ და ყველა ღამაზმა ღამაში სიყვარული იცის... რა, განა, ასე არ არის?“

— კი, მართალი ხარ, ძალიან კარგია, რომანტიკოსი რომ ხარ და ცდილობ, ადამიანი შენ არაორდინარულობით მოიხბლო. წარმატებებს გისურვებ.

უცნობი:

„ვაა, ამიკო აქაც გაიჩითა? ძალიან კარგი... მოკლედ, მე შენი გაცნობა უკვე მოვახერხე, „ვანოს მოუზე“ (თუმცა შეიძლება, არც გახსოვდ, რადგან მას შემდეგ ვეღარ განახე)... ისე ეი შენს ნიჭს დიდ პატივს ვცემ. გაისარე და იუმორის მოყვარული ხალხიც გაგვახარე. წარმატებებს გისურვებ!!! ჰო, მართლა, ბეჟა ჩოხარაძე შენი ძმია, არა?“

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. კი, ბეჟა ნამდვილად ჩემი ძმია.

მეგრული პისა, 16 წლის:

„ამიკო იმაზე საყვარელი ადამიანი ყოფილა, ვიდრე მეგონა და ეკრანიდან ჩანდა. კარგი და საჭირო შეხედულებები აქვს დღევანდელ მონარდებზე. ამიკო, ასე გააგრძელე და ბევრს მიაღწევ. ძალიან მიყვარსარ და პატივს ვცემ. შენთან მეგობრობაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვოდი. ყველაფერ

საუკეთესოს გისურვებ და რაც მთავარია, სიყვარული მალე გეპოვოს.“

— ვა, მარგალ რექო, ძლავ (ვა, მეგრული ხარ, გოგო?) მუჟო რექ (როგორ ხარ?) დიდი მადლობა კეთილი სურვილისთვის.

უცნობი:

„პრივეტ“, ამიკო. რავა ხარ? გიო მოისწრაფაშვილს იცნობ? მის ძმას? ჰოდა, მაგრა „მიკალქალ“... თუკი სულ ისე გექცევიან, როგორც პატარას და გზაგრავენ, როგორ უნდა მოიქცე? გაკოცე.“

— გიო და მისი ძმა — ღამა ჩემი მეგობრები არიან... ვინც შენ გზაგრავეს, მათ დაუბეჭდევ, რომ მათზე ძლიერი ხარ (იცინის).

თათა:

„ამიკო, ჩემს ძმაცაც ძალიან ჰგავხარ (გარეგნულად). მაინტერესებს, რატომ ამბობ, რომ ქალს ყვავილებს არ აჩუქებ? ჩუქნის მომენტში შეიძლება, ცოტა განითლდეს, მაგრამ სახლში რომ მივა, სულ მას დაუსწყებს მოფერებას და ყოველწუთას წყალს დაუსხამს, რათა არ დაჭენეს. კარგი ხარ.“

— კარგია, როცა გოგო შენს ნაჩუქარ ყვავილს ასე უფრთხილდება. ეს ძალიან სასიამოვნო იქნება, მაგრამ ნითელი გოგონები არ მზბლავს.

ნინო:

„ამიკო, ძალიან საყვარელი ხარ, ძალიან მომწონხარ და მინდა, რომ ბუნდერი იყო... მე 14 წლის ვარ, მაგრამ უკვე იმდენი ტანჯვა გადავიტანე, ვერც ჩამოვთვლი. ჩემს პრობლემებზე ვერავის ვლაპარაკებ. ყველასთვის კარგი მეგობარი ვარ, მაგრამ მაინც, ჩემი მოსმენა არავის სურს. გთხოვთ, მირჩიე, რა ვქნა?“

— იყავი ის, ვინც ხარ. მეგობრები ფრთხილად შეარჩიე და გული მხოლოდ მათ გადაუშალე, ვისთანაც თავს კარგად იგრძნობ.

ნინილა:

„ეჰ, ვიცი, ამიკოსთან შეხვედრა არ მეღირსება, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ მის მიმართ მეტი სიმპათიით განვენყვე, როცა მშობლებზე ღამაზაკობდა. ისიც მომეწონა, თინიჯერების ნაადრევ ასაკში დაქალბედაცვა რომ არ მოსწონს. ეჰ, ნეტავ, ყველა ასე ფიქრობდეს. ბავშვობა ხომ არასდროს დაგიბრუნდება...“

— გაისარე, ვინ იცის, იქნებ, სულ მალე შეხვედეთ ერთმანეთს... ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

ლელოზია:

„პრივეტ“, ამიკო. მეც ბათუმელი ვარ და შენი წარმატება ძალიან მახარებს. კობა ბერეკაშვილი ჩემი სკოლის რეჟისორი იყო („კავენიზე“). მაგარი ხალხი ხართ, „რეზერვისტები“ ფორვერ. მეც თბილისში ვარ და ბათუმი და ბათუმელები ძალიან მაკლია. გამიხარდება, თუ ვიმეგობრებთ, წარმატებას გისურვებ!“

— მეც სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან...

უნიკალი:

„ამიკო, ძალიან მაგარი ხარ. მაინტერესებს, შენი გული ვინმეს ეკუთვნის თუ... მე მელოდები?“

— არა მგონია, ვინმეს ველოდებოდე (იცინის)...

ლუნა:

„ამიკო, როგორ ფიქრობ, ბიჭსა და გოგოს შორის მეგობრობა შესაძლებელია? რატომ გვლალატობენ ისინი? პასუხისთვის ნინასნარ გისდი მადლობას.“

— ნესით, ერთმანეთს არ უნდა უღალატონ. თუ შენ ვინმემ გიღალატა, ეი. ის შენი ნამდვილი მეგობარი არ ყოფილა. მგონი, ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა „მოსულა“, მაგრამ ისინი ფრთხილად უნდა შეარჩიო. რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მე მყავს გოგო-მეგობრები, რომლებსაც არასდროს ვუღალატებ.

მებრძოლი მგელი:

„ვაიმე, ლიკა, იცი, როგორ მომენატრე? ამიკოსთან ინტერვიუ რომ ჩაწერე, ძალიან გამისარდა. ერთხელ, იცი, რა დამემართა? — ჩემი და ბათუმში, „გრიბოედოვზე“, ამიკოს მეზობლად ცხოვრობს. მინდოდა, მას „შემთხვევით“ შევხვედროდი და ამიტომაც, იქვე მდებარე სკვერში ძაღლუკა ჩამყავდა, სასეირნოდ. 15 დღე ვუდარაჯე, მაგრამ შენც არ მომიკვდე... იქნებ, ამიკოს ტელეფონის ნომერი მაინც გამიხსილო. გთხოვ, რა. იმედი მაქვს, უპასუხოდ არ დამტოვებ.“

— ლიკა ჩემი ტელეფონის ნომერს ვერაფრით გაგიძულდა. ისე კი ვინ იცის, იქნებ „შემთხვევით“ შეხვედეთ კიდევ ერთმანეთს...

ახლა კი ამიკოსა და სესის, რომელიც მეგობარ თავოსთან ერთად გვესტუმრა, საუბრის მოკლე ჩანაწერს გთავაზობთ.

ამიკო:

— მეგონა, ჩემთან შესხვედრა ორივეს გინდოდათ...

სამი:

— არა, თავო ჩემი მეგობარია და უბრალოდ, გამომყავს.

— სკოლის მოსწავლეები ხართ, არა?

— კი, მეთუ კლასში ვართ. მე 16 წლის ვარ, თავო — 15-ის.

— მაშინ „ქლაბ-შოუსის“ რატომ უყურებთ? 18 წლამდე ასაკის ადამიანებისთვის მისი ყურება აკრძალულია (იცინის). მშობლები არაფერს გიშლიან?

— როგორ არა, მაგრამ „ქლაბ-შოუს“ ყურებას ნამდვილად არ გვიკრძალავენ.

თაპო:

— მოკლედ, ვიცი, რომ ამ გადაცემის ნახვა ჩვენთვის არ შეიძლება, მაგრამ მაინც ვუყურებთ.

ამიკო:

— იცით, „ქლაბ-შოუსი“ არის კლუბური იუმორი ანუ იუმორში გაზავებული უხამსი სიტყვები. ზოგჯერ, როცა ვხუმრობთ, თითქოს არავის ეცინება, მაგრამ თუ ამ დროს ბილ-

ნად ისუმრებ, დარბაზიდან რეაქცია აუცილებლად წამოვა.

სამი:

— ისე, თქვენი გადაცემის ყურებისას, მშობლები ჩვენთან ერთად იცინიან. შენს მშობლებს როგორი რეაქცია აქვთ, როცა ბილნისიტყვაობ?

— ალბათ, დამეთანხმები, რომ ეს იშვიათად ხდება. მშობლებს არაფერი გაუპროტესტებიათ, რადგან იციან, რომ ეს ჩემს საქმეს სჭირდება. უბრალოდ, დედამ დამირეკა და მითხრა, — შეილო, შეეცადე, ისეთი ნომერი მოიფიქრო, სადაც უხამსი სიტყვების გამოყენება არ დაგჭირდება. თან, როცა იცი, რომ შენი გინება არავის ენებს, პირიქით — სხვებს ახალისებს, არა მგონია, ეს დასაძრახისი იყოს...

— როცა ქუჩაში იგინებიან, როგორი რეაქცია გაქვს? ამას ხომ ახლა გოგონებიც აკეთებენ, რაც ჩემთვის მიუღებელია.

— გოგოსგან კი არა, ეს ბიჭისგანაც მიუღებელია, უზრდელობის ტოლფასია. მართალია, XXI საუკუნეში შენი უხამსობა არავის გაუკვირდება, მაგრამ მოსაწონი საქციელი ნამდვილად არ არის.

— ქართულ ტრადიციებზე რას იტყვი?

— ზოგი მომწონს, ზოგი —

არა, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ ჩვენს ტრადიციებს პატივი უნდა ვცეთ და გავითვალისწინოთ. თუმცა, ჩემთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ მათი დამრღვევი სასტიკად უნდა დაისაჯოს. მაგალითად, თუ გოგო ქალიშვილობას ქორწინებამდე დაკარგავს, ის აუცილებლად უნდა დაისაჯოს, სხვა სიტყვით უნდა მოვისხეწოთ და ა.შ. ხომ შეიძლება, რომ ის შემთხვევითობის მსხვერპლი იყოს ან უბრალოდ, ტრადიცია კი არ დაარღვია, არამედ — შეცდა.

— ყველა ასე არ ფიქრობს...

— ჰოდა, ამაშია მთელი უბედურება. შეცდომა ხომ ყველას შეიძლება მოგვივიდეს, ამისგან დაზღვეულები არ ვართ... შენ რას ფიქრობ ამ ყველაფერზე?

— მე მიმანია, რომ როცა გოგო თხოვდება, ის ქალწული უნდა იყოს და მისი საყვარელი მეუღლე, მისთვის პირველი მამაკაცი უნდა იყოს... სამაგიეროდ, არ მომწონს ქართული სმა-ჭამის ტრადიცია. ჩვენ ყველაფერი გადაჭარბებულად ვიცი.

— რას გულისხმობ?

— მაგალითად, ავიღოთ ქორწილი, სადაც სმა-ჭამის ტრადიცია ღრეობაში გადადის, მამაკაცები ისე თვრებიან, ერთმანეთს ვეღარ ცნობენ და ინყება აურზაური. ჩემი აზრით, ეს ქვიფი კი არა, ღორობაა.

— აი, მე კი მომწონს ქართული სუფრის ტრადიცია. იცი, თუ ვინმე თვრება და ვილაცას ვერ ცნობს, ეს ტრადიციის კი არა, პირადად მისი ბრალია. ახლა ის მითხარო, ჩემთან შესხვედრის სურვილი რატომ გაგიჩნდა?

— ვერ გეტყვი, რომ შენ შესახებ რაღაც

მაინტერესებდა. უბრალოდ, მინდოდა გაგცნობოდი, შენგან კარგი აურა მოდის, ძალიან მხიარული ხარ. მუდოებს ანუ ისეთ ტიპებს, ხმას რომ ვერ იღებენ, ვერ ვიტან.

— შენს გადამწყვეტილებას დადებითად ვაფასებ. თქვენი გაცნობით კმაყოფილი ვარ.

— მართალია, ლიკას ძალიან ბევრი მესიჯი გამოუფუგავანე, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ დამირეკავდა. როცა დამიკავშირდა, მალაზიამი ვიყავი და ისე ვიკვილე, ყველა მე მიყურებდა (იცინის).

თაპო:

— მოკლედ, ხომ ხედავთ, როგორი პოპულარული ხარ, ხალხს როგორ უყვარხარ...

ამიკო:

— სწორედ ამისთვის ვმუშაობთ თავდაუზოგავად. ზოგს ჩემი საქმე ძალიან ადვილი გასაკეთებელი ჰგონია. ბევრს უთქვამს: რა გუნაღებია, სცენაზე დგახარ, იჯლანები და ამაში ფულს გისდიანო. სინამდვილეში კი მერწმუნეთ, იუმორის მოფიქრება და სასაცილო ნომრების დადგმა ძალზე შრომატევადი საქმეა.

— შენი ნამუშევრებიდან, ყველაზე მეტად რომელი სკუტრი მოგწონს? ოღონდ, „მაიკლ ჯექსონის“ ნომრის გარდა.

— ჰო, კითხვა სწორად დასვი, თორემ ჯექსონის მიბაძვა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. საერთოდ, ჩემთვის კარგი ნომერია ის, რომელიც აგებულა მხოლოდ მოქმედებასა და მიმიკაზე (ანუ სადაც ნაკლებს ვლაპარაკობ), მაგალითად, მე და ზუსამ დაედგით ცოტა არ იყოს უხამსი, მაგრამ მაინც, კარგი ნომერი — „ცისფერი ზომბები“. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ხუმრობაზე ხალხი კარგად იხალისებდა.

— მახსოვს, მართლაც კარგი ნომერი იყო (იცინიან)... მაიკლ ჯექსონით რატომ დაინტერესდი? მისი მიბაძვის სურვილი რატომ გაგიჩნდა?

— მის სიმღერებს 5 წლის ასაკ-



იდან ვუსმენდი. ვეკსონის სტილი ძალიან მომწონს. სხვათა შორის, პატარაობიდანვე ვმღერო, ვცეკვავ და დღეს თუ რაიმეს მივალნივ, ამაში გარკვეული წვლილი სწორედ მაიკლ ჯექსონს მიუძღვის... გეტყობა, მხიარული გოგო ხარ. მეგობრების გამხიარულება თუ გამოგდის?

— რა ვიცი, ვფიქრობ, იუმორის გრძნობა მაქვს, მაგრამ თუ სიტუაცია მოითხოვს, შემოდის, ძალზე სერიოზულიც ვიყო.

თაქო:

— სესი ძალიან მხიარულია, მეგობრებს ყოველთვის კარგ განწყობილებაზე გვაყენებს. სხვათა შორის, თქვენი „სასტავის“ ბიჭებსაც პბაძავს.

ამიჰო:

— სესი, შეგიძლია, მეც მომზადო? **ს.ს.ი:**

— შენ ვერ გბაძავ (იციანის). რადგან სათქმელს მართლაც, მოქმედებით და მიმიკით აბზობ. ვნახოთ, იქნებ მომავალში ესეც შეეძლო (იციანთან). ლაპარაკში ვბაძავ მიშა ანდლულაძეს, ნიკა არაბიძეს, ვასო ფხაკაძეს და სხვებსაც... ამიჰო, გურმანი ხარ?

— **ოოო...** მართალია, გარეგნულად არ მეტყობა, მაგრამ მართლა ძალიან ბევრს ვჭამ. როცა მშია, არაფერზე ვამბობ უარს, მთავარია, კერძი იყოს (იციანის).

— სხვათა შორის, მეც ძალიან ბევრს ვჭამ. კერძებს ვინ გიმზადებს?

— **თბილისში მარტო არ ვცხოვრობ.** ოჯახში (ასე შევარქვით) ვართ მე, ზუზა და ზუზას ძმა — ანზორი. ჩვენ ნებისმიერი კერძის მომზადება შეგიძლია და სხვათა შორის, ყველაფერი ძალიან გემრიელი გამოგვადის. საუკეთესოდ ვამზადებ ოსტროს, ოჯახურს...

— და კარგად ბრანავ კარტოფილს, არა?.. როგორ ფიქრობ, ეჭვიანი მეუღლე იქნები?

— **ეჭვიანი ნამდვილად არ ვარ.** თანაც, ისეთ გოგოს შევირთავ, რომელსაც ბოლომდე მივინდობი.

— მაგრამ ბევრი ქალისგან გამიგონია: ჩემი ქმარი არაფერზე ეჭვიანობს. მგონი, არ ვუყვარვარო.

— **ფიქრობ, ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ეჭვიანობის საბაზი არ უნდა მისცეს,** ისინი ურთიერთს ბოლომდე უნდა ენდობოდნენ. ჩემი აზრით, ეჭვიანობა ავადმყოფობაა.

— მართალი ხარ. ვერ ვიტან ისეთ ქმრებს, რომლებიც ცოლს დაქალთანაც არ უშვებენ.

— **ეს გამაღიზიანებელია და თანაც, შესაძლებელია, ამის ნიადაგზე ოჯახი დაინგრეს...** უბრალოდ, როცა ჩემი მეუღლე სადმე წასვლას გადაწყვეტს, უნდა გამაგებინოს, სად მიდის. ეს იმას ნიშნავს, რომ პატივს მცემს. საყვარელი ადამიანისგან გამოჩენილი ყურადღება კი ძალზე სასიამოვნოა...

P.S. ამიჰომ და სესიმ კიდევ დიდხანს ილაპარაკეს და იმედია, ისინი დამეგობრებასაც შეძლებენ.

როგორ ჩავახაროთ მისალბი გაეოცლები

„ნუ „გზის“ მკაცრი ლიჭიჩა, ენა აეოჯიჩა ე...“

„გზის“ №16-ში დაიბეჭდა აბიტურიენტის მქაჯი, სათაურით — „მინდა, წელს მინც გავხდე სტუდენტი, მაგრამ...“ გოგონა გვწერდა, რომ მას



მეცადინეობაში სიზარმაცე უშლის ხელს და გრძნობს, რომ გამოცდებისთვის სათანადოდ ვერ ემზადება. წერილის ბოლოს კი აბიტურიენტმა მკითხველებს მიმართავდა: გთხოვთ, საკუთარი გამოცდლებიდან რაიმე მირჩიეთო.

თობა და მხოლოდ მეცადინეობაზე იფიქრე. გამოცდებამდე არც ისე ცოტა დრო დარჩა და შეგიძლია, კიდევ ბევრი რამ ისწავლო“.

წილია:

„ეჰ, კარგად მახსენდება აბიტურიენტი-ბა. მე მიზანს თავდაუზოგავი შრომით, მეცადინეობით მივალნივ და სტუდენტი გავხდები. და თან, დაფინანსებაც მოვიპოვე... რა თქმა უნდა, ზოგჯერ სიზარმაცე მეც მიტევდა, მაგრამ ამ დროს ჩემი სანუკვარი ოცნება მახსენდებოდა და ძალას არ ვიშურებდი იმისათვის, რომ სტუდენტი გავხდარიყავი, მესწავლა „უფასოზე“. ასე რომ, ჩემო კარგო, თუ მიზანი გაქვს და სურვილი და გამოცდებისთვის მხოლოდ მშობლების ახირების გამო არ ემზადები, მაშინ ყველა ბარიერს იოლად გადალახავ. იფიქრე იმაზე, თუ რა მაგარია სტუდენტობის წლები და მერწმუნე, სიზარმაცე თავისთავად გაქრება. როცა გამოცდებს ჩააბარებ, „გზის“ მეშვეობით, აუცილებლად შეგვაცტობინე“.

მეზარეული მგალო:

„ცოდნის მსგავსად, ცხოვრებაში არაფერი გამოგადგება. ხომ გაგიგონია: ვერ მწარეჭამე, კვლავ ტუბილიო, — და ა.შ. ჰოდა, იბრძოლე მიზნის მისაღწევად და შემდეგ, შედეგით დატკბი“.

ნიკუზაჟი:

„აბიტურიენტკა, მე 2 წლის წინ ვემზადებოდი გამოცდებისთვის. ზოგჯერ მეც შემომიტევდა სიზარმაცე, მაგრამ სტუდენტობა იმდენად მსურდა, რომ ამ მავნე ჩვევას

ყოველთვის ვამარცხებდი. უბრალოდ, ნარმოიდგინე, რა ცუდად იგრძნობ თავს, როცა შენი მეგობრები სტუდენტები იქნებიან, შენ კი ისევ აბიტურიენტად დარჩები“.

ნანაკაზი:

„აბიტურიენტკა, ასე შორს ვერ წახვალ. გასულ წელს, ჩემი შევილი დღე და ღამე მცადინეობაში ატარებდა და ახლა, პრესტიჟული უნივერსიტეტის სტუდენტი. იმეცადინე!!!“

ლიონა-განუ:

„ქალო, ეგ სიზარმაცის სინდრომი ყველა

პ.ს.ი:

„მეც ვიყავი აბიტურიენტი და ვიცი, რა რთული პერიოდიცაა. მაგრამ შენგან განსხვავებით, დაუზარებლად, თავგამეტებით ვმეცადინეობდი, წიგნების კითხვაში ლამაზებს ვათენებდი და ალბათ, ამის შედეგი იყო, რომ პირველსავე ცდაზე სტუდენტი გავხდი. უდიდესი ბედნიერებაა, როცა გაიგებ, რომ გამოცდები ჩააბარე, საჭირო ქულა დააგროვე. დამიჯერე, მარტო ამისთვის ღირს სიზარმაცის დაძლევა. სტუდენტობას გილოვებ, გეწაყვებო“.

ალბახანუმი:

„ასეთი კითხვის დასმა შეიძლება? აბიტურიენტკა, უნდა ისწავლო, იმეცადინო. მე მჯერა შენი და იმედია, მალე სტუდენტობას მოგილოცავთ“.

გზამერი:

„პრივეტ“, ლიკა. აბიტურიენტკა, გველი დაიჭირე, ენა ამოპლიგე (ოლონდ ამ დროს ცოცხალი უნდა იყოს) და გამოცდების დროს გულის ჯიბეში ჩაიდე... ეჰ, ამდენ ზარმაცეს რა გაუძლებს?!“

აბუზარა:

„აბიტურიენტკა, შენი კარგად მესმის, მაგრამ თუ არ გინდა, ასე-ლობლებს იმედი მეორედაც გაუცრუო, სიზარმაცე უნდა დასძლიო“.

უცნობი:

„გამხნევიდი! შეეცადე, ძალა მოიკრიბო და სწავლას აქტიურად შეუდგე. მერწმუნე, ეს არც ისე ძნელია. საკუთარ თავს ყოველდღე გაუმეორე, რომ ზარმაცი არ ხარ, რომ გამოცდებს აუცილებლად ჩააბარებ. „დაიკიდე“ ყველაფერი — კაფე, კინო, გარ-

ბიჭების უმრავლესობას უჭეო გოგონები არ მოეწონს

მოკვდავს ახასიათებს. არც მე ვიყავი გამონაკლისი, მაგრამ ვძლივ, თანაც იცი, როგორ? რეპეტიტორებისა და მასწავლებლების დახმარების გარეშე... შენი მესიჯიდან ჩანს, რომ ერთხელ არ გაგიმართლა და მეორედ უნდა სცადო გამოცდების ჩაბარება. ჰოდა, მით უმეტეს, ახლა ძალ-ღონე არ უნდა დაიშურო იმისთვის, რომ სტუდენტი გახდე. თუ ვინმესთან ემზადები, კარგია, თუ არა და, აქ არ ვარ?! შემოგველოს ლიმონა :) რითიც შევძლებ, დაგეხმარები“.

უჯონი:

„რაო, პატალა, სტუდენტობა გსურს, მაგრამ სწავლა გეზარება? იფ, იფ, იფ, ლმერთმა მიმრავლოს შენაირი კონკურსანტები! შენ მეცადინეობა რა პონტში გეზარება? მსუქანი ხარ და ნიგნამდე მისვლა გიჭირს?.. უი, შენ მოგიკვდეს ჩემი თავი, თუ რაიმეთი დაგეხმარო... კარგი, ჰო, რატომ „დაიგროუხე“? უბრალოდ, გესუბრები. არა, გესუბრები კი არა და, აილე, ქალო, ნიგნი და რაზე ისწავლე, თორემ მოვიდა გამოცდების დანაწიბი დრო და კიდევ გარეთ დარჩები! მერე, სექტემბერში მოდი „ჯავახიშვილის“ ეზოში და ბაბთა გამისწორე, თუ მომებრიცება. მერე მე ინსტიტუტში შევალ, შენ კი სახლში წახვალ. გინდა, ასე მოხდეს?.. ისე, მიდი, რა, იმეცადინე, გოგო ხარ მაინც, თან ალბათ, მალე დედა გახდები და „ტეხასე“, შვილი რაღაცას რომ გკითხავს და ვერ უპასუხებ. მერე პატარას მამასთან გაუშვებ, — იმას ეცოდინებაო და აუ, მამასაც თუ არ ექნება პასუხი მის კითხვაზე... აუ, დედა, შვილო, როგორ დაიტანჯება!.. ხომ ხედავ, ნასწავლი აღარავის უნდა და უსწავლელი, მით უმეტეს, ვის სჭირდება?.. აბა, შენ იცი, მონიღომე და „სტუდენტკა“ გახდები.

გაფიონა:

„აბიტურიენტკა, შენც ჩემს პონტში ყოფილხარ. 2 წელია, შენსავით ვწავლობ, მაგრამ არაფერი გამოიმდის. იმედია, წელს მაინც გაგვიმართლებს. ისე, გამოცდების დროს მაგრად ვიხალისე ბოლო გამოცდაზე მაგარ კაიფში შევედი და დამკვირვებლები გადავრეი :) აი, ასე ვმამიუნობ და როგორ ჩავებარებდი? ლმერთი შენკენ!“

ყოფილი აბიტურიენტი:

„გამარჯობა! თქვენს ჟურნალს ხშირად ვკითხულობ. ძალიან მაინტერესებს თანატოლების პრობლემები. მინდა, აბიტურიენტკას ვურჩიო, რომ არ ინერვიულოს. მთელი აბიტურიენტობის პერიოდში სიზარმაცეს ვებრძოდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. შესაბამისად, ძალიან ვერვიულობდი. საბედნიეროდ, გამოცდებზე საკუთარი თავის ხელში აყვანა მოვახერხე და მალევე ქულებიც დავაგროვე. მთავარია, საკუთარი თავის იმედი არ დაკარგო“.

მელანონი:

„გამარჯობა, გენაცვალე. მეც აბიტურიენტი ვარ და ვიცი, რა ძნელია ეს ყველაფერი... თან, გამოცდაზე პირველად უნდა გავიდე და ამის გამო, ზოგჯერ ტირილი მინდებოდა, ისე ვერვიულობ... მინდა გითხრა, რომ წელს ჩაბარების დიდი შანსი გვაქვს! კონკურსი არც ისე დიდია და გვეროდეს, აუცილებლად ჩააბარებ! გირჩევ, ყველაფერი იოლად მიიჩნიო და მერნშუნე, რთულ საქმეებსაც ადვილად დასძლევ“

ლალიტა:

„ლიტა, იმედია, დამიბეჭდავ, არ „დამბლოკავ“... სტუდენტობა მართლა კარგია. სიზარმაცე ცოტა ხნით მაინც დაივიწყე, საკუთარ თავს ძალა დაატანე და მალე სტუდენტი გახდები“.

აფხაზეთის პრინცესა:

„„პრივეტ“, ლიკუ. როგორც ხარ, ძვირფასო?... მინდა, აბიტურიენტკას გამოვეხმაურო: მართალია, აბიტურიენტი ვერ არ ვყოფილვარ და არა მგონია, რაიმე ღირებულ ი გირჩიო, მაგრამ მაინც, მინდა გითხრა, — არ ინერვიულო, კარგად მოემზადე და ყველაფერი ხუთიანზე გამოვა“.

ელენიკა:

„მე არც გამოცდები ჩამიბარებია და არც აბიტურიენტი ვარ, მაგრამ შენმა მესიჯმა ჩემი ნათესავი გამახსენა: არც ის გიყუდებოდა სწავლაზე, სამაგიეროდ, ნიჭიერი, ჭკვიანი იყო. მან თავისი სიზარმაცის გამო გამოცდები ვერ ჩააბარა და დაიწყო ჯოჯოხეთი: მეგობრები და დაცნიოდნენ, არაფრად აგდებდნენ... მხოლოდ მაშინ მოვიდა აზრზე, როცა ყველაფერი თავზე დაემხო. ჯობს, ახლავე აილო ნიგნი ხელში და ბევრი იმეცადინო, თორემ მერე გვიან იქნება და ჩემი ნათესავით დეპრესიაში ჩავარდები“.

ბია:

„აბიტურიენტკა, ძალიან სუსტი ნებისყოფის გოგო ყოფილხარ. ნუ გვაგიჟებ, რა... თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, ამისთვის უნდა იბრძოლო კიდევ. მეც აბიტურიენტი ვარ და არაფერს ვიშურებ იმისთვის, რომ სტუდენტი გახდე. ჰე, ახლა აილე ტესტები და მთელი დარჩენილი დრო მეცადინეობას დაუთმე. ბიჭების უმრავლესობას უჭკუო გოგონები არ მოგვინოს“.

პროვოკატორი 2:

„პრივეტ“, ლიკ! დიდი ხანია, შენთან არ გამოვჩენილვარ (საზღვარგარეთ ვიყავი და „გზის“ ნაკითხვის საშუალება არ მქონდა), მაგრამ ახლა დაგიბრუნდი და იმედია, არ „დამბლოკავ“. გავიყვდი: მგონი, ეს ჩემი თანატოლები ჭკუაზე აღარ არიან. არ იციან, რა უნდათ ან რისთვის სჭირდებათ ის ტვინი, რომლითაც უფალმა ისინი დააჯილდოვა აბიტურიენტი რომ იტყვის, სიზარმაცე შემიპყრო, ვერ ვმეცადინებო და იქნებ, გამოცდების ჩაბარებაში თქვენი რჩევა გამომადგესო, შენი აზრით, ჭკუათამყოფელია? ჩვენგან სტუდენტად გახდომის რეცეპტს ელის თუ „გზის“ ჯადოქრობის იმედი აქვს? ამას ჯობია, თავი ნიგნებში ჩარგო და მობიღურის არსებობა ცოტა ხნით მაინც დაივიწყო, თორემ სიზარმაცის გარდა, ამ ცხოვრებაში არაფერი შეგარჩება“

„ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ იძულებულია, ცოლად სხვა მოიყვანოს“

„ის გოგო სიმთვრალეში დაუწვა ჩემს „ლოვეს“...“

შორა:

„გამარჯობა. თქვენგან რჩევის მიღება მეც ძალიან მჭირდება, მეტად კი — ბიჭებისგან. ცუდად არ გამიგოთ, უბრალოდ, მათი აზრი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია. 3 წლის განმავლობაში ვიყავი შეყვარებული ბიჭზე (პირობითად, ბექა დავარქვათ), რომელიც ჩემს საქმროდ მიიჩნეოდა. ის მოჭიდავეა და ათენში ცხოვრობს. ჩემს სანახავად ხშირად ჩამოდიოდა, ერთმანეთი უზომოდ გვიყვარდა, მაგრამ რამდენიმე თვის წინ დავშორდი. მიზეზი მარტივია: ვილაც გოგოსგან შეილს ელოდება. როგორც ამისნა, — მე ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ იმ ქალის მშობლები უჩივიან და ამიტომაც იძულებულია, ცოლად მოიყვანოს. როგორც გავიგე, ის გოგო ჩემს „ლოვეს“ სიმთვრალეში დაუწვა. ალბათ, ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი! ბექა თავდავიწყებით მიყვარდა და ამიტომაც, ყველაფერი ვაპატიე. ვუთხარი: ბავშვი გააჩინოს, პატარას გვარიც მიეცე და მამობაც გაუწიე, ოღონდაც ცოლად ის ქალი კი არა, მე მომიყვანე-მეთქი. უარი მითხრა... დეპრესიიდან დიდხანს ვერ გამოვედი, ძალიან ცუდად ვიყავი და რომ არა ოჯახის წევრები, არ ვიცი, რა დამემართებოდა... ბექა ამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალა. ბოლოს რომ ველაპარაკე, ათასი საზიზღრობა მითხრა, შემიდეგ კი დასძინა: უკვე დავინიშნე, მარტში ბიჭი გვეყოლება, მე ბედნიერი ვარ, შენ რას შვრები, არ თხოვდები? მგონი, დამცინის. არ ვიცი, რა გავაკეთო, ძალიან დავიტანჯე. თქვენი აზრით, მართლა აღარ ვუყვარვარ და იმ გოგოსთან ბედნიერია? თავის დროზე ხომ თქვა, — „შემეტყნაო“. ჰოდა, ბედნიერი როგორ იქნება? თქვენი აზრით, მართლა, ბავშვის გამო მიმატოვა თუ უბრალოდ, ამ გზით, იოლად მომიცოლა თავიდან? იმედია, ამ წერილს დამიბეჭდავთ, რადგან თანატოლების (და არა მარტო მათი) დახმარება ძალიან მჭირდება. ოღონდ იმას ნუ მირჩევთ, ის ბიჭი „დაივიდეო“, რადგან იმას, რაც ჩვენ შორის 3 წლის განმავლობაში ხდებოდა, ვერაფრით დავივიწყებ. წინასწარ გიხდით მადლობას“.

P.S. თუ შორეს წერილის ნაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (სადაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ წრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ. ■

პიჭი, ყველასგან გაეოჩეული,

საგელისწეპო ქუჩნაღლისსუპი ღავალეკა ღა 20 წლისთავი კოლას პარეუე



ვაშინგტონში, თეთრი სახლის ეზოში ჰილარი კლინტონმა სხვადასხვა ქვეყნის ცხელ წერტილში დაღუპული ჟურნალისტებს მემორიალი აუგო. პოსტსაბჭოური სოფრიდან იქ მხოლოდ ერთი — დათო ბოლქვაძის სახელია ამოტიფრული...

ირმა ხარშილაძე

ნათელი სახე ჰქონდა, ღიმილიანი. მოსიყვარულე იყო და ჩემს თაობაში ერთ-ერთი საუკეთესო. მას კლასსა და უბანშიც ბოლას ეძახდნენ. და ვინ წარმოიდგენდა, რომ 1975 წლის პირველ სექტემბერს თბილისის 126-ე საშუალო სკოლის „0“ კლასში ტყუპისცალ დაიკოსთან ერთად, თეთრ პერანგსა და რუსეთიდან მამიკოს ჩამოტანილ ჰალსტუხში გამოპრანჭული პატარა ლამაზი ბიჭი, დატალღული გრძელი თმით, მსოფლიოს ააღაპრაკებდა?!

ცოტა ხნის წინ სკოლის დამთავრების 20 წლისთავი აღნიშნეს. ძალიან უხაროდათ ერთად ყოფნა, ოღონდ მათთან ბოლა არ იყო, ან სულაც, თითოეული მათგანის გულში იყო და ამიტომ წამდაუნუმ მასზე ლაპარაკობდნენ. გადავწყვიტე, დღეს მის კლასელებთან მეც ბოლაზე მელაპარაკა. „კლასში“ ორი დამხვდა — ერთი, რომელიც მუდამ მის გვერდით იჯდა — ტყუპისცალი ნინო და მეორე — თათული მეტონიძე.

ნინო ბოლქვაძე:

— კარგად მახსოვს, მაშინ ჩემს თანატოლ ბიჭებს მოკლედ აკრეჭილი თმა ჰქონდათ, წესით, ასე უნდა ევლოთ სკოლაში. დათო პატარაობიდანვე მოზრდილ თმას ატარებდა, ძალიან უხდებოდა და დედა არ სჭრიდა. მას ვერც პირველ სექტემბერს „შეელიენ“ და დათოც ძალიან „ლამაზად“ გამოიყურებოდა. მეც ურჩი გახლდით — ვერ ვიტანდი ბავთას, არადა, აუცილებლად უნდა გვეკეთებოდა თმაზე, მაინც არ გავიკეთე. ჩემს კლასელ ნინო ბუთლიაშვილს კი აშკარად თავისზე დიდი ბავთა ეკეთა, თანაც — ლითონის სარჭზე უცნაურად აცმული. ერთ-ერთი ფოტოს გადაღებისას, მახსოვს, ნინოს თმიდან ამოაძრეს ეს ბავთა და

მე ჩამარჭვეს (იციინის)... თათული (მიუბრუნდა თანაკლასელს), მეორე ტყუპი — ლაშა და ლანა გახსოვს?

თათული ვატიონიძე:

— როგორ არ მახსოვს?! ჩვენი კლასელები და-ძმა ჯიბლაძეები! წარმოიდგინეთ, ორი ტყუპი ქალ-ვაჟი გვყავდა კლასში.

ნინო:

— რატომ გამახსენდნენ, იცით? მე და დათო ყოველთვის ერთად ვისხედით ბოლო მერხზე. მერე მასწავლებელმა რატომღაც დაგვყო ტყუპები და მე ლაშასთან გადმომსვა წინ, პირველ მერხზე, დათოსთან კი ლანა დასვა. ლაშა ძალიან ცელქი იყო — აი, ხულიგანს რომ ეძახიან, ისეთი. აუღებელი ციხესიმაგრე იყო, ამიტომაც ძალიან „ავიჯაგრე“. დავინწყეთ საკონტროლოს წერა...

— რამ გაგაბრაზათ — ლაშას გვერდით რომ დაგსვეს თუ პირველ მერხზე რომ უნდა გენერთა საკონტროლო?

— ლაშა ისეთი ცელქი იყო, ვიცოდი, წერისას ხელს შემიშლიდა. სულ ცმუკავდა. ამ დროს, დათოს აშკარად გაუმართლა — ლანა სრულიად განსხვავდებოდა ძმისგან და ძალიან განონასწორებული და მშვიდი გოგონა იყო. მოკლედ, წინათგრძნობამ არ მიღალატა და ლაშამ შუა წერისას რატომღაც, რვეული გამომგლიჯა, მე ხელში კალამი მეკავა და ჩემი რვეული გაიხაზა. ყველაფერთან ერთად, თმაც ჩამოქაჩა. უეცრად უწინდან დათომ ისკუპა, დაეტავა ჯიბლაძეს, ეცა თმაში და გარეთ გაათრია. ატყდა ერთი ამბავი. წამოგზტით ყველანი და გარეთ გაცვივდით. მასწავლებელიც დაიბნა: ხან „ჯიბლაძეს“ გაპყვიროდა, ხან — „ბოლქვაძეს“. საბოლოოდ, მასწავლებელიც მიხვდა, ჩვენი ერთად ჯდომა რომ აღარ შეიძლებოდა და დათოსთან დამაბრუნა

(იციინის)... თათული, იცი, კარგა ხანს, ნათია და ლელაც რომ ტყუპი მეგონა?

თათული:

— ერთი წელი იყო მაგათ შორის სხვაობა, მაგრამ ერთად შემოიყვანეს სკოლაში.

— მოკლედ, ოჯახური „კლანე-ბი“ გქონიათ კლასში.

— ეს ურთიერთობაში არ იგრძნობოდა. უბრალოდ, დათო მოჭარბებულად ყურადღებიანი და თბილი იყო. და არა მარტო დის მიმართ.

— გოგონები არ ეპრანჭებოდით? თუ ნინო გიშლიდათ ხელს?

— კლასელ ბიჭებს საერთოდ არ ვეპრანჭებოდით. მგონი, არც გვეოლია შეყვარებული წყვილი. სხვა კლასის გოგონები და ბიჭები უფრო აქტიურობდნენ ამ მხრივ.

— კლასში და-ძმები არ ჩხუბობდით ხოლმე?

ნინო:

— სხვათა შორის, არა. მაგალითად, მე და დათო შინ უფრო ვკინკლაობდით.



მე და დათო შინ უფრო ვკინკლაობდით. ისიც — ჩემი მიზნით. დათო საოცრად დამთბობი იყო, მე პირიქით — უჯიგესი

ისიც — ჩემი მიზეზით. დათო საოცრად დამთმობი იყო, მე პირიქით — უჯიუტესი. მახსოვს, მარტო ვიყავით შინ და იმდენი ვქენი, წონასწორობიდან გამოვიყვანე. გამომეკიდა, საძინებელში შევასწარი, მაგრამ კარის მოჯახუნებისას თითები მოვაყოლე შიგ. არადა, მეც შემეშინდა — ისე გავამწარე, რომ დავეჭირე, დამჭმუჭნიდა (იციინის). საცოდავი, მთელი ხმით ყვიროდა: ხელი, ხელი! მაშინვე გავაღე კარი, შიშისგან ტირილი დავინწყე და ვვხვებოდი, მაპატიე-მეთქი. ცივ წყალშიც ჩავაყოფინე ხელი... მაპატიე, როგორც ყოველთვის. დიდი მოთმინების უნარი ჰქონდა.

თათული:

— ჩვენთანაც ასეთი იყო. მაგალითად, სხვა ბიჭები უფრო უხეშობდნენ, დათოსგან მსგავსი არაფერი მახსოვს.

ნინო:

— ლამა ჯიბლაძეზე რომ მოგიყევით, კლასში გვყავდა ასეთივე მოუსვენარი და ცელქი, ახტაჯანა გოგო — მანანა სხარულიძე. მგონი, მეექვსე-მეშვიდე კლასში ვიყავით, ზამთარი იყო, რადგან მახსოვს, საკიდარზე პალტოები ეკიდა. ზარი დარევილია, გაკვეთილი უნდა დაიწყო და მასწავლებლის შემოსვლას ველოდებით. დათო მავნე ნამდვილად არ იყო, არ ვიცი, რა დაუშავა მანანას მანამდე, მაგრამ ვხედავ, რომ მანანა ახტა მერხზე — ამ დროს დათო, დაჩოქილი, ზონარს იკრავდა — და მთელი ძალით, წიგნებით საცხე ჩანთა ჩაარტყა თავში. დათო უცებ გაითიშა. მე ჩემს ძმას კი აღარ ვუყურებდი, კატასავით გადავხტი მერხიდან მერხზე, ვწვდი მანანას და თმაში ისე ჩავაფრინდი, რომ ვერც კლასელებმა და ვერც მასწავლებელმა ხელი ვერ გამოშვებინეს. ბოლოს, როგორც იქნა, გავხსენი მუშტი და მანანას თმის ბლუჯა მქონდა ხელში. კლასელები მეუბნებოდნენ, შემოლილის სახე გქონდაო. დათო კი მალე მოეგო გონს, მაგრამ მერე მგონი, სანყალი მანანა გახდა მოსასულიერებელი, ისე შეეშინდა (იციინის).

როგორი მოსწავლე იყო დათო?

— ზარმაცი მართლა არ იყო. ჰუმანიტარული საგნები განსაკუთრებულად უყვარდა, ხაზვა მაგრად ეხერხებოდა. კლასელის დედა გვასწავლიდა ხაზვას და მახსოვს, საკონტროლოზე რომ დაინახა, ვერაფერს ვაკეთებდი, შენუხდა, თავისი ნახაზი მიატოვა და ჩემს ფურცელზე დაიწყო ხაზვა. ამასობაში ზარის დაირევა და ნახაზები ჩამოგვართვეს. როგორც ჩანს, მასწავლებელს არ გამოორჩენია დათოს „თავდადება“ და მას დაუმთავრებელ ნახაზში ხუთი დაუნერა, მე კი — დათოს გამო — სამი, თუმცა ნამდვილად მეკუთვნოდა ორი. საერთოდაც, ჩემი გულარეობის გამო დათო ბევრჯერ განითლებულა, მაგრამ მე ეს არ მენალვებოდა.



დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომის გასაშუქებლად გაგზავნეს. შეიარაღებული ყოფილა, ოღონდ... გელეკამერით. ამისთვის აწამეს და დახვრიტეს საჯაროდ, ხობის მოედანზე 28 ოქტომბერს...

თათული:

— საერთოდაც, დათო უკეთესი მოსწავლე იყო. ასე არ არის, ნინო?

ნინო:

— ყოველ შემთხვევაში, თუ რაღაცას არ ისწავლიდა, წუხდა მაინც ამის გამო. კიდევ, იცი, რა გამახსენდა (იციინის)? მერვე კლასში გამოცდა გქონდა მათემატიკაში. სპორტულ დარბაზში ვისხედით. მე რისი დამწერი ვიყავი? სულ ქესანავილისგან ვინერდი. ჰოდა, გამრავლებისტაბულისანი კალმები გქონდა და უწეროდა და დაწერილი „შპარგალკა“ სწორედ იმ კალამში ჩავდე. სხვათა შორის, მაშინ „შპარგალკა“ დათოსაც ჰქონდა, ყოველი შემთხვევისთვის. მათემატიკას ზაურ ნიკლაური გვასწავლიდა და ძალიან კარგად იცოდა ჩემი შესაძლებლობები. კაცი ხედავდა, გამოცდაზე რომ ვწერდი და გაგიჟდა: ოღონდ მაჩვენე, საიდან იწერ და უსინდისო ვიყო, თუ წაგართვა „შპარგალკა“!.. მაინც ვერ გამომტყხა (იციინის). მერე დამემუქრა: რომ დაგიჭერ, საერთოდ გაგაგდებ გამოცდიდანო. ამაზე დათო განერვიულდა და მესვენებოდა: ნინო, გთხოვ, აჩვენე, მართლა არ დაგიჭიროს და არ გაგაგდოსო... დათოს, ჩემგან განსხვავებით, პასუხისმგებლობის გრძნობა მოჭარბებულად ჰქონდა.

„შატალოებს“ აწყობდით?

თათული:

— მთელი კლასი ერთად მივდიოდით, ხუთოსნებიც და ოროსნებიც.

ნინო:

— ერთხელ, მეექვსე თუ მეშვიდე კლასში ვიყავით, ფუნიკულორზე ავედით ფეხით და იქიდანაც კლდეზე ფეხით დავვეშვი. ახლაც მემინია, რომ მახსენდება (იციინის). ერთი კლასელი — გორელიშვილი კინალამ დაგვიგორდა. ფეხსაცმელებს ქუსლები აღარ ჰქონდა, მგონი, ტანსაცმელიც დაგვეხა... მაშინ მკაცრად დავისაჯეთ.

— კომკავშირში რომელ კლასში მიგიღეს?

— არ მივუღივართ. მე და დათომ ამ საზეიმო ცერემონიის წინაღულს „ოჯახური შატალო“ დავგვამეთ, წინასწარ წამოვიღეთ სახლიდან ორი ცალი თერმომეტრი, ორივე მაღალ გრადუს ტემპერატურას „უჩვენებდა“ და დილითვე ჩავაკითხეთ სკოლის ექიმს ჩივილით, — მგონი, სიცხე გვაქვს-თქო... ექიმმა სიცხის საზომების განკუთვნილი ჭიქიდან ამოიღო ორი ცალი წითელზოლიანი თერმომეტრი და მოგვანოდა. ოსტატურად შევცვალეთ „სასკოლო ინვენტარი“ საკუთარით და ილიაში ჩავიდეთ. რაღაც დროის მერე, ექიმმა გამოგვართვა თერმომეტრები, დახედა, შეიცხადა, — მაღალი სიცხე გქონათო! — და როდესაც ჭიქაში ათავსებდა, შენიშნა, რომ ამ თერმომეტრებს წითელი ზოლის ნაცვლად, ლურჯი ჰქონდა (იციინის). საუბედუროდ ჩავცვივდით და უმკაცრესად დავისაჯეთ — „ულირსი“ მოსწავლეები კომკავშირში არ მიგიღეს!.. მე მგონი, ნელ-ნელა მახსენდება ამბები. თათული, მიშა ჭავჭავიძე ხომ გახსოვს? მოკლედ, მეშვიდე კლასში ყოფნისას, ერთ მშვენიერ დღეს მასწავლებელი გვეუბნება: ბავშვებო, ჩვენ ახალი მოსწავლე გვყავს, გაიცანით... ამ დროს კლასში შემოდის... ტიპი, ბავშვი კი არა. ჩვენი ბიჭები მაშინ მამლაყინებით იყვნენ, ხმაში



დათოს, ჩემგან განსხვავებით, პასუხისმგებლობის გრძნობა მოჭარბებულად ჰქონდა

ნელ-ნელა „ყიცილიყო“ ერეოდათ და მათ ფონზე შემოდის მიშა ჭავჭავიძე — წვერიანი კაცი. გავეშტერდით... მეორე დღეს მოდიან ჩვენი ბიჭები სკოლაში, „დაჩენილი“ სახეებით — საცოდავებს ლინლიც კი არ ჰქონდათ და თავის კჭუაში, პირი გაუპარსავენ (იციინიან). მახსოვს, ერთი საათი იყო დათო ტუალეტში შეკეტილი, რა ვიცოდი, რას აკეთებდა?! მერე ძალიან დაფუშებოდა მისას. საერთოდაც, ყველანი მეზობლები და უზნელები ვიყავით, ამიტომ უმრავლესობა დღემდე ვმეგობრობთ. ნინო ბუთლიაშვილი იხსენებს ხოლმე: „ჯაჟა-ფშაველა“ რომ გადაკეტილი იყო და ქავთარაძის ქუჩაზე ტრანსპორტი კან-

ტიკუნტად დადიოდა, დათო ხშირად მხვდებოდა გაჩერებაზე და არ არსებობდა, სამსახურამდე არ მივეცილებინეო.

— მუსიკაზე ან ცეკვაზე არ დადიოდით?

— როცა მოვიწადინე მუსიკაზე სიარული, დედამ მიმიყვანა კიდეც და ფორტეპიანოს ჯგუფში ჩამრიცხეს. მერე დათომაც მოინდომა და როცა სმენა გაუსინჯეს, დედას ძალიან მოკრძალებით აუხსნეს: ძალიან ლამაზი და კარგი ბიჭია, მაგრამ სმენის რა მოგახსენოთ;

ანსამბლი „ვაი, ყურო“ შეარქვა — აქედან განსაჯეთ, რა ნიჭიერები ვიყავით (იცინის). არც ცეკვაზე გვივლია, თუმცა კარგად გამოგვიდიოდა — ჩვენი ვისწავლეთ.

— თიბის სამხატვრო სკანავლებში რატომ გადახვედით? — ოროც გიყვარდათ ხატვა?

— მე გობელენი მაინტერესებდა, დათომ ძერწვა აირჩია, ხატვაც გვეხერხებოდა... მერე დათო ჟურნალისტიკით დაინტერესდა, ტელევიზიაში დაინყო მუშაობა, 1991 წლიდან — „მე-

რიკული სააგენტოს WTN-ის („მსოფლიოს სატელევიზიო ახალი ამბები“) კავკასიის ბიუროში მიიწვიეს და მეორე დღესვე დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომის გასაშუქებლად გაგზავნეს. შეიარაღებული ყოფილა, ოღონდ... ტელეკამერით. ამისთვის ანამეს და დახვრიტეს საჯაროდ, ხობის მოედანზე 28 ოქტომბერს... იცით, ჩვენი კლასი სკოლის პერიოდში არაფრით ყოფილა გამორჩეული, ჩვეულებრივი ბავშვები ვიყავით. სკოლის დამთავრების შემდეგ, როცა გოგონები დაექაღდით, ხოლო ბიჭები დაკაცდნენ, უფრო დავახლოვდით, ერთმანეთიც მეტად დავაფასეთ. დათოც, ლევან გაგუაც, ცეცე — გიორგი ეფრემიძეც, თამაზ შოშიაშვილიც თითქოს უფრო დამეგობრდნენ. სხვათა შორის, ირაკლი ბათიაშვილის მეუღლე — მაია ფანჭულიძეც ჩვენს კლასში იყო.

თათული:

— ხუთი წლისთავი პლესანოვზე, ნინოს და დათოს სახელოსნოში გადავიხადეთ, თითქმის ყველანი ვიყავით. შედარებით ადრე მომინია წამოსვლამ და დათომ გამოამაცილა. ვერაფრით გადავაფიქრებინე და სახლამდე მომევა... რალაცნაირი, განსხვავებული იყო. ვცდილობ, რომელიმე კონკრეტული მომენტი გავისხენო, მაგრამ არ გამომდის. მახსოვს მხოლოდ ის, რომ ის იყო დასაყრდენი, უთბილესი, ზრდილობიანი ადამიანი, მთლიანობაში განსაკუთრებით გამორჩეული...

თბილისში, ვაჟა-ფშაველას VII კვარტალში, პატარა სკვერია, რომელსაც დათო ბოლქვაძის სახელი ჰქვია. იქვე მისი ბიუსტი დგას. იმ ასაკის დათოა გამოქანდაკებული — როგორც დღეს იქნებოდა... წლების წინ კი დათო ბოლქვაძის სახლზე სამხატვრო აკადემიის პროფესორს — ბეჟან სულხანიშვილს მემორიალი გაუკეთებია, რომელზეც ავტორს 24 წლის დათო თითქოს გაუცოცხლებია, ყელთან კი დაფნის ფოთლის ორნამენტით მოურთავს. საოცარი რამ მომხდარა: დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ, ქალბატონი ლია ისიანი — დათოს დედა შვილის ნახატების დათვალიერებისას ზუსტად ასეთსავე ორნამენტს წასწყდომია, დაურევავს ბეჟან სულხანიშვილისთვის და სასწრაფოდ მისვლა უთხოვია. ბატონ ბეჟანს უნახავს და გაოცებულია: ამას აქ რა უნდა, ეს ხომ მე დავხატეო!.. როდესაც შეუტყვია, დათოს ნამუშევარი იყო, გაოგნებულია: ამ ღვთიურ ბიჭს ყველაფერი ქვეცნობიერად, თავისთვის მოუშადავებია და მე უბრალოდ, ქანდაკების შექმნისას სურვილი შევუსრულო... დღეს ეს მემორიალი აღარ არსებობს — მოიპარეს. დათოს შექმნილი დაფნის ფოთლები კი დარჩა ერთი ლამაზი და კეთილი ოქროსქორიანი ბიჭის ამბის უსასრულოდ გამრძელებლად. ამ ამბავს „ბოლა“ ჰქვია.



20 წლისთავი დათოს გარეშე — ნინო, ქალბატონი ლია, თათული

თუ გსურთ, კონტრაბასის ჯგუფში ჩავრიცხავთო. გაგიჟდა დათო და ასე დარჩა მუსიკალური სკოლის გარეთ. მახსოვს, სახლში ბიძაჩემი გვამღერებდა ხოლმე და ჩვენს შემოქმედებას დედამ

ორე არხის“ რეჟისორის ასისტენტი და ტელეოპერატორი გახდა... აფხაზეთის ომში უნიკალური კადრები გადაიღო და... ცოცხალი გადარჩა. 1993 წლის 24 ოქტომბერს სამუშაოდ ამე-

კალიდოსკოპი

მსოფლიოში ტბოლვილთა რაოდენობა რეკორდულ ზღვარს მიადგია

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ (Norwegian Refugee Council) 2007 წლის მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, 26 მილიონი ადამიანი საკუთარ სამშობლოში კვლავაც იძულებით გადაადგილებულ პირად რჩება. 1990 წლის შემდგომ, ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია! ჰუმანიტარული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჩეჩენი დევნილების რაოდენობა 159 ათასიდან 137 ათასამდე შემცირდა. ანგარიშის ავტორები ამ ტენდენციას ლტოლვილთა ნაწილის სამშობლოში დაბრუნებითა და ხელისუფლების მიერ დევნილთა აღრიცხვიდან მოხსნით ხსნიან. კვლევის შედეგებში აღნიშნულია ისიც, რომ წინა წლებთან შედარებით, ჩეჩენთში უსაფრთხოება ოდნავ მაინც განმტკიცდა, ინგუშეთში კი პირიქით, სიტუაცია გამწვავდა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან იძულებით გადასახლებულებს რუსეთის სხვა რეგიონებში ამრეხით ხვდებიან. მოხსენებაში მოყვანილი მონაცემების თანახმად, 52 ქვეყნის მოქალაქეებმა საკუთარი საცხოვრებელი იძულებით დატოვეს. ყველაზე მეტი ლტოლვილი აფრიკაშია (19 ქვეყანაში — 12,7 მლნ ადამიანი); კოლუმბიას 4 მლნ ლტოლვილი ჰყავს, ერაყს — 2,5 მილიონი. 10 მილიონ დევნილს საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებისგან ჯეროვანი დახმარება არ მიუღია.



რუმბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

გასტრიტი — საგაზაფხულო საფრთხე

გაზაფხული კუჭთან დაკავშირებული ყველა პრობლემის ტრადიციული გართულების დროა. ეს პრობლემა განსაკუთრებით სერიოზულად დიდ ქალაქებში დგას, რადგან იქ ადამიანების უმეტესობა წახემსებაზეა გადასული და ძირითადად, მშრალი საკვებით იკვებება. ამიტომაცაა, რომ ასეთი ქალაქების ლამის ყოველ მეორე მცხოვრებს გასტრიტი აწუხებს.



როგორ იწყება?

გასტრიტი კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებით, კუჭის წვენიდან და მარილმჟავას გამოყოფის მატებითა და ნაწლავებში საკვების ნორმალური გადაადგილების დარღვევით იწყება. შედეგად, საკვების ყოველი მიღების შემდეგ, ადამიანს მუცლის ზედა ნაწილში ტკივილები ეწყება. ბაქტერიულ გასტრიტს კი შიმშილის დროს და ლამის საათებში ტკივილებიც ახასიათებს. გასტრიტის გამწვავებას შეიძლება, პირლემბინება, სისუსტე, თავბრუსხვევა და კუჭის მოქმედებაში ცვლილებებიც მოჰყვეს. მძიმე შემთხვევებში კი არც კუჭში სისხლდენაა გამორიცხული. გასტრიტი იმიტაც ძალიან საშიშია, რომ ეს პროცესი ბოლომდე თავისით არასდროს გადის და შეიძლება, ლორწოვანის ატროფია, კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულიც გამოიწვიოს. უმეტეს შემთხვევაში გასტრიტს მიკროორგანიზმ *Helicobacter Pylori* (HP)-ის გააქტიურება იწვევს. მოსახლეობის თითქმის ნახევრის კუჭში უკვე ისედაც არსებული ეს ბაქტერია არასახარბიელო ფაქტორების გაჩენისთანავე აქტიურდება. HP-თი დედამიწის მოსახლეობის 60 (ცალკეულ ქვეყნებში კი 70-80) პროცენტამდე დასნებოვნებული. ის ადამიანიდან ადამიანზე ხშირად ჭურჭლის (განსაკუთრებით კოვზის) მეშვეობით, სასმლის (ბოთლიდან) სმისას გადადის. დას-

ნებოვნება ადამიანის კოცნის ანდა ბაქტერიის მატარებელთან ხანგრძლივი (სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე) კონტაქტის დროსაცაა შესაძლებელი.

ინფიცირება ბავშვობის ასაკში იწყება და მაქსიმუმს ზრდასრულობისას აღწევს. ასე რომ, როგორც წესი, საქმე გასტრიტის გაჩენასთან კი არაა, უფრო მის გამწვავებასთან გვაქვს, რაც არასახარბიელო ფაქტორებით (კვების მოშლა, ნერვული დაძაბულობა) და მავნე ნივთიერებების (ალკოჰოლი, მონევა, ფარმაცოლოგიური პრეპარატები და ა.შ.) მოქმედებითაა გამოწვეული.

კიდე რა ახდენს ავადმყოფობის პროვოცირებას?

- ◆ არასწორი და არარეგულარული კვება: პირველ რიგში წვნიანზე უარის თქმა, მშრალი, ცხარე, ძალზე ცივი და ცხელი საკვების მიღება.
- ◆ გადაღლა, ნერვული დაძაბულობა და მომქანცველი ფიზიკური შრომა.
- ◆ ალკოჰოლი. ექიმს ყველაზე ხშირად ქეიფებისა და უხვი სმა-ჭამის (რომლის დროსაც ბლომად მიღებულ სასმელს ადამიანი ცხარე და ცხიმიან საჭმელსაც აყოლებს) მოყვარულები აკითხავენ.
- ◆ მონევა. ნიკოტინი კუჭის ლორწოს არღვევს და გასტრიტის პროვოცირებას ახდენს.
- ◆ ნამლების (მაგალითად, კუჭის ლორწოვანი გარსის გამღიზიანებელი

ასპირინის, ჰორმონალური პრეპარატებისა და ანტიბიოტიკების) მიღება.

რით უმჯობრდებით?

გასტრიტის დიაგნოზის დასასმელად ექიმს, ჩვეულებრივ, სიმპტომებისა და მათი წარმოშობის სურათის აღწერაც ჰყოფნის. მკურნალობა კი უმეტეს შემთხვევაში წარმატებით სრულდება. თუმცა რიგ შემთხვევებში საჭირო ხდება კვლევის გაღრმავება, ამისთვის კი ყველაზე ეფექტური — გასტროსკოპიაა. გასტრიტის სიმპტომების გასაქრობად პირველ რიგში, დიეტის დაცვა და კარგად მოხარული საკვების ხშირად (დღეში 5-6-ჯერ) და ცოტა-ცოტა მიღებაა საჭირო. ექიმმა ავადმყოფს შეიძლება, კუჭის მუყავიანობის მოსაწესრიგებელი, ლორწოვანის დამცველი და კუჭიდან საკვების ევაკუაციის მომწესრიგებელი პრეპარატებიც დაუნიშნოს.

როგორ ვიკავივართ?

გასტრიტის გართულების დროს ექიმი განსაკუთრებული დიეტის დაცვას გვირჩევს. კეთილსინდისიერი პაციენტის (რომელსაც დაავადების დამარცხება მართლა სურს) მენიუ დაახლოებით ასე გამოიყურება:

- საუზმე:** შვრიის, მანანის ან ბრინჯის თხელი ფაფა ანდა ორთქლზე მომზადებული ომლეტი, რძიანი ჩაი ან კისელი.
- მეორე საუზმე:** თოხლოდ მოხარული კვერცხი ანდა ცოტა ხაჭო.
- სადილი:** ბოსტნეულის წვნიანი (უმჯობესია სუპ-პიურე), მოხარული ხორცი ან უცხიმო თევზი, ანდა ორთქლზე შემწვარი კატლეტი, მაკარონი; კომპოტი ანდა მოტკბო წვენი.
- სამზარი:** ფხვიერი ნამცხვარი, კეფირი, ყველი.
- ვახშამი:** წყლით მომზადებული კარტოფილის (ან ნებისმიერი ბოსტნეულის) პიურე, ხილის ჟელე.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფაჩა	2 კვ.
1. რუსეთის ზღვარები	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.08	35.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.90	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.90	65.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.90	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	59.95	305.5
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

პრების გატრეკლების სააგენტო
 ქ. თბილისი
 თბილისის ქ. № 49
 ტელ: 42-43-40;
 38-26-73; 38-26-74.
 ფაქსი: 38-26-74
 ავრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები
 E-mail: elva@kivrispalitra.com

მეორე ვახშაბი (ლამით): ერთი ჭიქა კეფირი ანდა ჰაერლუმელში შემწვარი ვაშლი, თეთრი ორცხობილა.

პროლუქაბი, რომელთა მიღება გასტრონოს დროს არ შეიძლება:

პირველ რიგში, მჟავის შემცველი (მჟავე) პროდუქტები. აუცილებლად უნდა გამოირიცხოს მარგარინი და პროდუქტები, რომლებშიც ის იყო გამოყენებული (ანუ პრაქტიკულად ყველა საკონდიტრო ნაწარმი).

ცხარე და კუჭის სეკრეციის გამომწვევი პროდუქტები, გაზიანი სასმელები, ყავა, მაგარი ბულიონები, ლაბასხმული კერძები, კონსერვები.

კომბოსტო, კიტრი, ხახვი, ახალი პური, ყველანაირი ღვეზელი, ცხიმოვანი ხორცი, რძე, ქონი, სანელებლები, ყურძენი, შავი ქლიავი, მაგარი ჩაი, შემოღობილი ნაწარმი, შოკოლადი, ნაყინი, ალკოჰოლი.

სასარგებლო პროდუქტები:

თეთრი ორცხობილა, ყოლო, ხენდრო, მურაბა, კეფირი, თხიერი ფაფები, უცხიმო ბულიონები, პიურე, ხაჭო, მოხარშული ქათამი, ბოსტნეულის წენიანი, კაკაო, კისელი.

ყავის ყოველდღიური მოხმარება ტვინს იცავს

როგორც ჟურნალი Of Neuroinflammation იტყობინება, ჩრდილოეთ დაკოტის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყოველდღიურად ერთი ფინჯანი ყავის მირთმევა ჰემატოენცეფალურ ბარიერს მტკიცეს ხდის და ტვინს ქოლესტერინის მავნე ზემოქმედებისგან იცავს.



ჰემატოენცეფალური ბარიერი სისხლსა და ცენტრალურ ნერვულ სისტემას შორის არსებული ის ფილტრია, რომელიც ტვინს სისხლძარღვებში მოხვედრილი ტოქსინებისა და მიკრობებისგან იცავს. კვლევებმა აჩვენა, რომ ქოლესტერინის სიჭარბე ჰემატოენცეფალურ ბარიერს უფრო შეღწევადს ხდის, რაც, თავის მხრივ, სიბერის ჭკუასუსტობის რისკს ზრდის.

კვლევაში მონაწილე მეცნიერები საცდელ კურდღლებს ქოლესტერინის მაღალი დონის შემცველი საკვებით კვებავდნენ. წყურვილის მოსაკლავად კი მათ ერთ ნაწილს ყოველდღიურად 3 მლ/გ კოფეინის (რაც ერთი ფინჯანი ყავის ეკვივალენტურია) შემცველ, დანარჩენებს კი ჩვეულებრივ წყალს აძლევდნენ. მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელ ჯონათან ჰეიგის ცნობით, 12 კვირის გასვლის შემდეგ, კურდღლებს, რომლებიც კოფეინთან წყალს იღებდნენ, ჰემატოენცეფალური ბარიერი ბევრად უფრო მტკიცე აღმოაჩნდათ, ვიდრე მათ იმ თანამოქმედებს, რომლებსაც ჩვეულებრივ წყალს ასმევდნენ. კურდღლების ტვინის ჰისტოლოგიურმა კვლევამ ტვინის მიკროგლიის უჯრედების — ასტროციტების აქტიურობის მომატება და აგრეთვე, ჰემატოენცეფალური ბარიერის შეღწევადობის შემცირება აჩვენა.

მეცნიერთა აზრით, ეს ახალი მონაცემები მედიცინას პირველ რიგში, ალცჰაიმერის დაავადების მკურნალობაში დაეხმარება. ამ ვერაგი დაავადების დროს ხომ ადამიანის სისხლში სწორედაც ქოლესტერინის დონის მომატება და ამის შედეგად ჰემატოენცეფალური ბარიერის დარღვევა ხდება.

სიასლა!

ჩანართი გათოვის, ვისაც

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

სასლუი პაპარა ჰყავს

მედიკის პედიატრი



შეკითხვები პედიატრს



0-დან 1-მდე



ბავშვის ფსიქოლოგია



როგორ შევუჩიოთ ბავშვს უაფა

შეაგროვე და აკინძე




შპს "საინფორმაციო ტექნოლოგიები"

24.04. - 30.04.2008

მუსიკონილები

გულმავიწყობის შედეგი

მე მას სიყვარული
სიძულვილიდან
ერთ დამეში
გადავწყვეთ
და ამისთვის
დავსაჯე...




მითაბი გაზაფხული



მთავარ მიზეზს, რის გამოც
ქალბატონები გრძელ
ქვედაბოლოებს იხდიან,
ქიმიური საფუძველი აქვს...

გზავნილ-სტუდია

არასოდეს დამჭირვებია
საყუთარი თავის დაცვა,
ჩემგან ყველა თავს შორს
იჭერს. სხვისი დაცვა უი
დამჭირვებია...



**უყავო ყავა
და სვანური
სტრიპტიზი
ანუ მოკითხვა
მიცვალებულებს**

**გულმავიწყობის
შედეგი**


მარი ჩაშარიძე

გუგუნა

„გამარჯობა. თქვენთან ვარ, როგორც შეგპირდით. პირდაპირ საქმეზე გადავალ და პირველ რიგში, მგელოს ვეტყვი, რომ არასწორად მოიქცა, როცა შუთუს ძმაკაცს მესიჯობა გაუბა. ახლა იყოს და იტიროს. ერთგულებას მამაკაცები ყველაზე მეტად ვაფასებთ. რაც შეეხება გრუზინკას, ძალიან საყვარელი ვინმეა. ეს გოგონა ალბათ ქისტია ან ჩეჩენი და მუსლიმანია. ვაფასებ, გრუზინკა რომ დაირქვა. რაც შეეხება იმ უსახელო ქალბატონს, რომელიც ვალიკოს სიყვარულს შეუპყრია, საქციელს ვერაფრით მოვუნონებ. თუ არ ვცდები, რამდენიმე ნომრის წინ ის ვალიკოს „მობილი-ზაციის“ საშუალებით ეძებდა (ისეთი სახელია, რომ იოლად დამამახსოვრდა). ერთი სიტყვით, მისი საქციელი არანაირ ნორმაში არ ჯდება. ქმარმა მოიტაცა, თურმე ვერ შეიყვარა და ამის გამო სხვა კაცთან დადის? თანაც, პატიმართან? მინდა, „დავამშვიდო“ და ვუთხრა, რომ ვალიკო აღარ გამოჩნდება. მან სამუდამოდ „დაახვია“. როგორც თვითონ ამბობს, ციხიდან 1 თვის წინ გათავისუფლებულა და მისთვის არც კი დაურეკავს (წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსაძებნი არ გაუხდებოდა). შეყვარებული ადამიანი ამდენი ხანი ვერ გაძლებდა. კაცი გამოვიდა, ოჯახში წავიდა და ახლა ცოლ-შვილში „გუგუნებს“. ვურჩევ, მის ძებნას თავი დაანებოს. ვიცი, ჩემი ნათქვამი არ მოენონება, მაგრამ სიმართლე მწარეა. ახლა წავედი; მარი მეტს მაინც არ დამიბეჭდავს. მომავალ „გზამდე“! კრიტიკოსი“.

„დროჟი“

„ერთხელ სოფელში ბიცოლამ დამასაქმა — შვილო, რაღაც-რაღაცები მაქვს საყიდელი და ნუ დამზარდები, მაღაზიაში გამეგზავნეო. თან დასძინა — რაც გინდა დაგავინყდეს, მაგრამ



გულმავიწყობასთან დაკავშირებით ერთი ჩემი ახლობლის ამბავი უნდა მოგიყვებო. რაჭველია, შტივილას ეძახიან. თავის ცოლზე ხშირად ჰყვება ხოლმე სახალისო ამბებს. ჰოდა, ეს ამბავიც მისგან ვიცი. ერთხელ ლალის ექიმმა ყოველდღიური პროცედურები დაუნიშნა. რა თქმა უნდა, დილაობით ექიმთან ქმარს მანქანით დაჰყავდა ხოლმე. პირველ დღეს, შინიდან გამოვიდნენ და რამდენიმე წუთში ლალის გაახსენდა, რომ უთო დარჩა ჩართული. უკან მიბრუნდნენ და სახლი ხანძარს გადაარჩინეს. მეორე დღეს ლალის შუა გზაში გაახსენდა უთო. ისევ მიბრუნდნენ და კიდევ ერთხელ გადაურჩნენ ხანძარს. მესამედ, უკვე საავადმყოფოსთან მისულს გაახსენდა და ქმარს მორიდებით სთხოვა: ვაიმე, უთო დამრჩა ჩართული და სანამ დროა, მივბრუნდეთო. — ქალო, მეზობლის უთო თუ დაგრჩა ჩართული, არ ვიცი და ჩვენი უთო აგერ მაქვს, თან წამოვიღეო, — უპასუხა ქმარმა და უთო თავისი სავარძლის ქვეშიდან გამოათრია...

ახლა კი თქვენი გულმავიწყობის შესახებ, მაგრამ მანამდე კრიტიკოსის მესიჯს შემოგთავაზებთ.

ხვალ პური უნდა გამოვაცხოთ და „დროჟი“ არ დაგავინყდესო. რადგან საყიდლების სია გრძელი იყო, თან ბიცოლას „დროჟის“ ჩანერა დაავინყდა, გზაში სულ „დროჟის“ ძახილით ვიარე, არ დამავინყდეს-მეთქი. ბედი არ გინდა? ყველაფერი ვიყიდე და „დროჟის“ სახელი დამავინყდა. არ ვიცოდი, რა მექნა. ჩემს ენაზე „დროჟი“ რა არის, ინჩიბინჩი არ ვიცი, მაგრამ როგორც ქალაქელმა, გონება დავძაბე და გამყიდველს ვუთხარი, საფუარი მინდა-მეთქი. მაშინ კი საქმე უფრო ცუდად წამივიდა. სანყალი გამყიდველი აზრზე ვერ მოვიდა, საფუარი რა იყო. დამდულრული გამოვბრუნდი. ბიცოლამ არც კი დააფასა ჩემი ნათრევი ნავაჭრი და მომახალა: უტვინო ქათამი ხარ, ერთი რამის ყიდვა დაგავალე და ეგეც კი ვერ იყიდეო. ჰოდა, ამ შემთხვევის მერე ვცდილობ,

ის მშობლიური, მაგრამ ჩემთვის საჭირო „უცხო სიტყვები“ უბის წიგნაკით ვატარო, რომ ჩემი ნათესაობისგან არცთუ უსამართლოდ წამოსროლილი ტერმინები ავიცდინო. „დროჟს“ კი ჩემს მშობლიურ ენაზეც „დროჟი“ რქმევია. გრუზინკა“.

გულმავიწყვი დედა

„სიყვარული ისეთი რამ ყოფილა, გულმავიწყობა რაა, უარესი რომ არ შემართება, მიკვირს. გუშინ ჩემთვის ვლინებდი და ფიქრებში ცაში დავფრინავდი. ჩემს სიყვარულზე ვფიქრობდი და წარმოვიდგინე ჩვენი შეხვედრის საოცარი წუთები. მაგ დროს ბავშვმა მითხრა, ლიმონათი დამისხიო. მეც ჭიქაში დავასხი, დავლიე და ჭიქა ადგილზე დავდგი. თვალებგაფართოებული ბავშვი და

ჩემთან სტუმრად მყოფი დაქალი გაოცდნენ. — ეგ რა გააკეთე, გამოფხიზლდი, სად დაფრინავ, რა გულმავინცი ხარო. თქვენ წარმოიდგინეთ, არაფერი მახსოვდა. სიყვარულმა გამხადა გულმავინცი, თორემ სხვა რა ძალა დამიმორჩილებდა? მერე, როცა აზრზე მოვედი, ბევრი ვიცინეთ. ჩემი სიყვარული კი ჩემი ვალიკოა. მიყვარხარ, ვალიკო, შენ გამო გულმავინცი კი არა, მთლად რომ არ გავრეკე, არ გიკვირს? მეგრელი ლიკა“.

გულმავინცი

„გულმავინციობის შედეგია, რომ ზოგჯერ საათობით ველოდები ჩემებს, რომ სახლში შევიდე. გასაღები მავინყდება სულ და... :) გულმავინციობის შედეგია ჩემი ხვენწა-მუდარა, უნივერსიტეტის დაცვასთან, რომ შემიშვან. საშვი ხომ სულ სახლში მრჩება. :) გულმავინციობის შედეგია, რომ დღეს ისტორიის ნიგნის ნაცვლად მამიდაჩემის სამედიცინო ენციკლოპედია ვათრიე. :) გულმავინციობის შედეგია ისიც, რომ ვერის ბალის ნაცვლად „ალექსანდროვი“ გავიჩინეთ და დაქალს 1 საათი ველოდე ამაოდ (საბედნიეროდ, დღე იყო). გულმავინციობის შედეგია, რომ ჩემი ერთ-ერთი ჯგუფელის გულთბილ მოკითხვას ცივად ვუპასუხე. უცებ ვერ ვიცანი. ახლა ვწევარ და ვფიქრობ, როგორ შემოვირიგო. ხომ ვარ დებილი? რას გვიშვრება ეს ეროვნული გამოცდები! :(ნილბოსანი“.

მერე რა?

„გამარჯობა მარი, როგორ ხარ? ახლა ეგრევე შეტევაზე გამძოვალ! რათა მბლოკავ სულ, ამ ბოლო დროს? მერე რა, თუ სისულელეებს გწერ? რა ვქნა, უკეთესი არაფერი მომდის თავში. არადა, მაგრად მინდა თქვენთან. რომ იცოდე, ყოველ ხუთშაბათს რა გულისფანცქალით ველოდები, მაგრამ რად გინდა? იცი, რატომ გსაყვედურობ ამდენს? „გზავნილების“ შესავალში რომ დანერე, ჩვენს ქალაქში ზოგი შემთხვევით გამოივლისო, ეგ მომხვდა გულზე. მეც მინდა ამ ჯადოსნური ქალაქის მუდმივი მცხოვრები ვიყო. ამ ბოლო დროს ან ისეთი თემებია, რომ მოსაწერი არაფერი მაქვს, ან გწერ, მაგრამ მაინც არ მიბეჭდავ (მაგალითად, კრახით დამთავრებული პირველი

სიყვარულის ამბავი). ახლა რა მოგწერო, რა ვქნა? არ ვარ გულმავინცი. პირიქით, ყველაფერი ზედმინევენით კარგად მახსოვს, კარგიც და ცუდიც. ნუ, ახლა, თუ დამავინყდა, ონკანი დამრჩა ღია და მეზობლები ჩავრეცხე, დიდი ამბავი ან აბანოში მიმავალ მამაჩემს პარკში საპონი და პირსახოცი თუ არ ჩავუდე, რა, მერე? საახალწლოდ ბაჟეში ნიორი რომ უნდა მექნა, ეგ თუ დამავინყდა, არ შეიჭამა, თუუუ... რაც მთავარია, ხუთშაბათს „გზა“ რომ უნდა ვიყიდო, ეგ ხომ არ მავინყდება?! ჰოდა, ეგრე რა! მაგარი ხალხი ხართ და იმიტომ

ჯერ ვინმე სადმე დამიბარებია და... მისვლა დამეინყებია. ერთი-ორჯერ სამსახურთან დაკავშირებით გასაუბრებაზე მისულმა საკუთარი ნომერი ვერ გავიხსენე და უფროსების მობილზე ზარები გავუშვი. :(ეს და „სხვანი მრავალი“... და ახლა იმედია, სიჩქარეში ამ მესიჯს ისევ სხვას არ გადაუგზავნი. გკოცნი, მარ. 6262“.

ლობიო

„თემამ სულ ახლახან მომხდარი ამბავი გამახსენა. ახლა კი მეცინება, მაგრამ მაშინ კარგად მიმთეთქვეს. აბაა! :) გულმავინ-

ალერგია

„მარო, დასაბეჭდად გამზადებული ჩემი მესაჯები სულ გადაგავინყდა? უნდა გამოგიტყდეო, რომ საშინლად გულმავინცი ვარ არც ბილობილი მშველის და არც მობილურში ჩამონეროლი ნუსხა ამას წინათ, ბავშვთან სკოლაში მიმჩქარებოდა სასწრაფოდ გადავიცი, სარკეში არც ჩამიხედავს, მაშინვე „მარშრუტკაში“ ავეარდი რატომღაც ყველა მე მიყურებდა დაგვიანებით მივედი კრებაზე დირექტორიც ესწრებოდა უცნაურად შემოხედა მშობლებიც მე მიყურებდნენ. გარეთ რომ გამოვედი, ერთმა მშობელმა მკითხა: ალერგია გაქვსო? მე გავიკვირე და სკოლის ტუალეტში გავიქეცი. ვაი, ჩემს თავს უბედურს! დილით სახეზე რალაც ნიღბი წავისვი და მოშორება დამეინყებოდა ისე შემრცხვა, მიწა გამთეთქოდა, მერჩინა. აბლახანუმი“.

ვარ ასე გადარეული თქვენზე. P.S. მარ, არ დაგავინყდეს, რომ ეს მესიჯი დამიბეჭდო, თორემ შენი გულმავინციობის შედეგი იქნება ჩემი ინფარქტი. არადა, რას მერჩი? ჰოდა, იცი, რაც უნდა ქნა. გკოცნი! პაცანა“.

უყავო ყავა

„ტრანსპორტთან დაკავშირებით კურიოზები არ მეღვევა. მახსოვს, სტუდენტობისას სწავლისგან „გადახუნძლული“ თავის გამო, მორიგ საჭირბოროტო საკითხზე ჩაფიქრებული, რამდენჯერ გავცდენივარ ინსტიტუტის გაჩერებას. უკანა გზაზე ისევ ფიქრთა რადიკალურ-ჯაჭვურ ასხმას სახლის გზისკენ მივუბრუნებივარ. :(სტუმრისთვის უყავო ყავა თუ მიგირთმევიათ (უშაქრო მაინც ყოფილიყო)? მიცვალებულის გარშემო 3 წრეც კი დამირტყამს, „ვენოკით“ ხელში და დღემდე ვერ ვხვდები, ჩემი ჯგუფელები მორჩილად რატომ მომყვებოდნენ უკან. რამდენ-

წყოების შედეგია ის, რომ გუშინ საჭმელი უნდა გამეკეთებინა. გავამზადე ყველაფერი, მოსახარშავად შემოვდგი ცეცხლზე და როგორც კი თავისუფალი დრო ვიხელთე, ჩემს სიხარულთან ტელეფონზე გავაბი ბაასი. თან სახლში მარტო ვიყავი და... მოკლედ, 1 საათი ვიჭორავეთ და ვესიყვარულეთ ერთმანეთს. ეჰ, ვილას ახსოვდა ლობიო? მაგრად მიუნვავეს. საღამოს დედას მშვენიერი „ნამზადი“ დავახვედრე. :) ამის მერე დედაჩემს ჩემი იმედი უნდა ჰქონდეს? „იტოგში“, სუპერდიასახლისი ვარ, რაა! :) P.S. აუ, რა ცუდია, რომ არც ერთ მგზავნელს არ ვიცნობ. თუმცა, მაინც მიყვარხართ. ცრემლუკა“.

ამნეზია

„საერთოდ, ძალიან გულმავინცი და გონებაგაფანტული ვარ. სწორედ ამის შედეგად, გარდერობში დავეძებ ხოლმე სამკაულებს, რომელიც ხელზე

მიკეთია. დახარჯულ ფულს კი — საფულეში. ერთხელ ფეხსაცმლის საყიდლად წავედი. ჰოდა, ვიყიდე, მაგრამ იქვე, გასაყიდ ტუფელში ჩემი ტელეფონი ჩავდე და დამრჩა კიდეც. სახლში მისულს გამახსენდა, რომ ტელეფონი აღარ მქონდა და უკან დავბრუნდი. უბედურება კი ის იყო, არ მახსოვდა, სად დავტოვე და წნორის მალაზიებს მე და ჩემმა მამამთილმა და მისმა ბიძაშვილებმა ფეხდაფეხ დავუარეთ. მადლობა ღმერთს, ვიპოვეთ, მაგრამ მალარიჩი ჯერ კიდევ არ მიკისრია. ნუ, მავინყდება და რა ვქნა? უჰ! ამის გამოც „უხერხულში ვვარდები“. ჰო, კიდევ ის, რომ შინიდან გასული, საყიდლების სიას ჩემს ყვითელ ბლოკნოტში ვინერ, რომ არ დამავინყდეს. სკლეროზიანის მარკაც ამარტყეს და როცა სადმე მგზავნიან, ერთსა და იმავეს სულ მცირე, 10-ჯერ მაინც მიმეორებენ, მაგრამ გზიდან მაინც ვრეკავ, დამავინყდამეთქი. უი, ესეც მავინყდებოდა: ერთხელ წყლის მოსატანად მივდიოდი და ბალონები დამრჩა. წყალთან მისულს გამახსენდა და ისევ უკან დავბრუნდი, მაგრამ ისევ დამავინყდა. თეო“.

ბატი

„მოკლედ, მარ, ისეთ თემებს შემოაგადებ ხოლმე, რომ არ მოგწერო, არ შემიძლია. მონერა მაინც ჩემს სურვილზეა დამოკიდებული, დაბეჭდვისაგან განსხვავებით. :) მგონი, ჯერ ჩემი გულმავინყობა დაიბადა, მერე — მე. არა, მთლად ისეც არ ვარ, ჭამის დროს კოვზი ყურთან მიმქონდეს, მაგრამ ბევრიც არ მიკლია. ერთხელ მთელი ოჯახი ავანიოკე, თმის სამაგრი დამეკარგა-მეთქი. გადავქექეთ მთელი სახლი, საბოლოოდ კი თმაზე აღმომაჩნდა. რა თქმა უნდა, იძულებული გავხდი, იქიდან გავმქრალიყავი, თორემ გავხდებოდი გულმავინყობის მსხვერპლი. :) ერთ ამბავსაც მოგიყვებით: ერთხელ დაქალს გამოცდაზე აგვიანდებოდა. უკვე უნივერსიტეტამდე იყო მისული, როცა აღმოაჩინა, რომ სტუდბილეთი სახლში დარჩენოდა. არადა, მის გარეშე არ შეუშვებდნენ. დამირეკა და მთხოვა, გამეტანა, თვითონაც წამოვიდოდა სახლისკენ და სადმე მეტროში შევხვდებოდით. უნივერსიტეტიდან ახალი მოსული ვიყავი, თან მაგარი დაღლილი. რა მექნა,

ფაციფუციტ გავვარდი, მთელი სისწრაფით გავქუსლე მეტროსკენ, მეტროს თანამშრომლებს მეტეორივით ჩავუქროლე და უკვე მატარებელში ვჯდებოდი, როცა აღმოვაჩინე, რომ მიზეზი, რის გამოც გავრბოდი, ანუ სტუდბილეთი არ წამომიღია. რა მექნა? თავპირისმტვრევით გავიქეცი სახლში. ჯობია, არ ვთქვა, რა თვალთ შემომხედეს მეტროს თანამშრომლებმა. არც იმას ვიტყვი, რომ მთელი კვირა კაი საკაიფო მიზეზი მივეცი მეგობრებს. არადა, ყველაფერი გულმავინყობის ბრალია, ჩემი ხომ არა? გულმავინყობა რომ არა, დაქალიც არ დაზარალდებოდა (გამოცდაზე არ დაავიანებდა), წაელო თავის დროზე. მეც არ მივცემდი ჩემს დაღლილ ფეხებს საქმეს. ისე, კარგი ბატი ვარ, რა! :) P.S. იმ ორი სულიერის საყურადღებოდ, რომლებიც წაიკითხავენ თუ არა, მიცნობენ: უკომენტაროდ, O.K. ძალიან მიყვარხართ. მეგრელკა“.

„ბათინკი“

„ძმაკაცი ჩამოვიდა ჯარიდან და მის სანახავად უნდა წავსულიყავი. მგონი, ეს დაუდევრობის ბრალი უფრო იყო... ერთ ფეხზე ჩექმა ჩავიცვი, მეორეზე „ბათინკი“ და წავედი... ვაა, რაღაც, კოჭლობით მივდივარ (ჩექმა მალალ ქუსლზე იყო, „ბათინკი“ — დაბალზე). დავიხედე და... მე იქ ვიცინე?! შევბრუნდი სახლში და სიცილით რომ ვიჯერე გული, მერე წავედი მონატრებული მეგობრის სანახავად. მის რეალი“.

გულმავიწყი გიო

„ბაბუს ძალიან უყვარდა ტუალეტში გაზეთით ჯდომა. ჰოდა, ერთხელ, ტრადიციისამებრ, შევიდა და კარი ჩაეკეტა. დასახმარებლად მე დამიძახა, მაგრამ ფანჯრებს ვწმენდდი და დავუძახე: ბაბუ, დაიცა რა, ცოტა ხანი და მოვალ-მეთქი. ამ დროს დასასვენებლად ჩამოსულმა გიომ დამიძახა, ანი, შარვალი გამეხა და ძმურად, ვერ გამიკერავო

(ვაიმეე, რა ბიჭი იყო, იცით? შტანგაზე რომ ვარჯიშობდა, გაოფლიანებულს მთელი ტანი ულაპლაპებდა და ეს მაგიუებდა). ამ თხოვნაზე უარს ვეტყვოდი? სიტყვა არ ჰქონდა წესიერად დამთავრებული, რომ უკვე მასთან გავჩნდი. შარვალს ნელა ვუკერავდი. თან თავში ისეთი აზრები მომდიოდა! მეგონა, გავაფრინემეთქი. ღიმილმინებებული ათას რამეზე ველაპარაკებოდი, ის კი დივანზე იჯდა და თვალებით მჭამდა. ადგა, ნელ-ნელა მომიახლოვდა და მაკოცა. ნაზად და დიდხანს მკოცნიდა. შემეშინდა და სატირლად გავემზადე, გიომ კი გულში ჩამიკრა და ენა მომიჩლიქა — ჩუჩუტელა ბაია ქალ... ისე გამალებით მიცემდა გული, ლამის წამივიდა. გიოს მოვწყდი და სახლში შევევარდი. ვაიიი, ახლაც მენვის გვერდი, რომ მახსენდება, „გათავისუფლების“ შემდეგ, როგორ მომცხო ბაბუაჩემმა, მაგრამ ისე ვიყავი გაბრუებული, „იავნანასავით“ ჩამესმოდა ლანძღვა-წყევლა. ეს იყო ერთი წლის წინ. ახლა მე და გიო მხოლოდ ვმეგობრობთ, გულმავინყობის(!) გამო. ბაბუ კი გავაბრაზე... ნიკვინე“.

5 ათასი

„როდესაც საქართველოში ფულის ერთეული მანეთი იყო, ბაბუაჩემი ავტომობილის საყიდლად ფულის შეგროვებას შეუდგა. 5 ათასი მანეთი რომ შეაგროვო, თანხა პატარა ჩანთაში ჩადო და გულმოდგინედ შეინახა. თან ისე შეინახა, რომ როცა დასჭირდა, ველარ მიაგნო სამალავს. სად აღარ ეძებდა, მთელი სახლი გადააქოთა, მაგრამ ვერსად მიაგნო. იმ ამბის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. 3 წლის წინ, ბაბუა ქალაქში ჩამოვიდა საცხოვრებლად. როცა მისი ბარგი-ბარხანა ჩამოვიტანეთ და ვალაგებდით, ძველი ტანსაცმლის შეკვრაში პატარა ჩანთა ვიპოვე, რომელშიც ბაბუს 5 ათასი მანეთი იყო, მაგრამ რად გინდა, ახლა ვის რაში სჭირდება მანეთები? კოზანოსტრა“.



ყვილი „სონის“ ცელოფინოშის, ოჯიონაქომდაოს, ვერმანოილან.

ხანძარი

„ერთ მშვენიერ დღეს თავო სკოლიდან სახლში დამშეული მივიდა. სასწრაფოდ გაზის ქურაზე ტაფა შემოდგა, 3 კვერცხი დაახალა, მარილი მოაყარა, თვითონ კი ტელევიზორს მიუჯდა და საყვარელი სერიალის ყურება დაიწყო. გავიდა 30 წუთი, 1 საათი, შემდეგ თავოს დამწვრის სუნი ეცა და გაახსენდა, თავისი საჭმელი. სამზარეულოში რომ შევიდა, სახტად დარჩა. მთელი სამზარეულო ცეცხლის ალში იყო გახვეული. აი, ეს არის გულმავინყოფის შედეგი. თუკო“.

რომ გოგონებსაც შეუძლიათ გამგელება. თურმე ნუ იტყვი და, ჩემი შეყვარებული არ ყოფილა?! მას მერე ხმას აღარ მცემს“.

**მოკითხვა
მიცვალებულებს**

„გულმავინყოფა? ვარ და მერე როგორი. არა, სულ ასე კი არ ვიყავი, გენაცვალე, მაგრამ ბოლო დროს ისე ავურიე, ახლობლები სიბრალულით კითხულობენ: „ეშველება რამე?“ თუ რამეს დამაბარებდნენ, დანიშნულების ადგილზე მისვლამდე გულში ვიმეორებდი, მაგრამ

ადგილზე, აქ უფრო გამახსენდება და მალე მივაგნებ-მეთქი. გავიდა დღეები და დედიკომ ფული მოიკითხა. აი, მაშინ უნდა გენახათ ჩემი გაკვირვებული სახე და დედაჩემის შიშით ანთებული თვალები. მერე იყო მუდარა: აი, აქ მოგეცი, ასე გითხარი, მერე იმ ოთახში შეხვედიო, მაგრამ მე გულუბრყვილო ღიმილით, სულ არაფერი მახსოვს-მეთქი გავიძახოდი. ყველა „საეჭვო“ ადგილი შევამოწმე, მაგრამ სადაც არ დამიდეცია, იქ რას ვნახავდი? შედეგად იყო დედის „აფრენილი“ წნევები და აწყვეტილი ნერვები. ერთი კვირის შემდეგ სრულიად შემთხვევით წავაწყდი იმ ფულს (კიდევ კარგი, სახლის დალაგება გადავწყვიტე) და დედაც გარდაუვალი ინფარქტისგან ვიხსენი. თუმცა, ეგ რაა, 2-3 წლის მიცვალებულებს ისე მოვიკითხავ, ხალხს გაცვებისაგან ყბა უვარდება. რა ვქნა, მა ვინყდება, ცოცხლები რომ აღარ არიან (არადა, მათ სამძიმარზე რაც მე ცრემლი მიღვრია). ისე, მიშას და „მიშარასტებს“ რომ ამტყუნებდნენ, საარჩევნო სიები გააყალბა და მიცვალებულებით გაავსოო, იქნებ არ არიან მთლად მტყუნები და ჩემნაირმა გულმავინყმა შეადგინა ეგ სიებიც, ჰა? კამელია“.

ჩხუტი

„დავტირი უდროოდ გარდაცვლილ მესიჯებს, რომელთა ხილვასაც მოუთმენლად ველოდი. ჯერ ხომ ლოდინი ასეთი სატანჯველია, გაცრუებულ ლოდინზე წამლევავი კი ბუნებაში არაფერი არსებობს. ჰოდა, ჩემებსაც და უცნობი ჯარისკაცისა არ იყოს, უცნობ მესიჯებსაც მთელი გულით დავიტირებ ახლა, ამ წუთში (მაინც ვტირი). პრინციპში, ამ ჟურნალის ყიდვის ერთადერთი მიზანი მართო ჩემი მესიჯის ნახვა არ ყოფილა. ამის გარეშეც საოცრად კარგი და საინტერესოა შემეცნებით ამბებსაც რომ წავიკითხავ. ეგვე ვიცი. ეს ეპილოგი იყო. ჰოდა, რა მინდოდა მომეყოლა? ჩვენკენ კარაქის ამოსაყვან მოწყობილობას ჩხუტს ეძახიან. უცნაური სახელია, არა? ამიტომაც გაუჭირდა დამახსოვრება ერთ პატროსან კაცს. თავისდა საუბედუროდ, ერთ მზიან დღეს ამ კაცმა გადაწყვიტა ბაზარში წასვლა. მუღლემ — ჩხუტი მომიტანე, შენ კი შემოგვევლებიო, დააბარა. კაცს ეუცხოვა ეს სახელი და რომ არ დაგინწყობდა, მთელი გზა გულში იმეორებდა: ჩხუტი, ჩხუტი, ჩხუტი... მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, რის არდაგინწყებასაც ვცდილობთ, ის გვაგინწყდება. დააგინწყდა ამ კაცსაც. მივიდა გამყიდველთან და მიახალა — ჩხუტი მინდა, ჩხუტიო... იქ რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ ოჯახი კი დარჩა უკარაქოდ“.

ახლა კი თემაზე მოსულ მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„პირველად ვამესიჯებ და შეიძლება, უკანასკნელადაც, რადგან ხანდახან საკუთარი გვარიც მავინწყდება ხოლმე. ხელმოცარული“.

„გულმავინყოფის ბრალია, ჩემს „ლოვეს“ რომ აღარ ვახსოვარ. ერთი წელია, თვალი აღარ მომიკრავს. მე კი ძლიერ მენატრება ჩემი კახელო და მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. მის-13“.

„ნაადრევი სკლეროზი დამემართა — ქუჩაში ჩემი ყოფილი კლასელი შემხვდა. თან ისე გამიხარდა მისი ნახვა, კინალამ ჰაერში დავეკიდე, მაგრამ სახელი... ო, ეს სახელი ვერ გავიხსენე“.

„გულმავინყოფის შედეგი იყო, მამას რომ დავავინწყდი. დედამ დაუბარა, ბალიდან გამოიყვანეო და იმ კაი კაცს არ დავავინწყდი?! ყარაულთან ვაბირჟავე და შუალამისას წასაყვანად რატომღაც მთელმა ოჯახმა მომაკითხა. მაინც კარგია, რომ გავახსენდი. :-) მეჩე“.

მთამსვლელი

„ეეეჰ, მტკივნეული თემაა. გულმავინყოფა რბილი ნათქვამია. ამნეზია დამემართა მას შემდეგ, რაც მთამსვლელობას ვცდილობდი და კრახი განვიცადე. გონზე რომ მოვედი, მხოლოდ უახლოეს ადამიანებს ვცნობდი. სკოლაში ხელმეორედ გამაცნეს დამრიგებელი. არადა, თურმე გაგდებას მიპირებდა. როცა ტელეფონზე ვილაც გოგომ დამირეკა და ვკითხე, ვინ ხარ-მეთქი, მაშინ დავრწმუნდი,

ერთი ნაცნობი — „გამარჯობა, როგორ ხარ“ და მორჩა... მერე თითქოს გამოსავალი იპოვეს და ფურცელზე მიწერდნენ, მაგრამ თვითონ იმ ნაწერის არსებობა და მასზე დახედვა არ მახსენდებოდა. გულკეთილი გამყიდველები სახლამდე მომდევნენ, რადგან ხურდის გამორთმევა მავინწყდება. ერთხელ, სანამ ჩემი გულმავინყოფა გამოაშკარავდებოდა, დედაჩემმა სხვისთვის მისაცემი, საკმაოდ დიდი თანხა მომაბარა. მეც შევინახე „განსხვავებულ“ და „ორიგინალურ“

„აღბათ ყველას გვახსოვს ვარდების „უეკლო“ რეკოლუცია. მაშინდელი ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი ტრიბუნაზე რომ ავიდა და პარლამენტის წევრებს მიმართავდა გამორჩეული ორატორის ხმით. არ ერჩინა, გულმავიწყი არ ყოფილიყო და საკუთარი ჩაი დაეღია? ახლა ხომ ბატონი მიშა ასეთი პოპულარული პრეზიდენტი არ იქნებოდა. მართალი არ ვარ? გრუზინკა“.

„გულმავიწყობის შედეგი მე ვარ. მამაჩემს საჭირო დროს და საჭირო სიტუაციაში დაავიწყდა ერთი საჭირო ნივთი და... ვარ ახლა აქ თქვენი ერთგული მკითხველი, კაკადუ“.

„გულმავიწყობის გამო „გავზეკე“ ვარკეთილი-საბურთალოს გზა. 161 ნომერი „მარშრუტის“ მძღოლები უკვე მცნობენ და გაჩერებაზე უთქმელად მიჩერებენ. :) მეგობართან მავიწყდება საათი, ტელეფონი, კარტა, და ა.შ. მიშველეთ, სანაპიროზე თითოეული ხე დავიზეპირე. „მარშრუტის“ მძღოლები გავამდიდრე და დროა, ყურადღებით მოვეყიდო ბილობილს რეკლამას! მანაველი“.

„გულმავიწყობით ეს ამბავი მომავალ არქიტექტორს, ჩემს კურსელს შეემთხვა. ფერწერის ლექციაზე სხვისი ნახატი დაამთავრა. თან ბრაზობდა, ვილაც „ნაგლს“ ჩემს პლანშეტზე თავისი გვარი მიუწერია, აღბათ ნახატი დაევასაო. დახატა და გამწარებულმა თავისი გააგრძელა. მხატვარი“.

„გულმავიწყობა? იშვიათად, რომ მაღაზიაში რამის საყიდლად გამგზავნონ, მაგრამ თუ გამიშვებენ, შესვლისთანავე მავიწყდება ყველაფერი. რატომ? გამყიდველი არის მაგარი სექსუალური გოგო. :) მართლა, მართლა. რომ გამომხედავს, ვინ ვარ, ისიც მავიწყდება. სკლეროზი კი ჯერ ნაღდად არ მჭირს. მიკა“.

„მეტი გულმავიწყობა რაღა გინდა? სანამ შენ არ დაბეჭდე ჩემი ნომერი „გზაში“, მანამდე არ ვიცოდი, გინდ დაიჯერე და გინდა არა! ვერც დედაჩემის ნომერს ვიმახსოვრებ და ზარს გავუშვებ ხოლმე, რომ დავაფიქსირო. ტერორისტი“.

„გულმავიწყობას ნულარ მახსენებთ. ისეთი დაბნეული ვარ ხოლმე, აღარ მახსოვს არაფერი. ქმარმა თუ დამირეკა, ხომ საერთოდ მავიწყდება ყველაფერი. დედამთილი მემუქრება, ჩემი

შვილი რომ გამოვა, უნდა გამოგცვალოო. რასაც მეკითხება, ყველაფერზე „არ ვიცის“ ვპასუხობ. უჰ, არ ვიცი და რა ვქნა? ყველას მოკითხვა. პატარა ლელა“.

„ჩემი დაქალი გაიპარა. ჰოდა, მისმა მშობლებმა მე დამიძახეს, ამოდიო. მთელი ღამე მათთან ერთად თეთრად გავათენე. დილით მამამისმა მთხოვა, ჩაი აადულეო. ავადულე კი არა, დავაშრე კიდეც. :) სახლში რაღაცას რომ ვაცხელებ ან ვაკეთებ გაზზე, არ არსებობს, რომ არ დამეწვას. ჰოდა, ერთხელაც ავაფეთქებ სახლს. P.S. მარი, ძალიან მიყვარხარ. ნელკა“.

„ჩემი გულმავიწყობის შედეგი ჩემს ტელეფონში მოსული და უპასუხოდ დარჩენილი ასობით მესიჯის ავტორებს, ტაფაში დანახშირებულ საჭმელს, მორწყვის მოლოდინში საცოდავად გამხმარ ქოთნის ყვავილებს, აკვარიუმში შიმშილით დახოცილ თევზებს, ჭერჩარეცილ მეზობლებს და ჩემს ნევროზდამართებულ ოჯახის წევრებს ჰკითხეთ, მათ უკეთ შეუძლიათ მოგიყვინ ჩემი საოცარი მეხსიერების ამბავი. :) პენსიონერი“.

„ძალიან მომენატრეთ. ვერ ვახერხებდი მონერას, მაგრამ „გზის“ ფურცლებით ვსუნთქავდი. რაც შეეხება თემას — ბიძაჩემს მუშები ჰყავდა, ეზოში მუშაობდნენ. ბიცოლას გავყევი ტულეტში. გარედან გადავკეტე კარი და ისე ვლაპარაკობდით. მე დამიძახეს და მაღაზიაში წავედი, ბიცოლა კი სულ დამავიწყდა. მას კი მუშების რცხვენოდა და ვერ იძახდა. საცოდავს ერთი საათის მერე ეღირსა სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა. :) ვაა, დამავიწყდა და რა ჩემი ბრალია? ლუჩო“.

„ყველაზე მაგარი გულმავიწყობის შედეგი ის ჩონჩხია, ანკოდოტში ბებიის მიერ ახალგაზრდობაში დაკეტილ და სიბერეში გაღებული გარდერობიდან რომ გადმოვარდება. მისის-იპი“.

ყველაფერზე თემის გარდა

ალერსიანი პატარძალი

„ხუთშაბათი მშვიდობისა, მარი. მინდა, ჩემს დიდ ბებიანზე მოგიყვეთ, რომელიც კახელი იყო და შესაბამისად, ცოცხალი კურიოზი გახლდათ. ნინა ბებო

სოფელში ყველაზე განათლებულ ქალად მიიჩნეოდა, ვინაიდან რუსული კარგად იცოდა და თან მედიცინის მუშაკი იყო. ომის შემდგომი წლები იდგა. ნინა ბებოს თანასოფელელმა ზაქრომ ჯარიდან მომხიბლავი რუსი გოგონა ჩამოიყვანა. შემოიკრა დედამთილმა თავში ხელი, ამას რა ჯანდაბა უნდა გავაგებინოო, მაგრამ რაღას უშველიდა? ვაი-ვიში და შეეგუა ბედს. პატარძალი მშვიდი და ალერსიანი გამოდგა. თუმცა, აბა რა იქნებოდა, მას ხომ არ ესმოდა ძვირფასი დედამთილის ღიმილით ნათქვამი — „შენ მოუკვდი შენს პატრონს“ და „რატომ არ მოგტყდა ეგ ფეხი, აქ რომ მოდიოდი“. პატარძალი საერთო ენას ნინა ბებოსთან ნახულობდა. მშობლიურ ენაზე საუბრით მასთან იკლავდა სამშობლოს ნოსტალგიას. ზუსტად რა დროს მოუშინებდა თავში ბებოს ეს ეშმაკური გეგმა, ველარასოდეს მოეფინება ნათელი: ერთ მშვენიერ დღეს გოგონას შესთავაზა — მოდი, ქართულად ისეთ ფრაზებს გასწავლი, ქმარს და დედამთილ-მამამთილს რომ ასიამოვნოო. ქართველების რძალმა სიხარულით აიტაცა იდეა და ბეჯითად შეუდგა რუსული ასოებით დაწერილი, საკმაოდ ჩახლართული წინადადებების სწავლას. როცა მიიჩნია, რომ უკვე დრო იყო, ფურორი მოეხდინა, ფეიერვერკებისა და აპლოდისმენტების ნაცვლად განინმატებული დედამთილის კივილი და ჭარხალივით განითლებული ქმრის ცხრასართულიანი გინება მიიღო. არადა, ვერ მიხვდა, ბებოს მიერ ნასწავლ საალერსო სიტყვებს საყვარელი ქმარუკა ასეთი გაცოფებით რატომ გაჰყვიროდა. ზაქროს პედაგოგის ამოცნობა არ გასჭირვებია, მაგრამ აბა, მითხარით, რომელი სულელი გადაიკიდებდა ერთადერთ ექთანს სამტროდ? როგორც მიხვდით, პატარძალმა კაი მამაპაპური გინება ისწავლა“.

„დომესტოსი“

„გაზაფხულდა... დაცხა... მერე რაო? გაიკვირვებთ აღბათ. რა და დავითანჯე. „მარშრუტკაში“ ასულს, უკაცრავად და ვის ოფლიან ილღიაში მაქვს თავი ჩარგული, ვერ გამიკვევია. თუმცა, ამას ერთი დადებითი მხარეც აქვს — მალე გინე-

სის ნიგნში შევალ, სუნთქვის დიდი ხნით შეკავებისთვის. თან ქუთაისური „მარშრუტკა“ ნამდვილად განსხვავდება სხვა დანარჩენებისაგან. რატომ? ჰმ, რატომ და აქ ქუთაისელები სხედან. :) აბა, სად გაიგონებთ შემდეგ ფრაზებს: „შვილო, შენს გახარებას, შეიძლება, შენს ტერფზე(!) ჩემი ფეხი დავდო?“ თუ უარს შეჰბედავ, დაუზარელი ქალბატონები უფასო ლექციას წაიკითხავენ ახალი თაობის გადაგვარებაზე და სავსებით შესაძლებელია, სქესშეცვლილიც გინოდონ. ამას წინათ, ერთი კაცი ამოვიდა. იმხელა ცხვირი ჰქონდა, გარეგნულად „დომესტოსის“ მიკრობს ჰგავდა, მაგრამ რა? მიკრობი და აცეცეს ბლანტი ნახველი ეძახე შენ! ცხოვრებაში პირველად მომინდა, მისნაირი დიდი ცხვირი მქონოდა. მისი ცხვირის პატრონი პირდაპირ ბახმაროს ჰაერს სუნთქავდა, მე

კი... :(კიდევ კარგი, დიალოგებს მაინც მოისმენ კარგს. ერთმა შუახნის ქალმა, მეორეს ყველას გასაგონად გადაულაპარაკა: ჩემი შვილიშვილი ისეთი ჭკვიანია, ვერ წარმოიდგენ, ჯერ ერთი წლისაა და რომ დამინახავს, თვალებს პრანავს და მიცინისო. რა მომასვენებდა? ჰოდა, მეც რიხით გადაეძახე — ქალბატონო, ეგ ბავშვი ვუნდერკინდი ყოფილა და ვერ გაგიგიათ-მეთქი. ისეთი თვალებით გადმოხედა, კომენტარი ზედმეტია. P.S. ნეტავ 7 მაისს რომელ მგზავნელს გავახსენდები? რატომ? რა უცნაურ კითხვებს მისვამთ? ჩემი დაბადების დღეა. :) ლეო91“.

**„ანტიკვარი“
ურთიერთობა**

„საერთოდ, შემოსულ მესიჯებს მაშინვე ვშლი ხოლმე (მარი, გამონაკლისი შენი პირველი მე-

სიჯი იყო. 2 კვირა დავატრევდი). ჰოდა, ლორელაის პირველი მესიჯი რომ წავშალე, იმის მერე თავს ვიმტვრევ და ვერ ვიხსენებ, თამთა ჰქვია თუ თათია. მგონი, უფრო თათია. არადა, კითხვაც მიტყდება. ეგეც სკლეროზის შედეგი! ვა, რა ჯეჯგვი დებილი ვარ! მაგრად ასწორებს ლორელაისთან მესიჯობა. იცი, რას ვუბერავთ? ერთი ეგაა, დროში ვერ ვემთხვევით. :) ტოროლას და ბუს ვარიანტია. მე რომ 4-ზე ვიძინებ და შუადღისას ვდგები, ლორელაი მგონი 10-ზე იძინებს და დილით 7-ზე დგება. მე რომ 11-დან პირველამდე ვუგზავნი მესიჯს, პასუხი „გქტა“ 7-დან 9-ის ნახევრამდე მომდის ხოლმე. მაგარი „ანტიკვარი“ ურთიერთობა გვაქვს. ოჩოპინტრე“.

100 წლის შემდეგ

„მამაჩემს რომ ჰკითხოთ, ცოლი არასდროს მოიყვანოო, გეტყვიო. მართალია ხუმრობით, მაგრამ დედასთან ყოველი კამათის მერე, მეც ასე მარიგებს ჭკუას. პრინციპში, არც ვაპირებ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გოგო ვარ, მაგრამ სიყვარულით დაქორწინებული რომ ამას გირჩევს, ანგარებით დაოჯახებული რაღას გეტყვის?! ჩემს ახლობლებში ასეთი წყვილი არაა, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ცოლი და ქმარი, თუ მართლა „ერთ სულ და ერთ ხორც“ არ არიან შეკავშირებული, ბედნიერი ვერც ერთი იქნება და ვერც — მეორე. მთავარი მაინც გრძობებია. სად მოსიყარულე მზერას რომ იგრძნობ და სად — ლაზერივით რომ განათებს თვალები, საფულიან ჯიბეზე. ვიცი, ბევრი თანახმაა ასეთ ქორწინებაზე, მაგრამ მე ღმერთმა დამიფაროს. სულერთი არაა, 100 წლის შემდეგ (ამ დროს სამჯერ ვაკაკუნებ ხეზე) ოქროთი მოვარაყებულ ღობე ექნება ჩემს საფლავს, თუ უბრალო ხის? ჰოდა, ალბათ ჯობია, სანამ ეს „100 წლის შემდეგ“ დაგვიდგება, ახლავე ვიფიქროთ, რა არის ცხოვრებაში მთავარი. ხომ მეთანხმები, მარ? მაშინ დამიბეჭდე. :) სმაილუშკა“.

ზღაპარი „გზავნილებზე“

„სალამო მშვიდობის მარი, რა მაგრად დანერგე „გზავნილ-იორკზე“ ჯიგარი ხარ, ჯიგარი... მაგრამ მე გაცილებით მეტზე მაქვს პრეტენზია. „გზავნილები“ სახელმწიფოდ მიმაჩნია, სადაც მონარქიაა და დედოფალი მეფობს. მსოფლიო ისტორიაში ყველაზე კეთილი, ლამაზი და ჭკვიანი დედოფალი — მარი. ჩვენს უმინისტრო სახელმწიფოში (მაგრამ ლიმონა გვპირდება, რომ აუცილებლად გვეყოლება) გრაფიც არის, თუმცა მხოლოდ ერთი, მაგრამ განუმეორებელი. აწყურის პრინციც გვყავს და აფხაზეთის პრინცესაც; სამედიცინო სფეროს მუშაკებიც ბლომად არიან; გვყავს გამომძიებლები და ადვოკატები; ჟურნალისტები; კარატისტები ქალები; მორაგბეები; ფეხბურთის ფანები; უამრავი სტუდენტი; ემიგრანტები; რეზერვისტები და ერაყგამოვლილი ჯარისკაცები. თქვენ წარმოიდგინეთ, მგელკაცაც გვყავს და მგელქალაც. აქ ნახავთ განძის და ბედის მაძიებლებს, კრიტიკოსიც გვყავს და პოეტებიც, მონასტრის ბიჭი და შეწირული, პენსიონერი და თინიფერები, პატარები სულ ორი გვყავს — ერთი მეჩემ რომ დააფიცა მარის, ის ბრძენი და მეორე — გზავნილ-შვილი, გიო. მოკლედ, საოცარ, უჩვეულო და ზღაპრულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. სადმე გინახავთ ისეთი ყოვლისშემძლე დედოფალი, რომელსაც ერთი პატრულით და ისიც ქალით, შეუძლია მთელ სახელმწიფოში სინყარე დაამყაროს და ძარცვა-ყაჩაღობა, საგზაო შემთხვევები, ნარკომანია მოსპოს? ნუ შემედავებით, მერე რა, რომ ხანდახან „გზაში“ აწყვეტილი მესიჯები ილუპებიან ავტოავარიაში, რამდენჯერმე ნიკის მოპარვასაც ჰქონდა ადგილი და ერთ-ორ მგზავნელს პლანიც გაუსწავს? ეგ დიდი არაფერია. ჩვენი სახელმწიფო ერთადერთია, სადაც ყველა უგონოდაა შეყვარებული თავის დედოფალზე და ოპოზიცია არა ჰყავს. P.S. თქვენო აღმატებულე ბავ — მარი ჯაფარიძე, შენი სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს სახელით ვაცხადებ, რომ შენ ხარ ჩვენი მზეც, მთვარეც, ბედნიერების ვარსკვლავიც და იმედის ცისარტყელაც. გვიყვარხააარ! კამელია“.

„დუღუნა წვიმა“ – 2

„სკოლაში გადავწყვიტეთ, მუსიკის გაკვეთილი დაგვედგა (იუმორისტული). ბავშვებმა მოვახლავთ თეთ. მასნი მეუბნება, რამე მოიფიქრეო და უცებ...

გონება გამინათდა. ბოხოს „დუ-დუნა წვიმა“ ხომ შესანიშნავი ვარიანტი იყო. ჩვენი სიმღერის მასწავლებელიც მისი დამრიგებლის შემცვლელის სრული პროტოტიპი იყო. თან „გზის“ ის ნომერი ჩანთაში მედო (არაა ახლა „აგი“ ბედიი?). ჰოდა, ამოვ-აბრძანე ჩანთიდან „გზავნილები“ და ვუბოძე მასწავლებელს... ყოჩაღ, ანა, ბრწყინვალე აზრი და საუკეთესო ვარიანტიანო, მითხრა და გამჭრიახობისთვის 10 ქულა დამინერა. გმადლობთ, მარ და ბოხო, მაგრები ხართ! აბეზარა“.

„წყილი და ჭიანჭვე-ლა“ აჭარულად

„ხულები წყილი და ხონელი ჭინჭველაი დაარხათაშდნენ და დიდი ჰევესით წევდენ დუნია-მემლექეთის დასანახავაი. ეპეიჟა რომ გეიარერ, ერთ ლელეს მი-ადგენ, უწკუპა წყილმა და მიორე ქენერზე გადაშა. უწკუპა ჭინ-ჭველამ და შვა ლელეში დღლიზა ხაპერი. დეინყო ჩობა, წყილმა ბელქინ რამე ვუშველოო და თოკვის მოსატანლაი გეეჭენა. ეს-კვა, დეესკვა და ლელვაში, ლორ-

სანაძლეო

„სოფელში ტიპმა დადო სანაძლეო თელაველთან, სახლში 105-კილოიანი ძალლი მყავსო. მიიყვანა ის კლიენტი სახლში და თავის შვილს უთხრა — შვილო, მიდი რა, აინონეო. აინონა და მართლა ასე იყო. ის ტიპი პოლიციაში მუშაობდა. ჰოდა, მოიგო მამამისმა სანაძლეოო. 9717“.

თან დეესკვა. — ლორო, ჯაგარ უნა მომცე, რომ თოკვი დავნი-რეხო და ამოვათრიო ჭინჭველაი, თვარა დეიჩობა ჩემი ნაგაზიო. ლორმა ტრინკები აანკვადუნა და უთხრა — თუ რკოი არ მომიტან ბუძიკავ, იერ ტკაველა ჯაგარსაც ვერ მოგცემო. დაღღურძვილი წყილი ეესკვა, დეესკვა და ხე-კრუში, მუხასთან დეეჯგვერთა. — მუხავ რკოი მომცენა, რომ იმ გასათკლეველ ლორს მუუტანო, თვარა დემეეჩო ჭინჭველაი. მუხამ უთხრა — რკოს კი მოგ-ცემ, ჰამა ე ყვავინა მომაშორვო, თვარა დამაჯდა თავზე და ამამჩმასხა. გაჰერსებული წყილი აშა ყვავთან და აღზინი უტირა: ჯო, აღმა დაღმა რომ ეხეხები, სადნა დაჯდე არ იცი? ამ მუხას

რომ მიაჭიპჭიპდი, აჯაპ შეერი ჯვერი დეილია თუ რა? მო-ცილდი თვარა, მაგ ჯლარკებს მიგამტრევე. ყვავმაც დუუსიქ-ტურა, ერთი შენი ქეჩა მკარო. თუ მაგფერი ზოვლი ხარ, წეი და ი ნანვართი კატა მომაშორვე, ბლაშტები ვერ გიმიშვია კარში მაგის გამიერსო. შეჩლატუნდა წყილი კვაშტაში, კატასთან: კატავ ამფერი რა ზორი გაქ, რომ ყვავის ბლაშტებს მიადექ? მოცილდი, შენ გეყურბანე და პატივცემა ჩემზე იყოს. ერთ კალანჩხა ყურუთს და წირეხაი ყველს როცხა გინდა, გახვედრებ. კატამ უთხრა: ჯო, შენი თავი პანაი ჭკვიანი მეგონა, ჰამა ეპეი-ჟა, სერსემი ყოფილხარ. მაგით-ვინ აქ რამ მოგიტანა, დეგერეკა მობილურზე და შეგეგებებოდი. ჰახან აქ ხარ, ერთი გისმენ ჯო, მათხვე ძის ქარხანაში დავრეკო-ნა. ათხვა წყილმა მობილური, დარეკა კატამ და მუუტანეს ძე. ამის მემრენ კატა შეეშვა ყვავის ბლაშტებს, ზატი არ ჰქონდა იმათი მინნეთი. ყვავი მუხიდან შექერი ჯვერზე გადაშა, მუხამ რკო მისცა, ლორს მუუტანა, ლორმაც დეიგლიჯა ბალანი და მიცა. დანირეხა წყილმა თოკვი, მივდა ლელესთან, ჰამა ჭინჭვე-ლაი ჩამჩვალყო. ჰეი კიდი, ჰაი, ბედიავაი იბლაყუნა იმდენი წყილმა, ბედიავაი დეიშლიპა ჩლიქები, მარა ამფერია, სხვის მინნეთზე არნა დარჩეს კაცი. ან კაი ცურვანა იცოდეს ან ორი ჰამალი თოკვინა ქონდეს მოკოჭვილი, წელზე. :-) მარ თუ ვერ მიხვდები რამეს მე გადაგი-თარგმნი. :) შენს გამხიარულე-ბაზე ზრუნავს კიკო“.

ჩოკი

„სოფელში ვარ ახლა. ბიძაჩემს, კაკოს ერთი ვირი ჰყავს, ვარდო. ნუ, კახეთში ვართ. ამ ჩვენმა ვარდუამ 3 კვირის წინ პატარა ჩოკინა გააჩინა. კაკომ დედა-შვილი ვენახში წაიყვანა. ვარდო დააბა და წამოვიდა პენსიის ასაღებად. ამ შტერს კარის დაკეტვა დაავინყდა. წამოვიდა კაკოია (ყურთასმენა აკლია) და ცოტა რომ გაი-არა, ეს ჩვენი ჩოკინაც გამოჰყვა. აბა, ჩემი შვილი წავიდაო და გადაირია ვარდო. ამასობაში კაკო და ჩოკინელა ცენტრალურ ტრასაზე გავიდნენ. ვარდომ განწყვიტა თოკი და სწორედ იმ დროს ამოვარდა გზაზე, ეს ჩვენი მყუდროების დამცველი პატრული შემოვლას რომ აწარმოებდა. ახალგაზ-რდა ბიჭები არიან, ლევენი და თემო. აბა, ვირი გარბის გზაზეო და ხმამალლა მიუსიგნალეს. ხომ იცი, ამ პატრულის სიგნალი ისეთია, თითქოს ჯორს წიხლი ამოჰკრესო. ჰოდა, ჩვენმა ვარდ-უამაც დაგაზა. მირბის ყროყინით და ტლინკების ყრით. უკან მისდევს პატრული, სულ წინ კი ლილინით მიდის კაკო, რომელიც აზრზე არ არის. იმის უკან კი ჩოკი. არის ერთი ამბავი, სტვენა, მანქანების სიგნალი და მინაზე ვგორავდით სო-ცილით. ასე ჩაუქროლეს ბიძაჩემს. იმან კიდევე თვალი გააყოლა და მიაგინა: შენი პატრონის დედაც კარგად ვერ დაგაბაო? და ამ დროს ჩოკიც დაეჯახა უკნიდან. კაკოია გაშრა გავარდა ყვირილით და ბოლოს მან და ვირუკვლებმა ერთად აიღეს პენსია. ტერორისტი“.

თვალეზდაფსებული

„პირველ და უკანასკნელ სიყვარულზე მოგწერო. შემე-ყვარდა ერთი „ბიჭი, პანანინა“. რალა პანანინა, 30 წლის გუ-რული აბდალია, უკვე. არადა, როგორ მძულდა! რომ გავიცანი, ისე შევიძულე უმიზეზოდ, რომ

ერთხელ კინალამ საბუთებიანი „პაპკა“ ვუთავაზე თავში, მაგრამ მერე თვალების პაჭუნითა და საშინელი სიმღერებით შემავარა თავი და ამ გურულმა აბდალმა იმდენი ქნა, რომ მეც გამაბდლა, ესოდენ ჭკვიანი და ნიჭიერი გოგო (მოგეხსენებათ, იმერლები ჭკვიანები ვართ). ჰოდა, ამ ჭკვიანმა გოგომ სიყვარულიც აეუხსენი, მაგრამ გურულებს თუ აბდლურად არ აუხსენი რამე, ისე გაიგებენ? ჰოდა, ამიტომ ჩემი ჭკვიანურად ახსნილი სიყვარული ვერც ამ ბიჭმა გაიგო. რომ შემეძლოს, სიამოვნებით ამოვიჩიქნიდი ერთ თვალს და დავამსგავსებდი დუმბაძის გმირს. ასე აღარც თვალის ჩაკვრა დასჭირდებოდა გოგოებისთვის და არც ნადრობის დროს თვალის მოჭუტვა. უფრო კარგად დახოცავდა, რაც კი „მურადები“ დადის, დუნიაზე. მე კი მაინც სულ მეყვარება უგულო, ძაღლებზე და ქალებზე მონადირე, თვალეზღაფსებული გურული ბიჭი“.


2 მშობიარე

„ძველით ახალ წელს ისე მოხდა, რომ ბიძაჩემი მარტო აღმოჩნდა შინ. მეზობელს დაუძახია — არიქა, ჩემს ცოლს მუცელი ასტიკვდა და სასწრაფოდ სამშობიაროში უნდა წაგვიყვანო შენი მანქანითო. აქვე მოგახსენებთ, რომ აწყურში ბიძაჩემს მშობიარე ქალების მოსალოგინებლად წასაყვანად იმდენად ხშირად მიმართავენ, რომ ლამის პროფესიად ექცა. საქმე ისაა, რომ ბიძას ბოსელში ჰყავდა „მშობიარე“ ძროხა და შინაც მარტო იყო. რა ექნა? ხომ ვერ დატოვებდა უპატრონოდ? ჰოდა, გარიგება შესთავაზა მეზობელს — შენ ვინმე მოიყვანე, რომ ჩემს „მშობიარეს“ უპატრონოს, მე შენს მშობიარეს წაგაყვანიებო. ასე რომ, ცოტა ხანში პერიოდულად ასეთი შინაარსის სატელეფონო საუბრები დგებოდა ბორჯომის სამშობიაროსა და აწყურში, ბიძაჩემის ბოსელს შორის: „ჩემს საზღვარზე მშვიდობაა, შენთან რა ხდება?“

ამპარტავანი

„მე გიო ვარ, 24 წლის დაფინცბ იმით, რომ მთელი ცხოვრება თავი მაგარი ტაბ მეგონა თავი მომიქნდა, რადგან მატერიალურად სრული კომფორტი მქონდა. სოციალური სტატუსით დაბლა მეოფ სალს დავცინოდი. მეყვარებულს, რომელიც მეგონა, რომ ძალიან მიყვარდა ვეუშაობდი ერთერთ ცნობილ ბანკში და ვტკებობდი ცხოვრებით. ჰოდა, ამ სიმტკბილობაში შევამჩნე ერთი პატარა გოგო, რომელიც არაფერს წარმოადგენდა ჩემთვის ყურადღებით მადევნებდა თვალს ვეუკადრისე, რადგან ის დამლაგებლად მუშაობდა და ისეთ ამბიციურ ადამიანს, როგორც იმ დროისთვის მე ვიყავი, მეგონა, დამლაგებელი ადამიანი არც იყო თუმცა, არ დავიშალა და ისეთი ლამაზი იყო, ხშირად გამპარვია თვალი. მოუხედავად ამისა, მე მისი გრძობები ფეხებზე დავიკიდე ყველანაირად ვცდილობდი მის დამცირებას თვითონ კი ხმას არ იღებდა, რაც უფრო მეტად მაგიუებდა“.

თუმცა, მე შეყვარებული მეყვდა და მის გარდა არაფერს მანტერესებდა ერთხელ ჩემს თავს ვკითხე — ნნო რომ ჩემი გელფრენდივით ცხოვრობდე, თუ დამანტერესებდა-მეთქი? მიფხვდი, რომ — კი მომიბლა იმით, რომ სხვებს არ ჰგავდა საუბრის ისეთი ტონი მქონდა, რომ მამშვიდებდა მთარული, სათნო იყო ყველა სიყვარულით ასტენებდა და პატეს სცემდა სხვა გოგოებით ჩემი ბოლო მოდელის მანქანას არ აკვირდებოდა და მამაკაცების გასაპრანჭად სხვებით ხმამალა არ სორხოცებდა ჩემი დაბნეულობა და ნნოს მდგომარეობა არ გამოპპარვია ერთ ჩემს „კეთილმოსურნეს“ და მისი სახელით მწერდა მერე ათასი სისახელე მითხრა მასზე ბოლოს დამატა — შენზე ხმა გააფრცელა, იმპოტენტია, არაფერი გამოსდისო. ჰოდა, ვიფეთქე ბავშვი ვიყავი, თავში მიქროდა როგორ და რანაირად აღარ მოყვებო — ნნო ჩემ გვერდით აღმოჩნდა მე ის დავამცირე, ძალით დავიმორჩილე და გაეუპატოურე. სულიერად გაგანადგურე მიფხვდი, რომ უაზრო ენებს აფეცი მე არაკაცურად მოვიქეცი და ამას გვიან მიფხვდი იმ დღეებში მხოლოდ გაურკვევლობას ვგრძობდი, მარტო ყოფნა მინდოდა. ვერ იმ ადამიანს გაფესწორდი, ვინც ასეთი საქციელისკენ მიბიძგა ცხეს ძლივს გადაფრე, ოღონდ არა — ნნოს გამო მე მისმა სონმინდემი, ქალურობამ და სნაზე მომიბლა ის დუმდა წავიდა, გაქრა და ქალური შურისძიება იყო მისი მწოდან, როცა შემთხვევით, ცოტა ხნის წინ ვნახე მისი სახელი და გვარი ცნობილ კომპანიაში, მალალ თანამდებობაზე. ამას ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა. მე მან თავისი სწრებით მიმასფედრა, დამაფიქრა ცხოვრებაზე და მიფხვდი, ფული მთავარი არაა. მე მიყვარს ეს ადამიანი, რადგან ფულმა და თანამდებობამ არ შეცვალა დარჩა ისევ ისეთი, საყვარელი და თბილი მინდა ვნახო, პატეება ვთხოვო. საცაა, 3 წელი გავა, იმ ყველაფრის მერე მაგრამ მას ალბათ ვეზიზლები. მე მას სიყვარული სიხუფილად ერთ ლამეში გადაფუქციე და დავსაჯე ესა ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული არ ვიცი, რატომ გწერთ ახლა ნათესავთან ვარ და შემთხვევით ვნახე „გზა“. ვესპრომტად გადაწვიციტი მომიქნა ის ალბათ ვერც ნახავს ამ მესიჯს, უკვე დაკავებული ქალია, თუმცა გამორიცხული არაფერია დარწმუნებული ვარ, მიხვდება, ვინც ვარ მე ხომ სახელებიც არ შემიცვლია. დავკარგე პირველი სიყვარული და ეს მხოლოდ ჩემი სისულელის ბრალია ვერ შევხელი, მენახა და მეთქვა, რომ არ ვარ ისეთი, როგორც იმ ლამეს მნახა მინდოდა, ჩაჭუტებობდი, ნამტერალევი თვალები, წმინდა ბაგე და სხეული დამეკოცნა“.



ვსუყავ და ვმლორი
კომსილომში. თამაშობაც
შეძიძიოს. მათელ ვეწხონი.

მოკლედ, ყველაფერი „შეფიენდით“ დასრულდა. P.S. მერე ამ ბავშვების უმრავლესობას ბიძაჩემს ანათვლინებენ და ამ დროისათვის მგონი 17 ნათლული ჰყავს, თუ მეტი არა. ელისო“.

ვარდისფერი ტანგა

„ჩემი ბიძაშვილის ბანკეტზე ერთ გოგონს გრძელი კაბა ეცვა და ძალიან ბევრს ცეკვავდა. ჰოდა, ამ ცეკვა-თამაშში ჩემმა უჭკვიანესმა ბიძაშვილმა ქობაზე შემთხვევით ფეხი დაადგა და უეცრად კაბა ჩასძვრა. ჩამოგლიჯეს ფარდა და ამ გოგოს ელვისებური სისწრაფით შემოახვიეს. ბიჭებმა რა თქმა უნდა, ვაჟკაცობა გამოიჩინეს და ამ უბედურს დიდი მონდომებით აწყნარებდნენ: ნუ ნერვიულობთ, თაკო, დანყნარდი, შენი ვარდისფერი ტანგა არავის დაუნახავსო. ეჰ, ბლავილი მერე უნდა გენახათ. მაგარი სასაცილო იყო. ნუ, თაკოსი რა გითხრათ... ხულიგანკა“.

მიუჩოჩებელი

„იცი, ერთხელ რა დამემართა? არა, ხომ? ჰოდა, ახლავე მოყვები. ერთ ღამეს, როგორც ყოველთვის, მკვდარივით მეძინა. საერთოდ, მარტო ძილს ვიყავი მიჩვეული, მაგრამ მაშინ ახალი გათხოვილი ვიყავი და უცებ გადამავინყდა, რომ ჩემ გვერდით მეუღლეს ეძინა. მეც გემრიელად გადავკოტრიალ-გადმოვკოტრიალდი და ასე კოტრიალ-კოტრიალში აღმოვჩნდი იატაკზე. მარტივად რომ ვთქვათ, სანოლიდან გადმოვვარდი, მაგრამ სასწრაფოდ წამოვხტი. ნამძინარევემა, იმის შიშით, ლევანმა არ გაიგოს-მეთქი, ისევ ლოგინში ვდურთე თავი, მაგრამ გაუგია და მკითხა — რა დაგემართაო? არაფერი, გარეთ გავიარე, ხელი მივარტყი რალაცას და მტკივა-მეთქი. იმ ღამეს არაფერი, ეტყობა, მასაც ეძინებოდა და დილით მეკაიფა. დღემდე ამ დღეში ვარ. არ მერჩია, ცოტა ახლოს მივჩოჩებულყავი მასთან? ამ დღეში აღარ ვიქნებოდი. თუ“.

უგულოს მსხვერპლი

„მარ, გამარჯობა, სიცოცხლე ადამიანო. მომენატრე, თან — მაგრად. ახლა იცი, რა ცხელ გულზე გნერ? დღეს იმერეთში მივდივარ. დილით ადრე ვაგზალზე „გზა“ ვიყიდე. ცოტა ხნით საქმე მქონდა და უურნალი დროებით „მარშრუტკაში“ დავტოვე. ახლა კი ჩემს უურნალს ვილაც შუახნის ქალი დიდი გულმოდგინებით ჩაჰკირკიტებს და აზრად არ მოსდის, მისი

„წარმომავლობის“ ისტორია გაარკვიოს. მე? მე კი ნერვებს საშინლად მიშლის მისი წყნარი, აუღელვებელი და ოდნავ ღიმილიანი (ცოტა დამცინავი) გამომეტყველება და ცხვირზე დარბაისლურად წამოკოსებული სათვალე. იმედია, უფალი მომიტევეს ამ ბოლმიან სიტყვებს, მაგრამ ამ ქალბატონმა ხომ დღევანდელი დღის ნეტარება „უგულოდ“ გამინადგურა? მაესტრო-21“.

სვანური სტრიპტიზი

„გამარჯობა მარი, ყველა მგზავნელს მივესალმები. 5-6 თვეა, აღარ დამიმესიჯებია და ალბათ აღარც გახსოვართ, მაგრამ არა უშავს, დღეიდან ხანდახან შეგეხმიანებით, თუ, რა თქმა უნდა, მარი არ დამბლოკავს. შეიძლება არც ახლა დამემესიჯებინა, მაგრამ სვანებზე ისეთი ცინცხალი, თანაც ნამდვილი ამბავი გავიგე, გულმა არ მომიტმინა, თქვენთვის რომ არ მომეყოლა. ძმაკაცმა მომწერა მეილზე და თან სურათებიც მოაყოლა. მაშ ასე: სასაზღვრო დეპარტამენტიდან მესტიის განყოფილებას მისწერეს, თქვენი სურათები გვჭირდება და გამოგვიგზავნეთო. ესენი შეეკითხნენ, რომელ ფორმაში გადავიღოთ სურათებიო? თქვენ სურათები გამოგვიგზავნეთ და ფორმებს ჩვენ ჩაგაცმევთ, კომპიუტერშიო. მერე ვნახე მათი სურათები და ყველას წელს ზევით შიშველს გადაუღია და ისე გაუგზავნიათ. მაგარია, არა? დეპარტამენტში რომ ნახავდნენ სვანურ სტრიპტიზს... მერე კიდევ იტყვიან, სვანებზე ანეკდოტებს იგონებენო. ბაბა“.

ცხელა

„გზაელებო“, მაგარი „პრიკოლი“ გაგიჩითეთ. ღამე მეზობელმა ბიჭმა დამიძახა, სიგარეტი ხომ არ გაქვსო. ჩავიცივი ფლოსტები და გავედი ტიტველი. იცი, რას მეუბნება? ახლა ვინეჯი, სიგარეტი ძალიან მომინდა და არც ჩამიცვამს, ისე გამოვედიო. ისიც ტიტველი იყო. დაჯექი, ვილაპარაკოთო. მეც დავჯექი. კაი ხანს ვილაპარაკეთ და ამოიარა ძმაკაცის მამამ მანქანით. გააჩერა და „პივა“ მოგვანოდა — ალბათ დაგცხათ, ცივია, დალიეთო. ჩვენც დავლიეთ. მოკლედ, „მაგადი“ ბირჟა გქქონდა და მაგრად დამცხა... 9717“.

„ერთი ჩვეულებრივი დღე იყო. როგორც ყოველთვის, სასწავლებელში მთელი ნახევარი საათით ადრე მივედი და დაქალებში ვჭორაობდი, როცა ჩემთან ერთი სიმპათიური გოგონა მოვიდა და შემეკითხა, თქვენ ფლამინგო ხართო? მაგრად გამიხარდა, ნიკით რომ მომმართა, მაგრამ გამიკვირდა კიდევ. უურნალი „გზა“ რომ ახსენა, უკვე მიხვდი. უჭკველი მგზავნელი იქნებოდა და გვართ მიცნო. ერთი სული მქონდა გამეგო, რომელი იყო. თავაზიანად ვკითხე. 7676 აღმოჩნდა. ძალიან გამიხარდა მისი გაცნობა. თან, ერთ სასწავლებელში ვსწავლობთ. ნავიჭორავით კიდევ და უჭკველი შევექმნით კლუბს. აბა, როგორ? :) ლექციების შემდეგ დაოთხილი გავრბოდი სახლში, ჩემი დისთვის რომ შემეხარებინა, მგზავნელი გავიცანი-მეთქი. თან „გზები“ გადმოვალაგე და 7676-ის მესიჯების ხათრით მთელი 1 წლის ნომრები გადავაბუღებულე, მაგრამ მეორე დღეს თავი ისე მტიოდა... თან მაგრად მეძინებოდა. ლექციებზე კინალამ ჩამომეძინა, მაგრამ ღირდა. 7676, ჯიგარი ხარ, გაკოცე-ფლამინგო“.

„მე და ჩემს დაქალს ჩვენივე მეზობელი ბიჭი გვიყვარდა. ორივეს პირველი სიყვარული ის იყო და ამის გამო სულ ვჩხუბობდით. ერთხელ გადავწყვიტეთ, საბოლოოდ გაგვერკვია ყველაფერი. მივედით დათოსთან სახლში და ვკითხეთ, რომელი გიყვარვართო. მან კი ორივეს თითო „ამოგვიპანჩურა“ და გამოგვიშვა. თაკო“.

„ეეჰ, მარი, მარი... ისევ იმედგაცრუება, სასონარკვეთა, უხვად დაღვრილი ნიანგის ცრემლი, უსაზღვრო სევდა და კაეშანი. რატომ? ეს იმიტომ, რომ... ნუთუ ასე ძნელია 1 საცოდავი, საწყალი მესიჯი „გზავნილებში“ „ჩამითხლიშო“, ჰა? რა აღარ ვიღონე, მაგრამ... ეჰ, რა აზრი აქვს, თავს რომ გაცოდებ, მაინც არ დამიბუჭდავ. ციზი“.

„ყველაფერს იოლად ვიმახსოვრებ და ერთხელ დაქალებში გავიბლატავე, ახლა მარისთან მესიჯი გავგზავნოთ და დაგვიბუჭდავს-მეთქი. იქ „გზა“ არ მქონდა. ამიტომ ტვინი გადავაქოთე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ 1 თვის განმავლობაში სხვას

ვნერდი. კიდევ მავინყდება, რომ არ მიბეჭდავ და მაინც ვგზავნი. ნკაპინკუპი“.

„ახლახან საკონტროლო წერა გვექონდა, რომლის თემაც წინასწარ ვისწავლეთ, „შპარგალკის“ ეგზემპლარებიც გავავრცელეთ და დავინყეთ წერა. ერთ ბიჭს „შპარგალკა“ ფეხებთან, სკამზე ედო. მასწმა დაინახა და მკაცრად მიმართა: — ნიკა, ფეხებს შუა რაც გაქვს, ამოიღე და მერხზე დადე! — იქ ამბავი ატყდა... საკონტროლო ვილას ახსოვდა? ჩუპი“.

„მარიკუნა, სიხარულო, რომ იცოდე 17 აპრილს რა ბედნიერი დღე გამითენდა. უნივერსიტეტში მისულს ჯგუფელმა მახარა, რომ ჩემი მესიჯი იყო გზავნილებში დაბეჭდილი. სიხარულისგან ქალბატონი ნათელაც დამავინყდა და საოჯახო სამართლის ლექციაც. ჩანთიდან „გზა“ ამოვიღე და სულმოუთქმელად ჩავიკითხე ჩემი მესიჯი. იმ მომენტში მთელ

ვონ. ჩემი აუხდენელი ოცნებების ახდენამდე გული არ გამისკდეს, მეშინია. თაისი“.

„ახლა რუსულის გაკვეთილზე ვზივარ და „გზავნილებს“ ვაბულბულბ. ჰოდა, პარიჟანკას მესიჯზე გულს დავუნყე ძებნა და რომ მეგონა, მივაგენი, მარჯვნივ მედო ხელი. პეტრუშკა“.

„მინდა, გერასიმეს დიდი მადლობა გადავუხადო იმისათვის, რომ შეგვნიშნა მე და სანთელი, რომ ასე თბილად მოგვისხენია და დაგვაფასა. მეც ძალიან დიდ პატივს გცემთ და ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ, თქვენს ოჯახთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა. ბუსუსუნა“.

„მარი, Beelaine არ გევასება? აბა, რატომ ამომირეცხე შენი გულის პარკუჭიდან? მომენატრეთ ყველანი. რაც „გზავნილები“ არსებობს, სულ თქვენთან ვარ. ახლაც ვცადე, მაგრამ ვერ

რთველი კაცები! 90% მატყუარაა! ტყუიან ყველაფერზე: ვინ, სად და რამდენი სცემეს, დაათვრეს თუ სარეცელი გააყოფინეს. ბიჭო, შეკაი კაცო, ასე მაგარი თუ ხარ და ამდენი ქალი გყოლია, ის არ უნდა იცოდე, რომ დონჟუანის რეპუტაცია შენს წისქვილზე წყალს არ დაასხამს (თან 90% რომ შენაირი ენატლიკინა, ხომ უეჭველი გაბაზრდება)? რაღაცა, 1-2 კალთამადლიანისთვის 2 „გროში“ ხვეწნით მიუჩივებიათ, იქაც არაფერი გამოსვლიათ, უღლაბუციანთ; გარეთ გამოსულეხს კმაყოფილი სიფათი „დაუჟერიათ“ და თავი კაცები ჰგონიანთ! მერე მოჰყვებიან პორნოფილმებში ნანახი, ცეცხლოვანი სცენების აღწერას. კარგი, რაა... გოგონების უმრავლესობაც ისე მიაჩვიეს სიცრუეს... თუ ვინმეს მოვწონებივარ, მარტო იმიტომ, რომ ჩემი სიმართლე ტყუილი ეგონათ! კაცების უმცირეს ნაწილს, ვინც მართლა იცის ქალის ფასი, მართლა კაცებს მინდა ვუთხრა: ბიჭებო, კიდევ არიან ისეთი ქართველი გოგონები, ვისთვისაც ერთგულება, ტრადიცია, სამშობლო და სიყვარული ცალკეად ნათქვამი სიტყვები არ არის... მიაქციეთ ყურადღება! უამრავი ანგელოზი დაფრინავს ჩვენს ქვეყანაში, უამრავი!!! იშვიათი კაცი“.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩემს საყვარელ ადამიანებს ძალიან ვუყვარვარ, ხანდახან მაინც მაქვს საშინელი სიმართლის შეგრძნება. ზოგჯერ მარტოობასაც აქვს თავისი ხიბლი, მაგრამ ეს სულ სხვა მარტოობაა. მამა მენატრება, უსაზღვროდ. წარმოვიდგენ ხოლმე, როგორი გახარებული და გაბრწყინებული ვიქნებოდი, ჩემი მამიკო რომ ჩემთან იყოს და სიტბოსა და სიყვარულს არ მაკლებდეს, მაგრამ... ღმერთო, როგორ მინდა, ჩემი ოცნება რეალობა იყოს. საშინლად ვარ „დაგრუზული“. ყველაფერს დავთმობდი, ოღონდ ის იყოს ჩემთან. მამი, ტკივილამდე მენატრები. :(რატომ მიგვატოვე მამ, რატომ? უშენობა ძნელია, ძალიან ძნელი. ცრემლუკა“.

„მარიმულ, იცი, მე იორკიდან წასვლას არ ვაპირებ, აქ დავრჩები სამუდამოდ! ასე რომ, მოგიწევს ჩემი ატანა. აეროპორტი ქარმა დალენა ცუდი ამინდის გამო და რეისები სამუდამოდ გადაიდო. ჰოოდა, მეც სხვა გზა არა მაქვს, აქ უნდა დავრჩე. მე თვითონ

შარდის ანალიზი

„ქუთაისელი სტუდენტი, რეზო საკმაოდ მომჭირნედ ცხოვრობდა, მაგრამ თავს მაინც იწონებდა ერთადერთი პერანგი ჰქონდა, რომელსაც ყოველდღე რეცხავდა და აუთოებდა. ერთ დღესაც ჩვეულებისამებრ, გამოწვეპილი იჯდა ტროლეიბუსში და პაემანზე მიჩქარებოდა უცებ, გულისპარზე ჯერ ერთი წვეთი დაეცა, მოყვითალო წრე შემოახა, მერე მეორე, მესამე. მეთათზე მალლა აიხედა: — დეიდა, ზეთი გელვრებათ, — შეუძახა მოსუცს, რომელიც ზუსტად მის პირდაპირ ჩაჰბლაუჭებოდა სახელურს და ხელში ბადურაში მოთავსებული ქლა ეჭირა — უ, ჩემი სიკვდილი, — შეიცხადა ქალმა — რა დამაბრუნებს ახლა უკან, ზეთი კი არა, შარდის ანალიზი მიმქონდა, დაგილუპე ქალი ლუნა“.

სამყაროსა და ჭავჭავაძის უნივერსიტეტში ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. რა ბედნიერება ყოფილა, როცა შენს პირველ გზავნილს საყვარელ ჟურნალში კითხულობ“.

„ცოტა ხნის წინ მქონდა ოცნება, „გზის“ ყველა ნომერში მენახა ჩემი მესიჯი. ეს ოცნება ავისრულე. ახლა კიდევ ერთი რაღაც ამოვიჩემე. დიდი სურვილი მაქვს, ჩემს ტელეფონზე მოვიდეს მესიჯი ნომრიდან: 8.77.45.68.61. რა მეოცნებე ვარ, არა? ეს თუ ამისრულდა, ისეთს ვიკვილებ, უეჭველი სმენის ორგანო დაუზიანდებათ ჩემ გარშემო მყოფებს. მარ, ამისრულე? არავის ვეტყვი, მერე სხვებმაც რომ არ გთხო-

მოგერიე, სვანეთის დედოფალო. ჰოდა, მინდა გითხრა: იქნებ დამაბრუნო „გზაში“, კაი? გოცნი და მადლობა წინასწარ. მარად თქვენი მის PSYQOLOGY-20. მარ, თუ დაგჭირდე, არ მოგერიდოს. KISS ALL“.

„2 დღეა სოფელში ვარ და ქვეყანა ჩემი მგონია. მგონია, ფრთები შემეხსმება და გავფრინდები. ვირგებ 2-კვირიან დასვენებას. მერე კი უნდა ვიმუშაო. მიყვარხართ. პანტერიტა“.

„დაგპირდით, მოგწერთ კაცების ღირსება-ვაჟკაცობაზე-მეთქი, მაგრამ ცოტა შემაგვიანდა. ცოტა დავისვენე, მერე შავნალვლიანობამ კინალამ მიმსხვერპლა და ა.შ... ჰოოდა, კაცები... ქა-

რომ მქონდეს ფრთები, მაინც არსად გავფრინდები. ვიტყუები, ხუთშაბათობით „გზით“ ხელში დავფრინავ ხოლმე. ჰოდა, რამდენჯერ მომხვედრია თავში 2-ტონიანი წიგნი და ამის შემდეგ აქედან წავალ? აქ დავრჩები და იმეღია, მიმიღებთ. მგზავნელების გაცნობა მაგრად მინდა. ჯერჯერობით ვერავინ მაჩვენებს. არა უშავს, პატალა ვალ და ალბათ ალ ვცანვალ, ქო? ხულიგანკა“.

„ახლა 1 წლის წინანდელ „გზას“ ვკითხულობ. როგორ შეიცვალა ყველაფერი! მაშინ არ იყო ამდენი ევა-მაკა-თიკა-ლიკა. მხოლოდ 2 „კა“ ვიყავით — კანიბალკა და მე. კარგია, რომ გავმრავლდით. ყველა ძალიან მიყვარხართ, მაგრამ ძველების მიმართ სხვანაირი სიტბო დამრჩა. მაშინ ლამურა, გიჟი პოეტი, სტიქია, ილინი, იამური, ფინტიკობა, ლუციფერი, ზმიზმი, კიბორჩხალას ცოლი ალაშაზებდნენ ფურცლებს. სამწუხაროა, რომ მათმა ნაწილმა დაგვტოვა. :(ლან, მოდი, რა, ხომ ხედავ, მარტო ვარ. გკოცნით, თქვენი უკანასკნელი მოჰიკანი, პარიჟანკა“.

„მგზავნელებს მაგარი ვირტუალური სამყარო გაქვთ. მარი, შენ კი ამ სამყაროს ცენტრი ხარ და ყველა კარგ ადამიანს შენკენ იზიდავ. მეც ჩამითრიეთ ამ სიყვარულის მორევში და თავის დაღწევაც კი არ მინდა. კარგი იქნებოდა, ინტერნეტპორტალი გაგეხსნა, სადაც მგზავნელები ერთად მოიყრიდნენ თავს და არავინ განაწყენდებოდა იმის გამო, რომ მისი მესიჯი არ გამოქვეყნდებოდა. ხომ კარგი აზრია? ხელმოცარული“.

„ერთ ზაფხულს ჩემი კლასელი სოფელში იყო. ერთხელ ტვინი ეღრძო და გაგანია შუადღეს მზეზე დანვა გასარუჯავად. მერე გაახსენდა, რომ თუ ლუდს წაისვამდა, მაგარ ფერზე დადგებოდა. ჰოდა, წაისვა ლუდი და კვლავ მზეს მიეფიცხა. ცოტა ხანში ფუტკრები დაესივნენ (თურმე ახლოს სკა ჰქონიათ). ისე დაკბინეს, 1 კვირა ტიროდა. ასე შერჩა ჩემს კლასელს „დაზაგრულის“ ნაცვლად დაკბენილი სხეული. ტოპოლინა“.

„ჩემი დედამთილი და მული ფეხსაცმლის საყიდლად წავიდნენ. ამოარჩიეს, ჩააზომეს მულს და ეკითხებინან, უჭერს თუ არა. ფეხსაცმელი იმდენად მოეწონა, რომ უპასუხა — არ მიჭერს, მაგრამ ვითმენო. თუ არ უჭ-

ერდა, რა ჰქონდა მოსათმენი, ჰა? ბუსუსუნა“.

„მდაა... აქ რა ამბავია? რა მგელო, რის მგელო? მე, როგორც „გზავნილ-სითის“ მუდმივი და სტაჟიანი მცხოვრები, ხმას ვიმაღლებ. კახელო მგელკაცა, არავითარ შემთხვევაში არ შეიცვალა ნიკი. გთხოვ, მეც კახელი ვარ და არ მაფიქრებინო, რომ ჩვენ უკან ვიხვეთ. ყველა კახელი მგზავნელის გაცნობა მინდა“.

„ლექტორიო? ჩემი ლექტორია, „გზის“ ნაღდი ფანი. თითქმის ყოველ ხუთშაბათს წერა გვაქვს. ამ დროს პატმასნი ჩვენს უურნალს ეცნობა. ვხედავ, რომ „გზავნილებს“ კითხულობს. ჩემს მესიჯებთან რომ მივა, აუდიტორიას გადახედავს ხოლმე. გული უგრძნობს, რომ მისი სტუდენტია პარიჟანკა. :) ეჰ, ქალბატონო ჯადოქარო, რომ იცოდეთ, ვინ ვარ! აბა, გაიხსენეთ ერთადერთი სტუდენტი, რომელსაც თქვენგან შექება ეღირსა (ნუ, რაც მართალია, მართალია, გადასარევი „პრონანსი“ მაქვს). გპირდებით, შარდენის ჩანთას გამოგიგზავნით! პარიჟანკა“.

„მჰუაჰ“, მარი, „მჰუაჰ“! :-) როგორ ხართ, სიხარულებო? დიდი ხანია, არ მომიწერია. თავს დამტყდარი უბედურებების გამო ვერ ვახერხებდი თქვენთან დამესიჯებას. არადა, მაგრად მინდა თქვენთან ურთიერთობა და თქვენი გაცნობა. ძალიან საყვარლები და კაი ხალხი ხართ. იცით? თქვენი ცოტათი კი არა, მაგრად მშურს, ერთმანეთს რომ იცნობთ და მხიარულობთ. მეც მინდა „ბალიი“... კი არადა, თქვენთან. :-) გულმავინყოების შედეგია ის, რომ სახლი დავნი, მაგრამ რას ვიზამ? მაფიოზა“.

„მარ, რატომ გაქვს ტელეფონი გამორთული? ეგაა, თქვენ გარეშე ვერ ვძლებო, ესაო, ისაო, ამ მთის იმ ბარისო? იცოდი, რომ ხუთშაბათია და არავინ დაგაძინებდა, არა? კაი, ვთქვით იმერელი რომ იყო ჰო, მაგრამ სვანი და აფერისტი? რას აღარ მოესწრება კაცი. რაო, გაგიჩინეთ უკვე თვალში „მაზოლები“


ჩვენი აბდაუბდის კითხვით? ოჩოპინტრე“.

„აუ, გამიტყდა მაგრად. ქუთაისელ მგზავნელებს ბოდიში მინდა მოვუხადო. ასეთ აქტიურ მგზავნელს შეხვედრაზე პასიურობა არ მეკადრება, მაგრამ რა ვქნა? ძალიან უყურადღებო გავხდი და ეგ გზავნილი გვიან წავიკითხე. თან კვირას ვერ მოვიდოდი ხარების ტაძართან. ამ დღეს ყოველთვის ჩემს ლამაზ ბალდათში ვარ. აბეზარი საკალელი იქნება, ეტყობა. აბა, ბალდათელი სხვანაირი არ შეიძლება“.

„გზავნილები“ უამრავ რამეს შეიძლება შევადაროთ. მე ახდენილი ოცნებების სამყაროს ვამსგავსებ. მათ კი, ვისაც სამყაროს დედოფალი მესიჯებს არ უბეჭდავს და ოცნებების „სასაკულაოზე“ გზავნის, გულწრფელად თანაგიგრძნობთ. თაისი“.

„გუშინ ბევრი თავისუფალი დრო მქონდა და ტორტის გაკეთება გადავწყვიტე. არ ვიცოდი, რა გამოვიდოდა და ვიფიქრე, თუ ვერ გაქაჩა ჩემმა კულინარობამ და რალაც ნაცოდვილარი გამოვიდა, ჯონდის დავარქმევ და თუ გემრიელი იქნება, მარის-მეთქი. ახლა მთელი ოჯახი გავაღვიძე. ობიექტური ჟიური შეიკრიბა და ტორტი მოვნათლეთ — მარი დავარქვით. შენსავით ტკბილია. სულ ასე გემრიელად მეყოლეთ. ქუთაისელებო, შევიკრიბოთ, რაააა... ტორტი „მარიამით“ გაგიმასპინძლებით. თაისი“.

„მარიკო, საყვარელო, ძალიან მიყვარხარ. ჰოდა, ვინახავ მხოლოდ იმ „გზას“, რომელშიც ჩემი მესიჯია, ხოლო სხვებს ვწვავ. ახლა წარმოიდგინე, რომ ინვება ყველაფერი: შენი ნაწვანელები, შენი საყვარელი მგზავნელების მესიჯები, ინტერვიუები, შენი კოლეგების ნაშრომი, რამდენი ლამე დაათენდათ თავზე და ეს ყველაფერი 5 წუთში ქრება, ინვება... აი, ახლა ვნახავ, როგორ გიყვარს „გზა“ და მგზავნელები. მიყვარხართ, მარი შენ, ლეო, ნიკა და მათი მეგობრები. სოფი სოფი“.



სურსი — ღუბუბია. მისამართი: ჟიორისი, ახმეტელის №2.

ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში დააკვირდი და ეცადე, დაიმახსოვრო, რა გაიფიქრე ამ დროს. შემდეგ ფოტოტესტის პასუხები იხილე.



1. „აუჰ, რამდენი ფულია! ნეტავ ეს დასტა ჩემს ოთახში იდოს!“ – ეს გაიფიქრე? სავარაუდოა, რომ არასოდეს გაქვს ზედმეტი ფული, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ თავს რამეზე უარს ეუბნები. სულაც არ ხარ იმის წინააღმდეგი, რომ გაცილებით მეტი თანხის განჯარვის უფლება გქონდეს. ახლა კი იმას სჯერდები, რაც გაქვს და მეტისთვის აღარ იბრძვი.

2. „რამდენიმე შეჯვრა მეყოფოდა, ამდენ ფულს კი პრობლემაც ბევრი მოჰყვება“. – ფული შენთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ მიგაჩნია, რომ არსებობისთვის აუცილებელია. ვალის აღება არ გიყვარს, მაგრამ იძულებული ხარ, ხშირად ისესხო. გახსოვდეს, რომ როდესაც ფულს სესხად იღებ, სხვის ფულს დროებით თხოულობ, ხოლო როცა ვალს აბრუნებ, შენსას სამუდამოდ გასცემ.

3. „ვის რად უნდა დოლარი? მისი კურსი ისე დაეცა, რომ ახლა ლარის შენახვა ჯობს“. – ეს გაიფიქრე? საყ-

მაოდ უარგად ერკვევი დღევანდელი ბაზრის მოთხოვნებში. თუმცა, უმჯობესი იქნება, თუ რისკს ხშირად არ გასწევ. მიგაჩნია, რომ უაპიტალის შენახვა ფულის სახით ჯობია და სწორადაც ფიქრობ.

4. „აუჰ, მთელი ცხოვრება რომ ვიმუშაო, ამდენ ფულს ვერ მოვაგროვებ“. – შენთვის სიმდიდრე დაუღალავ შრომასთან ასოცირდება. ფინანსურ მაქინაციებს გაურბიხარ. სიმდიდრეზე იოლად უარს ამბობ და უმჯობესად იმუშავებ. არც ეს არის ცუდი. ამ გზითაც შეიძლება ფულის შოვნა.

5. „ამდენი ფული რომ მქონდეს, ნეტავ, რაში დავხარჯავდი?“ – თუ ეს გაიფიქრე, პატიოსანი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნები და სავარაუდოა, რომ ფორტუნას შენ უფრო ხშირად უღიმი, ვიდრე ის – შენ. რჩევა: პატიოსნად ცხოვრება განაგრძე, მაგრამ უფრო მოქნილი პოლიტიკა და დიპლომატიური მიდგომა არ განწყენდა.

თუ - „გზის“ მოსაპოვებლად

დღეს კვლავ 2 რესპონდენტი გვყავს — კარდიოლოგი და ჩორი-ჩორი. პირველთან ინტერვიუ ბელ-ნენ-მა ჩანერა, ხოლო მეორესთან — მამაცმა თოჯინამ ვერჯერობით, ყველაზე მეტს სწორედ ეთო აქტიურობს და საკმაოდ საინტერესო ინტერვიუებსაც გვიგზავნის. კიდევ ერთი სასიამოვნო სიბახლე გვაქვს, თქვენთვის, ჟურნალისტებო! საუკეთესო წერილების ავტორებს რედაქცია სამსახურს შესთავაზებს და საშუალება მიეცემა, თავის საყვარელ ჟურნალთან ითანამშრომლოს. ასე რომ...

რაც შეეხება კარდიოლოგის ინტერვიუს, ძალზე დაძვდა გული, რომ მან თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა ჩვენ კი წინასწარ მოვილაპარაკეთ, რომ ინტერვიუს რესპონდენტის სურათი უნდა ახლდეს. ააბა, როგორ ვიტყვი ხოლმე, როცა რესპონდენტი სურათს არ გაგაძლევს? სწოლორია! მაიმუნის სურათს ვბეჭდავთ. ასე რომ, იმედია, კარდიოლოგი სწორად გაიგებს ჩვენს სურათს (ისევე, როგორც შეწირული) და არ გაგვინანწყნდება...

ბკლ-555

მარი, მადლობა შენ და „გზას“, რადგან საშუალება მომეცა, ჩემთვის საყვარელი და მივიწყებული საქმე გამეკეთებინა. მინდა გავამხილო, რომ სკოლაში კედლის გაზეთის რედაქტორი ვიყავი. ჩემი ჟურნალისტური „ნაშრომი“ პირველად გამოდის საზოგადოების სამსჯავროზე. მოკლედ, თქვენს წინაშე „ჟურნალისტურ-სტომატოლოგიური“ ინტერვიუ.

— გაეცანი მკითხველს.
— მე ფიქრია ვარ, მეგობრები კი ფიქროს მეძახიან. გვარის დასახელებისგან თავს შევიკავებ. ვარ 22 წლის. ესწავლობ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე. ვარ V კურსზე. ჩემი ნიკია — კარდიოლოგი. ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, პლუსებითა და მინუსებით.

— როგორ მოხვდი იმ დიდ „ჟურნალურში“, რასაც სამედიცინო უნივერსიტეტი ჰქვია?

— დიდი სურვილი მქონდა, გაემხდარიყავი ჟურნალისტი, მაგრამ მამიკოს თხოვნით ჩავაბარე სამედიცინოზე, რასაც ამ ეტაპზე არ ვნანობ და ბედნიერი ვარ, რომ მამიკოს სურვილი გავითვალისწინე. მინდა დავამატო, რომ სანამ ჩავაბარებდი, ექიმობაში მუღამს ვერ ვხედავდი, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო მეტად „ვამუღამებ“.

— რატომ მაინცდამაინც კარდიოლოგი?

— ძალიან მომწონს ეს სფერო და კარდიოლოგობას ვაპირებ, ეს არის და ეს!

— რამდენი ხანია „გზავნილ-მანით“ ხარ შეპყრობილი?

— ცოტა შორიდან დავინწყებ: „გზას“ იმ დღიდან ვკითხულობ, როდესაც მისი პირველი ნომერი გამოვიდა. ეს იყო ჩემი მოსწავლეობის პერიოდში. შესაბამისად, „გზავნილებსაც“ მისი დაბადების პირველივე დღიდან ვაღწევთ თვალს და ვარ ე.წ. მგზავნილი.


— გაიხსენე შენი პირველი

გზავნილი

— სიმართლე რომ გითხრა, არ მახსოვს. თავიდან პატარ-პატარა მესიჯებს ვგზავნიდი. პირველი მესიჯით ალბათ მეგობრები მოვიკითხე.

— მგზავნილები საოცარ ამბებს ჰყვებიან იმაზე, თუ როგორ უწევთ ყოველ სუთმბათს „გზის“ მოპოვება და წაკითხვა შენც თუ გქონა მსგავსი შემთხვევა?

— „გზის“ მოსაპოვებლად ომი არასოდეს მქონია. სახლის გვერდით არის ჯისური და ყოველ სუთმბათს ცივილიზებული წესით ვყიდულობ „გზას“. რაც შეეხება წაკითხვას, ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ტრანსპორტში, გვერდით მჯდომს უთქვამს — არ გადაფურცლო, გოგონა, წასაკითხი დამრჩაო.



— პირადად მე დავამატებ, რომ ექსტრემალურ პირობებში არასდროს ვკითხულობ „გზავნილებს“. ყოველთვის საღამოსთვის გადავდებ ხოლმე ამ საქმეს კომფორტულად მოვკალათდები, ყავას გვერდით მოვიდგამ და „გზავნილებში“ ვფელობი. გვყავს თუ არა მგზავნილი მე გობარი?

— არა, სამწუხაროდ არ მყავს და საერთოდაც პირველი მგზავნილი ხარ, ვინც გავიცანი.

— გამოგიტყდები, შენც პირველი ხარ, ვინც მგზავნილებიდან გავიცანი რომელიმე VIP-კლუბის წევრი თუ ხარ?

— სამწუხაროდ, არა. VIP-კლუბის წევრობა გარკვეულ

დროს მოითხოვს და ალბათ დამეთანხმები, რომ სამედიცინოს სტუდენტისთვის თავისუფალი დრო ძალიან შეზღუდულია.

— რომ შეგეძლოს, რას შეცვლიდი „გზავნილებში“ ან რაიმე ახალ და ორიგინალურ იდეას თუ მიანვდი მარის?

— ხანდახან რალაც იდეები მიჩნდება, მაგრამ ორიგინალურობის რა მოგახსენო. ეს საქმე ყველაზე კარგად მარის გამოსდის. ამიტომ, უმჯობესია, ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, მაგრამ ერთი სურვილი მაქვს — მოვანყოთ კონკურსი და გამოვავლინოთ საუკეთესო ინტერვიუ. მაინც მქონია იდეა...

— წარმოიდგინე დილით გაიღვიძე და აღმოაჩინე, რომ მარი ჯავაროძე ხარ როგორი რეაქცია გექნება და პირველად რას გააკეთებ?

— ალბათ, უმაგრესი შეგრძნება იქნება! ძალიან გამიხარდება! სასწრაფოდ შევკრებ ყველა მგზავნიელს და გიჟურ „ფართის“ მოვანყობ.

— შენს უახლოეს გავმებზე რას გავტყვი?

— თსსუ თავის სტუდენტებს საზღვარგარეთ, ერთთვისანი სტაჟირების საშუალებას აძლევს. მეც ვაპირებ, სტაჟირება ბულგარეთში გავიარო.

— მე დაახლოებით ისეთივე წარმომედგინე, როგორიც ხარ. შენ რა შთაბეჭდილება დაგრჩა ჩემზე?

— მეც თითქმის ასეთივე წარმომედგინე, კონტაქტური და საყვარელი.

— ახლა მე რომ ეს დაწერო, ვინ დამიბეჭდავს? თუ გაქვს რაიმე შეკითხვა ჩემთან?

— რესპონდენტად მე რატომ ამირჩიე?

— მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი კოლეგა ხარ და შენი გაცნობა მინდოდა.

— იმედია, მეგობრობას გავაგრძელებთ.

— აუცილებლად

2007 წლის ანგარიში (მედიის თემატიკა)

ჩორი-ჩორის და მისი თუთიყუშის, ასევე ჩორი-ჩორის ამბავი მკითხველს კარგად მოეხსენება. პატრონის მრავალი მცდელობის მიუხედავად, არ იქნა და არ დაადგა საშველი ჩიტის ალაპარაკებას. მგზავნელებში ნიკის წართმევა ხშირად დავის საგანიც გამხდარა. ჩორიმ კი თავისი ნიკი სწორედ თუთიყუშს მოჰპარა. მდუმარე თუთიყუში კი სულაც არ ყოფილა უნიჭო. თურმე, კითხვაც იცის და არ მოსწონს, მისი სახელით „გზაში“ რომ ამესიჯებენ. სწორედ ამიტომაც დუმს.

რა გასაკვირია, რომ მგზავნელი ჩორი-ჩორი, იგივე მზიკო ძიძიშვილი ამ ვერსიას გამორიცხავს.

— ჩორის ძალიან ვუყვარვარ და ასე არ გამიმეტებს. ის კი არ დუმს, ალბათ მუნჯია ან ისეთი სტრესი გადაიტანა, რომ დამუნჯდა. მე ხომ მის „ბავშვობას“ არ შევსწრებივარ. თუთიყუში ბიძაშვილმა მაჩუქა (უფრო სწორად — ვიჩუქე). თავიდან ჩორის რეზიკო ერქვა, მაგრამ მე მისთვის სახელი უკვე მოფიქრებული მქონდა და გალიაზე დიდი ასოებით მივანერე — ჩორი-ჩორი. მერე, რატომღაც ეს სახელი მე შემარქვეს.

— რას ნიშნავს „ჩორი“?

— როგორც ვიცი, ეს ინდური ენიდანაა და მოტაცებას თუ მოპარვას ნიშნავს.

— ჩორი, დედამიშვილები გყავს?

— უფროსი დაიკო მყავს (მაგას ვენაცვალე) და მამის მხრიდან 2 უმცროსი ძამიკო (იმათაც ვენაცვალე). მშობლები დიდი ხანია, განქორწინებულები არიან. მე დედასთან ერთად ვცხოვრობ, მუხიანში.

— რას საქმიანობ?

— მოსწავლე ვარ, XI კლასს ვამთავრებ და ასევე ავტოსკოლაში მართვის მოწმობის ასაღებად ვიბრძვი.

— სკოლის დამთავრების მერე რას აპირებ?

— გათხოვებას... ვხუმრობ, სკოლას რომ დავამთავრებ, უკვე საკმაოდ „მოხუცი“ ვიქნები (იცინის). ერთი წელი კიდევ მაქვს იმისთვის, რომ მომავალი დავგეგმო. ვნახოთ.

— გათხოვება რომ ახსენე, მეუღლის ვაკანსიაზე კანდიდატი ხომ არ გყავს?

— ამ ეტაპზე კანდიდატი არ არსებობს. იმ „საეჭვო“

კარატისტი ჩორის ყვანა ღიღი მონაპოვარი



გრძნობის, რასაც სიყვარული ჰქვია, მაიცდამაინც არ მჯერა. დღემდე ვერავის გაურკვევია, რა გრძნობაა ასეთი, ხალხს რომ ტანჯავს.

— როგორი უნდა იყოს შენი რჩეული?

— იუმორით სავსე, ცოტა რომანტიკოსი, სამართლიანი, ჭკვიანი, კეთილი და ძლიერი. დაბლები და მელოტები არ გამომეხმაურონ (იცინის).

— როგორია შენი „ჩვეულებრივი დღე“?

— ოო, ამ ბოლო დროს ეგ ერთი „ჩვეულებრივი დღე“ ძალიან დატვირთული მაქვს. დილით — სირბილი თბილისის ზღვის სანაპიროზე; მერე სკოლა, შემდეგ — „კემბრიჯი“, ავტოსკოლა. თუ ავტოსკოლაში არ ვარ წასასვლელი, მგზავნელებს ვხვდები ხოლმე. დროის უქონლობის გამო კარატეზე აღარ დავდივარ.

— რა მიღწევები გაქვს კარატეში?

— თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ კუზანოვს ხელობა ნაფართვი და საკმაოდ ეფექტურად მოვახდინე ბიჭად გადაქცევა, საქართველოს სამგზის ჩემპიონი ვარ.

— თავდაცვის მიზნით თუ გიცვამია ვინმე?

— არასოდეს დამჭირებია საკუთარი თავის დაცვა. ჩემგან ყველა თავს შორს იჭერს. სხვისი დაცვა კი დამჭირებია.

— მგზავნელებიდან ვინც გიცნობს, ყველას განსაკუთრებ-

ულად უყვარხარ. როგორ ახერხებ ამას?

— ვაუ, მართლა? ნუ, ძან მეგობრული ვარ, კარგი აურა მაქვს, როგორც ამბობენ.

— კლუბ „ბილიკის“ შეფი ხარ. როდის აპირებთ გააქტიურებას?

— მაისში აუცილებლად გავაქტიურდებით. მანამდე კი მსურველებს ვეპატიჟები. დარწმუნებული იყავით, რომ ძალიან მეგობრული გარემო იქნება.

— ერთხელ „გზავნილებში“ შენი კლუბის სახელით დაწერე, რომ მოხუცებს გზაზე გადასვლაშიც კი დაეხმარებოდი, მიუხედავად იმისა, მათ ამის სურვილი ექნებოდათ თუ არა. არ გიყვარს მოხუცები?

— რას ამბობ? მოხუცები ისე მიყვარს, მათზე მამოვდები. ძალიან საყვარლები და თანაც, უმწეოები არიან. სამწუხაროდ, არც ბებია მყავს და არც ბაბუა. ჰოდა, სხვის ბებია-ბაბუებს შევხარო. ვერ ვიტან ისეთ ადამიანს, ვინც მოხუცს პატივს არ სცემს.

— ასაკით ვერ პატარა ხარ (18 წლის). რა არის შენი ცხოვრების ყველაზე დიდი მონაპოვარი?

— ცოდნა? არა... არც კარატი... (ფიქრობს) ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, ჩემი დედიკო და „გზაში“ შეძენილი მეგობრები.

— დასასრულ, რას ვერ აპატიებდი ჩვენი ვირტუალური ქალაქის მერს, მარი ჯაფარიძეს?

— სიყალბეს.

ნაყინი

ნაყინის რეკლამას არასოდეს იღებენ ცოცხლად, რადგან სკილების შუქის მხურვალეობა მას უცებ ადნობს. რეკლამისთვის პლასტიკური, სილიკონის ან ფელესებური მასა გამოიყენება, რომელსაც საჭირო ფერსა და ფაქტურას აძლევენ. სინამდვილეში, უზადო ვაფლის ჭიქის შონაც ჭირს — ზოგს გვერდი აქვს ჩამოტეხილი, ზოგი კი არათანაბრად დაბრუნული. ასე რომ, სარეკლამო ვაფლის ჭიქის გამოძერწვა აუცილებელია.



წვნიანი

სარეკლამო ფაქტობრივად, ნამდვილ წვნიანს ხარშავენ, მაგრამ მზა კერძი რომ თეფშზე დაასხა და უბრალოდ ფოტო გადაუღო, მისი შემადგენლობა არ გამოჩნდება, რადგან ყველა ინგრედიენტი ჩაიძირება. ამიტომ, თეფშის ძირზე ფელატინის გამჭვირვალე მასას ათავსებენ, ზევიდან ბულიონს ასხამენ და აკურატულად ალაგებენ კომბოსტოს, ჭარხლის, სტაფილოს, მწვანილსა და ლორის ნაჭრებს. მთავარია, რომ კერძს ვიტამინებით მდიდარი საჭმლის იერი ჰქონდეს.

ქათაი

სარეკლამო ფოტოსთვის ან რგოლისთვის ქათამი არ უნდა იყოს არც შემწვარი და არც მოხარშული, მაგრამ მისი უმად წარმოჩენაც არ ივარგებს, რადგან მომხმარებელი უნდა მიხვდეს, რომ ყიდვის შემდეგ, ქათამს მომზადება კი არა, უბრალოდ, შეცხვლება სჭირდება. იმისათვის, რომ ფოტოზე ქათამი მადისაღმძვრელად გამოიყურებოდეს, მას ჩვეულებრივი, თმის საშრობი ფენით აშრობენ. ეს მის

როგორ იღებენ საკვების რეკლამას



დეფორმაციას არ იწვევს — ქათამი ოქროსფერს იღებს და მართლაც მადისაღმძვრელად გამოიყურება.

კახაბი

თუ სადმე კატლეტის რეკლამას იხილავთ, იცოდეთ, რომ ფოტოზე ის თმის ლაქითაა დაფარული. ეს იმ თვალისმომჭრელი ბრწყინვალეებისთვისაა საჭირო, რომელსაც სხვა მეთოდით ვერ მიაღწევს.

**მაკარონის
წაწრაფი**

თუ მაკარონს მეტისმეტად მოხარშავ, ფორმას კარგავს. განსაკუთრებით — ქართული წარმოების მაკარონი. ამიტომ, სამამულო მაკარონის სარეკლამოდ უცხოურ მაკარონს იყენებენ.

პელმენი

პელმენის რეკლამირება ყველა ფუდ-სტილისტიისთვის ნამდვილი კოშმარია, რადგან მათი სათითაოდ ხელით ძერწვა უწევს. სარეკლამო პელმენში ხორცის ჩამატება არ შეიძლება, რადგან შავ ლაქად გამოჩნდება. ის მხოლოდ ცომისა და მარილისგან შედგება და სწორედ ამიტომ აქვს ასეთი კარგი ფერი. არაფრის ნაცვლად თეთრ

წებო-ემულსიას იყენებენ, რომელიც ნელ-ნელა იღვრება და სარეკლამოდ იდეალურ ვარიანტს წარმოადგენს. მასვე იყენებენ რძის რეკლამისთვისაც.

ფაფა

სარეკლამო საქმეში ფელატინი შეუცვლელი ნივთიერებაა. მას ხშირად ამატებენ ფაფებსა და პიურეში.

ლუდი

ლუდს უფრო ხშირად სარეკლამო რგოლებში იღებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ქაფს სარეცხი საშუალების ათქვეფით უკეთებენ. ასე უფრო სქელი ქაფი მიიღება. უმეტეს შემთხვევაში კი ლუდის ნაცვლად ჩაის ნაყენს იყენებენ.

სოსისი


სარეკლამოდ სოსისს ან სარდელს უმად იღებენ ან თმის საშრობი ფენით აშრობენ. ხოლო ძირითადი კერძის მწვანილის გარნირი თმის ლაქითაა დაფარული. ამის გამო რეკლამის გადამღებ ჯგუფს გარკვეული დისკომფორტი ექმნება — სარეკლამო ვიდეორგოლისათვის გამოსადეგი კადრების ფირზე აღბეჭდვა მანამდე უნდა მოასწროს, ვიდრე მწვანილი ჩამოჭნება.



გაყიდვი ნაყინი
„ნისან-ჰაქაშოლი“. ვიხმვი,
აყაშიაძლე ამ შექმნეხში.

7 ყველაზე უთავბაჭდავი ქარსვა

1. გაძარცვული ბანკის თანამშრომლების მიერ გამოძახებულმა პოლიციის თანამშრომლებმა ბანკის კედელთან, კუთხეში მიმჯდარი ახალგაზრდა მამაკაცი შენიშნეს, რომელიც ახალმოპარული ფულის დასტას გამალებით ითვლიდა. უცნობი მამაკაცი ძებნაში მყოფი მძარცველი აღმოჩნდა, რომელმაც აღნიშნული ბანკი მეორედ დააყარა.



2. ახალგაზრდა მამაკაცი ფირმა „საგზაო ექსპრესისთვის“ გამოწერილი ჩეკის განაღდებას ყალბი დოკუმენტებით ცდილობდა. გრაფაში „სახელი“ — „საგზაო“ ეწერა, ხოლო გრაფაში „გვარი“ — „ექსპრესი“. ის საბუთების გაყალბებისთვის დააკავეს.

3. თურმე, შესაძლებელია, ძარცვა გაურკვეველი კალიგრაფიის გამო ჩაიშალოს. როდესაც მძარცველმა ბანკის თანამშრომელს „ტრადიციული“ ბარათი — „ეს ძარცვაა!“ ცხვირზე ააფარა, მოლარემ გაურკვეველად ნაწერი ვერ ამოიკითხა და ბარათი მშვიდად დაუბრუნა მძარცველს. დამნაშავემ მას სულელი უწოდა და უკანმოუხედავად გაიქცა.

4. სხვა დამნაშავემ ბარათში მიუთითა, რომ 19 „მრილიონი“ დოლარი სჭირდებოდა. პოლიცია იმ დროს მივიდა, როდესაც დამნაშავე და მოლარე არკვევდნენ, მძარცველი მილიონს, მილიარდს თუ ტრილიონს გულისხმობდა.

5. ბანკის გასაძარცვაად არც გარკვეული და ლამაზი ხელწერაა საკმარისი. ერთ-ერთმა მძარცველმა ბარათზე ლამაზად და გარკვევით გამოიყვანა ასოები თუ ციფრები და მიუთითა, რომ 100 დოლარი სჭირდებოდა. მძარცველმა ვერაფრით დაარწმუნა მოლარე, რომ უბრალოდ, ნულების მიწერა დაავინყდა.

6. ერთ-ერთმა მძარცველმა კი ბარათი ბინის გადასახადის ქვითრის უკანა მხარეს დაწერა, რომელზეც მისი სახელი, გვარი და მისამართი იყო მინიშნებული.

7. ზოგჯერ მოლარეზე ჯადოსნურად მოქმედებს ჯიბიდან გამოშვებული თითი, რომელიც პისტოლეტის ლულის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, ხელით მოწყობილი ეს „კონსტრუქცია“ მძარცველს აუცილებლად ჯიბეში უნდა ჰქონდეს. ერთ-ერთმა მძარცველმა „თითის პისტოლეთი“ შიშვლად მიუშვირა მოლარეს, რამაც, რა თქმა უნდა, დაშინების ობიექტზე შესაბამისი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

8. ერთ-ერთი მძარცველი, როგორც კი მოლარემ ფულის დასტების ჩანთაში ჩალაგება დაიწყო, დარბაზიდან გავიდა. მოგვიანებით მან თავისი მოქმედება იმით ახსნა, რომ მოწვევა მოუნდა, დარბაზში კი ფირნიში ეკიდა, რომელზეც ეწერა — „მოწვევა აკრძალულია!“.

9. ქალაქ კოლამბიაში (ტენესის შტატი) მძარცველებმა ბანკის „გატანის“ გეგმა წინასწარ, საფუძვლიანად დაამუშავეს. როდესაც მძარცველები ბანკში შეიჭრნენ, ყველა იქ მყოფი ადამიანი იატაკზე დააწვინეს და საკუთარი მოთხოვნები წამოაყენეს... მხოლოდ მაშინ შენიშნეს, რომ ბანკი აღარ ფუნქციონირებდა და ყოფილი ბანკის შენობაში ვეტერინარული კლინიკა იყო გახსნილი.

მოკლე ჩართვა


ვის ღაწიფიცავ ბუიციზა?

- ტყუილზე დაფიფიცებ ჩემს ძალღუქას, რომელსაც ჩემი შეყვარებულის სახელი ჰქვია. ოცნება.
- ფიცი არ მიყვარს, მაგრამ თუ დამჭირდა, ტყუილზე იმას დაფიფიცებ, ვისაც ვატყუებ. თქვენს თავს ვფიცავ, ვერ გიტანთ, მგზავნელებო.
- ტყუილზე ძმა დამიფიცებია და ყველა სახსარი „გადაამიკვარჩნა“. ნუ, თითის გადაჯვარედინებით იბლოკებაო და... მაგრამ ანესა თუ დამაფიცეს, „სმერტი“ მაქვს. მეგრული მგელი.
- მე პირადად ვამბობ ხოლმე: სააკაშვილს გეფიცები. :-) მაფიოზა.
- ვინც სულ მარის საყვედურობს და მის გარჯას არ აფასებს (არადა, რამდენს შრომობს ჩვენი მარიაშული), იმას გეფიცებით, გუშინ უცხოპლანეტელი ვნახე ტოპოლინა.
- ბოკეროას და ნადირაძის სინდისზე დაფიფიცებ ჩემო მარი და კიდევ, ჩოჩივეის „კატურ“ უღლაშზე. არ დამიბლოკო SMS იმის გამო, რომ ცოტა პოლიტიზებულია. მიკა.
- ტყუილზე დაფიფიცებდი მიშას, ბოკეროას და მთელ „სასტავს“. ისე, ტყუილზე დაფიფიცებისას რა ემართებათ ხოლმე, მარი? იმედია, არ გადარჩებიან. მის რეალი.

>>>23

პრეზენტაცია

ამჯერად ისევ მკითხველის მესიჯებით დავიწყებ: „მარი, ეგ თქვენი ანა, უწესო ქალი ყოფილა. ამდენი წელი ითმინა და ახლა ყოფილ ქმარს დანებდა. გამოდის, მახო აქ რომ არ ყოფილიყო,



ვიღაც გამვლელსაც კი ჩაუწვებოდა. კიდევ კარგი, დათოც მაგის ჭკუის არ არის. დაღუბავდა მაგ კაცს. არა მგონია, მისი გულის მონადირეობა შეძლოს. ელენე“.

„მგონი „რეალურის“ მთავარ პერსონაჟს ქმარი უყვარს, მაგრამ წყენას ვერ ივიწყებს. თუ კარგად დაფიქრდება, მიხვდება, რომ ასეა. მაგ კაცის ადგილზე რომ ვიყო, თმით ვითრევდი და ჭკუას ვასწავლიდი. რას ჰქვია, ქალმა გამომიყენოს? ჰმ“...

„მარ, მართალია, შეგპირდი, „რეალურს“ აღარ წავიკითხავ-მეთქი, მაგრამ ამბავმა დამაინტერესა. მით უმეტეს, ახლა, როცა ანამ დიდი სისულელე ჩაიდინა. ნეტავ ამიერიდან როგორ მოიქცევა? ისევ მიამიტი ქალის როლს ითამაშებს? არა, ძმაო, ქალი მართლაც ეშმაკზე ადრეა დაბადებული და თუ ჭკუას ძალა არ დაატანე, ისე გაგაბამს მახეში, რომ აზრზეც ვერ მოხვალ. კიდევ კარგი, ცოლი არ მყავს. უჩვეულო მამაკაცი“.

„ანასნაირი ქალები გვინგრევენ ცხოვრებას ჩვენ, ოჯახის ქალებს. ერთი გაქსუებული ქალია და მეტი არაფერი. მაგას ფულიც ბოზობით ექნება ნაშოვნი. გაუშვებ ქმარს შინიდან და სად გადაეურება ანას ან მისნაირს, ღმერთმა უწყის. კიდევ კარგი, რესტორნიდან წამოსულს ჩემი ქმარი არ გადაეყარა გზაზე, თორემ მე რომ ამის ამბავი ვიცი, უარს ვერ ეტყოდა და რაღაცას მიქარავდა. კენზო“.

ახლა კი ამბის გაგრძელება, რომელიც წინა ნომერში იქ შევწყვიტეთ, როდესაც ანა სამსახურში წავიდა, ქმარი კი გაოგნებული დატოვა, რადგან გამოუცხადა, რომ ის ვნებიანი ღამე, რომელიც ერთად გაატარეს, სულ არაფერს ნიშნავდა.

დასაწყისი — „გზა“, №11-16

მარი ჩაშარიძე

მღელვარება მაშინვე გაქრა, როგორც კი ჩემი მანქანის ძრავას ხმა გავიგონე. ეს ჩემი მეორე მანქანაა. თავიდან დანჯღრეული „ოპელი“ მყავდა, რომელიც თითქმის მუქთად შევიძინე და მერე 500 დოლარად გავყიდე. „ოპელიდან“ პირდაპირ „ტოიოტას“ ჯიპზე გადავჯექი და თავი ისე ვიგრძენი, თითქოს ქოხიდან სასახლეში გადავსახლდი. ჩემი ჯიპუნა უზომოდ მიყვარს და ყოველ დილით ვეფერები. მისი ძრავას ხმა მეგობრის ბაასივით ჩამესმის და როდესაც საჭეს მივუჯდები, თავი საკუთარ ციხესიმაგრეში მგონია.

სამსახურში ოდნავ დაგვიანებით მივედი. დათოს ფანჯრებს ქვევიდან ავხედე და დავინახე, რომ მიყურებდა. რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, ჩემი დაგვიანება. ვიფიქრე, რომ ამის გამო საყვედურს მივიღებდი.

კიბე სწრაფი ნაბიჯით ავიარე და მისაღების კარი შევალე. პირველი, ვინც დავინახე, ალენა იყო. ნიკას თავზე დასდგომოდა და კომპიუტერის ეკრანს მისჩერებოდა. ეკრანს ვერ ვხედავდი, მაგრამ სახეზე ორივეს ისეთი ღიმილი ჰქონდა გადაფენილი და ჩემს დანახვაზე ისე შეკრთნენ, რომ მივხვდი, რაღაც „ისეთს“ მიშტერებოდნენ.

— დავაგვიანე, არა? — დამნაშავესავით ვთქვი და ოთახის კარს დავეჯაჯგურე.

— „ნაჩალსტვო ნე ოპაზდივაეტ, ნაჩალსტვო ზადერჟივაეტსა!“ — ჩაურუსულა ალენამ. — ეტყობა, კარი დამლაგებელმა ჩაკეტა. — თქვა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

ალმოჩნდა, რომ გასაღები არც დამლაგებელს ჰქონია. მერე გამახსენდა, რომ გუშინ, როდესაც წავედი, ოთახში დათო დარჩა.

— ნიკა, გასაღები ბატონ დავითს ექნება. გთხოვ, იქნებ გაარკვიო და გამოართვა. — ისევ დამნაშავესავით გავიღიმიე.

ალენამ რაღაცნაირად ჩაიცინა. ნიკამ დათოს თანაშემწეს დაურეკა და როგორც იქნა, გასაღები მოიტანეს.

ოთახში შესულმა იქაურობა მოვათვალე და ცოტა არ იყოს, გავლიზიანდი, რადგან

ალენას მიერ გუშინ ნათქვამი სიტყვები გამახსენდა — ჩვენი ყოფილი უფროსი მოხუცი კაცი იყო, რომ მითხრა. ოთახიც მისი გემოვნების შესაფერისად იყო მოწყობილი და ყველა ნივთი მალიზიანებდა. აღარ მიყოყმანია, დათოს დავურეკე.

— გამარჯობა, ბატონო დავით, ერთი სათხოვარი მაქვს...

— გისმენ, ანა.

— თუ ნებას დამრთავთ, ჩემს ოთახს ჩემი გემოვნებით მოვანყო.

— რა არ მოგწონს, რის შეცვლას აპირებ?

— პირველ რიგში, ზედმეტ ავეჯს გავატანინებ და ამ სულელურ პეიზაჟს კედლიდან ჩამოვხსნი. მერე ვნახოთ...

— „გრენლანდია“ გავიტანოთ? — გაეცინა დათოს.

— ჰო, საშინელი ფერებია, მალიზიანებს, — გულწრფელად ვუთხარი.

— გეთანხმები, ეგ ნახატი მეც მალიზიანებს. როგორც საჭიროდ მიიჩნევ, ისე მოიქეცი.

მკლავები დავიკაპინე და საქმეს შევუდექი. მთელი დღე ოთახის მოწესრიგებას მოვუხდელი. მე, მიშა ბიძია (სამეურნეო ნაწილის გამგეს ყველა ასე ეძახის), 2 მუშა და მთელი ჩემი განყოფილება საქმეში ვიყავით ჩართული. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა რჩევას მაძლევდა. დღის ბოლოს ყველაფერი ისე იყო, როგორც მე მინდოდა. უკვე წასვლის დრო იყო; გული მწყდებოდა, რომ სამუშაო საათები დამთავრდა, ვინაიდან ახალ ოთახში დარჩენისა და მუშაობის საშუალება აღარ მქონდა. მარტო დარჩენილმა ოთახს სინანულით მოვავლე თვალი და ის იყო, წასვლას ვაპირებდი, რომ ნიკამ შემოიხედა.

— ბატონმა დავითმა დარეკა, ოთახის ნახვა სურს, — შემატყობინა და კარი გაიხურა.

შევეყოვნდი. ცოტა ხანში დათომ დაუკაკუნებლად შემოაღო კარი და ოთახს თვალი

ტიკაზე, ამინდზე ან თანამშრომლებზე. როგორ მოგწონს „სასტავი“?

— კარგი ხალხია. განსაკუთრებით ალენა მომწონს, სხარტი გონება და კარგი გემოვნება აქვს.

რაც შეეხება გემოვნებას, ამას იმით მივხვდი, რომ მე მოვეწონე. — ვთქვი და ალაღად გავიღიმე

მოავლო.

— ოო, მშვენივრად მოგიწყვია, მომწონს, — თქვა კმაყოფილმა.

— გმადლობ, — შევიფერე ქება.

— ყავას ვერ მომიდუღებ?

— ვერა.

— რატომ? — წარბები შუბლზე აუვიდა. ასეთ პასუხს ალბათ არ ელოდა.

— შემიძლია, ყავაზე დაგპატიუო; მოდუღებით კი ვერ მოგიდუღებ, რადგან ჩემს ოთახში ამის საშუალება არ არის, განყოფილების კარი კი უკვე დაკეტილია.

— აა, კარგი, ვიღებ შენს მიპატიუებას.

იქვე, სამსახურთან ახლოს, პატარა კაფეში შევედით.

— შენთან ლაპარაკი მინდოდა, — მითხრა დათომ, მას შემდეგ, როცა ოფიციალტს ყავა შეუკვეთა.

— მივხვდი, გისმენ.

— არა, ისეთი არაფერი. შენთან უბრალოდ ლაყობა მინდოდა, თუნდაც პოლი-

— ამას როგორ მიხვდი?

— სხარტი გონება რომ აქვს, ამას იმით მივხვდი, რომ ჩემს ნააზრევს უცებ იგებს. სიტყვა ბოლომდე არა მაქვს დამთავრებული, რომ უკვე მპასუხობს. რაც შეეხება გემოვნებას, ამას იმით მივხვდი, რომ მე მოვეწონე. — ვთქვი და ალაღად გავიღიმე.

— უყურე შენ! — გაუკვირდა დათოს. — ამის შესახებ თვითონ გითხრა?

— ამას ყველა ქალი უსიტყვოდ ხვდება.

— ანა, შენი ბიზნესი რომელ სფეროს უკავშირდება?

— ყვავილებს. ჩემი პატარა სათბური მაქვს, სადაც ყვავილებს ვამრავლებ და უცხოეთიდანაც შემომაქვს.

— გასაგებია. ბიზნესის გაფართოებაზე არ ფიქრობ?

— ჩემს საქმეს იმდენი შემოსავალი მოაქვს, რომ მყოფნის. მილიონის შოვნაზე კი არასოდეს მიოცნებია. ასე რომ, ჯერჯერობით არაფრის შეცვლას არ ვაპირებ.

— თუ ჯარისკაცი გენერლობაზე არ ოცნებობს, ის კარგი ჯარისკაცი ვერ იქნება.

— ბიზნესში გენერლობაზე ოცნება სისულელეა. ბევრ ფულს ბევრი პრობლემა მოჰყვება ხოლმე. მაგაზე ფიქრი სამსახურში შეიძლება. ასე რომ, მიფრთხილდი.

— ვისაც 2 „კაპიკი“ აქვს, ყველა პოლიტიკაში მიდის, — გაიღიმა დათომ.



ყველა ქალი და მამაკაცი ერთად, რომ იმჯერ ამი შეცდომებიდან ხელი იქნება, თუ ცოცხალს წააგონებებს და სწავლასაც მოახსოვს.

— ეგ ჩემი საქმე არ არის. მშვიდი ცხოვრება მირჩევნია. შვილი მყავს გასაზრდელი და ყველა თავისუფალ წუთს მას ვუთმობ.

კარგა ხანს ვისაუბრეთ, მერე სამსახურამდე ფეხით მივედი. მე შინ წამოვედი,

მასთან და არც შენთან ჩხუბს არ ვაპირებ. — დავამშვიდე მახო, მაგრამ სახეზე მეწერა, რომ ძალიან გაღიზიანებული ვიყავი. ტუჩები მითრთოდა და სიბრაზისგან მებრძვებოდა. უსიტყვოდ გაბრუნდა. ცოტა ხანში შემოსასვლელი კარის

იცის, რომ მისი ცოლი აქ ფსიქოლოგთან დადის.

— ფუჰ, გული მერევა. კახკა ყოფილა, ასე როგორ დაეცა, რომ საყვარელთან ქმარს მოჰყავს და აქედანაც, სხვა კაცთან ნაუიმავები ისევ მას მიჰყავს?

— ასეა, ბატონო, ჩემი გულისთვის ყველაფერს აკეთებს.

— ჰმ, — ვთქვი და სამზარეულოში დავბრუნდი. — ვაი, თქვენს პატრონს! მის შინ მოყვანას როგორ ბედავ?

— ის მაშინ მოდის, როცა სალომე და მზია არ არიან.

— გიკრძალავ, გესმის? აქ მოთრეული აღარ ვნახო!

— ეჭვიანობ? — არა, ეჭვიანობა არაფერ შუაშია, სხვაგან სადაც გინდა, შეხვდი, თავში ქვა იხალე; აქ მოთრეული აღარ ვნახო.

— კი, კი, ეჭვიანობ, წუხანდელი ღამის მერე ხომ ამას არც მოელოდი, არა? იცი, მის წინაშე თავი დამნაშავედ ვიგრძენი, რომ შენთან ვულაღატე და დღეს დანაშაულის გამოსყიდვა მინდოდა.

— აქედან გაეთრიე! — მთელი ხმით ვიღრიალე, მანქანის გასაღებს ხელი წამოვავლე და კიბეზე სირბილით დავეშვი. რა თქმა უნდა, დაბრუნდის ძახილით მახო არ გამოძვიდება.

მანქანა ადგილიდან ეღვის სისწრაფით მოვწყვიტე და ცენტრალურ ქუჩაზე, მანქანების ნაკადს შევერიე. ჯერ არ ვიცოდი, სად წავიდოდი, მაგრამ ზედმიწევნით კარგად ვიცოდი, რომ იმ დღეს შინ აღარ დავბრუნდებოდი და როცა დავბრუნდებოდი, აუცილებლად მოვთხოვდი მახოს, საცხოვრებლად ცალკე გადასვლას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჯერ არ ვიცოდი, სად წავიდოდი, მაგრამ ზედმიწევნით კარგად ვიცოდი, რომ იმ დღეს შინ აღარ დავბრუნდებოდი

დათო კი სამსახურში დარჩა.

იმ დღეს შინ ჩვეულებრივზე ადრე დავბრუნდი. გული არ მიმიწევდა, მინდოდა, ცოტა გვიან მივსულიყავი, რომ მახოს სძინებოდა და უსიამოვნო საუბრისთვის თავი ამერიდებინა. გადავწყვიტე, რომელიმე მეგობარს ვწვეოდი, მაგრამ მერე გადავიფიქრე. 1 საათში სალომე ინგლისურიდან დაბრუნდებოდა და სტუმრად მასთან ერთად წას სიჩუმე იყო. თუმცა, კარი მხოლოდ ერთი გასაღებით იყო ჩაკეტილი და ვიღაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო შინ. ოთახები დავიარე, მაგრამ არავინ დამხვდა. ბოლოს, მახოს ოთახის კარი შევალე და მოულოდნელობისგან შევხტი. საწოლზე ვიღაც ქალი იჯდა, დათო მის წინ მუხლებზე იდგა და მკერდს უკოცნიდა. ჩემს დანახვაზე ორივე შეკრთა. ქალმა მკერდზე ხელები აიფარა, მე კი მეტი არაფერი დამინახავს, რადგან კარი გამოვიხურე და სამზარეულოში გავედი. გული გამალებით მიცემდა. სახე ამიჭარხლდა და ავკანკალდი. საშინლად ვიეჭვიანე. ოთახიდან ხმაური გავიგონე. მახო შემოვიდა.

— ნუ გამოხვალ, წავა და მერე გამოდი, — მუდარის ტონით მითხრა.

— რატომ მიდის? ჯერ დაწყებული საქმე მოამთავრეთ, მერე ყავაზეც დავპატიჟებ; ნუ გეშინია, არც

ხმა გავიგონე და მივხვდი, რომ ის ქალი წავიდა. ძალიან მინდოდა დამენახა, როგორ გამოიყურებოდა. აივანზე გავედი და გადავიხედე. მალაღი, აშოლტილი ქალი იყო. საკმაოდ მოხდენილი და ლამაზი. ამან უფრო ცუდად გამხადა. გარეგნულად იაფფასიან ბოზს არ ჰგავდა. გემოვნებით ეცვა და დახვეწილი მანერები ჰქონდა. მივხვდი, რომ ეს „ერთჯერადი“ ქალი არ იყო და მახოს მასთან გრძნობა და დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდა. ცოტა ხანს სადარბაზოსთან შეიცადა, შემდეგ მანქანამ მოაკითხა, ჩაჯდა და წავიდა.

— მოგეწონა? — ზურგს უკან მახოს ხმა გავიგონე.


— კი, მომეწონა, — გულწრფელად ვაღიარე. — ეს მისი მძღოლია?

— არა, ეს მისი ქმარია.

— რაა? — თვალები გამიფართოვდა.

— ჰო, რა იყო? ქმარმა

*მეხმალიანი სივარული, შიოშოძე.
ჯაფარიძეები — სივარული და
მეხმალი ცალ-ცალკე ამ სურათზე.*



ნა ხეობოდა XVIII საუკუნის ინგლისში



„კარგა ხნის წინ, თქვენ სიკვდილით დასჯაზე წერდით. „რისთვის სჯიდნენ სიკვდილით XVIII საუკუნის ინგლისში?“ — ასეთი სათაურით რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ რუსულ გაზეთში გამოქვეყნდა სტატია. სამწუხაროდ, მზესუმზირის პაკეტის სახით, ხელთ მხოლოდ ამ გაზეთის ნაგლეჯი ჩამივარდა. სულ ორიოდ აბზაცის წაკითხვა მოვახერხე და თემამ ძალიან დამაინტერესა. გრაფო, იქნებ თქვენ მოგვიყვით ამის თაობაზე და დააკმაყოფილოთ ჩემი ცნობისმოყვარეობა. გუბაზი“.

ბრაზი თარხანი

თავიდან იმ დანაშაულთა მცირე ჩამონათვალს შემოგთავაზებთ, რის გამოც 3 საუკუნის წინ ინგლისში სიკვდილით სჯიდნენ.

- ირემზე ნადირობისთვის;
- ბაჭის მოპარვისთვის;
- უკანონოდ ხის მოჭრისთვის;
- თივის ზვინისთვის ცეცხლის მოკიდებისთვის;
- ადამიანისთვის დამიზნებით სროლისთვის;
- გამომძალველობისთვის;
- ტუსალისთვის გაქცევაში ხელის შეწყობისთვის;
- ცრუფიცისთვის;
- მეზღვაურის პენსიის მითვისებისთვის;
- მდინარე ტემზაზე ხიდის დაზიანებისთვის;

- სამეფო კარის წიგნებში ჩანაწერების გაყალბებისთვის;
- ძარცვის დროს ნიღბის გამოყენებისთვის (კონკრეტულად — სახეზე მურის წასმისთვის).

ამასთან, კანონის მიმართ პასუხისმგებლობა 7 წლის ასაკიდან იწყებოდა. 1814 წელს, ერთ დღეს, 7-დან 14 წლამდე ასაკის 5 ბავშვი გამოასალმეს სიცოცხლეს. 1833 წელს 9 წლის ბავშვი სიკვდილით 2 პენსის ღირებულების საღებავის მოპარვისთვის დასაჯეს, ხოლო 12 წლის ბავშვი, რომელმაც 2 ღვეზელი

მოიპარა, 7 წლით გადაასახლეს.

ინგლისში დამნაშავის დასჯის უამრავი მეთოდი არსებობდა. მაგალითად, 1 თვის განმავლობაში ბოშებთან ცხოვრებისთვის „დამნაშავეს“ გადასახლება და მონობა ელოდა.

იმხანად ინგლისელთათვის ამერიკაში მოხვედრა ძალზე იოლი იყო: საკმარისი იყო, ადამიანს დანაშაული ჩაედინა და მაშინვე ამერიკაში გადასახლებდნენ. ასე რომ, ინგლისელები თავიანთი მოქალაქეების დეპორტაციას ამერიკაში ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ახდენდნენ. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა, რადგან ჯანმრთელ მამაკაცს, როგორც სამუშაო ძალას ფასი დაედო.



1717 წელს გარკვეულ დანაშაულებზე სიკვდილით დასჯა აიკრძალა და ის გადასახლებაში შეცვალა. 1718 წელს გადასახლებას ბრაკონიერები დაექვემდებარნენ, 1751 წელს — სიკვდილმისჯილის გვამის ქურდები, 1753 — ჯვარდაუნერელი წყვილები და თაღლითები, ცხვისა და ცხენის ქურდები...

თუკი ვინმე სამშობლოში დროზე ადრე დაბრუნდებოდა გადასახლებიდან, სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა.

გვამის მოპარვა

1540 წელს, პარლამენტმა შემოიღო კანონი, რომლის თანახმადაც, ანატომიურ სკოლას, პრაქტიკისთვის, წლის განმავლობაში 5 დამნაშავის გვამის მიღება შეეძლო. შემდგომში კი კანონში ცვლილება შევიდა, რომლის თანახმადაც, სკოლას ყველა სიკვდილმისჯილის გვამი გადაეცემოდა. გვამებზე მოთხოვნილება იზრდებოდა, რის გამოც, ცხედრების მოპარვა და გაყიდვა დაიწყო. 1827 წელს ედინბურგელი პროფესორი, რობერტ ნოქსი ერთ გვამში 8 გირვანქა სტერლინგს ულაპარაკოდ იხდიდა.

1831 წელს 8 წლის მანანალა ბავშვი მოკლეს და მისი გვამის გაყიდვას შეეცადნენ. პარლამენტმა იმსჯელა

ამ გახმაურებულ ფაქტთან დაკავშირებით და „ანატომიური აქტი“ მიიღო, რომლის თანახმად, სკოლას გასაკვეთად მხოლოდ ის გვამი გადაეცემოდა, რომელის პატრონიც სიცოცხლეშივე განაცხადებდა ამაზე თანხმობას.


კოცონზე დანვა

კოცონზე ძირითადად, დამნაშავე ქალებს წვავდნენ, „დელიკატური სქესის“ გამო. XVII საუკუნეში, ჰენრი VIII-ს მეფობის დროს, მათ ცოცხლად წვავდნენ. მოგვიანებით კი ჯერ ახრჩობდნენ, შემდეგ — წვავდნენ.

სამარცხვინო ბოძი

ინგლისში დასჯის ერთ-ერთი მეთოდი სამარცხვინო ბოძზე გაკვრა გახლდათ. ბოძზე გაკრული დამნაშავისთვის ნებისმიერ გამვლელს შეეძლო ამა თუ იმ საგნის სროლა.

1732 წელს, მისის ბეარი სხვისი ქმრის მონამვლისთვის სამარცხვინო ბოძზე გააკრეს. განრისხებულმა ბრბომ ქვებით ჩაქოლა დამნაშავე. თუმცა, მისის ბეარი გადარჩა.



1777 წელს სამარცხვინო ბოძზე ანა მოროუ გააკრეს, რომელიც თავს მამაკაცად ასაღებდა და მოტყუებით, 3 ქალბატონზე დაქორწინება შეძლო. ჩაქოლვის შემდეგ ის გადარჩა, მაგრამ მხედველობა დაკარგა.

1703 წელს, დანიელ დეფო

პამფლეტის დაწერისთვის 3 დღით სამარცხვინო ბოძზე გააკრეს. ვიდრე ბოძზე გააკრავდნენ, მან ერთი პამფლეტის დაწერა კიდევ მოასწრო, რომელიც ისე სწრაფად ვრცელდებოდა და ხალხს ისე მოსწონდა, რომ მთელი 3 დღის განმავლობაში, მას მხოლოდ ყვავილებს ესროდნენ.

სახრჩობელა

1834 წელს ლონდონის გარშემო არსებული ყველა გზა სახრჩობელებზე ჩამოკონწიალებული გახრჩნილი გვამებით იყო მოფენილი. დამნაშავის პატრონებს ერთი გზალა დარჩენოდათ — გვამებს ჩუმად ცეცხლს უკიდებდნენ, რომ თავისი მიცვალებულის სხეული წამებისგან ეხსნათ.

ალიარებითი ჩვენების მიღება

1827 წლამდე, ყველა, ვისაც ბრალს წაუყენებდნენ, ვალდებული იყო, დანაშაული ელიარებინა ან თავი ემართლებინა (გარდა სახელმწიფოს ლალატში ეჭვმიტანილებისა. მათი სიჩუმე დანაშაულის აღიარებას ნიშნავდა). რა თქმა უნდა, ყველას არ სურდა დანაშაულის აღიარება და ალბათ, არც ყველა მათგანი იყო დამნაშავე. იმისათვის, რომ მართლმსაჯულების აღსრულების პროცესი დაეჩქარებინათ, 1406 წლიდან დანაშაულში ეჭვმიტანილებს წნებდნენ — შიშველ დამნაშავეს ჰორიზონტალურ ზედაპირზე აწვენდნენ, აბამდნენ და დიდი წონის ტვირთს მანამ ალაგებდნენ ზევიდან, ვიდრე მისგან აღიარებით ჩვენებას არ მიიღებდნენ. ამ სახით წამებისას დამნაშავეებს წყალსა და საკვებსაც უჩვეულო მეთოდით აწვდიდნენ: 1 დღეს მხოლოდ წყალს, მეორე დღეს — მხოლოდ საჭმელს.

1586 წელს, ასეთი მეთოდით წამებისას მარგარეტ კლიფეროუ გაჭყლიტეს. ინფორმაციის მიღების ამგვარი მეთოდი 1772 წლამდე არსებობდა. ასე რომ, გამოთქმას — „წნებში გატარება“ — თავისი რეალური საფუძველი აქვს.

ბრაჟი მარხანი


ხშირად ხდება ისე (განსაკუთრებით, ოჯახურ ყოფაში), რომ ღია კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებ. ბოლოს და ბოლოს, დაგროვილ ემოციებს გასაქანი რომ არ მისცე, შესაძლოა, გულზე გასაქდე. თუ შენი ცხოვრებისათუ მატარებლის ეუპეს თანამგზავრში რალაც ძალიან გაღიზიანებს და მზად ხარ, ყველაფერი პირში მიახლო, ჯობს დაფიქრდე და „მეცნიერულად“ იჩხუბო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შემდგომში მასთან შერიგება შეძლო, მეორეც — შედეგი მიიღო.

საკმაოდ გავრცელებულია მცდარი აზრი, რომ ოჯახში ქალს არაფრის გამო სკანდალის მოწყობა შეუძლია. სინამდვილეში კი ამ საქმეში მამაკაცები ქალებს ტოლს არ უდებენ, — ეს პროფესიონალი ფსიქოლოგების აზრი გახლავთ.

მამაკაცის აზრით, ხალიჩაზე დაყრილი სიგარეტის ფერფლი, საკვების ნამცეცები, ტალახიანი ნაფეხურები, საბავშვო ბალში დარჩენილი ბავშვი ან მეგობრებთან ერთად გაუთავებელი ქეიფი და ღრეობა სკანდალის საფუძველი არ გახლავთ. სამაგიეროდ, ტელეფონზე ცოლის გაუთავებელი ლაქლაქი, კოსმეტიკასა და რალაც ხარახურაში ფულის გადაყრა და ქვაბის ძირსა თუ ტაფაზე მიმწვარი ვახშამი, ნამდვილი კრიმინალია. რალა თქმა უნდა, ქალი სულ სხვაგვარად ფიქრობს.

ასე რომ, არსებობს ისეთი წერტილები, რომელთა გამოყენებაც კონფლიქტის საყრდენად სავსებით შესა-

მიჯამ უნდა იხსნება შენს სასამკვეთლოდ



ძლებელია. უფრო მეტიც — კონფლიქტის თავიდან აცილება იმ მარტივი მიზეზის გამო გახლავთ შეუძლებელი, რომ ადამიანს ემოციური განტვირთვა სჭირდება. ვინ არის მეხამრიდის როლისთვის საუკეთესო კანდიდატი? ის, ვინც თითქმის ყოველთვის ახლოს იმყოფება.

გირჩევ, მომდევნო „შეტაკების“ დროს, უშედეგოდ კი არ იყვირო, არამედ ფსიქოლოგების მიერ შემუშავებული მეთოდები გამოიყენო. მათ ხომ ამასთან დაკავშირებით ცალკე მეცნიერება — კონფლიქტოლოგია შექმნეს.

პირველი, რაც უნდა შეიგნო, ის არის, რომ ჩხუბი ემოციაა. შენი უკმაყოფილება და რისხვა კი გრძნობებია. მეორე — სინამდვილეში, პარტნიორის დასამარება კი არა, რაღაცის სასიკეთოდ შეცვლა გასურს და მის მიმართ გულგრილი არ ხარ.

ამიტომ, ვიდრე საქმის გარჩევას წამოიწყებ, ერთი კონკრეტული თემა შეარჩიე, რომლის გარკვევასაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნევ. ეცადე, სასაუბროდ ისეთი დრო შეარჩიო, როდესაც მოწინააღმდეგე სხვა საქმით არ იქნება დაკავებული და შენ ხელს არ შეუშლი.

მნიშვნელოვანია, რომ საუ-

ბარს მესამე პირი (მაგალითად — ბავშვი, მეგობარი, მეზობელი ან რომელიმე თქვენგანის მშობელი) არ ესწრებოდეს.

ამგვარ სიტუაციაში არც მომრიგებელ-მოსამართლე გჭირდება და არც მოწმე, რომელიც შემდეგ ყველას მოუყვება, ჩხუბის დროს როგორ დალენე ჭურჭელი.

ეცადე, მასთან ერთად სინქრონულად არ ილაპარაკო; უმჯობესი იქნება, თავის გასამართლებლად გარკვეული დრო მისცე. ერთი სიტყვით, რეგლამენტი დაიცავი!

ჩხუბის დროს, ნურც სალანძღავ სიტყვებს გამოიყენებ და ნურც შეურაცხყოფელ იარაღებს მიაკერებ დროებით მოწინააღმდეგეს. გახსოვდეს, რომ შენი მიზანი გინება კი არა — „ვაჭრობაა“, ისევე, როგორც ბიზნესმოლაპარაკებების დროს. ეცადე, პარტნიორს რაიმე სასარგებლო გამოსტყუო, იმოქმედე პრინციპით: „შენ — მე, მე — შენ“.

<<< 17

მოკლე ჩართვა

ვის დაუფიცავ ბუიცი?

- ბანკომატის ქვითარს გაფიცებ, 20 GEL დამირიცხე, ბანკურად. დვა პოლუს.

- აუ, სააკაშვილს ვფიცავ... აუ, ჩემს ბიუსტ-ჰალტერს გეფიცებით... აუ, ჩემს დედაიას გეფიცებით, სიმონიე... დას ვფიცავ (არ მყავს)... რავი, კიდევ — მაგარი მატყუარა ვარ. წიკვინე.

- ტყუულზე ყველაზე ხშირად ჩემს კოჭლ მამალს ვიფიცებ, რადგან მთელ ქვეყანას მიორჩვენა. აბა! გრუზინკა.

- ამ კვირაში ბრედ პუტი, კიანუ რივზი და ჯოშ პარტნეტი ერთად მთხოვდნენ ცოლობას, მაგრამ სამივეს უარი ვუთხარი. სიმართლეს ვამბობ, მთელ „ნაციონალურ მოძრაობას“ გეფიცებით. პენსიონერი.

- კონდოს ვიფიცებ ხოლმე. არ იკითხავთ, ვინაა? მეზობლის შავი გოჭუნა. ეს მოფერებით, თორემ ისე, პასპორტში კონდოლიზა ჰქვია. ჩორნა.


>>> 32



მობილური-სერვისი

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილ-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ფრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

კ
ა
ნ
ა
ბ
ი



- ვარ განქორწინებული, 39/175/65, სიმპათიური. უმაღლესი განათლებით. გამომეხმაროს წყნარი, მშვიდი ოჯახის მსურველი, ჩემს მდგომარეობაში მყოფი, სერიოზული მამაკაცი. გელით.
- ვარ თბილისელი, სიმპათიური გოგო. მაქვს ბინა და კარგი სამსახური. გამომეხმაროს თბილისელი, საქმიანი და სერიოზული, 30-38 წლის მამაკაცი. უცოლო და სიმპათიური.
- გთხოვთ მომცეთ „გზა“ №15, 39-ე მესიჯის ავტორის ნომერი. თიკო.
- მყავს 40/172/65, მშვენიერი გარეგნობის დაქალი, რომელსაც სიყვარულმა მხოლოდ მარტოობის ცივი თოვა დაუტოვა და ვინც მისთვის სიყვარულის მზეს გამოანათებს, დაუმესიჯოს.
- ვარ 21 წლის, როგორც მეუბნებიან, ულამაზესი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 35 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მამაკაცს, მატერიალურად უზრუნველყოფილს. სალი.
- 35 წლის საქალბატონეს მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით ესაჭიროება სიყვარული. ვისაც ნამდვილი, ქართული ოჯახის შექმნა სურს, შევხიანეთ.

- ვარ გაუთხოვარი, ჩოხ-ატაურიდან, ძალიან წუნია და პრეტენზიული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ასაკის, ინტელექტუალურ, უზრუნველყოფილ მამაკაცს.
- ვარ შავგვრემანი, სექსუალური გოგო. ვისაც აქვს სურვილი, დამიმესიჯოს. თიკო.
- ვარ ახალგაზრდა, ქვრივი მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, დასაქმებულ და ბინით უზრუნველყოფილ მამაკაცს. არასერიოზულები არ შენუხდეთ. ვარ 45 წლის.
- გავიცნობ ყველაფრით უზრუნველყოფილ ბიჭს, 23-29 წლამდე, თბილისელს. უსაქმურებმა და არასერიოზულებმა თავი შეიკავონ. ნინა-22.
- ვარ 27 წლის, განქორწინებული მანდილოსანი, სუფთა წარსულის მქონე, ზომიერად მოწესრიგებული და სისუფთავის მოყვარული. გამომეხმაროს ოჯახის შექმნის მიზნით ჩემი შესაფერისი მამაკაცი.
- გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით, 40-45 წლის, მაღალ, სიმპათიურ, სერიოზულ, თბილისელ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ მაღალი, ცისფერთვალება, სასიამოვნო გარეგნობის, სუფთა.
- გთხოვთ, ჩემი ნომერი მისცეთ 23-ე მესიჯის ავტორს.
- ვარ 34 წლის, გასათხოვარი, სუფთა წარსულის, სიმპათიური, სოფლიდან. სიმალლით

- 172 სმ. მხოლოდ დაოჯახების მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ მამაკაცს.
15. მარი, გთხოვ დამაკავშირო მე-16 ნომერში დაბეჭდილი, 34-ე მესიჯის ავტორს. პირველად განუხებ. ქუთაისიდან, სოფო.
16. გამარჯობათ, გინდათ გავიცნოთ კარგი გოგო? 18 წლის, სუსტი, მაღალი, კარგი ხასიათის? დაუმესიჯეთ, მართლა კარგი გოგოა. ოლონდ, არ უთხრათ, რომ „გზაში“ ნახეთ მისი ნომერი. მომკლავს.
17. მინდა გავიცნო სამესიჯოდ მშვიდი, განონასწორებული ადამიანი. მხოლოდ სამესიჯოდ! გელი. ბელა.
18. გამარჯობა, მარი, მე ახალი, მაგრამ ერთგული მკითხველი ვარ. იმედია, მიმიღებ. პირველად გწერ, მინდა გამოვეხმარო „გზა“ №16. 30-ე მესიჯის ავტორს მიეცი, გთხოვ, ჩემი ნომერი.
19. დიდი სიამოვნებით გავიცნობ SMS-მეგობრობისთვის, თბილისელ ბიჭს, ყველაფრით უზრუნველყოფილს და ხასიათით — უბრალოს. ნეტავ არის კი ვინმე ასეთი?
20. ვარ 28 წლის, საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 37 წლამდე ასაკის, ეკლესიურ, დასაქმებულ და სერიოზულ მამაკაცს.
21. ვარ 22 წლის, ბორჯომიდან. ვცდი ბედს სერიოზული ურთიერთობისთვის და მყარი ოჯახის შექმნისთვის. სპორტსმენები, 180 სმ-მდე.
22. მარი, გთხოვ გამომიგზავნო „გზა“ №16, 30-ე მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. გმადლობთ წინასწარ.
23. ნუთუ აღარ არსებობენ 30 წელს ზემოთ მამაკაცები, ვინც ქალის ნამდვილი ფასი იცის? თუ არსებობთ, გამომეხმარეთ, გელოდებით, შაყირის გარეშე.
24. მინდა შევექმნა რომანტიკულ და დიდ გრძნობებზე დაფუძნებული, ლამაზი ოჯახი. ვარ საკმაოდ სასიამოვნო, ქვრივი ქალი, 40 წლის, სუფთა წარსულით, მორწმუნე და კარგი ადამიანი.
- მინდა, გამომეხმაროს ასეთივე სასიამოვნო, სიმპათიური და კარგი ადამიანი, მატერი-ალურად უზრუნველყოფილი, თბილისში მცხოვრები. უმჯობესია, იყოს ქვრივი. ნინი.
25. ვარ 34 წლის, ლამაზი, სერიოზული, ინტელიგენტი ქალბატონი. განქორწინებული. სამეგობროდ გავიცნობ 45 წლამდე ასაკის, სიმპათიურ, ინტელიგენტ, ყველაფრით უზრუნველყოფილ, თბილისელ მამაკაცს.

მობილი-ზაცია



26. ვარ 40 წლის მამაკაცი. გავიცნობ 28-35 წლის ქართველ ქალიშვილს, რომელსაც არ უნდა, დარჩეს მარტო და იყოს ბედნიერი.

27. გავიცნობ სიმპათიურ მანდილოსანს, 35 წლამდე, ლამაზი ურთიერთობისათვის. თბილისელს. ვარ საკმაოდ სიმპათიური, მომხიბვლელი, 35 წლის მამაკაცი. დაამესიჯეთ.

28. გავიცნობ 172-176 სმ სიმაღლის, 33 წლამდე ასაკის გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ ხელოვანი.

29. სამეგობროდ გავიცნობ 28-42 წლის, სერიოზულ, პატიოსან ქალბატონს. თუ ხარ მაღალი, გჭირდება სერიოზული, დასაქმებული, ფინანსურად უზრუნველყოფილი მამაკაცი, შემეხმიანე.

30. ვარ ძალიან ვნებიანი. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ ქალბატონს. გუბა, 28 წლის.

31. გავიცნობ თბილისელ, 45 წლამდე ასაკის ქალბატონს, ჩუმი, ფარული, ინტიმური შეხვედრებისთვის. დამიმესიჯეთ მსურველმა ქალბატონმა. ნიკა, 29 წლის.

32. მინდა გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით, ეკლესიური გოგო. ვარ 32 წლის. დანარჩენი — პირადად.

33. სალაპი, ღვთისა! როგორ განწყობაზე ხართ? მინდა გავიცნო ყველანაირად ლამაზი გოგონა. ვარ მსახიობი და მქვია ბუდუ, 18 წლის. ყველას გესუტებით, მარადუამს.

34. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, თბილისელ ან რუსთაველ, სიმპათიურ გოგოს. ვარ 28 წლის. მინდია. იჩქარეთ.

35. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ გოგოს, უბრალო ოჯახიდან. ვარ ბინით უზრუნველყოფილი. გიორგი.

36. ვარ 29 წლის, ცოლს გაშორებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 29 წლამდე ასაკის მანდილოსანს. კახა.

37. მარი, გთხოვ, „გზა“ №16, პირველი მესიჯის ავტორს დამაკავშიროთ ან ჩემი ნომერი მიეცით.

38. ვარ ძალიან კარგი ადამიანი. სამეგობროდ და სამესიჯოდ გავიცნობ გოგოს. ვარ 27 წლის.

39. მაღალი. მაქვს შავი თმა, შავი თვალები, სიმაღლე — 2 მეტრი და ვარ 20 წლის. ანარა მამედოვი.

40. გავიცნობ მანდილოსანს, 18-25 წლამდე, სამეგობროდ.

41. გამარჯობა, გოგონებო. მყავს მაზლი, სპორტული აღნაგობის, 30/185, დასაოჯახებელი. უყვარს როცა დავითიჩს ეძახიან.

42. გავიცნობ ლამაზ, მაღალ გოგონებს. ვარ 20/190/87, ვარ ძალიან ლამაზი, შავგვრემანი. პატარა ცხვირი მაქვს, დამიმესიჯეთ.

43. ვარ 33/186/74 ეკლესიური, სიმპათიური და თბილი, დასაველეთიდან. დაოჯახების მიზნით გავიცნობდი 25-30 წლის, მაღალ და ეკლესიურ გოგონას. მაქვს მხვევლობის პრობლემა. ხვიჩა.

44. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №16, მე-18 მესიჯის ავტორის ნომერი. ან გაუგზავნოთ ჩემი ნომერი. მერაბი.

45. ვარ 25 წლის, 190 სმ სიმაღლის. ვარ ნავარჯიშევი. სახელად მქვია ბესო. მაქვს შავი თმა.

46. გავიცნობ სერიოზულ გოგოს, 25-40 წლამდე. ვარ 38 წლის. ლადი.

47. გამომეხმაუროს „გზა“ №14, მე-6 მესიჯის ავტორი, ნანა. ნანა, სად დამეკარგე? გთხოვ, შემეხმიანე.

48. მინდა გავიცნო 40 წლამდე ასაკის, სიმპათიური მანდილოსანი. ვარ 28 წლის, საკმაოდ სიმპათიური ბიჭი. უმუშევარი და უფულო. იმედი მაქვს, შემეხმიანებით. თქვენი გიო.

49. „გზა“ №16, მე-15 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი მომეცით.

50. ვეხმაურები „გზა“ №16, მე-6 მესიჯის ავტორს. მგონი გაუგებთ ერთმანეთს. ვაკმაყოფილებ ყველა მოთხოვნას. ბადრი.

51. თბილისში არის სიტბოს და სიყვარულს მონატრებული, 35-50 წლის, მიმზიდველი მანდილოსანი? თუ არის, დამიმესიჯეთ. კახა, 36 წლის.

52. ვარ ბიჭი და მჭირდება სიყვარულის ახსნა, გოგოსთან. ლოვე.

53. ვარ ღარიბი, მაგრამ გულით მდიდარი, ცოლს გაცილებული. გავიცნობ 22-25 წლამდე გოგოს. თუ დაგაინტერესებთ, გამომეხმაურეთ. ლევანი.



54. სალაპი. გავიცნობ სამეგობროდ კარგ, შეგნებულ ადამიანს. გთხოვ, გამომიჩქვეყნო, მარი, პირველად გწერ.

მობილი-ზაცია



55. ვეძებ თბილისელ ნუკრი მელაძეს. 90-იან წლებში ცხოვრობდა ივანოვოში, ოჯახთან ერთად. ზაირა.

56. ვეძებ ფოთელ გიორგი თოდუას, დაბადებულს 1981 წლის მარტის თვეში. ამჟამად არის ინგლისში. თუ ვინმე მისი ახლობელი ნაიკითხავს, გთხოვთ მომწეროთ. სოფო.

მობილი-ზაცია



- მინდა, მეგრელი მგელოლ გავამხნეო. სიხარულო, არ ინერვიულო, თუ უყვარხარ შენს „ლოვეს“, აუცილებლად დაგირეკავს. შენ სხვებს ამხნევებდი და ახლა შენ დაგჭირდა გამხნევება. არ ვიცოდი შენი ამბავი. ამიტომ, ცოტა არ მესიამოვნა, ასეთ კარგ გოგოს ასეთი სევდა რომ გქონია. შენ ჯერ პატარა ხარ, ცხოვრება წინ გაქვს, იგი წავა და სხვა მოვა... ვიცი, ძნელია, მაგრამ უკეთესზე უკეთესი არ დაილევა და ამიტომ ელოდე უკეთესს. გოცნი, როზი.

- ღმერთს რომ ესმოდეს, როგორ მიჭირს შენთან სიშორე, მუდამ შენ გვერდით მამყოფებდა, მთელი სიცოცხლე. მარ, გთხოვ, დამიბეჭდე ეს მესიჯი. ჩემს გარდაცვლილ მეუღლეს ეძღვნება. ჩვენ ხომ სულ რაღაც 2 თვე ვიყავით ერთად. იქნებ ცოტა გულზე მომეშვას, თქვენს ჟურნალში რომ ვნახავ ჩემს მესიჯს. მგზავნებო, ძალიან მჭირდება თქვენი გამხნევება. მაპატიეთ, ასე სევდიანად რომ გეცნობით. ინა-20.

- ათენიდან მოვიკითხავ ყველა დუშელს. დუშეთს გაუმარჯოს! თქვენ შემოგველეთ, დუშელებო! დუშელი გიო, ათენიდან.

- მარი როგორ ხარ? იცი, როგორ ახარებ ჩემს დაშინებულ გულს? კვირას ომონის მეტროში ჩავდიოდით მე და ჩემი ნათესავი. პოლიციამ გაგვაჩერა. ნათესავმა მისცა საბუთი. მერე მე მომთხოვა. გამისკდა „იქავე“ გული. ჩემი ნათესავი დიდხანს ეხვეწა და როგორც იქნა, დიდი ჯარიმის სანაცვლოდ, აღარ წამიყვანეს. კიდევ კარგი, ნათესავს ჰქონდა ლატარიის ფული, თორემ ახლა ციხიდან მოგწერდი. გოცნის დაშინებული სესილია, ათენიდან.

• გამარჯობა, მარი. ხომ ხარ მაგრად? ძალიან გამიხარდა, ჩემი მესიჯი რომ ვნახე. ღმერთმა გაგახაროს. დიდი, დიდი მადლობა. ღმერთმა სულ კარგი დღეები გაგიტენოს. თათუ.

• მარი, ჩემო სიხარულო, ახლა დავამთავრე „გზანილების“ კითხვა. აქ საბერძნეთი პატარა საქართველოდ ვაქციეთ. იცი, რა მაგარია? ბერძენმა, ალბანელმა, ჩინელმა, ყველამ ქართული იცის.

• გამარჯობა, მარი. მაპატიე, რომ განუხებ და თემის გაგებაში არ ვარ. ვიცი, ეს მესიჯი, როგორც წინა, დღის სინათლეს ვერ ეღირსება, მაგრამ მაინც ვწერ. მინდა, მგზავნელებს შევუერთდე და დაუშემგობრდე, მაგრამ... :- (ისე, ძალიან მაინტერესებს, ათენიდან ვინ ამესიჯებს. ალბათ ბევრ მათგანს ომონიაზე ვხვდები ხოლმე. ნეტავ მათაც ჩემნაირი დეპრესია აქვთ? მარ, შენ, მგზავნელები და ერთი ჯიუტი ბიჭი ძალიან მიყვარხართ. თქვენთვის კი არც ვარსებობ (ჯერჯერობით). სო-ნი.

• ერთი კვირის წინ ავტობუსიდან ჩამოვედი და ფეხით გავუყევი გზას (ეს ხდება ათენში). ჩემ წინ 3 ქართველი გოგო მიდიოდა. დამინახეს და შორიდანვე დამიძახეს: აუ, ეს შენ ხარ? და ჩასახუტებლად წამოვიდნენ. მე გამიტყადა, რომ ვერ ვიცანი (თურმე სადაა ძაღლის თავი დამარხული). მომიახლოვდნენ და ეს ესაა, უნდა ჩამეხუტონ, რომ თქვეს — აუ, შეგვეშალე, ბოდიშოო. ო, კარგი, არა უშვას-მეთქი, ვუთხარი და უნდა გამოვბრუნებულყავი, რომ ერთმა მითხრა, რაღაც უნდა გკითხოო. თვითონ ქართულად კარგად ვერ ლაპარაკობდა და მეორეს სთხოვა, შენ გადაუთარგმნეო (კი გამკრა გულში, იელოველები იქნებიან-მეთქი). ჰოდა, დაიწყო იმან რაღაც ბოდვები: „რა აზრის ხარ, დედამინა რომ ბრუნავსო და მაგათ რომ სჩვევით, ისეთი უაზრობები... შევანყვეტინე ბოდვა და ვკითხე: — თქვენ იელოველები ხართ? მორცხვად დამიდასტურეს. — კარგად ბრძანდებოდეთ, მე თქვენნიარ ხალხთან ურთიერთობა არ მაქვმეთქი, ვუთხარი და გამოვბრუნდი. ყველაფერს ვიფიქრებდი და ათენში თუ იელოველ ქართველებს გაჭრითავდი, ამას ვერ წარმოვიდგენდი. საით მიექანებით, ქართველებოო! ბზობას გილოცავთ, ღმერთი გვფარავდეთ. გუ-ათენი.

• რომ იცოდეთ, მგზავნელებო, ჩემი ცხოვრების ნაწილი ხართ ყველა. თეთრი შურით მშურს თქვენი, ერთმანეთს რომ ხვდებით. მე აქ, ათენში ჯერ მხოლოდ ბოტოტა გავიცანი და იმედია, შემოგვიერთდებიან სხვებიც. კვირას რომ ვაკრავდი განცხადებებს, ხალხი ინტერესით მიყურებდა, მაგრამ ჯერ პასიურობენ. მი-

ყვარხართ. ვარდენა.

• რა კარგია, საქართველოში ხართ და ერთობით. ჩემს შვილს ძალიან ენატრება საქართველო და ძმაკაცები. ნუ გეშინია, გიო, მალე მოვა ის დრო, როცა ნავალთ ჩვენს ლამაზ თელავში. თამარა.

• მეგლო, მართლა მწყინს, რომ არ გაგიმართლა. იმედი მაქვს, როცა პირისპირ შეხვდებით ერთმანეთს, ყველაფერი გაირკვევა და დაიბრუნებ საყვარელ ადამიანს. სიმართლე გითხრა, შენი მესიჯით მოხიბლული არ ვარ, მაგრამ გულწრფელად თანაგრძნობ. მარი-მარი.

• ახლა ჩავიკითხე „გზა“. ჰო და ისა, რომ დაგპირდით, ავასრულე. დღეს 3 განცხადება გავაკარი ომონიაზე, მაგრამ ამაოდ. არავინ მეხმიანება. 1 არის ხატისას სალაპარაკოსთან, მეორე — ეკლესიასთან და მესამე — ბანკთან. ასე რომ, ნახეთ. ან რას ვწვალობ? აი: 699 64 79 603 ამ ნომერზე გამოგზავნეთ მესიჯები და როცა მგზავნელები ბევრი დაამესიჯებთ, ნომრებს გაცვლით და ერთმანეთს შეხვდებით. ყველას გილოცავთ აღდგომას. გაიხარეთ! დიდი, დიდი სიყვარულით, ვარდენა.

• ფეხქვეშ კი არ უნდა გავეგოთ კაცებს, უბრალოდ უნდა დავაფასოთ და გავუგოთ. უ, ამ ქვეყანაზე კაცი და ქალი იმიტომ გაჩნდნენ, რომ ერთმანეთს სჭირდებიან. ასე არ არის? ვარდენა.

• მოგესალმებით დიდი სიყვარულით, ყველას. ყველა მიყვარხართ, მგზავნელებო. უღრმესი მადლობა, საყვარელო მარი. ნამდვილად ვერ წარმოვიდგინა, ასე თუ ამატირებდა ჩემი მესიჯი.

• ჰი, მარიკელა, როგორ ხარ? გუ-ათენს მადლობა. კვირას ვეშაობ. ორშაბათს, პირველ საათზე, ომონიაზე, ეკლესიასთან. OK? თუ არა და მეორე კვირას. ბოტოტა.

• კვირას ომონიაზე რომ ვიყავი, მგზავრობის ხარჯები ვიკითხე, საქართველოში მივდივარ-მეთქი. გაგიჟდნენ, რატომ მიდიხარ, იცი, რა ხდება საქართველოში? უმარილო ხამსა იყიდება იმიტომ, რომ მარილი 1 ლარი ღირს, იცოდეთ, ძალიან ინანებ და ისევ აქეთ წამოხვალ. მე კი ისე მენატრება ჩემი ქმარ-შვილი, დედა და უნახავი მამის საფლავი. მიუხედავად ყველაფრისა, მივდივარ ხვალ და ლენინის დაბადების დღეს ქუთაისში ვიქნები. გოცნით. გერასიმე.

• მარი, როგორ ხარ, ჩემო კარგო? ბევრ კარგ საქმეს აკეთებ. დღეს შაბათია და ახლა ჩამოვიდა „გზა“. ჩემი მესიჯებიც ვნახე. ჯიგარი ხარ! გუ-ათენი.

• თქვენ გენაცვალეთ, ემიგრანტებო, როგორ ხართ? ხომ

ხართ მაგრად? სულ მაგრად იყავით, ბანძი ბერძნების გულის გასახეთქად! მინდა მგზავნელების გაცნობა. გუ-ათენი.

• როგორ ხართ ხალხო, ხომ ხართ ისე, მტერს რომ ეწყინოს და მე რომ გამიხარდეს, იმფრე? ჰოო და რისი თქმა მინდოდა, უკარებას მინდა ვუთხრა, რომ მეც მაგრად მინდა შენი გაცნობა. სად და როდის? რომ ვიცნოთ ერთმანეთი, უურნალი „გზა“ დავიკაოთ ხელში. აბა, შეხვედრამდე კობრა.

• მგზავნელებს კაუმარჯოს! აი, რამდენი ახალი ოჯახის წევრები გყავს. გაიხარეთ! ემიგრანტები ბლომად გამოჩენილან, „გზანილებში“. აბა, თქვენ იცით, არ მოიწყინოთ. გაკოცეთ. 13.07.

• ძველი მგზავნელები სად არიან? დაბრუნდით, რადგან დიდ ოჯახს ნამდვილად აკლიხართ. გოცნით და გეფერებით, უკლებლივ ყველას. 13.07.

• ჰოო... ნუ, ის მინდა ვთქვა, რომ ძალიან კარგები ვააართ! :-) გაკოცეთ ყველას გულშიი... ვასასი.

• ქუთუთისელებს სიცოცხლეე... ვასასი.

• თეო, მე ვკითხულობ „მგლებს“, ვგიჟდები მაგ წიგნზე. ნიკს რაც შეეხება, სოლიდარობას გიცხადებ: ერთი ჩემი ნიკით ამესიჯებს „თინეიჯერულ პონტებში“ და ვურჩევ, შეიცვალოს.

• კოხი-20, გამიხარდა შენი დაბრუნება. აი, ასე, შემოგვხმინან ხოლმე. 9122, როცა ჩემი სიყვარული დავკარგე, მას მერე დავიწყე ჩანახატების წერა და ეგეც ერთერთია. ენჯი.

• გილოცავთ ყველას სიყვარულის დღეს. ყველანი მიყვარხაართ! როზი.

• მარი, ჯაფარიძეები სვანებიც არიან. შენს ძარღვებში თუ ჩქეფს სვანური სისხლი? შადური ფარჯიანი. ხოჩამდ, მარი. (შადურ, მთელმა საქართველომ „ზეპირად იცის“, რომ სვანი ვარ და შენ როგორ გამოგრჩა ეს სასიხარულო ამბავი? :) — მარი).

• აუ, რა გლიჯა?! ტეტუუუ, დაალურჯა საწყალი... უპს, ჰო, მართლა, მე თეო ვარ, დაუკითხავად შემოვიჭერი თქვენთან. ახალი ვარ, იმედია მიმიღებთ. ახლა გაკვეთილზე ვარ, მასწი არაა კლასში და ისეთი ამბავია, დედა შვილს არ აიყვანს ხელში. ამიერიდან ყოველ ნომერში დავამესიჯებ. დიდი სურვილი მაქვს, რომ თქვენი მეგობარი გავხდე. იმედია, მიმიღებთ. :) კუნკუნა.

• ლუნა, გრუზინკა ვარ და მინდა შენი გაცნობა. თუ შენც გაქვს ჩემი გაცნობის სურვილი, მის რეალის კლუბში ვარ და ის მოგცემს ჩემს ნომერს. გრუზინკა.

• ეჰ, ლიფსო, მეც შენს დღეში ვარ. ამ ბოლო დროს

მაგრად გავითიშე. რა გვჭირს, ნეტავ? :) გაიხარე, კაი ბოვში ხარ. აუ, ლუციფერი სად დაიკარგა? ან ნათია-30 სადაა? ბაო-ბაო.

• ვისაც სურს ლუნას გაცნობა, გამომეხმაუროს. მგზავნელებო, აბა, თქვენ იცით, გაკოცეთ. P.S. მომავალო ჟურნალისტებო, გამომეხმაურეთ. ლუნა.

• ვაიმე, დათუნია... მიყვარხარ, სიცოცხლევევ! შენი ბაჭია. ნონ-სტოპ, დაიკო, კარტა დამენვა და ნომრები არ მახსოვს. აფხაზეთის პრინცესა.

• გამარჯობა ყველას! ყველა ძალიან საყვარლები ხართ. ამერიიდან მეც თქვენთან ვიქნები. ხომ მიმიღებთ? ძალიან მიყვარხართ, გაკოცეთ. ტოპოლინო.

• „გზა“ მაგადია, მაგადიი! მარი კი უძალიანესად მაგადი! ვოტ! უჰ, ნეტავ თბილისში ვცხოვრობდეთ... რომ იცოდეთ, ყველა რა კარგები ხართ. მიყვარხართ. avril-lavigne.

• რატომ გიგლა, რატომ მოიქეცი ასე? მე ხომ ძალიან მენატრები, რად მომატყუე, რომ მალე ერთად ვიქნებითო? მხოლოდ ის მინდა გავიგო, რომ კარგად ხარ და მორჩა. ნატო.

• გიო, ადამიანი შეცდომებზე სწავლობს, მაგრამ მე იმდენად უგნური აღმოვჩნდი, რომ ვერც შეცდომებმა მასწავლა, რომ არავის უნდა ენდო. გია ბექაურს. ნატო.

• გიო, როგორ ველოდი 15 აპრილს შენს გამოჩენას. უკვე ერთი თვეა, აღარაფერი ვიცი. ისე გაუფრთხილებლად გაქრი, ნეტავ რა მოხდა? ცუდია სხვის გრძნობებზე თამაში.

• გამარჯობა, „გზაელებო“, როგორ ხართ? აგენტი 8-07.

• ბუსკუს, გვენატრები და ძალიან გვაკლიხარ. ყოველი დღე შენზე ფიქრით იწყება და მთავრდება. ახლა უფრო ვხვდები, რაოდენ ძვირფასი ხარ ჩვენთვის! უზომოდ მიყვარხარ!

• კალომირა-14, გენათალე, ქალო შენა, მაგრამ ლიმონა მე რომ არ მომწონს? :) ბაო, მავნე, პატარა მარიამულო, ბოტოტი, თეო მგელო და ა.შ. გენაცვალეთ სუყველაას! ლიმონა-მანიუ.

• ვერმახტი ჩემი დაქალის მეზობელია, ბათუმში. სურათით ვიციანი. სულ „ნაუშნიკები“ აქვს ყურში გაჩრილი. მართლა უცნაური და საყვარელი ბიჭია. დატანჯული გოგო.

• არისტოკრატო, გაიხარე, გმადლობთ. შენც დიდი მადლობა, მაგრამ იქნებ სახელიც მიაწერო. ყველანი მიყვარხართ, მრ.ზ, მაგრად მიყვარხარ. მპუა, სესი.

• გენაცვალეთ ყველა ემიგრანტს. ვიცი, რა ძნელია, როცა სამშობლოსა და საყვარელი ადამიანებისგან შორს ხართ, მაგრამ

იცოდეთ, რომ ჩვენ თქვენ გვერდით ვართ.

• რედაქციას ვთხოვ, დაამესიჯოს ნომერი. მოცემული ნომერი გათიშულია და ვერ გავიგე, რას ჩალიჩობთ. გარკვევით დაგინერეთ, ვისი ნომერი მინდა და თქვენ „ინფორირებთ“.

• აჰა, კრიტიკოსიც მოსულაა! რაიო?! მგზავნელების კრიტიკას შევუდგებიო?! რა გვჭირს გასაკრიტიკებელი, ანგელოზებივით ვართ, ჰა?! თუ სამართლიანი კრიტიკა იქნება, ნუ... ლუნა.

• ვარ ბათუმელი, განქორწინებული, მაქვს ავეჯის ფირმა. სამეგობროდ გავიცნობდი 16-25 წლამდე ასაკის, ფულიან და ლამაზ გოგონას. ვარ 32 წლის, მაღალი, სიმპათიური. ვერძი.

• ბაო-ბაო, არა მიშავს, ბარტყი, თავად ხომ ხარ უმაგრესად? მპუა! აუ, რა ბედნიერი ვააარ! როგორც იქნა, პირადად ვნახე მგზავნელები. ჩემი ცხოვრების აზრი ხართ! ashley pcd.

• თუ დაჩოქება ცოდვილთათვის მოუგონიათ/ ეპატიება მუხლზე დაცემა ყველა ცოდვიანს/ თუ სამოთხეში სიყვარული ცოდვად ითვლება/ მეც ცოდვილი ვარ/ მაპატიეთ, დაძიროქია. გოჭუნია.

• აუ, ზოგჯერ რა ცუდად ვარ ხოლმე... არც ვიცი, რატომ... მგონი, ვაფრენ. ვასასი.

• პრივეტები ყველას, აქ ხარაგაულები თუ ვინმე ხართ, გამომეხმაურეთ. ყველანი მაგრად მიყვარხართ. გაიხარეთ, მაგრები ხართ ყველანი. მარი.

• ადრე ბაბუაჩემი სამედიცინო სასწორზე მუშაობდა, მწონავად. მსუქნებს წონას აკლებდა, გამხდრებს — უმატებდა. ხალხიც სიხარულით აძლევდა ფულს, მაგრამ მერე დაიჭირეს. რატომ? რატომ და წინასწარ აწონილი კაცი შეაპარეს. არადა, ისეთი კეთილია, იმ მძღოლს ჰგავს, თავისი საბურავი რომ აქვს დამკვებელი და სხვისას ბერავს. ჯე ჯე.

• პრივეტები ყველას! პირველად ვამესიჯებ „გზაში“ და იმედი მაქვს, მეც მოვხვდები ჟურნალში. თუ არა და გავიბუტები. ყველანი კარგები ხართ. გოცნით ბევრს. ევა.



• მესამე წელია, ჩემი შვილი არ მინახავს და მინდა, „გზის“ ფურცლებიდან მოვეფერო და ვუთხრა, რომ სიგიჟემდე მიყვარს და მენატრება ჩემი გიგა, ჩემი დაიკო ხათო და დე-

დაჩემი. გიგა, ძალიან მიყვარხარ. ცოტაც მოითმინე და ისევ ძლიერად ჩაგეხუტები და მოგეფერები, ჩემო ტკბილო შვილო. ლია.

• ნატო გორგილაძე, მიყვარხარ, ჩემი სიცოცხლე ხარ. სულო, ათენიდან.

• ლუკა, შვილო, პატარა ხარ, ვერ გაიგებ, თუ რატომ წავიდა შენი დედა. მე ქობულეთში მართლა დავტოვე ფიქრი ულევო, დარდი, ზმანება. ხშირად ამიტომ ვარ დარდიანი...

• აჩი, მიყვარხარ, ჩემო სიხარულო და მენატრები ძალიან. ჩემი გოჭი ხარ. გოცნი და ბევრს გეფერები, ბოთეე! თუ წაიკითხავ, მიხვდები, ვინ ვარ. ათენი.

• მარი ბალახაძე, ჩემო მომავალო რძალო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები, ჩემო ბუბუკუნა. ჩემს ძმას მაგრად უყვარხარ, ხომ იცი? მალე გნახავ, ჩემო დაიკო. მენატრები. ლელა, ათენი.

• ვახუნა ძალიან, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. ერთი სული მაქვს, როდის ჩაგიკრავ გულში. შენი დაიკოები, ხათუნა და ნათია, ათენიდან.

• ჩემო კარგო და ძვირფასო გურანდა, ნახვედი და გული დამწყვიტე. როდის გავაქვს წლები? როდის ჩამოხვალ? მიყვარხარ და გოცნი, შორიდან. იცოდეთ, რომ გელოდები და ჩემი იქნები. უცნობი.

• ჩემს სიხარულს და სიყვარულს, დიტო დ-ს ვულოცავ სიყვარულის დღეს. მიყვარხარ, გაიგე რა და ნუ გეპარება ჩემში ეჭვი, გთხოვ. მიყვარხარ და ნულარ იგრუხები. ნინი.

• შოთიკო, ჩემო არანორმალურო სიყვარულო, ჩემო ტკბილო და მწარე მონატრებავ, საკუთარ თავზე მეტად მიყვარხარ. ნუ ეჭვიანობ, მე მხოლოდ შენი ვარ! დატანჯული გოგო.


• ჩემო თათუსია, როდის ველირსები შენგან ყურადღებას? დავიტანჯე, კაცი. ფერი აღარ მადევს, სიცოცხლის. მუდამ შენი თაყვანისმცემელი, ფიქო.

• ქვემო ალვანში მიყვარს თამაზო, სიცოცხლეზე მეტად. ვერ გვიწყობ, თამაზო, გამიგე. თუში.

• გიო, მიყვარხარ და ძალიან მენატრები. გთხოვ, ჩემო სანატრელო, გამაგებინე, როგორ ხარ და სად ხარ? ძალიან ვდარდობ. ნატა.

• ჩემო სიყვარულო, ჩემო ანგელოზო ქმარუკა, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, შენ გვერდით. ლიპუცა. გაკოცე ცხვირზე.

• ზაჰესში მცხოვრებო დათო, სიგიჟემდე მიყვარხარ და მენატრები, ჩემი ცხოვრება ხარ და მინდა, სულ ერთად ვიყოთ. მარი15.



• მიყვარხარ და მყვარები, ჩემო საყვარელო ადამიანო. თქვენ რომ არ მყავდეთ ამ ქვეყანაზე, ალბათ არ ვიცი, რას ვიზამდი. გილოცავ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს, მრავალს დაესწარი.

• ჩემს სიცოცხლე ადამიანს, მაიკოს ვულოცავ დაბადების დღეს, 24 აპრილს. დედოკო, მიყვარხარ და გალმერთებ. ჩორი-ჩორი.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მონატრებულ მეგობარს, თიკო ხარაზიშვილს. ვუსურვებ სიხარულს და ბედნიერებას. 119 წელი გეცოცხლოს, შენს ოჯახთან და მეგობრებთან.

• მინდა, ჩემს ტკბილ და საყვარელ ბებოს, მზია გულუას მივულოცო დაბადების დღე ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს. ბებო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ეკა, ათენიდან.

• ათენში მყოფ ნანა ორჯონიკიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ნანა, გისუსვებთ ჯანმრთელობას, უზღვევ სიყვარულსა და კარგი ჩანაფიქრის განხორციელებას. ჩვენო ძვირფასო, მალე ისეთივე მხიარული და ხალისიანი გვენახე, როგორც 35 წლის წინ გაგიცანი. შენი მეგობარი ნაირა და დისშვილი ლელა.

• დაბადების დღეს, 22 აპრილს ვულოცავთ ნარგიზ მუმლაძეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და უღვევ სიხარულს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. დიდი სიყვარულით, ამირანი და თამუნა.

• სალონიკში მცხოვრებ ეკას მინდა მივულოცო დაბადების დღე. ვუსურვებ ყველაფერ კარგს, მთელი ცხოვრების მანძილზე, ქმარ-შვილთან ერთად. სალონიკი, მაკა.

• ჩემო მეგი, ჩემო ფერიავ, ჩემო სოსო, გილოცავთ პირველი სიხარულის, პატარა საბუნას შექმნას. გისურვებთ მრავალ სიხარულს, ჯანმრთელი და ბედნიერი ვაჟკაცი გაზრდილიყოს. გოცნით სამიჯვს. ათენიდან, ინგა ნათლია.

• მინდა, ჩემს ახლობელ ხალხს მამუკა და გიგა აბრამიძეებს მივულოცო დაბადების დღე. ვუსურვებ ჯანმრთელობას და თავიანთ ლამაზ ოჯახებში ბედნიერად ცხოვრებას. გოცნით. თქვენი კეთილისმსურველი, თამილა.

• ნინო ცეცხლაძეს 27 აპრილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და გაძლებას ვუსურვებ. მალე დავბრუნებულიყავით, საქართველოში. შენი მეგობარი, თამუნა. ათენი.

• იაგო თედიაშვილს და ირინა ქავთარაძეს სიყვარულის დღეს ვულოცავ. სიყვარული შეგიძლიაო, თქვენ უნდა დაიკვხოთ.

• ვერც წლებმა და ვერც სიმორემ ვერაფერი დააკლო

თქვენს სიყვარულს. ორი უსაყვარლესი ვაჟკაცი გვირგვინია, თქვენი სიყვარულის. ჩემი ტკბილები ხართ. მაია. ათენი.

• მანჩო ბალახაძე, მოგვიანებით გილოცავ გაბედნიერებას. ბედნიერი ყოფილიყავი, შენი მეუღლის გვერდით. მალე ჩამოდი, მე და მარის აღარ შეგიძლია. გიო, ათენი.

• დაბადების დღეს, 22 აპრილს ვულოცავ ჩემს მეგობარს, თამუნა ბარბაქაძეს. თამო, ჩემო კარგო, გისურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერ მომავალს, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. უფალი გფარავდეს ყველგან და ყოველთვის. თამუნა. ათენი.

• ზენაბ გოგიტიძეს 20 აპრილს ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარე, შენს პატარა ოჯახთან ერთად. მონატრებული დედათილი, იზო, ათენიდან.

• ჩემს უსაყვარლეს, პატარა დაიკოს, თამუნა ფეტივაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 22 აპრილს. დაული, ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებ. მიყვარხარ! ნათია, ათენიდან.

• ჩემს პატარა დედაშვილს, მარიკელს, 25 აპრილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელი და ბედნიერი გოგო ყოფილიყავი. ღმერთი გფარავდეს. კოცნი. გვანცა, ათენიდან.

• ჩვენს უსაყვარლეს დედას, ეთერ ჭურჭლაურს ვულოცავთ დაბადების დღეს, 29 აპრილს. სულ ჯანმრთელი და ბედნიერი ყოფილიყავი, ყოველთვის. მალე ერთად ვყოფილიყავით, ყველა. ძალიან გვიყვარხარ. შენი ინგა და თამო.

• ჩემს პატარა ქალიშვილებს, ნინის და ელინას ვულოცავთ აღდგომას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. იმედი გვაქვს, მალე ერთად ვიქნებით. მონატრებული მშობლები, ვერიკო და ზვიადი.

• ჩემს პატარა მარიამ დაუთაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 28 აპრილს. 3 წლის ხდება. ვიყვარხარ, ჩვენო პატარა ანგელოზო. დედოკო ნათია და მამიკო გია, სალონიკიდან.

• დიდი სიყვარულით ვულოცავთ 27 აპრილს ზვიად ფეიქრიშვილს დაბადების დღეს. სულ ჯანმრთელი და ბედნიერი ყოფილიყავი, შენს ტკბილ ოჯახთან ერთად. ფატი, გვანცა.

• ჩემს მონატრებულ და საყვარელ რძალს, მანონი დევაძეს დაბადების დღეს ვულოცავ გაიხარე, შენს ლამაზ და ტკბილ ოჯახში. შენი დედათილი, ათენიდან.

• ჩემს მონატრებულ და საყვარელ ხათუნას და რიმას დაბადების დღეს ვულოცავ. გაიხარეთ, თქვენს ოჯახებთან ერთად. თქვენი მზია, ათენიდან.

• გამარჯობა მარი, მგზავნელებო და მკითხველებო! ყველას გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ ღვთის რწმენაში განმტკიცებას და უფლის

გზაზე სიარულს. ღმერთი იყოს თქვენი, მთელი საქართველოს და ემიგრანტების მფარველი. მარია, ათენიდან.

• ჩემს ოჯახს, უსაზღვროდ მონატრებულ შვილებს, რომოს და ჯონი იარაჯულებს, ძმას — ხვიჩას, დედას, ძმისშვილს — ნათიას, რძალს — ნელის და ყველა ნათესავს მინდა მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. მათთან ერთად ვულოცავ სრულიად საქართველოს და ყველა ათენში მცხოვრებს. გოცნით ბევრს. დედას ბიჭებო, უფალი გფარავდეთ. თამილა.

• ძვირფასო მარი, თქვენ, ჩემს ძვირფას მგზავნელებს და მთელ ქართველ ხალხს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. აიხარეთ, ქრისტე აღსდგა, ხალხო! გერასიმე.

• ჩემს დედას ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მინდა ვუთხრა, რომ ამ შორეულ ათენში მეორე დედასავით მყავს და ძალიან მიყვარს. მარკუდა.

• ჩემო იაგო, გილოცავ დაბადების დღეს. შენ შემოგველე, მაგ დატანჯულ გულში. არ იდარდო, ჩემო შვილო... გამაგრდი, რომ მეც და ცოლ-შვილიც კარგად დაგვადეთ. თამრო.

• ჩემს საყვარელ დედოკოს, მზია ამბროლაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, უღვევ სიხარულს. გაიხარე. გოცნის შენი მონატრებული შვილი, ლუიზა.

• ჩვენს საყვარელ ადამიანებს გვირგვინად მივულოცოთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. უფლის მაღლი შეგვნიოთ. გოცნით შორიდან, ლუიზა, მაიზერი და ეკა.

• მარი, გილოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მრავალს დაესწარი შენ და მთელი საქართველო. გმადლობთ მარი, რომ არსებობთ თქვენ და ჟურნალი „გზა“. ათენი. აია.

• ქუთაისში, ხარებავას ქუჩა №23-ში მცხოვრებ ხალხს ვულოცავ შორეული ათენიდან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ყველა მიყვარხართ და მენატრებით. ათენი. მაია.

• ჩემს დაიკოს, ლია ამბროლაძეს დაბადების დღეს ვულოცავ, ათენიდან. ვუსურვებ ოცნებების ასრულებას. უფლის წყალობას. მალე შენი შვილების კარგი ბედით გახარებული მენახე.

• შორიდან გოცნის შენი მონატრებული დაიკო.

• იაგო თედიაშვილს. გილოცავ, ჩემო სიყვარულო დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, თავისუფლებას, სიხარულს, ბედნიერებას, შენს საყვარელ და ლამაზ ცოლ-შვილთან ერთად. ირინა.

• იაგო ძია, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყოველივე კარგს. მალე მოულოდნელ თავისუფლებას და მიზნების

განხორციელებას. გილოცავთ შენი გულები, ლუკა, თაკო, ვაკო, მაკო.

• ათენიდან ესპანეთში გივი ლიქოკელს და თამთა ქავთარაძეს ვულოცავ პატარა ცოტნეს დაბადებას. ჯანმრთელი და ბედნიერი გაგზარდოთ. გფარავდეთ ღმერთი. გეფერებით, მზია დეიდა.

• დუშეთში ანდრო ქავთარაძეს და მათა არაბულს ვულოცავ შვილიშვილის, ცოტნეს დაბადებას. ღმერთმა გიმრავლოთ, თქვენი ლოცვა-კურთხევა არ მოჰკლებოდეს. მზია, ათენიდან

• ჩემს უსაყვარლეს მშობლებს, ციცოს და შალვა სადალაშვილებს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას. სულ გახარებულეები მენახეთ, თქვენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. თქვენი სიყრმის შვილი, ლია, ათენიდან.

• ჩემო ზინა ბეჟაურო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას. ისე აგენყოს საქმე, რომ მალე ნასულიყავი საქართველოში, შენს შვილებთან. დიდი სიყვარულით, თინიკო.

• გუგალო, დედი, ჩვენი დიდი სიცოცხლე ხარ. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, შენი დედიკო და მამიკო. მრავალს მოგასწროს ღმერთმა. გვიყვარხარ და გვენატრები. მალე ვიქნებით ისევ ერთად. გკოცნით და გეხუტებით, ათენიდან.

• მადო, ნიკუშა, დათუნა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ. მრავალს მოგასწროთ ღმერთმა. გაიხარეთ, გკოცნით ათენიდან.

• სპეციალურად, „გზის“ საყიდლად გავდივარ ხოლმე ომონიაზე, ეს უსაბუთო ბავშვი. მინდა, ახმეტაში ჩემი ოჯახი მოვიკითხო. ყველანი ძალიან მიყვარხართ. ვახუნა, ჩემი სიცოცხლე ხარ.

• მოუთმენლად დაველოდები მომავალ ხუთშაბათს. მრავალ აღდგომას დაგვასწროს ღმერთმა. ქრისტე აღსდგა! თათია.

• ათენში ჩემს საყვარელ დაიკოს, ციური ხახიაურს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 მაისს. დაიკო, გისურვებ ჯანმრთელობას და გამძლეობას. ათენი, ლილი.

• 23 აპრილს, დაბადების დღეს ვულოცავ ირაკლი ტყემალაძეს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და ლამაზ სიყვარულს. ღმერთი იყოს შენი მფარველი. იკა, ძალიან მენატრები. იმედი, მალე გნახავ.

• გიორგი გოშაძეს დიდი სიყვარულით და დიდი მონატრებით ვულოცავთ დაბადების დღეს და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გაიხარდე ჭკვიანი და ჯანმრთელი ბიჭი. ელა და ნაირა.

• აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მინდა მივულოცო ჩემს უახლოეს, ძვირფას მეგობარს, ზაირა დორეულს. გფარავდეს ლამაზო, ყველა წმინდანი. სულ კარგად

მეყოლე, შენს ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნი და გეფერები, ათენიდან. თინიკო გონგაძე.

• ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! მთელ საქართველოს, მცხეთას და მცხეთელებს, თიანეთს და თიანელებს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მზია, ათენიდან.

• ათენში გადახვენილ ემიგრანტებს ნანის, ნანას, ლიურას, იოსებს, ნოდოს, შორენას, მაიას, ნანას, ლიას, ირმას, ლიას ლალის, თამრიკოს, სათუნას, ფიქრიას ვულოცავ აღდგომას. მზია.

• საქმერის რაიონში, სოფელ მერჯვეში, ნუკრი შუბითიძეს ვულოცავ გაბედნიერებას, ვუსურვებ სიყვარულს, ბედნიერებას და ტკბილ მომავალს. მალე ჩამოდი თბილისში. ლიკა.

• თაკო გურგენიძეს და თონა პეტრიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 21 აპრილს. ყოფილიყვენ მუდამ ჯანმრთელები და ლამაზები. დიდი სიყვარულით, ლალი და თინიკო ალავიძეები.

• მინდა, რომ ქალბატონ მაიას (ჩორის დედიკოს) მივულოცო დაბადების დღე, 24 აპრილი. ვუსურვებ ბედნიერებას და ულევ სიხარულს, საყვარელ ადამიანებთან ერთად. იკო-სიხჩო.

• საქართველოს მთელ მოსახლეობას და რა თქმა უნდა, ჩვენს მგზავნელებს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა! ამინ! გრუზინკა.

• მარიამულის თამადობით „გზის“ მეგობრულ კოლექტივს ვულოცავ ბზობას და დამდეგ აღდგომას. გრუზინკა.

• რუსთავეში ჩემს ზაზუს მინდა მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. ზაზუ, (მახარობელო, შოკოლადის ნატეხი), ქრისტე აღსდგა! გრუზინკა.

• დილემანტ გენიოსებს, მის რეალს, კახელ სალომეს, განძის მამიებელს და მგელკაცას ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ქრისტე აღსდგა! გრუზინკა.

• 24 აპრილს ესმერალდას ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ბედნიერებასა და ულევ სიხარულს. გფარავდეს ღმერთი. დაიკო, გაკოცნეთ! ფლამინგო.

• ჩვენს უსაყვარლეს „დედიკოს“, ზიზი ნიკუჩაძეს და გია მაისურაძეს გაბედნიერებას და ზიზის ოქროს დაბადების დღეს ვულოცავთ. ვუსურვებთ უდიდეს ბედნიერებას. კლასელები.

• ბოტოტა, გილოცავ გენაცვალე, დაბადების დღეს, ყველაფერს საუკეთესოსა და ბედნიერ მომავალს გისურვებ. მიყვარხარ შენც და ყველა მგზავნილიც. გაკოცნეთ ყველას! ლუნა.

• ქუთაისში მცხოვრებ გიორგის, ლაშას და მარის ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მიყვარხართ და მენატრებით. მამუკა და ნინო.

ყურადღება!

„მობილი-ზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მე-სიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფოტოგრაფია



მამისათვის

ამ დღეს გამოვლინდება, რამდენად მომთმენი და მტკიცე ნერვების პატრონი ხარ. ყოველთვის არ გექნება იმის საშუალება, რომ სიტუაცია აკონტროლო. ამიტომ ეცადე, მეტი მოთმინება და ნებისყოფა გამოიჩინო. ოჯახის წევრების მიერ გამოჩენილი სთბო და ყურადღება ძალებს შეგმატებს. სასიყვარულო ასპარეზზე იმედგაცრუება გელის.

სამშაობისთვის

ამ დღეს ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებასა და ფულის უმიზნოდ ხარჯვას მოერიდე. არ არის გამორიცხული, წარსულმაც თავი შეგახსენოს. ამ დღეს შენი გარეგნული მომხიბვლელობა პიკს მიაღწევს, რასაც საპირისპირო სქესის ადამიანები იოლადად შენიშნავენ. ეცადე, ავტორიტეტი გაიმყარო და მომავლის გეგმა დასახო.



მამისათვის

ამ დღეს გამართლდება ანდაზა: „რასაცა დათეს, იმას მოიმიკი“ — ყველა კეთილი საქმე სიკეთითვე დაგიბრუნდება. ოჯახში ცოტა გაურკვეველობა იჩენს თავს, მაგრამ ამას მალე მოეღებება ბოლო. ახალი რომანტიკული თავგადასავლით ტკბობის დროც გამოგიჩნდება.



სეიფი

თუკი ამ დღეს იაქტიურებ, ბევრ ჩანაფიქრს შეასხამ ხორცს. მთავარია, ჩვეულება სიზარმაცემ ხელი არ დაგროოს. პირად ცხოვრებაშიც გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი; არ არის გამორიცხული, რომ შენთვის ეს ცვლილებები საკმაოდ უსიამოვნო აღმოჩნდეს. ეცადე, უფრო მეტად მობილიზებული იყო და სიმტკიცე გამოიჩინო, განსაკუთრებით, პირად საკითხებთან დაკავშირებით.



წამსხევე

გარშემო მყოფებთან საერთო ენას ადვილად გამოიხატავ და კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებასაც მოახერხებ. თუკი თავს არ დაზოგავ, ამ დღეს უამრავი ახალი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებ.

მეგობარი


ხასიათის უმიზეზო ცვლილებამ და ჯანმრთელობის მდგომარეობის ოდნავ გაუარესებამ შესაძლოა, დასახული მიზნის მიღწევაში ხელი შეგიშალოს. ჯობს, ამ დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ მიიღო.



კვირის

მერე რა, რომ უქმე დღეა? სოლიდური თანხის შოვნის იშვიათი შესაძლებლობა მოგეცემა. დროულად უნდა მიხედო ადრე დაწყებულ საქმეს. აკონტროლე შენ გარშემო შექმნილი სიტუაცია. ეცადე, საკუთარ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანო.





მდიდარი გაზაფხულის შესახებ

გავრცელებული აზრია, რომ
გაზაფხულის დადგომასთან ერთად,
ადამიანს გუნება-განწყობილება
უძეობს, გული მღერის და
სამყარო მშვენიერი ეჩვენება.

ზოგიერთს კი მზის დანახვა სულაც არ ახარებს და სეზონური დეპრესია გარანტირებული აქვს.

ფსიქოთერაპევტებმა გაზაფხულის შესახებ არსებული სამივე მითი უარყვეს.

პირველ შემთხვევაში, მცდარია ის მოსაზრება, რომ გაზაფხული სიყვარულის დრო გახლავთ. ბუნებაში ეს მართლაც ასეა, მაგრამ ადამიანთან ამას არანაირი კავშირი არ აქვს.

სეზონური ცვლილებები მხოლოდ ხანმოკლე სასიცოცხლო ციკლის მქონე არსებებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, გაზაფხულზე მეორე ნახევარს ყველაზე აქტიურად ფრინველები ეძებენ, რომელთა შთამომავლებმაც ზაფხულში გაზრდა და დაფრთიანება უნდა მოახსრონ, რომ ზამთარი კარგად გადაიტანონ.

შედარებით განვითარებული ორგანიზმებისთვის წელიწადის დროზე ასეთი დამოკიდებულება დამახასიათებელი არ გახლავთ. ამიტომ, არავითარი „დაპროგრამებული“ აქტიურობის გამოვლინება ადამიანს არ აქვს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სამშობიარო სახლები წლის ნებისმიერ დროს თანაბარი რაოდენობის მშობიარეს იღებს.

აღსანიშნავია, რომ შესაძლოა, გაზაფხულის შესახებ არსებულმა მითმა, ქალის სუსტ და ნაზ ფსიქიკაზე დამანგრეველი გავლენა იქონიოს — თუ ქალს ამ დროს ახალი თაყვანისმცემელი არ გამოუჩნდება, ის აუცილებლად დეპრესიაში ჩავარდება.

მეორე მითი გაზაფხულზე დადებითი ემოციების მოძალებას ლაღადებს. ამ მითის გაბათილება შედარებით რთულია, რადგან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის ფსიქიკაზე ამინდი, წნევის ცვალებადობა და ავიტამინოზი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ასე რომ, გაზაფხულს ეიფორიისა და დეპრესიის გამონევა ერთნაირად შეუძლია, რადგან ტემპერატურის ცვლილებაზე ნებისმიერი ადამიანი სხვადასხვაგვარად რეაგირებს.

მესამე მითი: ქალები ფეხებს მამაკაცების ყურადღების მისაპყრობად იმიშვლებენ. უდავოა,

რომ ქალების გარკვეულ კატეგორიას სწორედ ეს მიზანი ამოძრავებს. ასეთ ქალებს წელიწადის დრო ვერაფერს აკლებს. მათ მოკლე ქვედაბოლოს ჩაცმა ყინვაშიც შეუძლიათ. მთავარ მიზეზს, რის გამოც ქალბატონები გრძელ ქვედაბოლოებს იხდიან, ქიმიური საფუძველი აქვს. მზის ზემოქმედებით ორგანიზმში სეროტონინის დონე იმატებს, რაც ადამიანს კარგ გუნება-განწყობილებას უქმნის. სეროტონინს ხომ ბედნიერების ჰორმონსაც უწოდებენ. ამ პროცესის შედეგად ადამიანს მზისთვის შიშველი სხეულის „ჩვენების“ და დიდი რაოდენობით დადებითი ემოციის მიღების სურვილი უჩნდება.

<<< 23

მოკლე ჩართვა

ვის დაუფიცავ ბუნიცა?

- ჩემს არარსებულ დას. მაინც არ მყავს და არც არაფერი მოუვა. :) უჰ, რა ჭკვიანი ვარ, ოღონდ სიზმარში... :) კიკო.
- ჩემს ყოფილ სადედამთილოს და ჩემს ყოფილ „ლოვეს“. გზააბნეული.
- ტყუილზე ვის დაუფიცებ და ჩემი სამსახურის უფროსს, იმ ვერანას და ჩემს მეზობელ სომეხ არტუშას ფელამუშა.
- იცი, ტყუილი ბოლოს როდის ვთქვი, აღარც კი მახსოვს... თუმცა, როცა ვიტყუები, ისე ვიტყუები, რომ არავის დაუფიცება არ მჭირდება. აბააა! :) ცრემლუკა.
- ჩემს თავს ვიფიცებ, ყველა ბრუნვაში. ისე, ტყუილზე მეტად ახლობლების სიზმართლემი დარწმუნება მიჭირს. აგატა.



„მინდა, ძალიან მომეხსენი იყო ეს სიყვარულიანი ზრუნვების დღე“

რეკორდაჟი გურჯაანიდან

თამუნა კვინიკაძე

22 აპრილს, მსოფლიო აღნიშნავს დედამიწის დღეს. „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლმა, კერძოდ, ჟურნალმა „საბავშვო კარუსელი“, ორგანიზაციასთან — „ჩვენი მწვერულები“ ერთად, ამ დღესთან დაკავშირებით, 19 აპრილს გურჯაანში აქცია სახელწოდებით — „ეს ჩვენი დედამიწაა“ — მოაწყო.

გურჯაანში ჩასულებს, „პაპის ბაღში“ 150-მდე ბავშვი, მათი მშობლები და პედაგოგები დაგვხვდნენ. პატარებმა ჯერ საკუთარი ნახატები დაგვთავალიერებინეს, შემდეგ კი დავალბა „საბავშვო კარუსელისგან“ მიიღეს. იმ დღეს თითოეულ მათგანს უნდა დაეხატა სურათი თემზე — „დედამიწა — ჩემი სახლი“. ნორჩი მხატვრები დიდი მონდომებით შეუდგნენ ხატვას. მე კი ამ შემთხვევით ვისარგებლე და აქციის ორგანიზატორსა და პედაგოგებს ვესაუბრე.

ნონო ნაცვლიშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლებისა და სოციალური განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი:

— ამ ღონისძიების შესახებ, ჩუმლაციის საჯარო სკოლის დირექტორისგან და თვითონ „საბავშვო კარუსელის“ რედაქციისგან შევიტყვე. სკოლებიდან ხატვის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები შევარჩიეთ და დავახვედრეთ. ვნახოთ, თავს როგორ გამოიჩინენ.

მოგონათ, ეს ნამოწყება?

— დიახ. ბავშვები ძალიან გახარებული არიან, მათთვის ეს სიახლეა.

რაიონის კულტურულ ცხოვრებაზე რას გვეტყვი?

— რაიონის კულტურული ცხოვრება

ვრება თანდათან ცოცხლდება. პერიოდულად სხვადასხვაგვარ აქციას ვატარებთ. ყოველ 1-ელ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ვანყობთ აქციას — ხატვა ასფალტზე.

ელენე ტაბიაშვილი, ჩუმლაციის საჯარო სკოლის დირექტორი.

— ბავშვები და მათი მშობლებიც სულმთუქმენლად გელოდებოდნენ. ასეთი დღეები მათთვის იშვიათია. „საბავშვო კარუსელი“ ყველა სკოლაში პოპულარულია. ბავშვებს უყვართ ეს ჟურნალი და კითხულობენ, უფრო მეტიც — პირადად მე, დანყებითი კლასის და ხელოვნების ყველა პედაგოგს ვურჩევ, „საბავშვო კარუსელის“ თითოეული ნომერი კლასში დაამუშაონ.

მანანა ჩიტაძე, ჩუმლაციის საჯარო სკოლის პედაგოგი:

— სკოლაში, ჩემი ინიციატივითა და დირექტორის მხარდაჭერით, ესთეტიკური აღზრდის კაბინეტი გაიხსნა. ყველანაირად ვცდილობთ, ბავშვებს მხარში ამოვუდგეთ და მათ ნიჭის განვითარებაში ხელი შევუწყოთ. ცოტა ხნის წინ თბილისში, „ცისფერ გალერეაში“ ბავშვთა ნახატების გამოფენა მოეწყო. მასში ჩვენი სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ და არცთუ ურიგოდ



ყველანაირად ვცდილობთ, ბავშვებს მხარში ამოვუდგეთ და მათ ნიჭის განვითარებაში ხელი შევუწყოთ

გამოიჩინეს თავი. 12 ბავშვის ნახატი კატალოგში შევიდა. მასწინ თემა იყო — „ფრენა ალაზნის ცხოვრებას“. ბავშვები ოცნებობენ, მათი ნახატები ჟურნალში — „საბავშვო კარუსელი“ — მოხვედრილიყო.

როგორ წარმოუდგენიათ ბავშვებს „დედამიწა — ჩემი სახლი“? პედაგოგებთან დამშვიდობების შემდეგ, ნორჩი მხატვრებისკენ გადავინაცვლე და ჯერ კიდევ დაუსრულებელ ნახატებს გადავხედე.

მ. წლის წინ კალატოჯიშვილს დედამიწა ვებერთელა ყვავილის გულში ჩაუხატავს.

— ასე იმიტომ დავხატე, რომ მინდა, დედამიწა ამ ყვავილივით ლამაზი იყოს. იქნებ, ეს ნახატი „საბავშვო კარუსელშიც“ მოხვდეს. ეს ჟურნალი ძალიან მიყვარს, დედამას ჩემთვის ყოველთვის ყიდულობს; იქ კარგი კროსვორდებია.

იქვე ახლოს, დიდი მონდომებით ხატავდა თამარ შანთიაშვილი, რომელმაც მითხრა:

— ეს გლობუსია, რომლის წინა ფონზე ორი ადამიანი ერთმანეთს ხელს ართმევს.

— **თამარ, ეს სერიოზული ნამუშევარია. იქნებ, ისიც მითხრა, ვინ არის ეს ორი ადამიანი, რომელთაც მხოლოდ ხელები უჩანთ?**

— პოლიტიკოსები არიან. მინდა, რომ დედამიწაზე მშვიდობა იყოს..

— **რომელი პოლიტიკოსები არიან?**

— მიხეილ სააკაშვილი და ლევან გაჩეჩილაძე. არ მომწონს, რომ ისინი ჩხუბობენ. იქნებ, შერიგდნენ, არ შეიძლება?..

— **საჩუქრები დარიგდებათ, მართალია? —** მეკითხება მეექვსეკლასელი მალხაზ მენაბდიშვილი, თან — საკუთარ ნახატს მიჩვენებს.

— **მართალია: თქვენთვის „საბავშვო კარუსელი“ ნამოვიღეთ.**

— **ვა, რა მაგარია! მე განსაკუთრებული მკითხველი ვარ, მასწ! ყველა ნომერს ვკითხულობ.**

— **კარგია, რომ კითხულობ.**

— **ეგა, ბიჭო, მასწავლებელი არ არის, —** მეგობარს შენიშნავს აძლევს გიორგი ხმალიძე, თან, საკუთარ ნახატს მიჩვენებს და მეუბნება:

— **ლამაზი ხეები და ყვავილები დავხატე, აქვე დედამიწა უნდა ჩაუხატაო.**

— **გიორგი, როგორ გინდა, რომ იყოს „დედამიწა — ჩემი სახლი“?**

— **მინდა, რომ ძალიან ლამაზი იყოს, ბოროტება არ ხდებოდეს და სიკვდილი არ არსებობდეს.**

იმ დღეს „პაპის ბაღში“ არაერთი კარგი ნახატი შეიქმნა. გამარჯვებული ბავშვები, „საბავშვო კარუსელის“ გარდა, სპეციალური პრიზებითაც დააჯილდოეს, რომლებიც მათთვის საქველმოქმედო ორგანიზაცია „ამქორმა“ და სალექო რეზინის კომპანია „ვრიგლიმ“ დაანუხეს. ჟურნალი „საბავშვო კარუსელი“ მსგავს აქციებს საქართველოს სხვა რეგიონებშიც ჩატარებს და პატარა მკითხველებს არაერთ ლამაზ დღეს აწუქებს.

კაქუკლ მომხიარული ცაცხვეზი ღა იღუჟალებით მოსული ნატკარკლი



გაზაფხულის სიყეკლეუცე შეჰჰარვია ბორცვებს, მწვანედ აფეთქებულიან ბალ-ვენახები... ლამაზია გოდოგანი, გულში ტრფობის ალს რომ აღგიძრავს, ისეთი ლამაზი.
სოფელი გოდოგანი სამეგრელოში, მარტვილის რაიონში მღებარეობს, სოფელ ჟურხუს მოპირდაპირე გორაკუზა გამლილი. ლამაზი გზა მიიკლანება ჟურხუდან გოდოგანისკენ, ვინრო ბილიკს ბილიკი ჩასდევს, გზაზე ხეების ლანდები დაფენილან.

შაა მსართია

თვით სახელწოდება „გოდოგანი“ იქ მოსახლე, ვინმე გოდოს უკავშირდება (მამაკაცის სახელია), მთელი ეს ტერიტორია მისი საკუთრება ყოფილა. სოფელი მართლაც გამოირჩევა მშვენიერი ბუნებითა და უნიკალური ჰაერით, მაგრამ ამჯერად ჩემი მიზანია, სხვა ასპექტებზე შევაჩერო თქვენი ყურადღება, კერძოდ: სოფლის ეს უბანი ძალზე საინტერესოა ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით,

რადგან იქ აღმოჩენილი მასალები, ამ კუთხეში უძველესი ცივილიზაციის არსებობაზე მიგვანიშნებს; ქვებზე ჰიდროგრამების სახით გამოხატულია ნიმუშები, რომლებსაც მკვლევარ-მეცნიერნი კირბებს უწოდებენ და რომლებიც აღწერილია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ — ცნობები კოლხური კირბების შესახებ. უძველესი გალავნის ნაშთების ამსახველი ფოტოფირის ნახვის შემდეგ, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, ცნობილმა

მეცნიერმა გივი ელიავამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს შეიძლება, მზის კულტის თაყვანისცემის სარიტუალო ადგილი ყოფილიყო. ბატონ გივის დიდი სურვილი ჰქონდა, მოენახულებინა ეს ადგილი, მაგრამ სამწუხაროდ, არ დასცალდა — მოულოდნელად წავიდა ამქვეყნიდან ღვანლომოსილი მეცნიერი...
ტოპონიმთა წიგნში აღწუსულია გოდოგანთან დაკავშირებული სიტყვები: მორტგულათი, გოშირილი, ფოქვაში, გაგურუ, ნაროსე, ელახ, ნაჭკადირუ, საკიალესო, ოწუთურუ, ნასაჯუ, ნოხორი, ოღვაბუე, ტუტანყარი, ოხვამე, ჯიხა, ლეკვაშილე, შებე, შქედი, ოხოჯური. მორტგულათში დარგულია სამი ცაცხვის ხე, რომლებიც ამაყად გადმოჰყურებენ სოფელს, ის მათი ჩრდილებიდან 90 წელია იმზირება. ამ ცაცხვებსაც თავისი ის-

თანაქაქაქულინი

უცხოეთის ცის ქვეშ

დასაწყისი იხილეთ „გზის“ №16-ში



გიორგი მახარაძე

პლასტუნკა

ქალაქ სოჭიდან 15 კილომეტრით დაშორებულ ამ სოფელს ადრე ქართული სახელი — ქობლანი

რქმევია, შემდეგ კი პლასტუნკა უწოდებიან. „პლასტუნკის“ წარმოშობის რამდენიმე ვერსია არსებობდა და ყველა ჯარისკაცის ცხოვრებას უკავშირდება: მოგეხსენებათ, „პო-პლასტუნსკი“ — ხოხვით გადაადგილებას ნიშნავს. სხვათა შორის, სოფლის მიმდებარე ადგილებს დღემდე ეძახიან: „პერვიაი როტა“, „ვტორაია როტა“, ტურისტულ სქემაზეც გარკვევით მოჩანს წარწერები: „ტრეტიაია როტა“, „ჩეტვიორტაია როტა“.
თავიდან, ქართველები იმ ტერიტორიაზე დასახლდნენ, სადაც ახლა ულამაზესი კურორტი სოჭი მდებარეობს.

ეს ადგილები იმ დროს გაუფალი ტყე-ჭაობებითა და ეკალბარდებით იყო დაფარული. მაგრამ დროთა განმავლობაში, რაჭა-ლეჩხუმიდან იქ ჩასულებმა ისევ მთებს მიაშურეს და მდინარე სოჭელას ნაპირებზე დასახლდნენ — ე.ი. იმ ადგილებში, სადაც ახლა სოფელი პლასტუნკაა. დანარჩენი ქართველები კი — უმთავრესად, სამეგრელოდან და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან გადმოსახლებულნი, — თვით სოჭში დარჩნენ.
პლასტუნკაში ქართველობა 1879 წელს გამოჩენილა. პირველმოსახლებებად — მალხაზ უჩაძეს, პავლე კაპანაძეს, გიორგი ფრუიძეს, ტარიელ სილაგაძესა და მოსე კუპრაშვილს ასახელებენ. 1881 წელს პლასტუნკელებს ლეჩხუმელთა ახალი ჯგუფი შემატებია.
მდინარე სოჭის (სოჭელას, სოჭის წყლის) ორივე ნაპირზე გაშენებულ პლასტუნკაში, რომელიც ხუთ კილომეტრზეა გაჭიმული, გასული საუკუნის 70-იან წლებში 250-ზე მეტი კომლი ცხოვრობდა. სოფელში იყო ბიბლიოთეკა, აფთიაქი, მაღაზიები, საფერშლო პუნქტი, ორასადგილიანი კულტურის სახლი და სკოლა, რომელიც 1972/73 სასწავლო წლიდან რუსულ რვანლიანად გადაკეთდა. 1974 წლის

ტორია აქვთ: ისინი დარგულია 1918 წლის თებერვალში; ჩრდილოეთით მდებარე ცაცხვი, რომელიც მდინარე ოჩხომურს გადმოჰყურებს, დარგულია ლუკა ესართიას, შუაში მდებარე — მისი ძმის, სტეფანეს მიერ, მესამე ძირი, სამხრეთით მდებარე კი — თევდორე მიქაიას მიერ. ნერგები ეკლესიის ეზოში ამოულიათ — მაშინ იქ გაუვალი ტყე ყოფილა. დარგვაში 7-8 წლის ბიჭები ვეხმარებოდითო, — იგონებს ბესარიონ პაპავა და ამატებს, — გთხოვთ, ეს ნაწერი შეინახოთ, გადანეროთ და გაამრავლოთ: ცაცხვები საუკუნეებს გაუძლებს და ეს ცნობა მომავალ თაობას მათი ასაკის გარკვევაში დაეხმარებაო.

გოდოგანში — მორძგულათში შე-



მორჩენილია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც ადრე, მისარონის ეკლესიას ეძახდნენ. პროფესორ სერგი მაკალათიას ცნობით, ძველად, დიდმარხვის დანყებად, მეგრელები „მირსობის“ დღესასწაულს იხდიდნენ, ამ დღისთვის საგანგებოდ ასუქებდნენ ღორს, რომელსაც ომირჩე ეწოდებოდა და ხუთშაბათ დღეს იკვლევოდა.

ეს დღესასწაული განსაკუთრებით, მთიან სამეგრელოში ყოფილა დაცული, სადაც იმართებოდა „ხატობა“, რომელსაც „ჯეგე“ ანუ „ჯეგე მისარონი“ ეწოდებოდა, მისივე აზრით, ამ წარმართულ მეგრულ „მირსას“ კავშირი ჰქონდა ირანულ „მიჰირთან“ და რომაულ „მითრასთან“.

ტაძრის ნანგრევებს თუ დავუკვირდებით, ადვილად მიხვდებით, რომ იგი წარმართული სარწმუნოებიდან აღმოცენებულია, თლილი ქვები, რომლითაც ტაძარი ნაგები, მონუმობს, რომ იქ რომელიღაც წარმართული ღვთაების კერპი უნდა ყოფილიყო აღმართული. მოგვიანებით, ეს ქვები გამოუყენებიათ ქრისტიანული ტაძრის ასგებად, რომელიც XII-XIV საუკუნეებით თარიღდება. გოდოგანის წმ. გი-

ორგის სახელობის ტაძრის მოძღვრები ყოფილან: ალექსანდრე ბერულავა და გიორგი ახალაია, დიაკონი — დიანოზ სოსლანის ძე ჩარგაზია.

1917 წელს, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ტაძარი დაუნგრევიათ. ხალხს დღემდე ახსოვს იმათი გვარ-სახელები, ვინც სინმინდების დარბევაში მონაწილეობდა. წლების განმავლობაში ნანგრევები ტაძრის შიგნით ყვარა და უზატიოდ იყო მიტოვებული.

სულ ცოტა ხნის წინ, გოდოგანის მკვიდრთა — ნათია და ოლეგ ჩარგაზიების თაოსნობით (ნათია ახლა მონაზონია და იკოთის დედათა მონასტერში მსახურობს — დედა სალომე), ადგილობრივმა ახალგაზრდობამ ტაძარი გაასუფთავა. 1999 წელს იქ ბავშვებიც მოინათლნენ. მურად ესართიამ ეკლესიის შესასვლელში, ჯვარი აღმართა, ათეული წლების წინ მოპარულ ზარებსაც მიაგნო და სამრეკლოც აღადგინა. მისი ოცნება — ამ ტაძრის აღდგენაა. ფინანსური რესურსის არარსებობის გამო, ოცნება ჯერჯერობით აუხდენელი რჩება. იმედია, ღვთის შეწევნითა და კეთილი ადამიანების დახმარებით, საქართველოს კიდევ ერთი მოქმედი ტაძარი შეემატება.

ლმერთმა ინებოს!

თანამეცხეულინი

ზაფხულში ამ სკოლას ბოლო ქართულენოვანი გამოშვება ჰქონდა. სწორედ იმ წელს მხვდა წილად ბედნიერება, საკუთარი თვალით მენახა ქართველთა ეს სოფელი. ამდენი დრო გავიდა, მაგრამ პლასტუნკასთან და პლასტუნკელებთან შეხვედრის მაშინდელი შთაბეჭდილებათა ემოციური მუხტი ჯერაც არ გამწვანებია.

პლასტუნკელებისადმი ინტერესი საქართველოში მუდამ იგრძნობოდა, მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერდა სამამულო ომის დამთავრების შემდეგ. გასული საუკუნის 40-50-იან წლებზე მოდის მიმონერა, მიმოსვლა (პლასტუნკელი პიონერები თბილისის პირველად, 1957 წელს ესტუმრნენ. მასპინძლებმა მათ დიდებული შეხვედრა მოუწყვეს), სახელმძღვანელოებისა თუ მხატვრული ლიტერატურის გაგზავნა თუ ჩატანა სკოლის და სოფლის ბიბლიოთეკებისთვის, ჩვენს ყურნალ-გაზეთებში პლასტუნკისა და მის მკვიდრთა შესახებ პუბლიკაციები.

არაერთ პლასტუნკელ ქართველს გაუთქვამს სახელი ჩვენს ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ. მათ შორის იყვნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქსენია ცხაკაია, 1962-79 წლებში საქართველოს

სამხედრო კომისარი, გენერალ-მაიორი ვახტანგ მურუსიძე, სოჭის ქართული კულტურის ცენტრის — „ივერიის“ გამგეობის თამეჯედომარე, ბიზნესმენი და ქველმოქმედი სიმონ უჩაძე, ბიზნესმენი და ქველმოქმედი სერგო ჩხეტიანი.

აგრესიული სეპარატიზმით გამოწვეულ პრობლემებს ვერც სოჭი-პლასტუნკის ქართული მოსახლეობა ასცდა: სოჭში 20 ათასამდე ლტოლვილი ცხოვრობს, პლასტუნკაში კი — 150 ოჯახი, რომელსაც, უფასო კვებით დანყებულნი, ყველაფრით პლასტუნკელი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი სიმონ უჩაძე უზრუნველყოფს.

...მთავარი არ გვითქვამს, რაც ბევრი ახალგაზრდისთვის უცნობი იქნება: 1918 წლის ივლისიდან 1919 წლის თებერვლამდე, სოჭის ოლქს საქართველო აკონტროლებდა, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, ამ

ცნობილი პლასტუნკელები: რაულ ჯინჭარაძე, როზა მუსერიაძე, რიდი ჯოლოგუა და სიმონ უჩაძე



მხარის შენარჩუნება ვერ შეძლო. მოგვიანებით, 1920 წლის აპრილში ოლქი რუსეთის ნითელმა არმიამ დაიკავა, ხოლო შემდგომ — 1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთთან გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე, სოჭის ოლქი საბოლოოდ რუსეთს გადაეცა...

P.S. მომდევნო წერილში, საინგილოში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე მოგიტხრობთ.



ქართული სალიტერატურო...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-16
სპეციალური კვარტალი

მთავარმა ექიმმა ეჭვის თვალით შემომხედა, კარგა ხანს მიყურა, მერე სათვალე მოიხსნა და თქვა:

— იქნებ სხვა რამ მიზეზია და არ მიუბნები?

— არა, არა, ბატონო მიხეილ, რას ბრძანებთ, — ყურებადღე გავნითლდი.

— მომისმინე, სოფიო... მე, მართალია, აქ უფროსი ვარ და ყველასთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა არ მაქვს, მაგრამ რალაც-რალაც წვრილმანი ამბები აღწევს ჩემამდე. ვიცი, რაც განუხებს, თუმცა ვერ ვიტყვოდი, რომ ეს დიდი ტრაგედიაა. კაცების ამბავი შენც კარგად მოგხსენება, ხანდახან იციან ზღვრის გადასვლა, ეს ახალგაზრდობით მოსდით და მეტი არაფერი. ჩვენ ყველას ერთი საერთო ნაკლი გვაქვს — მხოლოდ ის ადამიანები მოგვწონს, ვინც ჩვენით არის აღფრთოვანებული, არა აქვს მნიშვნელობა, ექიმი იქნება ის, მეწაღე თუ პურის მცხობელი, მაგრამ საკმარისია, რომელიმეს პატარა რალაც შეეშალოს, მაშინვე თავს დავაცხრებით, ახსნა-განმარტებას მოვთხოვთ და მისგან განდგომის სურვილი გვიჩნდება. ასე არ შეიძლება. ამ ქვეყანაზე უშეცდომო ვინ არის? თუ მიჰქარავს, უნდა მიუთითო, რჩევა მისცე, ზურგი კი არ უნდა აქციო და სამუდამოდ კი არ უნდა ამოიგდო გულიდან. იცი? ერთმა ადამიანმა მეორეზე გავლენა რომ მოახდინოს, აუცილებლად უნდა ელაპარაკოს მას იმ სურვილების შესახებ, რომელიც მისი ცხოვრების არსს წარმოადგენს და უნდა აჩვენოს გზები, როგორ შეიძლება ამის მიღწევა ისე, რომ არ შეცდეს. ეს ერთადერთი საშუალებაა, ჩვენითვის ძვირფასი ადამიანი ცუდ გზას ავაცდინოთ. ცოტა შენც უნდა დათმო, ცოტა — მან და ყველაფერი მოგვარდება. ქალები სულსწრაფები

ხართ, უცებ გინდათ ყველაფერი მოხდეს. გამოგდით კიდეც, ჩვენზე ადვილად მოიპოვოთ ბედნიერება, მაგრამ, სამაგიეროდ, ასევე ადვილად კარგავთ მერე. ამიტომ დაფიქრდი. იქნებ აცალო გონს მოსვლა. ასე ხელალებით გაბუტვა და ჩხუბი არაფერს შეცვლის.

ამის გამგონეს, სული შემეიგუბდა. საიდან იცის? რა იცის? ვინ უთხრა, რაც ხდება?

მიხეილმა გააგრძელა:

— ბეჯა ჩემი მოყვანილია აქ, ჭკვიანი ბიჭია, ბრწყინვალე გონების პატრონი, არაჩვეულებრივი მშობლების შვილი, ისე კი არ დავინიშნე მოადგილედ. თუმცა თავისი გარეგნობისა და ახალგაზრდობის „წყალობით“, ზედმეტი მოსდის ხანდახან. იცნობ მამამისს?

— არა.

— დედამისს?

— დიახ, ქალბატონი ანიკო ახლახან გავიცანი, ბეჯამ გამაცნო.

— აი, ხომ ხედავ... თავად გაგაცნო. ეს ცოტას ნიშნავს? რა თქმა უნდა, არა. ხომ დამეთანხმები, რომ ასეთი დედის შვილი არ შეიძლება, ცუდი პიროვნება იყოს. მამამისი რომ გაიცნო, კიდეც უფრო დარწმუნდები ამაში. რაც შეეხება ნანკასთან ურთიერთობას, ეგ დროებითი ამბავია. რაც თავი მახსოვს, ამ შენობაში მსგავსი რამეები ხდებოდა. ბეჯა ის კაცი არ არის, ქარაფშუტა ქალებზე ფიქრით იღრძოს ტვინი. მოვა დრო და გადაუფლის. მე ვიზრუნებ ამაზე, პირადად დაველაპარაკებ.

— არა, ბატონო მიხეილ, არავითარ შემთხვევაში! — ისე ვიყვირე, თითქოს რალაც საშინელებას მთავაზობდა.

— კარგი, კარგი, როგორც გინდა, ოღონდ იმ პირობით, რომ სამსახურიდან ნასვლაზე ფიქრს თავიდან ამოიგდებ. თუ მართლა გინევეს რუსეთში გამგზავრება, პრობლემა არ არის, ერთი და ორი კვირა არაფერს წყვეტს, ნინოს

დავაბრუნებ ცოტა ხნით, ბავშვს მაინც ძიძა უვლის. იცოდე, მე შენ არსად გავიშვებ. მერე რა უნდა ქნა? ხომ იცი, დღეს სამსახურის შოვნა რა ძნელია. მართალია, ჩვენთან დამაკმაყოფილებელი ხელფასები არ არის, მაგრამ სულ არარაობას ხომ სჯობია? ცოტა ხანში, კიდეც მოგიმატებთ, არც ამის გაჭირვება გვაქვს. რაც შეეხება ნანკას... მესმის, რომ, როცა ქალებს არ უყვართ ერთმანეთი, ამ არშეყვარების მიზეზი ზოგადად, მამაკაცია... თუმცა, გიმეორებ, ეგ დროებითია. მე ისედაც ვაპირებდი ნანკასთან საუბარს, ბოლო ხანებში ცუდად იქცევა, არ მომწონს მისი საქციელი. ადრე იყო და სანდროს გაუმწარა სიცოცხლე, კინაღამ ოჯახი დაუნგრია. ცოლიან კაცებთან რომ არაფერი გამოუვიდა, მერე უცოლოებზე გადავიდა. ხომ არ შეიძლება, ორ კაცს ერთდროულად მიახტე, უკაცრადად ამ სიტყვებზე! შეიძლება მისი ცხოვრება ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ეს პრესტიჟული კლინიკა და არა საროსკიპო, მაპატიე გამოთქმისთვის. პირადი ცხოვრება ამ კვლევის გარეთ უნდა მოიხსნოს ყველამ.

ცოტათი გულზე მომეშვა, რადგან მან საქმის მთავარი არსი არ იცოდა. როგორც ჩანს, იფიქრა, რომ ნანკასა და ბეჯას ურთიერთობაზე ვეჭვიანობდი. იქნებ განგებ არ ახსენა სანდრო? არა მგონია, — დავიმშვიდე თავი.

— აბა, რა გადაწყვიტე? — ისევ გაიკეთა სათვალე მიხეილმა.

— რა ვიცი... ერთი კვირით მაინც გავეთავისუფლები, თუ...

— გასაგებია. კარგი, მიხედვით შენს საქმეს, ათი დღით თავისუფლებას განიჭებ, მეფე კი სამუშაოს დაუბრუნდები, იცოდე.

— დიდი მადლობა, ბატონო მიხეილ, თქვენ ჩემი მსხველი ხართ, — ფართოდ გავუღიმიე უფროსს.

— არაფრის, ჩემო კარგო, რისი მადლობა. ჰო, მართლა, იცი, ჩვენი საერთო ახლობელი რომ ცუდად ყოფილა? — მოულოდნელად მკითხა.

— ვინ საერთო ახლობელი? — უცებ ვერ მივხვდი.

— ბიძინა, კაცო, თავის ბაღში დაცემულა და ფეხი უღრძვია, წევს თურმე. საღამოს ვაპირებ გასვლას, რამდენი ხანია, არ მინახავს, ერთი უნდა ვესტუმრო. მარტო კაცი ხომ იცი, ჭამაშიც კი ბრალიაო, იტყვიან. მაგ უბედურს არავინ ჰყავს.

— რას ამბობთ, არაფერი გამიგია. მეც კარგა ხანია, არ გამივლია. აუცილებლად ვნახავ, უსიკვდილოდ, — შენუხებულმა ვთქვი და წამოვდექი.

— უნდა ნახო, ის ისეთი ადამიანია, ყველაზე რომ ამაგი აქვს. აბა, შენ იცი, ყურები არ ჩამოყარო, ყველაფერი გამოსწორდება.

— კარგად ბრძანდებოდეთ, დიდი მადლობა, — თავაზიანად დავემშვიდობე მთავარ ექიმს და კაბინეტიდან ცოტათი შემსუბუქებული გამოვედი, დამ-

ამწვიდა მასთან საუბარმა.

ამალამ მორიგეობა მიწვეს, ნათიას ცვცვლი. კარგია, იქნებ ცოტათი გადავერთო, ხვალდან კი მთელი ათი დღე არ გამოვჩნდები სამსახურში. საინტერესოა, რას იზამს ბექა? წუთუ არ მომიკითხავს? თვალში რომ მოვავლდები, ხომ უნდა აწრივად დავხარხარებ? მას ვუყვარვარ, აუცილებლად დაინტერესდება, რატომ არ დავდივარ. შეიძლება დამირეკოს კიდევ. როგორ მაკლია მისი ყურადღება, მისი ღიმილი, იუმორი, ხმა... რატომ უნდა დავკარგო? სანდროს გულისთვის საკუთარ ბედნიერებაზე რატომ უნდა ვთქვა უარი? არა, არ დავთმობ. ცოტა დრო გავიდე, ოდნავ მაინც გამინელდეს ეს ტკივილი და მერე მე ვიცი, როგორც მოვიქცევი.

შუალამე გადასული იყო, მორიგი შემოვლა რომ დავამთარე, ყველა პაციენტი მოვიწახლეთე, დანიშნულების მიხედვით, ზოგს წნევა გავუსინჯე, ზოგს ტემპერატურა, ზოგს წამალი დავალევი, ზოგსაც ნემსი გავუკეთე და ოთახში შევბრუნდი. თვალეები მეტლიტებოდა, ისე მიწოდდა დაძინება. ის იყო, ტახტზე წამოვწევი და პლედით გადავიფარე, რომ მობილურმა დარევა. ეკრანს დავხედე, უცხო ნომერი იყო. გისმენთ-მეთქი, ჩავძახე, მაგრამ არავინ მიპასუხა. ვილაცხვებოდა ლაპარაკის ხმები კი გარკვევით მესმოდა. არ გავთიშე, ყური მივუგდე.

— არც ერთი ქალი არ იმსახურებს ამქვეყნად მამაკაცის სიყვარულს, ყველანი დაუნდობლები ხართ. ეს შენც გეხება ნაწილობრივ, — ბექას ხმა ვიცანი, სმენა დავძახე, — მართალია, შენ არ მატყუებ და მეუბნები მაინც, რისთვისაც გჭირდება ჩემთან ურთიერთობა, მაგრამ არც შენი ქმედებაა გამართლებული. გავკარი ამ ცხოვრებას, არასდროს ცოლს არ შევირთავ. ყველა ქალი ერთნაირი ნაგავია, ერთი მაგ...

— მე რაღას მერჩი, საყვარელო, შენთვის ცუდი არასდროს გამიკეთებია. შენ ხომ გსიამოვნებს ჩემთან ყოფნა, ასე რომ არ იყოს, ვინ გაძალღებ? ვერ გავიგე, რატომ მრევ ყველა ქალში, მე რომ ბოროტი ვიყო, პასუხს მოგთხოვდი ბევრი რამისთვის, — ეს ნანკას ხმა იყო, ჟრჟოლამ ამიტანა, სამაგიეროს მიხდიდა.

— რისთვის, აბა ერთი, გამაგებინე? დავაშავე რამე? შენ მაინც რა დავიშავე? — არა და, საკმარისია, რომელიმე ქალმა გილაპატოს, მაშინვე ჩემთან გამორბიხარ, მანამდე კი არც გახსენდები. სხვა ჩემს ადგილზე ერთ ადგილას გაგზავნიდა. მე კი, რა ვქნა, არ ვარ ასეთი, არ შემიძლია, საყვარელი ადამიანის მიტოვება გაჭირვების უამს. მოდი ახლა, მორჩი მოთქმას, არ უნდა დაგვლია ამდენი, მომეფერე, რა, მაკოცე, დაივიწყე ყველაფერი. მე შენთან ვარ, ხომ ხედავ.

მერე ხმები აირია... ხმამალალი ლაპარაკი ჩურჩულმა შეცვალა, მერე ქალის კვნესის ხმა გაისმა ყურმილში, მერე... იქ, სადღაც, რომელიღაც ქუჩის რომელიღაც ბინაში, გაქანებული სექსი მიდოდა ბექასა და ნანკას შორის, ის ვერავი ქალი კი ამ ყველაფერს მე მასმენინებდა... ლამის ვიყვირე გამწარებულმა. ტელეფონი გამოვრთე და სასონარკვეთილმა ბალიში ჩავრგე თავი, თუმცა არ მიტირია, ცრემლი გამშრობოდა...

ღილით, სარკეში რომ ჩავიხედე, ელდა მეცა. თვალეები საშინლად მქონდა შეშუპებული, ოთხმოცი წლის ბებერს ვგავდი. მორჩა, აღარ მინდა ასე გაგრძელება, თავს უნდა მივხედო. დღეიდან გამოვსწორდები, ერთი კვირა კარგად დავისვენებ, არაფერზე ვიფიქრებ და ძველებურ ფორმაში ჩავდგები. ვნახოთ, ვისი აჯობებს. ყველას დავანახებ, რა შემიძლია. არც ისეთი სუსტი ვარ, ბექას ან ნანკას რომ წარმოუდგენია.

თათბირის დაწყებამდე შევედი მთა-



ვარ ექიმთან, ვუთხარი, რომ მივედიოდი, მადლობაც გადავუხადე თანაგრძნობისთვის და წამოვედი. თანამშრომლებს არც დავემშვიდობე, ისე გამოვიპარე კლინიკიდან, ახსნა-განმარტების თავი არ მქონდა. ეზოში რომ ჩამოვედი, ძალაუნებურად გამეცა საორდინატოროსკენ მზერა. ალბათ, გულმა თუ მიგრძნო. ფანჯარასთან სანდრო ატუშულიყო და დაჟინებით მომჩერებოდა. თვალი ავარიდე და მანქანაში ჩავჯექი. სწორედ ამ დროს, ეზოში ბექას „მერსედესი“ შემოსრიალდა. ის თავის მანქანას ყოველთვის ჩემს გვერდით აყენებდა. ახლაც ასე მოიქცა, ჯერჯერობით არ შეუცვლია „დისლოკაციის“ ადგილი...

წამით ჩვენი თვალეები ერთმანეთს შეხვდა. სახეზე „პახმელის“ კვალი ეტყო-

ბოდა, რა თქმა უნდა, წუხელ ხომ ბობოქარი ღამე ჰქონდა თავის ნაშასთან. წარმოვიდგინე, როგორ ეფერებოდა ნანკას, როგორ უწილადებდა ჩემს წილ ალერსს... სიბრაზემ მომიცვა, მზად ვიყავი, გაუგონარი სისულელე ჩამედიანა, მაგრამ ნერვები მოვთოკე, აკანკალებული ხელეებით ძრავა ავამუშავე და წელი სვლით გავედი ეზოდან.

ბოღმა მასწრწობდა — ნანკასი, ბექასი, სანდროსი, ჩემი... ყველასი ერთად. მთელი სისწრაფით მიმყავდა ჩემი „გოლფი“, წინ მიმავალ მანქანებს სათითაოდ გადავასწარი, წითელ შუქზეც კი არ ვჩერდებოდი. მძღოლებიც და ფეხით მოსიარულენიც გაოცებით მაყოლებდნენ თვალს, გიჟივით მივაქროლებდი.

სადარბაზოსთან მოწყვეტილ დავამუხრუჭე და თავი საჭეს მივადე ღონემიხდილმა, ფეხები არ მემორჩილებოდა, ისე ავწერვიულდი. უეცრად გვერდითა მინაზე ვილაცამ დააკაკუნა. მოულოდნელობისაგან შევხტი. შევხედე, ნიტა იყო. ესლა მაკლდა, ამას რაღა უნდა ნეტავ?

არ მესიამოვნა მისი დანახვა. მარცხენა თვალის უპე ჩალურჯებოდა, კარგად უმუშავია სანდროს, ყოჩაღ! ნამდვილი პირუტყვია. ზღაზღვნიტად მოვედი მანქანიდან.

— დავრეკე და მითხრეს, უკვე წავიდაო, — თითქოს მეტოდიშებოდა, სახლთან რომ დამხვდა.

— ჰო... როგორ ხარ? — ზრდილობის გულისთვის მოვიკითხე.

— როგორ ვიქნები... — მხრები აიჩეჩა და ღრმად ამოიოხრა.

— საქმე გქონდა რამე?

— შენთან მიწოდდა დალაპარაკება.

— წამო, ავიდეთ.

— ძალიან მეჩქარება...

— აბა, აქ ხომ არ ვიდგებით, უხერხულია, — მოლუშულმა გადავხედე.

— კარგი, ცოტა ხნით ამოვალ, — დამთანხმდა ნიტა და მოკლე ნაბიჯებით უკან გამოიყვა.

...შინ შესულმა ფარდები გადავწიე და ფანჯრები გამოვალე, ოთახში დახუთული ჰაერი იდგა.

— ყავას დალევ? — ისევ ისეთი ტონით მივმარტე.

— არა, ამდენ ხანს ვერ მოვიცდი, სულ ორი წუთი მჭირდება, გთხოვ, მომისმინო, — წრიალებდა ნიტა.

— გისმენ, თქვი, — სავარძელში ჩავჯექი, ნიტა ჩემ პირდაპირ დაჯდა.

— ნიტი ღამეა, შინ არ გაუთევი, კაცმა არ იცის, სად დადის, — დაიწყო თვალცრემლიანმა, — არც ბავშვები მოუკითხავს, არც — მე. ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ ბავშვები მეკითხებიან, მამა სად არისო, რა ვუპასუხო? მიგვატოვა და სახლიდან წავიდა-მეთქი?

— მე რა შუაში ვარ, ნიტა, ჩემთან რატომ მოხვედი? — გავანწყვეტინე.

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, წამით გაქვავდა. მერე უცებ შეეცვალა

სახე, მედიდური გაუხდა გამომეტყველება და ხმაც.

— აბა, ვინ არის შუაში, ხომ ვერ მეტყვი? არ იცი, რომ შენ გამო დამენ-გრა ოჯახი?

— რომელი ოჯახი, ნიტა? — რაც შეიძლება, მშვიდად ვსაუბრობდი, — რომელიც შექმნის დღიდანვე დანგრეულ იყო შენთვის?

— ასე ნუ მელაპარაკები, სოფიო. სანამ შენ გამოჩნდებოდი, ყველაფერი გადასარევად იყო, არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვექონდა. მერე კი ყველაფერი აირია, გაგიჟდა, შეიშალა კაცი, ველარ ვცნობთ. რა უქენი, ჯადო გაუკეთე, თუ რა? გული ერევა ბავშვების დანახვაზე, ჩემზე რომ არაფერი ვთქვა. შენ რა, სულელი გგონივარ? საკუთარმა ქმარმა გამომიცხადა, სოფიოსთან გადავდივარ საცხოვრებლად და ახლა მეუბნები, ჩემგან რა გინდაო? შენგან არაფერი მინდა, ოღონდ ის დამიბრუნე, რაც ჩვენ გვეკუთვნის.

— და რაც მე არასდროს მეკუთვნოდა, ხომ სწორია?

— დიახა.

— ჰოდა, რატომ მთხოვ იმას, რაც ჩემი აქამდე არ ყოფილა? ჩემთან ტყუილად ეძებ, ნიტა, ის აქ არ არის და არც არასდროს იქნება.

— მაგრამ მე ხომ ვიცი, შენ როგორ გიყვარს იგი, არ დამინყო ახლა საპირისპიროს მტკიცება.

— არ ვაპირებ. ნაწილობრივ მართალი ხარ... ქალი ვერასდროს ივინყებს მამაკაცს, ვისთანაც რომანტიკული ურთიერთობა ჰქონია, არც არასდროს დამაყინებდა, მაგრამ იგი დიდი ხანია, წარსულს ჩაჰბარდა. ახლა მისი ადგილი სხვამ დაიკავა და შენი სანდრო აღარ მალეღვებს, ის არ არსებობს ჩემთვის, უნდა დამიჯერო.

— ის შენი გულისთვის წავიდა სახლიდან, სოფიო, რა დაგიჯერო, რას მეუბნები.

— დაბრუნდება, ამაში ეჭვიც არ მეპარება. მართალია, მას გაუჭირდება ჩემი დავინყება, რადგან კაცები ვერასდროს ეგუებებიან იმ ქალების დაკარგვას, რომელთანაც სექსუალური ურთიერთობა არ გამოუვიდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. სანდროც მოეგება გონს, ჭკუაში ჩავარდება და მიხვდება, რომ მისთვის ოჯახი უფრო ღირებულია, ვიდრე ჩემი დევნა.

— მან უკვე გააკეთა არჩევანი, მას შენთან უნდა.

— ახლა მე მკითხე, მე მინდა მასთან? ასი წელი... შემეშვით, თავი დამანებეთ ყველამ, მომეცით საშუალება, ჩემს გემოზე ვიცხოვრო. ისე, რომ იცოდე, შენი სანდრო არარაობაა, ასეთი ქმარი გინდგყრლია, გინდა — არა, მნიშვნელობა არა აქვს. მე შენს ადგილას, გამიხარდებოდა კიდევ, თუ მიმატოვებდა. შეხედე საკუთარ თავს, ასე როგორ უნდა გაგიმე-

ტოს შენი შვილების მამამ? ასე მხოლოდ პირუტყვები იქცევიან.

— გგონია, მიყვარს და იმიტომ ვითხოვ მის დაბრუნებას? მძულს, მეზიზღება, მაგრამ ბავშვებს რა უყყო, მათ სჭირდებათ მამა. დღეში ასჯერ მეკითხებიან, როდის მოვაო. ჩაცმა უნდათ, დახურვა, ჭამა, სმა... მე რა ვქნა? რით ვარჩინო უმუშევარმა? ყველაფერს ვაკეთებ, რომ კმაყოფილი იყოს, ნასიამოვნები დარჩეს, მაგრამ რა? რა შედეგი გამოიღო იმან, რომ მისი გულისთვის ყველაფერ-



ზე წამსვლელი ვარ?

— ხედავ? თან იმას ამტკიცებ, არ მიყვარსო, თან მეუბნები, მისი გულისთვის ყველაფერზე წამსვლელი ვარო. ასეთები ვართ ქალები. ჩვენ ყველაფრის გაკეთება შეგვიძლია მათთვის, მათ კი, ამ ყველაფრის გარდა, სხვა დანარჩენის. გამოდის, რომ არაფრის მაქნისები არ არიან. უნებისყოფი და სუსტ კაცზე უარესი ამქვეყნად არაფერია. სწორედ ასეთ მამაკაცებს ძალუძთ ღალატი და ოჯახის დანგრევა. შენ რა გგონია, ვიდრე მე გამოვიჩნდებოდი, შენს თავზე მოწმენდილი ცა იყო? გგონია, რომ შენ გარდა სხვა ქალთან არ გაუყვლია? ღრმად ხარ ამაში დარწმუნებული?

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მიტოვება არ უფიქრია აქამდე.

— არც ახლა მიგატოვებთ, ტყუილად გეშინია, ნიტა.

— კარგი რა, კარგი რა-ა! ვერ გაიგონე, რა გითხარი? სოფიოსთან გადავდივარ საცხოვრებლადო, გამომიცხადა, ქართული არ გესმის?

— ჰმ... შენზე თქვა, კარგი ცოლიაო, ჩემი გულისთვის ბევრი გააკეთა, მეც ბევრი რამ მასწავლაო. როგორც ჩანს, ერთი რამ არ გისწავლებია, ჩემო ნიტა, დუმილის ფასი. ენისთვის კბილის დაჭერა რომ სცოდნოდა, ამას არ წამოაყრანტალბებდა. გევიტყები, ჩემთან არ არის, არც არასდროს იქნება. მე სხვა მიყვარს და მის მიტოვებას არ ვაპირებ. რა ვქნა, როგორ დაგაჯერო? გინდა, ერთი საი-

დუმლო გაგანდო? გინდა გითხრა, ვის ვხვდები?

— ვის? — ისეთი ტონით მკითხა და ისეთი სახით შემომხედა, აშკარად შეეტყო, რაც უნდა მეთქვა, არ დამიჯერებდა.

— ბექას. შენ თვითონ არ ნახე, როგორ მოვიდა იმ დღეს ჩემთან?

— ვიცი ეგ ამბები. ისიც ვიცი, სანდროს გასალიზიანებლად რომ ხვდები ბექას, ყველაფერი ვიცი, არ მჭირდება ეს ზღაპრები.

— როგორც ვატყობ, ნანკა მაგრად მუშაობს. ეს კარგია, მშვენიერი სადაზვერვო სამსახურია, ვერაფერს იტყვი. მეტი საქმე არაფერი გაქვს? ან შენ რატომ უყვები ჩემ შესახებ ან მას რას ალაპარაკებ ჩემზე ამდენს? არ გრცხვინია? ჩვენ ხომ ყველაზე ლამაზი წლები გვაკავშირებს ერთმანეთთან, მე ხომ არასდროს გამივლია გულში შენი ღალატი, რამ გაგაბოროტა ასე, რატომ მხდი ჩემი დაუძინებელი მტრის სალაპარაკოდ? ან მას რა დავუშავე ასეთი, ძირს რომ მითხრის? ვერ გამიგია, რა გინდათ ჩემგან, ხალხი არა ხართ? ცხოვრებაში მსგავსი ინტრიგები არ მქონია, თქვენ ვინ ყოფილხართ, ვისთან მაქვს საქმე, ეს სად მოვხვდი! — განრისხებულმა ხმას აგუწიე.

— შენ თვითონ უქმნი სხვებს პრობლემებს, ჩემო კარგო, შენ თვითონ! მე სანდროს მართმევე, ნანკას — ბექას, საკუთარი თავი კი მამა აბრამის ბატკნად გამოგყავს. იმ გოგოს ჩემი სიკეთე უნდა, იმიტომაც მიყვება ყველაფერს.

— მართლა? — ახლა კი ვერ მოვითმინე და ვიფთქე, — ყველაფერს გიყვება? შენი ქმარი რომ ჟიმაგდა, ის თუ გითხრა? სანდროს საყვარელი რომ იყო წლების განმავლობაში, ეს თუ იცი, ჩემთან დიდი ჰონორით რომ მიდის-არ? ამაზე დაცდენია სიტყვა? თუ თანამედროვე ცოლი ხარ და ქმრის საყვარლებთან დაქალობა? — ერთიანად გაფითრებული ფეხზე წამოვიჭქერი.

— ეს ტყუილია, — ნიტას ტუჩები აუთრთოლდა, ხმას დაუნია და თითქმის ჩურჩულზე გადავიდა.

— ჩემი თუ არ გჯერა, თანამშრომლებს ჰკითხე. მიდი, მთავარ ექიმთან და ის უკეთესად მოგიყვება, რა როგორ არის, იმანაც კი იცის, რაც ხდებოდა კლინიკაში, — გაწვინე ბატონი მიხეილიც და იმწამსვე ვინანე, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— არ მჯერა, სოფიო, ამას ჩემს გასამნარებლად ამბობ.

— სიმართლე ბომბივითაა, ჩემო ნიტა. ის ერთდროულად რამდენიმე ადამიანს კლავს: მას, ვისაც ესვრიან და მასაც, ვინც ისვრის. ვიცი, შეიძლება, ამ საიდუმლოს გამხელისთვის მწარედ ვზლო, მაგრამ შენ სიმართლე უნდა იცოდე და იგი უნდა ექებო იქ, სადაც არის და

არა — ჩემთან.

— რა ვქნა?... რა წყალში გადავ-
ვარდე? ერთ მომენტში მეც კი შეშვარა
ექვტი, მაგრამ ნანკამ ისე გამობათილა ის
ექვტები, რომ თავის სიმართლეში დამა-
ჯერა.

— ეგ როდის იყო?

— შარშან ზაფხულში... სანდრო ბა-
თუმში წავიდა, მივლინება მაქვსო, ოპ-
ერაციის გასაკეთებლად გამომიძახესო.
ჩვენ დასასვენებლად ფასანაურში გაგვიშ-
ვა და ორი კვირა არ ჩამოვიდა. ბარემ
აქ ვარ და დავისვენებო. რამდენიმე თვის
შემდეგ ნანკას წამოსცდა, ბათუმში რომ
ვიყავით მე და სანდროო. გამიკვირდა,
შენ რატომ იყავი მასთან ერთად წასუ-
ლი-მეთქი? ჩემს ახლობელს ჩემი თხ-
ოვნით გაუკეთა ოპერაციაო. დავიჯერე
და აღარ გამოვევიდე. ნუთუ... ნუთუ
ასეთი შტერი ვარ? ვეღარ გავიგე, ვინ
მატყუებს, ვინ სიმართლეს ამბობს...

— ჩემთან გასარკვევი არაფერი გაქვს,
მინდა, ამაში დარწმუნებული იყო.
პირობას გაძლევ, რომ არასდროს ახ-
ლოსაც არ გავეკარები სანდროს. მეტი
რა ვქნა? როგორ მოვიქცე? ტყუილად
მერჩი, ნიტა.

— ახლაც ხვდებიან ერთმანეთს? —
ნიტა ჯერ კიდევ იქ იყო, ნანკას და
სანდროს ურთიერთობას დასტრიალებ-
და.

— არა მგონია, ახლა... — კინალამ
წამომცდა, ბუქასთან ერთობა-მეთქი, მა-
გრამ დროზე გაგჩერდი, — ახლა არა
მგონია, არ ვიცი.

— კარგი, მაპატიე, რომ შემოგეჭერი.
ისე... თუ გამოჩნდეს...

— მაშინვე დაგირეკავ.

— არა, არა, გაგაუფლება, რომ დამირე-
კო. რა ვიცი, შენ უკვე იცი, რაც უნდა
ქნა.

— გქონდეს ჩემი იმედი. ყველაზე
მეტად ახლა მე მინდა, რომ შემეშვას,
თავი დამანებოს, გვეიცვები.

— იცი? რამდენიმე დღის წინ მითხრა,
ლამე სოფიოსთან გავათიეო... მართა-
ლია? — იდუმალი ხმით წარმოთქვა.

ცივმა ოფლმა დამასხა, მაგრამ არ
შევიმჩნიე.

— ნიტა, ოდნავ მაინც თუ გჯერა
ჩემი, გულწრფელად გუთხნები, რომ სან-
დროს არც ერთი ღამე არ გაუთენებია
ამ სახლში. გესმის?

— მესმის... მჯერა... ასეთებს იმიტომ
მიყვება, რომ მე თვითონ ვთქვა მასზე
უარი. ყველაფერი გასაგებია. უნდა, რომ
გაუადვილდეს ჩვენი მითოვება, უნდა,
რომ მეც შეუწყო ხელი ოჯახის დან-
გრევაში.

— ჰოდა, მაგდენს თუ ხვდები, დალ-
ოცვილო, მე რაღას მერჩი? — შვება
ვიგრძენი, როცა მიხვდი, რომ ნიტასთვის
ყველაფერი გასაგები გახდა, — ნანკას
კი... მე შენს ადგილას, დავიკიდებდი,
არ გავამახვილებდი ამაზე ყურადღებას.
შეიძლება, ამ ამბის გაქექვამ უარესი
შედეგი გამოიღოს.

— არც ვაპირებ. მოვა დრო და თავის-

ით გაირკვევა, მათ შორის რაც ხდებო-
და. რა წამხდარი ქალია, როგორ გვე-
ლურად დამიხლოვდა, როგორ მათქმე-
ვინა ყველაფერი. ღმერთო, რა გულუ-
ბრყვილო ვარ, როდის გამოვსწორდე-
ბი, როდის ვისწავლი ჭკუას... — ნიტას
თვალები ცრემლით აევსო.

— არა უშავს, ყველა ვუშვებთ ჩვენს
წილ შეცდომას. შენ არც პირველი ხარ
და არც უკანასკნელი. მთავარია, რომ
ახლა სიმართლე იცი, მომავალში უფრო
მეტ სიფრთხილეს გამოიჩინე.

— ჰო, რა თქმა უნდა... მაპატიე,
სოფიო, არ მინდოდა...

— არ გრცხვენია? შენ შენს სიყ-
ვარულს იცავდი მხოლოდ. მესმის შენი.

— სიყვარულს არა... სადღაა სიყ-
ვარული. ქორწინებიდან სულ რამდენ-
იმე თვეში გაქრა. არა, გატყუებ, ცოტა
უფრო გვიან, დაახლოებით ერთი წლის
შემდეგ.

— ალბათ, იმიტომ, რომ ის არც
ყოფილა სიყვარული.

— გეთანხმები. უბრალოდ, ცოტათი
მშურდა შენი და ალბათ, ამან მაფიქრე-
ბინა, რომ მიყვარდა. თურმე ქარს
დავდევი მინდორში. მაპატიე... ვიცი,
შენ ეს შეგიძლია.

— მე შენ მაშინვე გაპატიე, იმიტომ,
რომ ვიცოდი, შენი ბრალი არ იყო,
რაც მოხდა. ჰო, მართლა, ის სად არის?

— უცებ ვერ გავიხსენე სახელი.

— ვინ, ჯიმი? ციხეში ზის, კაიფში
მყოფი ყავარჯიან ქალს დაეჯახა და
გაიტანა.

— რას მელაპარაკები! მოკვდა?

— აბა, რა მოუვიდოდა, მთელი
სისწრაფით გამოქანებული მანქანა რომ
შეეჯახებოდა? ადგილზე გარდაიცვალა.

— საწყალი... დიდი ხნის ამბავია?

— უჰ... მალე გამოვა კიდევ. ერთი
რვა წლის წინ მოხდა, მგონი.

— იმ ძველი ამბების მერე არ შეგხ-
ვედრია?

— არა, არა. არც სანდროსთან ჰქო-
ნია კონტაქტი. ეს ამბავიც შემთხვევით
გავიგე, მაშაჩემმა მითხრა... კარგი,
სოფიო, ნავედი, ბოდიში, ასე რომ გაგან-
ერვიულე.

— ნახვამდის, ნიტა. თავს მიხედე და
შვილებს, ყველაფერს სჯობია...

ნიტამ გასვლის წინ ერთხელ კიდევ
შემომხედა. თვალბუქი ცრემლი უბრწყ-
ინავდა. მომჩვენა, რომ უნდოდა გადა-
მხვეოდა, მაგრამ ვერ გაბედა...

ვერც მე გაგებდე...

ნიტას წასვლის შემდეგ საშინელ
გუნებაზე დავდექი. სინდისი მქენჯნიდა,
ნანკას და სანდროს ამბავი რომ მო-
ვუყვი, თან მთავარი ექიმიც რომ ვახ-
სენე. ვაითუ, მივიდეს მიხეილთან და
გამოჰკითხოს ყველაფერი? თან რომ
უთხრას, სოფიოსგან ვიცი ეს ამბავიო?
იმედიას, ამას არ იზამს, მთლად ეგეთი
შტერი არ არის.

მოუსვენრობამ შემიპყრო. უშაქრო
ყავა მოვიდულე და დავლიე, თან ნიტაზე

ფიქრი გონებიდან არ მშორდებოდა.
ისიც ისჯება თავისი ცოდვებისთვის.
საინტერესოა, მე როგორ მოვიქცეოდი
მის ადგილზე? გაფყვებოდი სანდროს?
ძნელია ამაზე მსჯელობა სხვისი გადა-
სახედიდან. არავინ იცის, ვინ როგორ
მოიქცევა კონკრეტულ შემთხვევაში. მას
ძალიან ეშინოდა მამამისის. ალბათ, სხ-
ვანაირად არ შეეძლო. აბა, ციხეში რომ
არ ჩაასმევენებდა ორ ადამიანს? ეჰ, რაც
იყო, იყო, არ მინდა წარსულის გახსენე-
ბა. მეყო, რაც გადავიტანე. ახლაც კი
ვიმკი იმ ტვიკოდის „გადმონაშთს“. სხვა
რამეზე უნდა გადავერთო, დროებით
დავივინყო ეს ამბები. რა ვქნა, სად წა-
ვიდე? ვინმე ხომ არ მოვიწახულო? მარ-
თლა! ბიძინა ხომ არ ვნახო? ცუდად
ყოფილა, მე კი ერთხელაც არ მოვი-
კითხე მამის მეგობარი. ვაცმა იზრუნა
ჩემზე, სამსახური მიშოვა, ამხელა კლინი-
კის მთავარი ექიმი შეანუხა ჩემი
გულისთვის, მე კი მადლობაც ვერ ვუთხ-
არი ხეირიანად. მოიცა, დავრეკო!

— ალო, ბიძინა ძია, როგორ ხართ?
— დარცხვენილი დავიჯღანე ტელეფონის
ყურმილთან.

— რომელი ხარ, ვერ გიცანი, — გა-
ისმა შენუხებული ხმა.

— სოფიო ვარ, თქვენი ნათლული...

— ჰოოო, სოფიო, სოფიო... ჩემი
კალმით ნახატი გოგო. სად დამეკარგე,
შვილო, აღარ გამოჩნდი... როგორ ვიქნე-
ბი, აგერ ვწევარ გასიციოლო ფეხით,
ვერ ვინძრევი. მთლად მოვისპე ამ სი-
ბერეში, ძალა აღარ მაქვს მუხლებში...

— რა დროს სიბერეა, ბიძინა ძია,
რას ამბობთ. მაპატიეთ, ვერ შეგეხმი-
ანეთ, ვიცი, რომ ძალიან ცუდად მოვ-
იქეცი. გამოსვლა მინდა თქვენთან, ამი-
ტომ დაგირეკეთ.

— მოდი, კაცო, მოდი, გამოვეყრუვდი
მარტოობით, ხმის გამცემი მენატრება.
ამწუთას მიხა იყო ჩემთან, გამასხარა თავი-
სი სტუმრობით. იმდენი რამე მომიტანა,
ხუთ ოჯახის ეყოფა. რად მინდოდა, მა-
გრამ ხომ იცი, მაინც მესიამოვნა. კარგი
გოგო ხარ შენ, ჩემო სოფიო, ძალიან
გაქო შენმა უფროსმა. ვამაყო შენით,
რომ იცოდე. მიხარია, რომ გაამართლე
ჩემი იმედები. როდის მოხვალ, გენ-
აცვალე?

— ახლავ გამოვალ, ბიძინა ძია, სულ
რალაც ნახევარ საათში თქვენთან ვიქნები.
წამოგილოთ რამე?

— რას ამბობ, კაცო, რა უნდა წამო-
მილო. ხომ გითხარი, მიხამ აუარება
რალაც მომიტანა-მეთქი. მოტანა კი არა,
იქით გაგატან ყველაფერს, მაინც გამი-
ფუჭდება აქ, მარტოხელა კაცს ამდენი
პროდუქტი რად მინდა.

— კარგი, ბიძინა ძია, დროებით და-
გემშვიდობებით მაშინ და წამოვალ.

უკეთეს გუნებაზე დავდექი, მსუბუქი
მაკიაჟიც კი გავიკეთე, სარკის წინ სევ-
დიანად დავტრიალდი და მანქანის
გასაღებს დავავლე ხელი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გონების სასარჩილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უფრო „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტიცხე არ გაბაძვთ თვალი.

1. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისში მკვეთრად შემცირდა კატების რაოდენობა. რა იყო ამის მიზეზი?
2. „მეფისტოფელის“ სიუჟეტზე 53 ოპერაა დაწერილი. ერთ-ერთი მათგანი, იტალიელი არიგო ბოიტოს შექმნილია. ეს ოპერა არსად იდგმება. რატომ?
3. ბუსტროფედონი დამწერლობის ერთ-ერთი ძველბურთი ფორმაა. რა არის მისი ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი?
4. რა მეტსახელით მონათლეს მოსკოველებმა მცირე სამხატვრო თეატრი, რომელიც ტვერის ბულვარზე ჟუშკინის სახელობის თეატრის პირდაპირ მდებარეობს?
5. კეთილმოწოდებულ მუსლიმანები ჭამის დროს ცალი მუხლით იატაკს ეყრდნობიან, მეორე მუხლი კი მკერდზე ისე აქვთ მიბჯენილი, რომ კუჭის მესამედი გადაიკეტონ. რატომ?
6. 1714-1741 წლებში, პეტრე პირველის განკარგულებით, რუსეთის ყველა ქალაქში აიკრძალა ქვისგან საცხოვრებელი სახლების აშენება. რატომ?
7. ვინ არის გამოსახული ორასლარიან კუპიურაზე?
8. რომელ წელს გაიხსნა მოსკოვის მეტროპოლიტენი?
9. რომელი საათი უჩვენებს სწორ დროს დღე-ღამეში მხოლოდ ორჯერ?
10. დასახელები ყველაზე გავრცელებული რელიგია მსოფლიოში.
11. მეფე ჰენრი VIII კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, დიდებულებს ძვირფასი სამკაულები ეტარებინათ, მაგრამ ვერანაირი აკრძალვით ამას ვერ მიაღწია. რა მოიმოქმედა მას შემდეგ?
12. პეტრე პირველის დროს რუსეთში ჩამოყვანილი გერმანელი გემთმშენებლები ანძის დადგმისა თუ სხვა წვრილმანების შესახებ საუბრისას, ხშირად იმეორებდნენ — „აქ და იქ“ (ჰიერ უნდ და). რა სახით დამკვიდრდა ეს სიტყვები რუსულ ენაში?
13. „რუსეთში ამჟამად არ არიან კარგი გენერლები. ერთადერთი გამონაკლისი ... გახლავთ“, — განუცხადა ბოროდინოს ბრძოლის დაწყებამდე რუსეთის მეფის ელჩს ნაპოლეონ ბონაპარტემ. ვისი გვარია გამოტოვებული იმპერატორის მიერ წარმოთქმულ ფრაზაში?
14. აფრიკაში მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა გადმოცემით, ზანგები ზოგჯერ, საკუთარ თანამემამულეზე ამბობდნენ — „ის უკვე აღარ ცეკვავს“. რას ნიშნავდა ეს სიტყვები?
15. პოლონეთი — მეშვიკო პირველი, უნგრეთი — იშტვან პირველი, დანია — ჰარალდ ლურჯკბილა, ნორვეგია — ოლაფ ტრი-გვესონი, შვედეთი — ოლაფ სკოტკონუნგი, რუსეთი — ვლადიმირ პირველი. საქართველო — ?

ანეკდოტები



ერთი დედალი ეუბნება მეორეს: — მამათან ისეთი მხურვალე ღამე მქონდა, რომ დღეს მოხარშული კვერცხი დავდე.

გაზის საავარიოში მოხუცი ქალი რეკავს:

— ეს რას ჰგავს?! დილიდან ჩართული მაქვს გაზქურა და ცეცხლი კი არ ანთია!

— ასანთი თუ გაჰკარით, ბებო?
— უი, სულ დამავიწყდა, ახლავე ავანთებ!..

კოვზი დაგივარდება — ქალი მოდის, ჩანგალი დაგივარდება — ქალი მოდის, კალმისტარი დაგივარდება — მაინც ქალი მოდის! ასეთი მძიმე სამუშაო გვაქვს გინეკოლოგებს.

მოსაზრება: თუ ქალი ტყეში მთელი დღის განმავლობაში ხუთ კილო მაყვალს კრეფს, ხოლო მამაკაცი — სამს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ორივე ერთად, რვა კილოს მოკრეფენ.

— არაფერი არ ინვეს ისეთ მღელვარებას, როგორც სიტყვები „გთხოვთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე“.

რუსული სექსი: ერთი ერთზე. ფრანგული სექსი: ორი ერთზე. ქართული სექსი: ერთი ჰყვება — ათი უსმენს!..

გურულს ეკითხებიან: — კლაუდია შიფერი გინდა თუ?..

— არ უნდა მაგას „თუ“!

ექთანი შეყვარებული თვალებით შესცქერის ექიმს:

— რა გავაკეთო, რომ თქვენი მოალერსება შევძლო?

— ნარკოზი გამიკეთეთ!..

ახალგაზრდა მამაკაცი ყვავილების მალაზიაში შევიდა, სადაც გარეულია სარეკლამო პლაკატი წარწერით: „ყვავილებს ათქმევინეთ თქვენი სათქმელი“.

— ერთი ვარდი მომეცით, თუ შეიძლება!

— მხოლოდ ერთი?!

— დიას!.. არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი!..

— მეოთხე ცოლი რალამ გათხოვია, შე კაცო?!

— სიდდერის სათრით ძმაო. სიდდერი აღმოჩნდა ნამეტანი კაი.

— ეგ როგორ?

— პირველსავე გალანუნებაზე ისწავლა ჭკუა.

შეჯიბრების წინ მოკრივე ეუბნება შეყვარებულს:

— საყვარელო, ბრძოლის მერე კაფეში დაგელოდები.

— კარგი, ოღონდ ხელში გაზეთი გაჭიროს.

— დედიკო, დიდი რომ გავიზრდები, ქმარი მეც მეყოლება?

— კი, თუ კარგი გოგო იქნები.



— და თუ ცუდი ვიქნები?

— მაშინ ბევრი ქმარი გეყოლება.

— ექიმო, სქესობრივი სისუსტე მაქვს, მიშველე რამე!..

— უსაშველო არაფერია, ოღონდ ოპერაცია 1.500 დოლარი დაგიჯდება. ერთ თვეში მეორე ოპერაცია დაგჭირდება — პირველზე ორჯერ უფრო ძვირი. ჰა, განყოფს?

— ცოლს მოველაპარაკები, ექიმო. მეორე დღეს:

— რა ქენი, მოელაპარაკე ცოლს?.

— კი.

— რაო, რა გითხრა?

— ჯობია, სამზარეულო გავარემონტოთ.

სიძე სიდედრის დასაფლავებიდან ბრუნდება. მოულოდნელად ჩიტმა თავზე დაასკინტლა. აიხედა მალლა და შესძახა:

— ვა, უკვე მალლა ხარ, ოლიფანტოვნა?

მიხოსთან სიდედრ-სიამამრი მივიდა სტუმრად. ღამე ყველას ერთ ოთახში სძინავს. მიხოს ტუალეტში მოუნდა. ადგა, ცოლს გადააბიჯა. ცოლმა ჩასჩურჩულა:

— რას აპირებ? სირცხვილია, ჩემი მშობლები აქ არიან!

მიხო სიდედრს მიადგა, გადასაბიჯებლად. ახლა იმას გამოეღვიძა:

— რას შვრები, მღუპავ?! ქმარ-შვილთან ვერ ვიზამ!

მიხო ახლა, სიამამრს მიადგა გადასაბიჯებლად.

— ე, ბიჭო, მიეცით ვილაცამ, თუ არა მე მომადგა აგერ!.. — აყვირდა სიამამრი.

პაციენტი ეუბნება ექიმს:

— გმადლობთ, ექიმო, განდიდების მანიისგან რომ განმკურნეთ. ახლა მე ვარ არაჩვეულებრივი, ფანტასტიკური და ფენომენალურად მოკრძალებული ადამიანი.

— ვაა, შენ ენევი? როდიდან?

— მას შემდეგ, რაც მივლინებიდან მოულოდნელად დაბრუნებულმა ქმარმა საფერფლეში მოკიდებული სიგარეტი აღმოაჩინა.

— მიხო, მართალია, შენზე რომ ამბობენ, მეზობელ თალიკოსთან ინვაო?

— არ ვიხმარე, რო?!

ძუნწი ქმარი ცოლს ეუბნება:

— პალტო ჩაიცვი, რესტორანში დამპატიჟეს.

— რა კარგია, ერთად ვივხშემებო!

— მეტი არაფერი გინდა?! მართო მე დამპატიჟეს!

— აბა, პალტო რად მინდა?

— გათბობა უნდა გამოვროთო, სანამ სახლში არ ვიქნები.

— რა გვაქვს, ქალო, საქმელი? — ეკითხება გურული ცოლს.



— მჭადი და ტყემალი.

— კარგი, გამომიტანე.

— აჰა, მჭადი... კიბე კი ნალიაზეა მიყუდებული.

— კიბე რა ჯანდაბად მინდა?

— აბა, ტყემალზე რაფრა ახვალ?!

სასტუმროში ქალთან ერთად მისულ მამაკაცს ადმინისტრატორმა თვალი ჩაუკრა:

— მეუღლეა თუ?..

— თუ!

გონაგონს სსპსპიპი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ფრონტიდან დაბრუნდა უამრავი ჯარისკაცი და შესაბამისად, შემცირდა მარტონელა ქალების რაოდენობაც, რომლებსაც ეს ცხოველები ჰყავდათ სახლში.
2. ოპერა 6 საათი და 10 წუთი გრძელდება. ასეთი ხანგრძლივობის გამო მას არავინ დგამს.
3. ამ დამწერლობის პირველი სტრიქონი მარცნიდან მარჯვნივ იკითხება, მეორე სტრიქონი — მარჯვნიდან მარცნივ და ასე შემდეგ.
4. დანტესის მეტსახელით.
5. ამ გზით ისინი ნაწროვანების ცოდვას ებრძვიან.
6. პეტრე პირველს პეტერბურგის ასაშენებლად ქვითხუროები არ ჰყოფნიდა.
7. ქაქუცა ჩოლოყაშვილი.
8. 1935 წელს.
9. გაჩერებული.
10. ქრისტიანობა.
11. მან ქურდებსა და მეძავებსაც დართო ნება ეტარებინათ სამკაულები და მიზანსაც მიაღწია.
12. ეს გერმანული სიტყვები მოგვიანებით, რუსულ „ერუნდად“ იქცა.
13. პეტრე ბაგრატიონს.
14. ეს ნიშნავდა, რომ ამ უკანასკნელმა, ქრისტიანობა მიიღო.
15. მირიანი (ჩამოთვლილია მეფეები, რომლებმაც საკუთარ ქვეყნებში ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობა გამოაცხადეს).

ჩვენი უოსოს მადანა

ძვირფასო მკითხველებო!

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებძის ქ. №49.



რბ შემთხვევებში უნდა ერიდოთ მამაკაცს



შეგვიძლია, რამდენიმე სასარგებლო რჩევა მოგაწოდოთ, იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში უნდა ერიდოთ მამაკაცთან ურთიერთობას. თუ ხშირად ხდება ისე, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებშია აღწერილი, მაშინ წინასწარ შეეგუეთ იმ აზრს, რომ თქვენს ურთიერთობას სასიკეთო დასასრული არ ექნება. მაშ ასე, ერიდეთ მამაკაცთან ურთიერთობას, თუ...

1. გაუზნებათ, რომ მის პირველ სიყვარულს აგონათ.

მას ან სძულს, ან ჯერ კიდევ ახსოვს ის: ორივე შემთხვევაში, წაგებული ხართ.

2. მებოჯრები არასდროს არაფერს გაიკითხებიან მის შესახებ.

თუ თქვენს საუკეთესო მეგობარს არ აინტერესებს, თქვენი და თქვენი რჩეულის ურთიერთობის დეტალები, საკუთარ თავს ჰკითხეთ: რატომ? ეჭვიანობს?! — ნაკლებსარწმუნოა. ალბათ ეს უფრო იმიტომ აიხსნება, რომ მეგობარი თქვენს ურთიერთობაში სასიკეთოს ვერაფერს ხედავს, მაგრამ უყვარხართ და გულს არ გტკენთ.

3. შინ ურბავთ, მისი ოჯახის წევრები კი ცივად გაასუსოვან.

თუ თქვენი ხარი მისთვის მნიშვნელოვანია, მისი ახლობლები უხეშად არ დაგელაპარაკებიან.

4. ფიზიკური სიახლოვის ვებდებ, თქვენდათი ინტერესი დაკარგა; გახდა ცივი, უხეში, გულგრილი, ირონიული ან თავდაჯერებული.

ეს ნიშნავს, რომ აჩქარებულხართ და ახლა ბედნიერება სხვაგან უნდა ეძებოთ.

5. ავიწყდებათ თქვენი დაბადების დღე.

6. კალზე გულგატეხილობა, ივითათად გიჩიარებთ განცდილს.

თავიდან ეს თავშეკავებულობა მოგწონდათ კიდევ, მაგრამ ახლა... ფსიხლად იყავით: თუ საყვარელი მამაკაცი კითხვებზე არ გასასუხობთ, უეჭველია, გულწრფელი არ არის ან რალაცას საგანგებოდ გიმალავთ.

7. ააივანს ყოველთვის კვი-

რის გოლოს ან რომელიმე, ბარაკიულ დღეაში გინიშნავთ.

თავიდან ამის საწინააღმდეგო არაფერი გქონდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში, მისი ნახვის სურვილი სულ უფრო და უფრო ხშირად გეუფლებათ; გსურთ შეხვედეთ სამუშაო დღეებშიც ან თუნდაც — ორი დღე ზედიზედ. თუ ასე არასდროს ხდება, ე.ი. თქვენ მას არ არ უყვარხართ ისე, როგორ სიყვარულზეც ოცნებობდით.

8. მეორე შეხვედრისას გაუზნებათ — „სიყვარულს“.

ეს თითქოს არარეალურია. „მართლა ვუყვარვარ?“ — ეკითხებით საკუთარ თავს. შეიძლება მართლაც უყვარდეთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, ჩვეულებრივი, ქალების მუსუსი გირევედეთ თავგზას.

9. თავს ვაუქლოდ გრძნობთ, ის კი თქვენს აზრს არც კითხულობს.

10. ავიწყდება ყველაფერი, რაც თქვენ გიკავშირდებათ.

ის, რომ მას არ ახსოვს თქვენი საყვარელი ფერი, წვრილმანი როდია — მამაკაცს, რომელსაც ნამდვილად უყვარხართ, ასეთი წვრილმანები არასოდეს დაავინწყდება.

11. არ გაცნობთ გოგონას, დედაბიშვილს, მეგობრებს.

12. უზნებით, რომ დასასვენებლად მიდისართ, ის კი გადმირ მგზავრობას და სასიამოვნო დროს ტარებას გისურვებთ.

თუ ოდნავ მაინც არ გაგრძნობინათ, რომ მოენატრებთ, არ გამოგიტყდათ, რომ ძალიან უნდა თქვენთან ერთად წამოსვლა, საკუთარ თავს ახალი მეგობარი უსურვებთ.

13. სრულიად არ ეჭვიანობს თქვენზე.

14. გადაწყვეტით ვერასდროს ვერაფერს გაუზნებათ.

თუ თქვენს წინადადებაზე — ერთად გაატაროთ გამოსასვლელი დღეები, გაასუხობთ: „შეიძლება“, ანდა: „ვნახოთ, მოგვიანებით დაგირეკავ“ — ყველა საბაბი გაქვთ, იფიქროთ, რომ ის უფრო მაცდურ წინადადებას ელის. თუ მას ნამდვილად უყვარხართ, სიხარულით, უყოყმანოდ მიიღებს თქვენს შეთავაზებას.

16. ის ჩინაუხლად გრძნობს თავს... უთქვენოდ.

თუკი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს უმეტესწილად თქვენ გარეშე სტუმრობს, არასდროს ახსენდებით, როცა მეგობრებთან ერთად რესტორანში მიდის, გონების ხმამ უნდა გიკარნახოთ, რომ თქვენ მისი ოცნების ქალი არ ხართ.

17. აგოვს, რომ „სერიოზული კავშირებისთვის“ მზად არ არის.

თუკი ფიქრობთ, რომ თქვენაირი ქალი ჯერ არ შეხვედრია და არ იცის, თუ რა არის ნამდვილი სიყვარული, თავს იტყუებთ! გახსოვდეთ: მამაკაცი ქალისგან განსხვავებით, ყოველთვის კმაყოფილია საკუთარი ცხოვრებით და ფრთხილობს, თუ მისგან ბევრს ითხოვენ.

18. და კიდევ ერთი: ყური მიუზღვით შინაგან ხმას — ხანდახან გაინც...

აღმოჩნდა, რომ ესოდენ ამოუცნობი და იდეალური არსების – ქალის უკეთ შეყვობა და მისი ხასიათის დაფარული მხარეების გაგება იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ რა ფერის თეთრეულს ამჯობინებს იგი.

როგორ ფერის თეთრეული მობრუნო?



ყვითელ თეთრეულს კეთილგანწყობილი და ოპტიმისტი ქალები ეტანებიან, ისინი არ ცნობენ არსებულ ტრადიციებს და საზოგადოებაში ქცევის მიღებულ ნორმებს. ასეთი ქალები სიცოცხლით სავსენი და გულახდილები არიან. ერთი შეხედვით, თითქოს გულუბრყვილობიდან ჩანან, მაგრამ სინამდვილეში კარგად იციან საჭირო ზღვრის დაცვა ურთიერთობაში.

თეთრი — ე.წ. ცივისხლიან და ჭკვიან ქალებს მოსწონთ. ამ ტიპის ქალებისათვის მთავარი შედეგია, ხოლო ის, რა გზით შეძლებენ სასურველი მიზნის მიღწევას, სრულებით არ აღელვებთ. მათთვის „მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას“.

სტაფილოსფერს ახალი იდეებით სავსე, გმირული საქციელისთვის მუდამ მზად მყოფი ქალები ამჯობინებენ. ასეთი ქალები მძაფრი განცდებისკენ ისწრაფვიან. რეალობა მათთვის ზედმეტად პირქუში და ნაცრისფერია, ამიტომ მუდამ ცდილობენ ცხოვრების გადახალისებას; ძალიან უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

წითელი — ენერგიული, აქტიური ქალებისთვისაა განკუთვნილი. მათ არ ერიდებათ თავიანთი სურვილებისა და გრძნობების დემონსტრირების, საოცარი ფანტაზიის უნარი აქვთ და ტემპერამენტურობებიც არიან. წითელი თეთრეულის მოყვარული ქალბატონები ბავშვობიდანვე ლიდერობისკენ ისწრაფვიან და ენთუზიამით ჰკიდებენ ხელს ახალ საქმეებს. მათ გარშემო მყოფებს კი სიფრთხილე მართებთ —

არავინ უნდა შეეხოს მათ თავმოყვარეობას.

ვარდისფერი — ნაზი და დელიკატური ქალების არჩევანია. სენტიმენტალობა და მოჭარბებული რომანტიკულობა სწორედ რომ მათი საქმეა. ასეთი ტიპის ქალებს ყველაფერი ადვილად სწყინთ, ეშინიათ კონფლიქტების და ამიტომ მზად არიან, იოლად დათმონ პოზიციები, ოღონდ კი ირგვლივ სიმშვიდე და ურთიერთთანხმობა სუფევდეს.

იასამნისფერს საკუთარ თავში ჩაკეტილი და გარეგნულად ცივი ქალები ანიჭებენ უპირატესობას. ისინი უმეტესწილად, გულგრილი ადამიანის როლს თამაშობენ, სინამდვილეში კი მთელი არსებით სურთ, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვდნენ.

ლურჯი — პუნქტუალური, მონ-ესრიგებული ქალების საყვარელი ფერია. ამ ტიპის ქალებს სიამოვნებას ანიჭებს სხვებისთვის დახმარების გაწევა, დაინტერესებულნი არიან გარშემო მყოფთა პირადი ცხოვრებით; ახლობლებს კი ჭკუის დარიგებითა და მორალის კითხვით ხშირად თავს აბეზრებენ — შეიძლება ითქვას, ეს მათი ჰობია.

ცისფერი — მეოცნებე ქალებს უყვართ. ისინი ვერასოდეს სჯერდებიან მიღწეულს, დაუღალავად იქექებიან საკუთარ ნარსულში და ოხვრით იხსენებენ გარდასულ ტკბილ დღეებს. ამასთანავე, გამუდმებით რალაცით უკმაყოფილონი არიან, რალაც არ მოსწონთ პარტნიორ მამაკაცში და ხელახლა, კვლავ უშედეგოდ იწყებენ იდეალის ძებნას.

მწვანე თეთრეულის მოყვარულ ქალებს საოცრად გამახვილებული ინტუიცია აქვთ; ძალიან უყვართ მეგობრებთან ყოფნა, მაგრამ არანაკლებ — ოჯახური გარემო და მოვლილი სახლი. დაუღალავად ზრუნავენ ბავშვებსა და შინაურ ცხოველებზე. ემოციის სახალხოდ გამოხატვა მათი სტილი არ არის.

რუხი თეთრეული თითქმის არაფრით გამორჩეულ ქალებს მოსწონთ. სამაგიეროდ, ისინი უზომოდ ერთგულნი არიან და კარგად იციან მეგობრობის ფასი.

რაც შეეხება **შავ** თეთრეულს, ის იმდენად მასობრივ მოხმარებაშია, რომ თითქმის ყველა ტიპის ქალი იყენებს, ამიტომ ამ ფერის თეთრეულის მიხედვით მისი ხასიათის გამოცნობა ნაკლებად შესაძლებელია.


რუბრიკა მოამზადა ეკა ბენდიანიშვილმა

აირჩიე და შეიქმნე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეტიინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. ლაქონი და მონეტა	11.65	69.7
4. ლაქონი და მონეტა	7.00	41.8
5. ნაქონი	4.00	24.0
6. ლაქონი და მონეტა	0.80	19.9
7. ლაქონი		

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრების გაერცვლების სააგენტო
ქ. თბილისი
იოსებძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kivrispaizra.com



დიდგორის საჯი ფრენის ისტორია

გორა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-16

სასწრაფო თათბირი მოიწვია ბერ-
დია დაიარსა. ხევს უნდა გადაეწყვი-
ტა, იომებდნენ თუ არა ფხოველები
შერგილ ძაგანისძის მხარდამხარ.

გაუკვირდათ არდოტელ ხევის-
ბერებს.

— რაია ჩვენი საომარი? სად ჩვენ
და სად — მეფე გიორგის სპანი?

— იყურეთ, — ახმაურებელი ხეო-
ბელები ჩააჩუმა ხევისთავმა, — რო-
დის დაოკებულა მთისკენ მომართუ-
ლი ბაგრატიონთა მახვილი?!

მართალი იყო ხევისთავი. როგორ
დაივიწყებდა ფხოვი ბაგრატიონებთან
მტრობას?! ყოველთვის კახთა მეფეებ-
სა და მათ მოკავშირეებს ერთგულებ-
და მთა. ძველი დროიდან მოსდევდათ
ფხოველებს კახთა და ქართლელ მეფე-
თა ომში სისხლის ღვრა.

რამდენჯერ ილაშქრა გიორგი I-მა
დაუმორჩილებელ ფხოვში! სისხლის
მდინარეები დააყენა კახეთ-ჰერეთში
და ფხოვსაც მიაწვდინა მახვილი.
ჯიუტი და მემამბოხე ერისთავები
სიკვდილით დასაჯა, სხვანი — შემ-
ოირიგა. მერე ბიზანტიის ლაშქრობა-
შიც კი გაჰყვნენ ფხოველნი.

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მშვი-
დობა. მახვილით ხელში დაიძრა კახ-
ეთისკენ მისი შთამომავალი ბაგრატი.
არ შეეპუა კახთ მეფე კვირიკე. ომში
მხარი მისცა პანკის-კვეტარის ერისთავ-
მა სტეფანოზმა და მასთან ერთად,
ფხოვმაც.

გაიმარჯვა მეფე ბაგრატიმა.
დალაშქრა კახეთ-ჰერეთი. ურჩი თა-
ვადები მოაშთო. კვირიკეს კი ორივე
ხელი მოჰკვეთა.

არც ამან მოიტანა სიმშ-
ვიდე. მალე დაუბრუნდა
ტახტს კვირიკე და კახეთს
მიღმა ახალი საერისთავო
დააარსა.

„კვეტარ-უჯარმას ზემოთ,
ორ მთათა შორის, რომელ-
მან არიან კახეთსა და კუხ-
ეთსა, ვიდრე კავკასიამდე
გარდაღმა, — ესე არს
ერწო-თიანეთ-ფხოვი“.

ახალი ძალით იფეთქა
ომმა. წლები გაგრძელდა
მიხტომა-მოხტომა. არც
ბაგრატიონი თმობდნენ
და არც — კახთა მეფენი...

ბევრი ფხოველი ვაჟკა-
ცი შეინირა ამ ომმა.

ვერც გვირგვი-
ნოსანნი გადაურჩნენ
ჟამთა სვლას. აღარ
იყვნენ ცოცხლები იმ-
ერი ბაგრატი და კახი
კვირიკე.

მაგრამ მათი შთამომავალი ისევ
აგრძელებდნენ ბრძოლას.

იმერი გიორგი კახეთ-ჰერეთის
შემოერთებას ლამობდა. აღსართანი
კი გააფთრებული იბრძოდა კახეთიდან
მის განსაღვენდა.

და ამ ომში ორივეს ჰყავდა მოკავ-
შირენი...

თურქ-სელჩუკები!!!

— იმერთა მეფე გიორგიმ დამხ-
მარედ, თურქნი მოიმხრო. უშჯულო-
თა ძალით მოიწვეს კახეთ-ჰერეთისკენ!

— წინ წარდგა ძაგანისძის აზნაური
გუჯაბისძე. — მთასაც არ დაივიწყ-
ებს იმერთა მეფე და კახეთ-ჰერეთის
მერმე, ფხოვს შემოუსევს უშჯულოთ!

— რაი ამით?! — დაიბუხუნა სახე-
დაჩეხილმა და თმაჭალარა ზეზვა გაფ-
რინდაულმა. — არახალი იქნების ომი.
მტერს მტრულად დაეხვდებით და ვნახ-
ოთ, ვის გორდა უფრო მჭრელ იქნებ-
ის!..

— დაეხვდებით!!! — ფარ-ხმალი
ააჟღარუნეს ფხოველებმა. — ჩვენს
ხევეებს ამოვაგვსებთ უშჯულოთა
მძორით!..

— ერისთავს რა პასუხს აძლევთ?
— იკითხა გუჯაბისძემ.

— რაია სათქმელი?! — ყველას
მაგივრად თქვა ზეზვამ. — ვინ და-
იცავს არდოტს, ჩვენი ჯარ ბარში თუ
ჩავიდა?..

— მართალია!.. — აჰყვნენ ფხ-
ოველები. — ჩვენ მთაში ვიცავთ კახ-
ეთს. დიდო-ძურძუკ ბაცაცებს გზას
ვუკეტავთ და ბარში აღსართან მეფემ
დაკეტოს ჩვენკენ მომავალი გზები!..

— იყურეთ, ფხოველნი!.. — მარ-
ჯვენა ზეასნია დაიარსა. — მართალ
ითქვა, დიდო-ძურძუკთაგან ჩვენ ვიცავთ
კახეთსა და აღსართან ბარში

გვიმაგრებს ზურგსა. მაგრამ ერთია
კახთა, არაგველთა და ფხოველთა
მტერი... გიორგი ბაგრატიონი. არ
იქნების ჩვენი მთაში დარჩენა, როცა
იმერთა და თურქთა შეებმების ერისთავ
შერგილი!..

— არა ჰყოლია ბატონი მთასა და
არცა ეყოლების!.. არც შერგილი არის
ბატონი ჩვენი და არცა — აღსართან.
როდის უთხოვინა არდოტს კახთ მე-
ფისთვის და ერისთავებისთვის, დიდო-
ძურძუკთან ომში დახმარება?! ამ მარ-
ჯვენით ვიგერიებდით მუდამ, — მუშ-
ტი აიქნია ზეზვამ, — და წეს არის,
ბერდიავ. ხევისთავ ხარ და შენ გაბარ-
ია ჩვენი თავ, მაგრამ ხრმალისა ქარ-
ქაშიდან ამოღებას მარტო ხევი
წყვეტს!..

— ასაკ მოგრევი, ზეზვაჲ!.. — ქარ-
ქაშიდან ამოღებული მახვილივით
გაიღრჭიალა ხევისთავმა. — ძაგან-
ისძეთა სახელი დაგვიწყნია!..

ორი ასწლეული იყო გასული მას
შემდეგ, რაც თორღვა ძაგანისძემ არ-
დოტის ხეობაში მცირე სიმაგრე ააგო.
სიმაგრეს ძურძუკების შემოსევისგან
უნდა დაეცვა ფხოვი და არაგვი.

სიმაგრეში ფხოველთა ციხიონი
ჩადგა.

მეომარს ქალი მოჰყვა.

ქალს — ბაღლი.

ოჯახი...

ოჯახს — სალოცავი გუდანისა..

და...

გაჩნდა თემი არდოტისა..

თავისით ცხოვრობდა ხეობა. თავისი
ხმლისა და შვილების ძალით იგერიე-
ბდა მტერს.

მაგრამ მაინც არ ივიწყებდა თორ-
ღვა ძაგანისძის სახელს...

ერთგულებდა...

მაგრამ თავისუფალი იყო ხეობა.
არ მორჩილებდა არავის, გარდა გუდა-
ნის ჯვრისა და არდოტელთა გადა-
წვეტილებისა.

იმერ ფხოვი იყო ეს. უღელტეხ-
ილთა მცველი და მუდმივად ომში
მყოფი.

სხვაც ჰქონდა სხვაობა...

არდოტელს სხვა ფხოველისგან ბუნე-
ბაც განსხვავებული ჰქონდა: მძიმე იყო,
გაუცინარი, ლაღობის უცოდინარი,
მუდამ საომრად მოზიდული, ფარხმ-
ლიან-ჩაბალახიანი და...

არდოტი იყო მისი სამშობლო...

და არა — არაგვი, კახეთ-ჰერეთი
და საქართველო...

და თუ მტერი მისდგომოდა კახეთ-
სა და არაგვს, საკუთარი მახვილით
უნდა მოეგერიებინათ ის მტერი
არაგველებსა და კახელებს...

— ნათლიაობა გალაპარაკებს, ხე-
ვისთავო! — ხმას აუწია ზეზვამ. —
შენი ვოყების ნათლიაა ერისთავ
შერგილი!

— და რაი ამით? — ბერდიამ ერთადერთი თვალი სახეში მიაბჯინა სახენაჩეს ფხოველს.

— ისა, რომა არდოტი ლაშქარს არ გაგზავნის კახეთსა. აგერ მე და აგერა ხალხი, — ზეზვა კედლად მდგარ თანამოძმეებს მიუბრუნდა, — სთქვით... თვითონა სთქვით სათქმელი. წაისვლების კახთა და იმერთ ომში?

— არ წაისვლების!.. — ერთხმად იგრიალეს ფხოველებმა.

— ეგაა არდოტის პასუხი, — გუჯაბისძეს მიუბრუნდა ბერდია, — ხევ არ იომებს, მაგრამ არავგვს მარტო მინც არ გაგაბრუნებ. მე თავად ვეახლები ერისთავს, ჩემის დაიაურებით!..

ზაფხული მცირე მიხტომა-მოხტომით მიიწურა. სელჩუკთა ლაშქრით გაძლიერებული გიორგი სწრაფად შემოიჭრა კახეთში. რამდენიმე მცირე სიმაგრეც აიღო და ბოლოს ვეჟინის ციხესაც მიაღგა, სადაც გამაგრებულიყო კახთ მეფე ალსართანი. მაშინ გაფიცდა ომი. ალსართანი გააფთრებული ებრძოდა მომხდურთ.

საბოლოოდ დარწმუნდა გიორგიც, რომ ჯიქური იერიშით ვერაფერს დააკლებდა ვეჟინს და ციხეს გარს შემოეწყო.

გაჭიანურდა ომი. გიორგის პირდაპირი იერიშით ციხის აღება არ შეეძლო და ვეღარც კახეთის დარბევას გააგრძელებდა, რასაც გაშმაგებული მოითხოვენ მალიქ შაჰის მეომრები. ფრთხილობდა მეფე. მარბიელი ციხეს შემოწყობილი ჯარიდან უნდა გამოეყო და ალსართანს ნებისმიერ დროს შეეძლო ვეჟინიდან კახთა გამოყვანა და მარბიელისთვის ზურგიდან დარტყმა.

მაგრამ არც ალსართანს ჰყოფნიდა ჯარი, იმერთ მეფის კახეთიდან განსადევნად.

მიხტომა-მოხტომასა და ახლომასლო სოფლების დარბევაში გადაიზარდა ომი. დღისით გიორგის სპანი და თურქები წრიალებდნენ ციხის სიახლოვეს, ღამით — გამაგრებულ ბანაკებს უბრუნდებოდნენ.

ჩამობნელებოდა თუ არა, ალსართანის სპანი თავს ესხმოდნენ მომხდურთ და შუბ-ისრით ადენდნენ სისხლს.

არავინ იცოდა, როდის და ვის დარჩებოდა გამარჯვება.

ამასობაში ზაფხულიც მიიწურა.

დადგა შემოდგომა. ფოთოლცვენამ საფარი მოუსპო მეფე გიორგის ჯარს. პერეთელმა აზნაურებმა ვეჟინის ციხის მისადგომები შეჰკრეს და საკვების მოსაზიდი გზები გადაუჭრეს იმერთა და თურქთა ლაშქარს. დაიმზა ჯარი. მეომრებს მარტო საკუთარი ცხენები დარჩათ საკვებად. ამას ამცნობდნენ მსტოვრები კახთა მეფეს ალსართანს. თანაც ამატებდნენ, რომ იმერთ ლაშქარი დღე-დღეზე გაბრუნდებოდა უკან.

უკვე გამარჯვებას ზეიმობდა ალსართან, როცა ცუდი ცნობა მოუტანეს მსტოვრებმა. კახეთისკენ, დასვენებული ლაშქრით დაძრულიყო გიორგის მემკვიდრე და მომავალი ხელმწიფე, დავითი. თანაც, სურსათ-სანოვავის დიდი ალალი მოჰყვებოდა ზურგში უფლისწულის ჯარს. მასვე მიმხრო-

ლიპარიტ?!

ბაგრატიონთა დაუძინებელი მტერი იყო კლდეკარის ერისთავი. ქართლს ეღავებოდა იმერ მეფეებს.

ძველი იყო ეს მტრობა. ლიპარიტის მამაც ბევრჯერ ასჯანყებია ბაგრატიონებს. ერთ აჯანყებაში კლდეკარის ერისთავს ალსართანიც მოკავშირეობდა.

სამი ერისთავი ერთბაშად განუდგა გიორგის. ჩათვალეს: ახალგაზრდაა მეფე, ომში გამოუცდელი, თანაც, ბრძოლის ველსა და მახვილს, სანადიმო სუფრა და ყანნი ურჩევნიაო.

გაერთიანდნენ და საერთო ძალით შეუტიეს ახალგაზრდა გვირგვინოსანს.

ნიანია ქვაბულისძე პირდაპირ სატახტო ქალაქში მიუხტა ბაგრატიონებს. ქუთაისი დაიკავა და სასახლესა და სამეფო საჭურჭლეს დაეპატრონა.

ვარდან სვანთა ერისთავი სამეგრელო-აფხაზეთს შეესია და საშინლად ააოხრა.

ბალვაშებმა კახნი მიიმხრეს და ქსნის ხეობას დაეპატრონნენ.

ნადრევი აღმოჩნდა ერისთავთა ზეიმი. ახალგაზრდა გვირგვინოსანმა სასწრაფოდ შეყარა ლაშქარი და ზედიზედ სამივე ერისთავი დაამარცხა.


დამფრთხალი ერისთავები მეფისგან შურისძიებას ელოდნენ, მაგრამ გულკეთილი იყო ახალგაზრდა გვირგვინოსანი. არ დაუსჯია განდგომილნი და უფრო მეტიც — შემოსარიგებლად და შულის დასავინყებლად, სამივე უხვად დააჯილდოვა...

ბალვაშებს რუსთავი ჩამოართვეს და კახთა მეფეს, ალსართანს მისცა...

სამაგიეროდ, ბალვაშებს უფრო მსუყვე ნაჭერი — სამშვილდე და ლონობანი დაუთმო...

ნიანია ქვაბულისძეს თმოგვი ერგო... სვანთა ერისთავი სამეგრელო-აფხაზეთში დაღვრილი სისხლისთვის, ასკალანით დააჯილდოვა...

კარგი მეომარი იყო მეფე გიორგი, მაგრამ დიდ თავადებთან ურთიერთობაში გამოუწვრთნელი. ახალგაზრდული გულწრფელობით სჯეროდა, რომ გულუხვობით შემოირიგებდა თავგასულ თავადებს და ამით დაამშვიდებდა არეულ სამეფოს...



ბოდა კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბალვაში...

საგონებელში ჩავარდა ალსართანი. ომში უფლისწულის ჩართვაზე მეტად, ლიპარიტის გამოჩენამ დააფიქრა. ახალგაზრდა იყო უფლისწული დავითი, ომის უცოდინარი. ახალშებულულ მაძლაციწინად თვლიდა კახთ მეფე და ვერანაირ საშიშროებას ვერ ხედავდა მის ომში ჩართვაში. არც საკვებით დატვირთული ალალი აზინებდა. რამდენ ხანს ეყოფოდა საჭმელი გიორგის დამშეულ სპათა?! მაგრამ

მაგრამ...
იმავ წელს განუდგნენ გიორგის ბაღვაში.

სასწრაფოდ იხმო ახალგაზრდა გვირგვინოსანმა მესხთა ლაშქარი. დამხმარე ჯარი აახლა კახთა მეფემ აღსართანმაც, რომელმაც ბაღვაშთა მხარდაჭერას, მისი თანამებრძოლობა არჩია.

დაფრთხა ივანე ლიპარტის ძე. სამშვილდე მიატოვა და ლამით, ქურდულად გაიხიზნა სამხრეთს.

გიორგის ლაშქარმა ისევ დაიკავა ადრე გაჩუქებული ლონობანი და ჯავახეთში გადავიდა. მიხვდა, ივანე ბაღვაში, რომ აღარ ჰქონდა წასასვლელი და ეკრანთის ციხეში, ყელზე საბელშებმული ეახლა მეფეს.

დარწმუნებულნი იყვნენ მეფის აზნაურნი, რომ ამჯერად ვეღარ გადაურჩებოდა სასჯელს ორგული ერისთავი. მაგრამ ისევ გულჩვილობა გამოავლინა მეფემ. ივანე შეინყა და და უკან დაუბრუნა კლდეკარი და სამშვილდე...

ამითაც არ მოიშალა კრახანათა ბუდე. უარესი კადნიერება გამოიჩინა ივანე ლიპარტის ძემ: გაგის ციხიდან გიორგის ერთგული ციხიონი გამოიტყუა და ციხის კლიტენი განძის ამირა ფადლონს ჩააბარა.

ნაღდი ოქრო გადაუხადა ლალატში ფადლონმა ერისთავს...

გიორგიმ მაშინვე ხმაღზე გაივლო ხელი, მაგრამ ვედარაფერი დააკლო მოლაღატეს.

საქართველოს ახალი მტერი გამოუჩნდა — თურქ-სელჩუკთა დიდი სულთანი მალიქ შაჰი!

ყველას დაასწრო ივანე ბაღვაშმა. ჯერ კიდევ სამხრეთ საქართველოს საზღვრებთან იდგა სელჩუკთა ლაშქარი, როცა თავისი შვილი, ლიპარტი აახლა სულთანს და მოკავშირეობა შესთავაზა. (ის ლიპარტი, რომელიც ახლა მეფე გიორგის აღსართანთან ომში მოკავშირეობას ჰპირდებოდა.)

სხვა ერისთავებისთვის მაგალითის მისაცემად, დიდი პატივით მიიღო სულთანმა ახალგაზრდა ბაღვაში.

„საყუარელ შვილად“ გამოაცხადა. „აღავსო ლართა და ოქროთი“.

მაგრამ უკან აღარ გამოუშვა. „სტუმრად“ დარჩენის პატივი დასდო.

მიხვდა ლიპარტი, რომ მძევალი იყო.

საშიში იყო სულთნის კარზე ყოფნა. კარგად იცნობდა ლიპარტი მამის ზნეს და იცოდა, რომ მასაც უღალატებდა ივანე ბაღვაში...

სელჩუკი ჯალათის ხმლის ზუზუხნი შეიგრძნო ახალგაზრდა ერისთავმა,

რომელიც სწრაფად უახლოვდებოდა მის კისერს.

იმავ ღამით, იხელთა დრო და ქურდულად მიატოვა „საყუარელი“ მამისა და მასპინძლის ბანაკი.

საშინლად იძია შური, ლიპარტი ივანის ძის გაპარვით გააფთრებულმა სულთანმა. ლაშქარი დაუყოვნებლივ შეუსია სამშვილდეს. ციხე აიღო. თავად ივანე ბაღვაში, მისი ცოლი, შვილიშვილი და ქვეშევრდომ-აზნაურთა ოჯახები ტყვედ აიყვანა. სულჩუკთა ბრბო სამშვილდის შემდეგ, ქართლს შეესია. გადაწვა და ააოხრა სოფლები. მერე განძა დაარბია სულთანმა. გიორგის დაუძინებელი მტერი, ამირა ფადლონი დაატყვევა. მის მაგივრად, ახალი ამირა დანიშნა, ორმოცდაათი ათასი მეომარი დაუტოვა და ნაძარცვით დატვირთული გაბრუნდა ისპაჰანს.

ასე დატოვა საქართველო და საომარი ასპარეზი ივანე ბაღვაშმა. მაგრამ ამით გიორგისთვის არა შეცვლილა რა. მამის საქმე მისმა მემკვიდრემ, ლიპარტიმ გააგრძელა...

გულღრძო აღმოჩნდა ლიპარტი ივანეს ძე, ორგული და მოღალატე. მუდამ ოთხ მხარეს ჰყავდა დაგზავნილი მსტოვრები და ოთხივე მხარეს ერთდროულად თათბირობდა.

ერთ დღეს სულთან მალიქ შაჰს რომ ეფიცებოდა ერთგულებას, მეორე დღეს გიორგის სთავაზობდა მოკავშირეობას, მესამე დღეს ერისთავებს აჯანყებაზე აქეზებდა, მეოთხე დღეს კი კახთა მეფეს სტუმრობდნენ მისი მსტოვრები და ლიპარტის მეგობრობას სთავაზობდნენ...

ამ დროს კი არავის ერთგულებდა კლდეკარის ერისთავი.

თათბირობდა და ელოდა, რომელი იმძლავრებდა ამ ოთხიდან, რომ დროზე დამდგარიყო ყველაზე ძლიერის მხარეს და ალაფის გაყოფისას სუფრის თავში დაეკავებინა ადგილი. იცოდა ეს კახთა მეფემ. იცოდა და არ ენდობოდა ივანე ბაღვაშის ღირსეულ შთამომავალს. მაგრამ ისიც კარგად უწყოდა, რომ სალაშქროდ ემზადებოდა იმერთა მეფე და ძლიერი მოკავშირის გარეშე გაუჭირდებოდა მისი მოგერიება.

მალიქ შაჰთან გზის გაკვლევა სცადა. სარწმუნოების დათმობაზეც თანახმა იყო. ისლამის სჯულს მიიღებდა, თუ ქვეშევრდომად მიიღებდა სელჩუკთა სულთანი და დასტურდა, თურქულ ლაშქარსაც მისცემდა.

მაგრამ ეს გზა უკვე გაეკვალა გიორგი მეფეს და სჯულის დაუთმობლად მიეღო სულთნის მხარდაჭერა.

მამინ მამის ძველი მოკავშირენი გაიხსენა აღსართან მეფემ.

ნიანია ქვაბულისძემ უარი შემოუთვალა. თავადაც შიშით ელოდა გიორგის შემოსევას და აღსართანთან მოკავშირეობით, არ უნდოდა მისი გამოწვევა.

სვანთა ერისთავი მიუვალი მთისა და სიმაგრეების იმედად რჩებოდა და არ აპირებდა ბარში გამართულ ომში ჩართვას.

რჩებოდა მხოლოდ ერთი... ორგული, არასაიმედო... მაგრამ ბაგრატიონთა განსაკუთრებულად მოძულე და დაუძინებელი მტერი!!!

თავისი ძმისწული, მემკვიდრე და კახთა მომავალი მეფე, კვირიკე მიავლინა აღსართანმა კლდეკარს.

სიხარულით მიიღო ლიპარტი ბაღვაშმა დესპანი. თავადაც დაშინებული იყო: ძველი მტრობა არ გაიხსენოს გიორგიმ და სელჩუკი არ შემომისოს კლდეკარსო. თავის ვაჟთან, რატისთან ერთად, ეთათბირა და პირობა მისცა, რომ დამხმარე ლაშქარს გაგზავნიდა კახეთს.

მაგრამ პირობა პირობად დარჩა. ორჯერ გაუგზავნა აღსართანმა მსტოვარი: დროა, ვეჟინს შემოეწყო გიორგი, ლაშქარი მომავლე, შენ თუ ჩაებები ომში, თბილისის ამირა, ბანუ ჯაფარიც მოგვამეველებს ჯარს და გაერთიანებული ძალებით, ერთად მოვუღებთ ბოლოს ბაგრატიონთო!

მაგრამ დუმდა ლიპარტი. ისევ ელოდა, ვინ იმძლავრებდა. გიორგისაც და აღსართანსაც ერთ პასუხს უგზავნიდა კლდეკარი: ავადობს ერისთავთერისთავი, თირკმლები სტკივაო.

მერე სხვა ცნობა მოართვეს მსტოვრებმა აღსართანს: თვალთმაქცობს ერისთავი ლიპარტი. თავად, მეფე გიორგის არ ეახლა, მაგრამ უფლისწული დავითი და მისი აღმზრდელი ჭყონდიდელი დიდი პატივით მიიღო კლდეკარს, მისი მემკვიდრე, რატი კი, საომრად აღჭურვილი ლაშქრით, კახეთისკენ დაიძრაო!..

მაგრამ არავინ იცოდა, თუ რისთვის მიემართებოდა რატი — გიორგის ლაშქართან შესაერთებლად, თუ კახთა დასახმარებლად.

ცუდად ენიშნა აღსართანს, ლიპარტთან ბაგრატიონთა სტუმრობა. ამის მერე რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, კლდეკარიდან რატის გაქრობას?! ესეც სატყუარად ეჩვენებოდა. თვალს უხვევდა ლიპარტი. თავად ავრცელებდა ხმას, რომ მისი ძე ვეჟინს, აღსართანის დასახმარებლად გაგზავნა. სინამდვილეში კი მეფე გიორგის ლაშქარს შეუერთდებოდა რატი და იმერთ, ვეჟინის ადგებაში დაეხმარებოდა. მართო ეს უნდა ყოფილიყო უფლისწულ დავითისა და კლდეკარს ჭყონდიდე-

ლის სტუმრობის მიზეზი.

ასე ფიქრობდა ლიპარტის ღალატში დარწმუნებული აღსართანი და ამ დროს წარმოდგენაც კი არ შეეძლო, თუ რით იყო დაკავებული კლდეკარის ერისთავის გონება...

ბუხრის პირას მწოლიარე შეეგება ლიპარტი უფლისწულ დავითს. „ტიკვილით“ შეპყრობილი, ცალ მკლავზე წამოიწია, გადაკოცნა და მკერდზე მიიკრა.

შეაქო კიდეც: სახელოვანი წინაპრების კვალს მიჰყვები: ბაგრატი კურაპალატმა თოთხმეტი წლისამ გადაიხადა პირველი ომი, მამამან შენმან და ჩვენმა ბატონმა მეფე გიორგიმ — ცამეტი წლისამ, შენ კი თხუთმეტი წლისა გადიხარ ბრძოლის ველზე.

არ მიიღო უფლისწულმა ქება. სასებე ერთი ნაკვთიც არ შესტოკვებია. მიხვდა ერისთავი, რაც არ მოსწონდა ახლგაზრდა უფლისწულს — მუსლიმთა წესით შეღებილი მისი წვერი და ასევე მუსლიმანურ ყაიდაზე მორთული დარბაზი. იქაურობა სელჩუკი დიდებულის სასახლეს აგონებდა და არა ქართველი ერისთავის სამყოფელს.

„კარგად გამოუწვრთნია ჭყონდიდელს, — ავად გაიფიქრა, უფლისწულის გაქვავებული სახის მომზირალმა ლიპარტიმა, — აქედანვე ეტყობა, რა ურჩხულიც დადგება. არ ეტყობა ჭაბუკური სიმსუბუქე. დაბრძენებულ მცხოვანს უფრო ჩამოჰგავს, ფრთხილად და გააზრებით მოქმედს... იქნებ, მარტო ჩემს წვერსა და დარბაზშიც არ არის საქმე?.. იქნებ, ვინმე მღალატობს. შინაგამცემი ხომ არ გამოჩნდა სასახლეში?“

თბილისის ამირასთან გაგზავნილი თრიალეთელი აზნაურები გაახსენდა. ვერ ჩააღნიეს ბანუ ჯაფართან. მუხათგვერდის ციხესთან შეიპყრეს მეციხოვნეებმა. მაგრამ დანამდვილებით იცოდა ლიპარტიმა, არ გასცემდნენ ერთგული აზნაურები. მსტოვარმაც აცნობა — ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ თრიალეთელებს.

გონებაში დასწყევლა ლიპარტიმა ბანუ ჯაფარი: დროზე ადრე ჩარია სახიფათო თამაშში. უმტიკიცებდა ლიპარტი: ადრეა გიორგისთვის ომის გამოცხადება, მალეი შაჰის ძეს, ბარქიაროკს დაველოდოთ, აღსართან კახთა მეფე, ვეჟინთან კენწლაობაში შეიყოლიებს გიორგის; ამასობაში ბარქიაროკიც ჩამოგვისწრებს, ერთად შემოვეწყობით გიორგის ლაშქარს; აღსართანი ვეჟინიდან გამოიყვანს ციხიონს და სადღა წაგვივა იმერთ მეფე?!

სამეფო სპათა ამოწყვეტთ, გიორგის — დავატყვევებთ.

რალას იზამდა, მამის გარეშე დარჩენილი, ჭაბუკი უფლისწული?

გეგუთს გაიქცეოდა, მაგრამ, ჯარის გარეშე დარჩენილს, ეს ველარ უშველიდა. ბარქიაროკის ლაშქრით გაძლიერებული ლიპარტი, აღსართან და ბანუ ჯაფარი ადვილად მისწვდებოდნენ.

ლიპარტის უკვე გამოტანილი ჰქონდა განაჩენი დავითისთვის — ძელზე გასმა.

და ამით ბაგრატივანნი სამუდამოდ უნდა გამქრალიყვნენ საქართველოდან.

გაქრებოდნენ ბაგრატივანნი და მათ ადგილს ბალვაშ-ორბელიანნი დაიკაუბდნენ. პირველ მეფედ, თავად ლიპარტი ეკურთხებოდა. მერე ტახტს მისი ძე რატი



დაიკაუბდა... შემდეგ — მისი შთამომავალნი...

ომიდან თავის წილს მიიღებდნენ აღსართანი და ბანუ ჯაფარიც.

კახთა მეფე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მიუმატებდა თავის სამფლობელოს. ბანუ ჯაფარი მარჯვენა სანაპიროს მიუერთებდა თბილისის საამიროს...

მაგრამ ეს ყველაფერი, ბარქიაროკის დაგვიანების გამო შეიძლებოდა, მარტო გეგმად, ოცნებად დარჩენილიყო!..

მის გარეშე კი ვერც ბანუ ჯაფარი და ვერც ლიპარტი ვერ გაბედავდნენ გიორგის წინააღმდეგ გალაშქრებას, რომელსაც დიდი სულთანი, მალეი შაჰი უჭერდა მხარს.

დიდი ხანი გრძელდებოდა სულთანსა და მის ძეს ბარქიაროკს შორის ფარული ომი. შვილი იყო ბარქიაროკი, მაგრამ — არა მემკვიდრე. სხვა

ძეც ჰყავდა სულთანს — ყივჩაყი ქალისგან, ტიურკან ხათუნისგან ნაშობი მაჰმუდი. გააფთრებული იბრძოდა ყივჩაყი ქალი და სულთნისგან სიცოცხლეშივე მოითხოვდა მემკვიდრედ მაჰმუდის გამოცხადებას (გრძნობდა, რომ არ აცოცხლებდა ბარქიაროკ ტახტის მადიებელს, თუნდაც — მცირეწლოვან ძმას).

იბრძოდა ბარქიაროკიც. მაგრამ სულ სხვა იყო სულთნის გეგმები.

მისი უფროსი ქალიშვილი ვაჟს ზრდიდა. შვილიშვილის ტახტზე დასმა გადაეწყვიტა სულთანს. იმჟამად ექვსი წლისა იყო ის და არავინ იცოდა, ვინ მოიგებდა ამ ომს და ვინ დაეპატრონებოდა სელჩუკთა სასულთნოს — ბარქიაროკი, ყივჩაყის ნაშობი მაჰმუდი თუ მოზარდი, რომელიც მთელ დროს თამაშში ატარებდა და არა უწყოდა ამ ფარული ომის შესახებ.

ლიპარტი მაინც ბარქიაროკს მოიზარებდა მომავალ სულთანად და მას სთავაზობდა მოკავშირეობას. ერთგულების ნიშნად, თავის ქალსაც სთავაზობდა ცოლად. მისი წარგზავნილები რამდენჯერმე ესტუმრნენ ბარქიაროკს და თანხმობაც მიიღეს.

უსაზღვრო კმაყოფილებას ჰგვირავდა ლიპარტის, ისპაჰანის სასულთნო ტახტზე ბალვაშთა გვარის მემკვიდრის წარმოდგენა. მაშინ კი გაშლიდა ფრთებს, კლდეკარში შეკეტილი ერისთავი, მაგრამ...

მაგრამ მანამდე ძალიან შორი იყო.

ამისთვის ჯერ ბაგრატივანნი უნდა გადაშენებულიყვნენ საქართველოდან. ჭყონდიდელის

ჩიჩინში აღზრდილი გიორგი და მისი ძე დავითი არასოდეს დართავდნენ, ბარქიაროკისთვის ქრისტიანი ასულის მითხოვების ნებას. არც მალეი შაჰი მოიწონებდა ამ ქორწინებას. და ვინ იცის, იქნებ მოჩხუბარი აქლემების გასრესილი კოზაკივით დაესრულებინა სიცოცხლე, ცეცხლთან მოთამაშე ერისთავს?!

ძალიან დაიგვიანა ბარქიაროკმა. ახლა ველარაფერს შეცვლიდა მისი ლაშქარი. კლდეკარის ერისთავს თავს წამოსდგომოდა ჭყონდიდელის გამონწვრთნილი, „მცოვანი“ ჭაბუკი უფლისწული და მისგან ვეჟინის ციხის ასაღებად ხვასტაგსა და ლაშქარს ითხოვდა!..

მაგრამ იქნებ, ამ ჭაბუკის მემკვიდრით შესწვდენოდა სამეფო გვირგვინს, რომლის მოსარგებდაც იბრძოდა მთელი მისი საგვარეულო?!

როგორ?..

კლდეკარსაც კი მიეღწია ხმას: მალე განუტევესო უფლისწული თავის მუხლს, რუსუდანს, სომეხთა მეფე გაგიკის ქალიშვილს; მონაზვნად აღკვეცა ნდომებია ბაგრატიონთა ღვთისმოსიშ რძალს და ახალი სარძლოს ძიებაშია ბაგრატიონთა გვარიო.

და ისიც იცოდა ლიპარიტმა, რომ მისი ქალი უყვარდა დავითს. სწორედ ის ქალი, რომელიც ბარქიაროვს აღუთქვა. მაგრამ რა, ამით?..

ბარქიაროვმა თავად დაარღვია სასიამოროსთვის მიცემული პირობა: დათქმულ დროს ლაშქრით არ შევიდა საქართველოში.

და რას იტყოდა ბარქიაროვი, მისი და ბაგრატიონთა დამოყვრების შემთხვევაში?..

ვერაფერს!..

კუდამოძუებული მოძებნიდა სოროს. როგორ შეენინაღმდეგებოდა მალიქ შაჰისგან დალოცვილ ქორწინებას?.. ეს საფიქრალი არ იყო, მაგრამ მოინდომებდა დავითი ბაგრატიონთა სამეფო ტახტზე მისი ქალის აყვანას?..

რატომაც არა?!

ბავაშ-ორბელიანი ქართლის უძველესი და დიდებული გვარი იყო. ნებისმიერი ხელმწიფე გაიხარებდა ასეთი ქალით, თავისი საგვარეულოს გაკეთილშობილებას. სელჩუკთა უფლისწულიც კი სიხარულით დათანხმდა ბავაშთა შეთავაზებას. მაგრამ მარტო ეს არ იყო მიზეზი. თავადაც ხედავდა ლიპარიტი, როგორი სითბო ეღვრებოდა მკაცრ თვალებში უფლისწულს მისი ქალის დანახვისას.

უყვარდა, ნამდვილად უყვარდა და მარტო ეს იკმარებდა ტახტზე ორბელიანთა ქალის ასაყვანად.

მერე?..

ბავაშ-ორბელიანთა სისხლის უფლისწული თავისთავად განამტკიცებდა მის მდგომარეობას. და ვინ იცის, იქნებ, საერთოდ, დღემოკლე ყოფილიყო უფლისწული დავით? არეულ დროსა და ომს ხანდახან მეფენიც ეწირებიან!..

და მაშინ მიიღებდა ლიპარიტი იმას, რისთვისაც იბრძოდნენ მისი წინაპრები — სამეფო გვირგვინს!.. მაგრამ ამისთვის ახლაც უნდა გაეკეთებინა არჩევანი. ბარქიაროვი, რომელსაც შეეძლო მისი სამეფო ტახტზე აყვანა, შორს იყო. თანაც, არავინ იცოდა, მიიღებდა თუ არა ის სელჩუკთა სასულთნოს.

დავითი კი აქვე იყო, მის გვერდით და მისი გულის მოსაგებად, სულ ცოტა იყო საჭირო:

ხვასტაგი და სასწრაფოდ, რატის უკან გამოსმობა. მანამდე, ვიდრე მისი ძე ვეჟინში გამაგრებულ აღსართანს არ მიუყვანდა თრიალეთელთა ლაშქარს!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბოდბის ვარდები

ანუ ერთ ოთახში თავმოყრილი სკოლა და ასოციაცია



მანანა ჭირაქაძე

ხელით ქარგვას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს. წინათ ჩვენში თითქმის ყველა ქალი ქარგავდა — თავადით დანყებული, მსლებლით დამთავრებული. გასათხოვარ ქალებს მზითვეში საკუთარი ხელით დაქარგული სამოსი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაქარგობით დამშვენებული ნივთები მიჰქონდათ. განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი რელიგიურ, სასულიერო თემატიკაზე შესრულებულ ნამუშევრებს. საეკლესიო დანიშნულების ნივთების ქარგვის ოსტატს უნდა სცოდნოდა იკონოგრაფიული სქემები და ქრისტიანული სიმბოლიკა. ეს ყველაფერი კი, ბავშვობიდან შესისხლბორცებული, ქარგვის ტექნიკის მეოხებით, მას ჭეშმარიტ ხელოვნად აქცევდა.

XII-XVIII საუკუნეების ნაქარგობა და მასზე დაცული საქტიტორო წარწერები ადასტურებს, რომ საქართველოს ისტორიული პროვინციების ეკლესია-მონასტრებსა თუ დიდ ფეოდალთა სასახლეებთან, მხატვრული ქარგვის კერები არსებობდა. ყოველივე ამის შესახებ ქალბატონებმა: მზისთვალა კეცხოველმა, გულნაზ ბარათაშვილმა და იზოლდა მელიქიშვილმა მიაბნეს. სწორედ ეს ქალბატონები ჰპატრონობენ და სწავლობენ ქრისტიანული ხელოვნების ამ ერთ-ერთი უძველესი დარგის მრავალფეროვან კოლექციას, რომელიც შალვა ამირანაშვილის სახელობის მუზეუმის საგანძურშია დაცული. სწორედ მათი მისწრაფების წყალობით — პოპულარიზაცია გაუწიონ ნაქარგობას, — ამ მუზეუმში არაერთხ-

ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ქალებისათვის, შევინარჩუნოთ სიმწვევე, სულიერი წონასწორობა და ჯანმრთელობა — ხელსაქმეა. ამის შესახებ ჯერ კიდევ ჩვენმა ბებიებმა და მათმა ბებიებმაც კი იცოდნენ. არ გაგიკვირდეთ — როდესაც ვქარგავთ, ადვილად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შევდივართ მსუბუქი ნივანის მდგომარეობაში, რომლის მიღწევაც ასეთი რთულია, როცა ამას ხელოვნურად, სპეციალური ფიზიკური თუ გონებრივი ვარჯიშებით ვცდილობთ. ფსიქოლოგიური კომფორტულობა ხელსაქმის მხოლოდ ერთი და არა ერთადერთი მახასიათებელია...

ელ მოწყობილა მქარგველ ქალთა ასოციაციის, რელიგიურ თემაზე შესრულებულ ნამუშევართა გამოფენა. ამ ჯგუფს პროფესიონალი მხატვარი — დოღ ნემსაძე-ბარამიძე ხელმძღვანელობს.


— ქალბატონო დოღო, ალბათ, რაღაც კონკრეტულმა შემთხვევამ გიბიძგათ იმისკენ, რომ ქარგვა დაგეწყოთ, არა?

— აქ უთუოდ არის ღვთის ნება: ჩემს მეგობართან, ნიგარი ნიჟარაძესთან ვნახე მისი მოქარგული „წმინდა გიორგი“, ავინთე სურვილით, მეც მომექარგა და ჩემი პირველი ნამუშევარიც „წმინდა გიორგია“.

— იმ პირველი ნამუშევრიდან დღემდე დიდი გზა გაქვთ გაფილილი. გვიამბეთ ამ გზის შესახებ.

— 15 წელი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ვმუშაობდი, გადაღებათა მომზადების განყოფილებაში მთავარი მხატვარი ვიყავი. ამ დროს კინოსტუდიაში სიცოცხლე ჩქეფდა, მუშაობდა სამღებრო,

ბავშვობიდან მიყვარდა ხელსაქმე



სამკერვალო, ფესსაცმელების საამქროები. რეკვიზიტს ვამზადებდით. რეჟისორმა ოთარ შამათავამ შემომთავაზა, მისი ფილმისთვის — „ტურანდოტისთვის“ დიდი ზომის ნაქარგობა შემესრულებინა — ბოსხის „სატანა“.

— კი, მაგრამ მორწმუნე ქალმა, „სატანა“ როგორ მოქარგეთ?.. საინტერესოა, ახლდა თუ არა მისი შესრულების პროცესს რაიმე იდუმალი, მისტიკური?

— დიას, დიას, ეს საოცარი იყო. მაშინ, ასეთი ეკლესიური, როგორც ახლა ვარ, არ ვიყავი, თორემ არ დავთანხმდებოდი ამის გაკეთებას. მუშაობა ძალიან გამიჭირდა. დავიწყებ იმით, რომ უზარმაზარი ტილო იყო მოსაქარგი, ეს ძალიან შრომატევადი საქმე იყო. გარდა ამისა, უცნაური ამბები ხდებოდა ამ დროს ჩემს თავს:

„სატანის“ მოქარგვამ თითები დამიზიანა, ისე, რომ დღემდე მიჭირს მათი ძველებურად ამოძრავება. სამარშრუტო ტაქსიში მომყვა მარჯვენა ხელის სამი თითი, საერთოდ გამეთიშა, არ მიმოძრავებდა. ამას დაერთო ისიც, რომ ნავიქეცი და მარჯვენა ხელი მოვიტყევე. ხელის თითებზე ფრჩხილები გადაამძვრა და დამემართა ტრავმული სოკო. ეს იყო ჩემთვის უდიდესი სასჯელი, ალბათ, სამართლიანიც. მერე და მერე, ღვთის წყალობით, თითები ავამუშავე.

— როგორ მოხდა თქვენ გარშემო ამდენი მქარგველი ქალბატონის შემოკრება? ინფორმაცია მათ ვინ მიანოდა?

— კინოსტუდია უშვებდა არაჩვეულებრივ გაზეთს — „ქართულ ფილმს“. მისმა რედაქტორმა ნატო ციციშვილმა ჩემსა და ჩემს ნამუშევრებზე რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა. ის პერიოდი, როცა უშუქობა, უგაზობა იყო, სამოქალაქო დაპირისპირებამ პიკს მიანაწია. ჩემდა გასაოცრად, ამ პუბლიკაციებს დიდი გამოსმაურება მოჰყვა, მირეკავდნენ, მოდიოდნენ. მეც დიდი სიხარულით ყველას ვასწავლიდი იმას, რაც ვიცოდი. მერე და მერე უფრო სერიოზულად მივუდექი ამ საქმეს, შევიმუშავე სწავლების პროგრამა, მეთოდოლოგია და უკვე ჩემი სტუდია-სახელოსნო „ქარგა“ გახსენი, სადაც ჩემ გარდა, მოწვეულები იყვნენ პროფესიონალები. აქ მოსული ქალბატონები იღებდნენ ზოგად უცოდნას — მხატვრობაზე, ფერწერაზე, ნაქარგობასა და ქსოვილთა რესტავრაციაზე.

— ნამუშევრები, რომლებიც აქ თქვენს ოჯახშია გამოფენილი, საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც ალბათ, ფერისა და გამოყენებული ტექნიკის წყალობით ხდება. რელიგიურ თემაზე ტილოების შექმნა რთულიც იქნება და საპასუხისმგებლოც. უფრო ადვილი არ იქნებოდა, საერო თემატიკაზე გემუშავათ?

— კარგი კითხვაა... ნელა უკვე გითხარით, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა. ჩვენს ჯგუფში გაერთიანებული ყველა ქალბატონი მართლმორწმუნე ქრისტიანია; ჩვენ

მოვლილი გვაქვს საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ეკლესია-მონასტრები და ვიცით, რომ ეკლესიური ნაქარგობებიდან ძალიან ცოტა რამ გადაურჩა ჟამთაშვლას. მიზნად დავისახეთ, სწორედ ეკლესია-მონასტრებისთვის ვიღვანოთ და ჩვენი მოკრძალებული ნამუშევრები შევნიროთ.

— თქვენ მიერ მოწყობილი გამოფენებიდან, რომელიმე განსაკუთრებულად ხომ არ დაგამახსოვრდა?

— ცხადია, პირველი გამოფენა: 9 აპრილი დიდი ხნის ჩავლილი არ იყო. ეროვნული მოძრაობა გაიშალა, პარლამენტის წინ იმართებოდა მიტინგები და ამ დროს, სწორედ მოვლენათა ეპიცენტრში — მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზში წარმოვადგინეთ ჩვენი პირველი ნამუშევრები. ზვიად გამსახურდია



მოვიდა. ჩვენ სულგანაბულნი ველოდით მის შეფასებას. ყურადღებით დაათვალიერა ექსპოზიცია. მაშინ, ხატებთან ერთად, იკებანის ნიმუშებიც გვეკონდა წარმოდგენილი და თქვა: „ხატები სუსტია, ყვავილები კარგია“ (იკინის). აი, ასე შეგვაფასა ბატონმა ზვიადმა. მას შემდეგ, რა თქმა უნდა, ბევრი დრო გავიდა შეიცვალა ჩვენი ტექნიკა, ნამუშევრების ხარისხი. არაერთი გამოფენა გვეკონდა: ხელოვნების და ლიტერატურის მუზეუმებში, გალერეა TMS-ში, ვიყავით ჩვენი ნამუშევრებით ბათუმში. მახსოვს, ცხოვრებული გურამ შარაძე გვეწვია და საქმეები სიტყვები არ დაიშურა ჩვენთვის.

— საზღვარგარეთ თუ გაგიტანათ თქვენი ნაღვანი?

— კვიპროსზე დეკანოზი ზაქარია ფერაძე მოღვაწეობს. მისი ძალისხმევით შედეგად, ქართული სასულიერო კულტურის ცენტრი გაიხსნა. სწორედ მისი მიწვევით გამოიფინა ჩვენი ნამუშევრები კუნძულ კვიპროსზე. აღსანიშნავია, რომ

გამოფენა ისე მოეწონათ, ნახევარი წელი დატოვეს იქ და ექსპონატები ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდა.

— როდის და ვინ დააფუძნა თქვენი ასოციაცია?

— როცა დაგვიგროვდა ბევრი ნამუშევარი, მოწყობილი გვექონდა უამრავი გამოფენა, გადამწყვიტეთ, ყოველივე ამისთვის საორგანიზაციო ფორმა მიგვეცა და სახელი დაგვერქმია.

ლეულ მუშაობაში:

— „სასონარკვეთილი“ დიასახლისი არ გეგონოთ, დიდი ოჯახი მაქვს, მაგრამ ქარგვისთვის ყოველთვის ვიცლი. ჩემი მუშაობა და სამი ბიჭი გაგებით ეკიდებიან ჩემს საქმიანობას და მესმარებენ კიდევ. ჩემი ცხოვრება ორ ნაწილად გაყოფილი: ქარგვამდე და — ქარგვის შემდეგ. ქარგვა მამშვიდებს, რაღაც, სულ სხვა სამყაროში გადავდივარ. ეს არის კავშირი ტრადიციებთან და სულიერებასთან.

ბაღონა ზაქარაიშვილი:

— ბავშვობიდან მიყვარდა ხელსაქმე, ბებიჩემიც ქარგავდა და დედაჩემიც, მაგრამ სერიოზულად ამ საქმეს მას შემდეგ მოვიკიდე ხელი, რაც ქალბატონი დოდო გავიცანი. ასოციაციის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ქალი დაინტერესოს ხელოვნების ამ უძველესი დარგით და კიდევ — ეკლესიებისთვის ჩვენი ნაღვანის შეწირვა. მართალია, ჯერჯერობით ფართი არ გვაქვს და ქალბატონი დოდოს ოჯახშია ჩვენი თავმჯდომარის ადგილიც და სახელოსნოც, მაგრამ ღვთის შეწევნით, ამასაც ეშველება.

P.S. ვიცი, საქართველოში ბევრია ოჯახი, სადაც უძვირფასეს რელიკვიად ინახავენ წინაპარი ქალბატონების მიერ შექმნილ ნაქარგობებს. ასეთი რელიკვია ჩემს ოჯახშიც ინახება — დედაჩემის და დედაჩემის დაქარგული, ყურთბალიშის პირები, რომლებზეც ვარდის ტოტია გამოსახული, წარწერით „ვეფხისტყაოსანიდან“:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა,

იგი ნავა და სხვა მოვა, ტურფასა საბალნაროსა“.

როგორც ხელოვნების მუზეუმში მითხრეს, XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში თურმე ჯერ კიდევ არსებობდა ქარგვის სკოლები. ბოღბის მონასტერთან მოქმედი სკოლის აღზრდილი ყოფილა ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობის განყოფილების თანამშრომელი ანიკო მახარაშვილიც. აქვე დავქენ, რომ ჩემი წინაპრებიც (დედის მხრიდან) ბოღბიდან იყვნენ და ვფიქრობ — ის ნაქარგობა, ყურთბალიშის პირზე — ვარდები თავისი წარწერით — ერთგვარი მესიჯია, გზავნილი, რომ დროთა კავშირი არ დარღვეულა. მისი ინყება — ვარდობისთვე, ნეტავ, როგორი სურნელი ჰქონდა იმ ბოღბურ ვარდებს, რომელსაც დედაჩემი 13 წლის ასაკში ქარგავდა?!

აღდგომის განახლება ყოველწლიურად, ყოველ აღდგომის დღესასწაულზე ხდება

27 აპრილს მართლმადიდებლური სამყარო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მიეგება. ვიცით, რომ არსებობს თორმეტი საუფლო დღესასწაული და აღდგომა ყველა მათგანზე აღმატებულია. წმინდა მიხეილას მას დღესასწაულთა დღესასწაული უწოდეს. „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდ არს სარწმუნოებაი იგი თქვენ“ — ბრძანებს პავლე მოციქული. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანს ქრისტეს აღდგომის არ სწამს, მის რწმენას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. აღდგომის დღესასწაულზე საეკლესიო მასხურებაც კი სრულიად განსხვავებულია, ყველაფერი მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის სიხარულითაა გაფერვებული. გვესაუბრება ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ღვთისმსახური, არქიმანდრიტი მამარი (ბავსაძე).



მორენა მერკვილაძე

— არა მხოლოდ აღდგომა, არც ერთი საეკლესიო დღესასწაული არ არის დროში ერთფეროდ მომხდარი ფაქტი, რომელიც აღარასოდეს განმეორდება. მაცხოვარი 2000 ათასი წლის წინ აღსდგა მკვდრეთით, მაგრამ აღდგომის განახლება, იმ დღის მისტიკურად გამეორება ყოველ აღდგომის დღესასწაულზე ხდება. არსი დღესასწაულის ყოველწლიურად მეორდება. ამის ერთ-ერთი დამამტკიცებელი ფაქტი, აღდგომის დღესასწაულზე ღვთაებრივი, ზეციური ცეცხლის გარდამოსვლაა.

— რა მნიშვნელობა აქვს მაცხოვრის ჯვარცმას და აღდგომას? რატომ გახდა საჭირო უფლის ჯვარზე გაკვრა და შემდეგ მისი აღდგომა?

— ამ ყველაფრის სათავე ადამის ცოდვით დაცემია. ჩვენ ვიცით, რომ სამოთხეში დამკვიდრებულ ადამიანებს ღმერთმა მცნება დაუდო — აუკრძალა კეთილისა და ბოროტის ცნობადის ხის ნაყოფის ხმევა. თორემ მოკვდებოდა — ანუ ღმერთს დამორღებოდა, მაგრამ ადამიანებმა დაარღვეეს ღვთის ნება. უფალი არის მართლმსაჯული, ამიტომ მისი სიტყვა, რომ მცნების დარღვევის შემთხვევაში სულიერი სიკვდილი მოიხეოდ, არ შეიძლებოდა შეცვლილიყო — ადამში ყველა ადამიანმა შესცოდა. პირველქმნილი ცოდვა მთელ კაცობრიობაზე გავრცელდა. დაიკვტა სასუფეველის კარი და ადამიანებმა დაკარგეს უშიერფასესი საუნჯე — ღმერთთან ერთობა. ყველა ადამიანი სულიერი, მარადიული სიკვდილის ტყვე შეიქმნა, მაგრამ ამჯეროდ უფალი არის მრავალმონყალე და მან ადამიანებს ასწავლა, როგორ უნდა დაესწათ თავი მარადიული სიკვდილ-

ისგან — ეს არის ქრისტიანული, ეკლესიური ცხოვრება. მანამდე კი მოხდა გამოხსნა, რომლის აღთქმაც პირველ მშობელთა სამოთხიდან გამოდევნისთანავე მივიღეთ ღვთისგან — ღმერთმა სამოთხიდან გამოდევნის შემდეგ აღთქმა, პირობა მისცა ადამიანებს, რომ მათი ცოდვა იქნებოდა გამოსყიდული, გამოხსნილი, დედამიწაზე მესიის, მსხენლის მივლინებით. ღვთის დედამიწაზე მოსვლა, განკაცება და ჯვარცმა (რომლის შემდეგაც გარდაუვლი იყო აღდგომა) იმისთვის გახდა საჭირო, რომ ყველა ადამიანი, მთელი კაცობრიობა გამოხსნილიყო. ადამიანის გამოხსნა ჯვარცმის და მაცხოვრის სიკვდილის გარეშე რომ ყოფილიყო შესაძლებელი, უფალი არ დაუშვებდა, ადამიანები განკაცებული ღმერთის ჯვარცმის ცოდვაში ჩავარდნილიყვნენ. უფლის განკაცებით განახლდა ადამიანი, გამრთელდა ადამიანური ბუნება. ადამის ცოდვით ადამიანის გენი იყო დაზიანებული. ყველა ადამიანი პირველქმნილ ცოდვაში იბადებოდა. როცა მოხდა მაცხოვრის ხორცმსესხა, განკაცება არაბუნებრივი წესით, ის აურიდა ადამის ცოდვას, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა ყველა ადამიანს, ამიტომაც ის იყო ხორციელადაც წმინდა და მართალი. ამის გამო, რადგან ადამი აღდგა და დაისაჯა, მართალი, ცოდვილთათვის, დანარჩენი ცოდვილებიც, რომლებიც ამ მართალს გაჰყვებიან, გამოხსნილები იქნებიან. როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, როდესაც მართალი ღმერთკაცი, ჯვარცმის შემდეგ შთავიდა ჯოჯოხეთში, გასკდა ჯოჯოხეთის ბჭენი, დაირღვა ჯოჯოხეთის ხელმწიფება ადამიანზე. მას შემდეგ, ვინც ჯვარცმულს და მკვდრეთით აღდგომილს აღიარებს თავისი ცხოვრების წესით, ქმშარიტად ქრისტიანული ცხოვრებით

არიდებულია ჯოჯოხეთს და იკვიდრებს ცათა სასუფეველს. ამისთვის გახდა საჭირო ჯვარცმა და უკვე გარდაუვალი აღდგომა: ჯვარცმით, აღდგომითა და ამაღლებით მოხდა ადამიანის ღმერთთან შერიგება. აღდგა ღმერთსა და ადამიანს შორის ჩატყბილი ხიდი. დავიბრუნეთ ის, რაც დაკარგეს პირველმა მშობლებმა — ადამმა და ევამ — სამოთხე, უფალთან ყოფნის შესაძლებლობა.

— ღვთის განკაცება, სრულ ღმერთობასთან ერთად, სრულ კაცად ქნა — ადამიანური ბუნებით შემოსვა იმისთვისაც ხომ არ იყო საჭირო, რომ რადგან ადამიანმა სცოდა, ადამიანური ბუნება გამხდარყო თანამონაწილე, თანაგამარჯვებული გამოსხსნას?

— ცხადია, ასე იყო. უფალი ადამიანს ძლით არ გამოიხსნიდა. მან დაკვტა სასუფეველის კარი მბრუნავი მახვილით და ადამიანებისთვის უნდა ესწავლებინა, როგორ გაეხსნათ იგი — ანუ უნდა ესწავლებინა გამოხსნა, რისთვისაც, როგორც მოგახსენეთ, განკაცებული უფალი უნდა მოსულიყო. ამასთანვე, იმის გამო, ადამმა დაუჯერა ევას, ევამ კი, თავის მხრივ, ეშმაკს — დაჰყენნ მის ნებას, სამოთხიდან გამოდევნის შემდეგ ადამიანთა მოდგმა ეშმაკის ხელმწიფებაში იმყოფებოდა. ადამიანზე ეშმაკი ბატონობდა და მათი გამოხსნა ეშმაკის მონობიდან უნდა მომხდარიყო, რაც სწორედ ადამიანური ბუნებით გახდა შესაძლებელი. ფსალმუნთა ერთ-ერთ მუსლში წერია: „მატლ ვარ და არა კაც...“ იოანე საბანისძე განმარტავს, რომ უფალმა ეს სიტყვები საკუთარ თავზე თქვა. ამის ნაკითხვისას შევძრწუნდებით კიდევ: როგორ შეიძლება, ქრისტეს მატლი ეწოდოს? მაგრამ მივყავთ განმარტებას: „როგორც ქვიანი მეთევზე მატლით ფარავს ანკესს, აგდებს წყალში და მისი დახმარებით აჭერებს უზარმაზარი ვეშაპის დაჭერას, ასევე დაფარა უფალმა თავისი ღვთაებრივი ბუნება ადამიანური ბუნებით. გადაუფგო და დაიჭირა უზარმაზარი ვეშაპი — ეშმაკი“. ეშმაკი რომ ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება ენახა, მაშინვე განემორბოდა მას. ბოროტი სული სწორედ ადამიანური ბუნებით იქნა მოტყუებული.

— განკაცებულ უფალს ორი ბუნება ჰქონდა — ღვთაებრივი და ადამიანური, რომელი ბუნებით ეცვა ჯვარს და რომელი ბუნებით აღსდგა?

— ჯვარცმა მილიანად თავს იღო ადამიანურმა ბუნებამ, რადგან ღვთაება არ ენებოდა, არ მიეშტვებოდა ჯვარს, არც მოკვდებოდა. ნამითაც არ შეიძლება გავიფიქროთ, რომ რაიმე ეწო ღმერთს, ღვთაებრივი ბუნებას. განკაცებული უფლის ხორციელი, ადამიანური ბუნება ჩავიდა ჯოჯოხეთშიც და აღსდგა ადამიანური ბუნებით, თორემ ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება მთელ სამყაროს ალაგებს — ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება მთელი თავისი სრულყოფილებით ალაგებდა მაცხოვრის ხორცს, ამავე დროს, ის ალაგებდა და ალაგებს მთელს სამყაროს. შუა საუკუნეების ხანიდან

ცნობილია ერთ-ერთი ქართველი ბერისა და ამირას კამათი, განკაცებულ უფალთან დაკავშირებით: როგორ შეიძლება ის, რაც სამყაროს ალაგვებს ქალის მუცელში დატეულიყო, ამას როგორ ამისხნო? ამირას კითხვას ბერმა ასეთი პასუხი გასცა: შენი თვალის გუგა არც ისე გავრცელდება, რომ სამყარო დაიტიოს და არც სამყარო დაპატარავდება ისე, რომ თვალის გუგაში ჩავიდეს, მაგრამ მთელ სამყაროს ხედავს.

— **აღდგომის დღესასწაულს ყველა ადამიანი, მორწმუნე, თუ ურწმუნო — რომელსაც გაცნობიერებული არა აქვს აღდგომის არსი და მნიშვნელობა, განსაკუთრებული სადღესასწაულო განწყობილებით ეგებება. რა არის ჩვენი ამ ზოგჯერ გაუცნობიერებელი სისარულის მიზეზი?**

— აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში ყველაზე დიდი სადღესასწაულო განწყობილებით აღდგომა აღინიშნება. დასავლეთის ეკლესიაში — კათოლიკეები, პროტესტანტები და ა.შ. უფლის ხორციელად შობას გაცილებით დიდი სადღესასწაულო განწყობილებით ეგებებიან, ვიდრე აღდგომას. ეს მას შემდეგ ხდება, რაც დასავლეთის ეკლესია გამოყოფს ქმშარიტ, მართლმადიდებელ ეკლესიას. გამიზიარდნენ ადამიანები და მათი რწმენაც გამიზიარდა. აღდგომის დღესასწაულის მნიშვნელობა, არსში ჩანვდომა მიუწვდომელი გახდა, სწორედ ამიტომ ხდება ასე. აღდგომის დღესასწაულზე იმხელა მაღლი იმკვიდრებს დედამინაზე, რომ ვინც ოდნავ მაინც არის ახლოს მართლმადიდებლობასთან, ქმშარიტ სარწმუნოებასთან, თუნდაც მხოლოდ ნათლისვრებით, შინაგანად განიცდის აღდგომის მაღლს და უხარია. ეს ქვეცნობიერად ადამიანისგან დანოკიდებულად ხდება. არსებობს ერთ-ერთი ყვავილი, რომელსაც ათდღიანი ყვავილობის პერიოდი აქვს და ეს პერიოდი აუცილებლად აღდგომის სადღესასწაულო დღეებს ემთხვევა — აღდგომის წინ ყვავდება და მთელი ბრწყინვალე შვიდულის მანძილზე ყვავის, რა დროსაც უნდა დაემთხვეს აღდგომა. თუკი დღესასწაულის მაღლს ბუნება გრონობს, მით უფრო მეტად იგრძნობს ღვთის უმაღლესი ქმნილება — ადამიანი.

— **რატომ აღინიშნება აღდგომის დღესასწაული სხვადასხვა დროს?**

— არსებობს აღდგომის დღესასწაულის გამოანგარიშების მეთოდი, რომელიც I და II მსოფლიო საეკლესიო კრებებზე დაანუსხა წმინდა მამებმა. მათივე სწავლებით, იმ დროს, როდესაც მაცხოვრის აღდგომა მოხდა, იყო პირველი აპრილი, იყო საესე მთვარე და იყო კვირადღე — ყველაფერი ეს თავმოყრილი იყო ერთმანეთში. ამდენად, როდესაც წლის განმავლობაში ეს პირობები ყველაზე მეტად უახლოვდება ერთმანეთს, აღდგომის დღესასწაულიც იმ კვირადღეს აღინიშნება. აღდგომის დღესასწაული არ უნდა დაემთხვეს ებრაელთა პასექს, რადგან ვიცით, რომ ქრისტეს აღდგომა „ძველი ალთქმის“ პასექის შემდეგ მოხდა. ამასთანავე, აღდგომა უნდა აღინიშნოს გაზაფხულის დღელამტოლობის შემდეგ.

— **რატომ ეწოდება აღდგომის დღესასწაულს პასექი?**

— სიტყვა „პასექი“ გამოსხნას ნიშნავს. ჩვენი ვიცი, რომ „ძველი ალთქმის“ პერიოდში დანუსე-

ბული იყო პასექის დღესასწაული ეგვიპტელთა მონობიდან ებრაელთა გამოსხნის ღირსასხსოვრად. „ძველი ალთქმის“ პასექი — გამოსხნა იყო აზრდით, წინასახე „ახალი ალთქმის“ პასექის — მაცხოვრის მიერ კაცობრიობის გამოსხნისა. სწორედ ეს არის ქმშარიტი პასექი, ქმშარიტი გამოსხნა.

— **აღბათ სწორედ აღდგომის დღესასწაულის — პასექის დღესასწაულიდან მომდინარეობს სააღდგომოდ საგანგებოდ გამოიქცევა, აფუფხული ტკბილი პურის — პასექის სასელნოება.**

— პასექს რამდენიმე სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ, იგი გოლგოთის სიმბოლოა. კაცობრიობის გამოსხნა — პასექი ხომ გოლგოთაზე მოხდა. ასევე პასექის თავი ზეცის, ტანის კი — დედამინის გამოსახულებაა: აღდგომით ხომ, ცა და დედამინა გაერთიანდა. ამასთანავე, პასექი პურია, უფალი კი ბრძანებს: „მე ვარ პური ზეცით გარდამოსული“. პურის აფუფხება ეფუძნება მაცხოვრის მიერ მოყოლილ იგავს სასუფეველის შესახებ — მან ხომ სასუფეველი, საფუფრინი ცოლს მიმსგავსა. სიტკბო კი იმ სიტკბოებაზე მიგვანიშნებს, რომელიც ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მოგვიტანა მაცხოვარმა და რომელიც ცათა სასუფეველში გველოდება.

— **რას გვეტყობს სააღდგომო ლიტანიობასთან დაკავშირებით? რა ხდება ამ დროს, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ამ მომენტს?**

— ლიტანიობის დროს ხდება სამგზის შემოვლა ტაძრის გარშემო, ნიშნად მაცხოვრის, სამი დღის განმავლობაში საფლავში ყოფნისა. სადღესასწაულო მსვლელობის დაწყებისას ტაძრის კარი დახშულია, ტაძარში ერთი ადამიანი რჩება (ტაძარი ქრისტეს საფლავს განასახიერებს, დახშული კარი კი — საფლავის კარს, რომელიც ჩაკეტილი იყო) ლიტანიობის დასრულების შემდეგ, უპირატესი მღვდელმსახური სამჯერ აკაკუნებს კარზე, ნიშნად იმისა, რომ მაცხოვრის საფლავის კარი სამი დღე იყო დახშული. ტაძარში მყოფი მცველი, რომელიც კარს ალგებს, სიმბოლურად განასახიერებს ანგელოზს, რომელმაც ლოდი გადააგორა და უფლის საფლავის დახშული კარი გახსნა. თვით კარის გაღება, უფლის აღდგომის განსახიერება.

— **აღდგომის ერთ-ერთ სიმბოლოდ კვერცხი მიიჩნევა. რას მიაჩნებს კვერცხის ფორმა, მისი ნითელი ფერი, ურთიერთგაცვლის ტრადიცია და სააღდგომო კვერცხების ერთმანეთზე დარტყმა?**

— კვერცხი აღდგომის, სიცოცხლის სიმბოლოა (ფორმით ზეცისა და მიწის ერთობას ანუ ადამიანის სამოთხეში დაბრუნებას გამოხატავს); როგორც კვერცხის უსიცოცხლო ნაჭიჭიდან იბადება სიცოცხლე, რომელიც საესებით დამალული იყო, ასევე საფლავში მყოფი ქრისტე აღსდგა სიკვდილ-

ისა და ხრწნილების საუფლოდან და მოგვანიჭა მარადიული სიცოცხლე. ქრისტეს აღდგომით დაიმსხვრა ჯოჯოხეთის ბჭენი — კვერცხის ერთმანეთზე დარტყმა სიმბოლურად, სწორედ ჯოჯოხეთის განხეთქებას, ჯოჯოხეთის ბჭეთა დამსხვრევას მიაჩნებებს. ასევე ნიშანია უფლის საფლავის კარის გახსნისა. კვერცხი დიდ პარასკევს იღებება, მზის ჩასვლამდე, რადგან სწორედ პარასკევს დაღვარა სისხლი მაცხოვარმა ჩვენი ხსნისთვის. სააღდგომო კვერცხის ნითლად შეღებვასთან დაკავშირებით, არსებობს საეკლესიო გარდამოცემა: ზეცად ამაღლებამდე უფალმა იესო ქრისტემ მოციქულები სხვადასხვა ქვეყანაში წარგზავნა, რათა ყველასთვის ეხარებინათ უფლის მკვდრეთით აღდგომა. საქდაგებლად წავიდა მარიამ მაგდალინელიც, მან, რამდენიმე ქვეყანაში იქადაგა. ბოლოს იტალიაში ჩავიდა იმპერატორ ტიბერიუსს წარუდგა, კვერცხი გაუწოდა და მიმართა: „ქრისტე აღსდგა!“ ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი განითლდებაო, — უთქვამს იმპერატორს. მოულოდნელად კვერცხმა მართლაც იწყო განითლება, ბოლოს კი სულ განითლდა. სააღდგომო კვერცხის ურთიერთგაცვლით ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას ვახარებთ, ისევე, როგორც მარიამ მაგდალინელმა გაუწოდა იმპერატორს კვერცხი და მიმართა — „ქრისტე აღსდგა!“ კვერცხის მენამული ფერი, უფლის ჯვარზე დაღვრილ სისხლსაც მიაჩნებებს, ასევე მენამული, ნითელი ფერი საქუფო ფერია და კვერცხის ნითლად შეღებვით ვადასტურებთ, რომ ზეციური მეუფე სუფევს.





გმა სან-დიეგოს ქუჩებიდან ჰოლივუდის ოლიმპის მწვერვალამდე

კამერონ დიასი 1972 წლის 30 აგვისტოს სან-დიეგოში (კალიფორნია) დაიბადა და მთელი ბავშვობა ამ ქალაქში გაატარა. გოგონას მამა ამერიკაში ემიგრირებული მექსიკელია, დედა კი ნახევრად — ინგლისელი, ნახევრად — გერმანელი ემიგრანტი. კამერონი და მისი უფროსი და, მოხულიგნო ბავშვები იყვნენ — „მეტალს“ უსმენდნენ, ბიჭებთან ერთად დასეირნობდნენ, ბილნსიტყვაობასა და ხელჩართულ ჩხუბსაც არ ერიდებოდნენ და ვაი მას, ვინც დებს აწყენინებდა!.. შვილების მუსიკალურ გატაცებას დედაც იზიარებდა და ვან ჰალენის, მეტალიკისა და ოზი ოზბორნის კონცერტებს ქალიშვილებთან ერთად ესწრებოდა.

იმ წლებში კამერონი მსახიობისა და მოდელის კარიერაზე არც კი ოცნებობდა. მას ზოოლოგია იტაცებდა. სახლში მთელი ზოოპარკი ჰქონდა და კატებს, ძაღლებს, ჩიტებს, თაგვებსა და გველებსაც კი უვლიდა, მაგრამ 16 წლის გოგონა ბედისწერამ ერთ-ერთ წვეულებაზე ფოტოგრაფ ჯეფ დიუნას შეახვედრა, რომელმაც კამერონს სამოდელი სააგენტოში Elite სამუშაო შესთავაზა... კამერონმა კონტრაქტი გააფორმა და მალე სარეკლამო რგოლებში გამოჩნდა. მისმა სახემ მოდური გამოცემები დაამშვენა და მალე გადაღების 1 დღეში 2.000-დოლარიან ჰონორარს იღებდა. სწორედ ამ პერიოდში გააბა ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობა ვიდუპოროდიუსერ კარლსონ დე ლა ტორესთან. მათი რომანი 5 წელიწადს გაგრძელდა.

დიასის კინოკარიერა სრულიად მოულოდნელად დაიწყო და თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა. ერთხელ კამერონი მისი მენეჯერის სამუშაო მაგიდაზე შემთხვევით, ფილმის — „ნილაბი“ (1994 წ.) — სცენარს გადააწყდა. გოგონას არანაირი სამსახიობო გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც სცადა და 12 მოსმენის შემდეგ როლი მიიღო! ფილმი, რომელშიც მთავარ როლს ჯიმ კერი თამაშობდა, ჰიტად გადაიქცა; პრესა ახალგაზრდა დებიუტანტზეც ალაპარაკდა და კამერონი წლის ყველაზე იმედისმომცემი მსახიობის ტიტულით დააჯილდოვა. ზოგიერთი სკეპტიკოსის ვარაუდით, დიასის კარიერა ამ როლს ვერ გასცდებოდა, მაგრამ მსახიობმა ამ აზრის გაქარწყლება გადაწყვიტა და სამსახიობო ოსტატობის გაკვეთილებზე სიარული დაიწყო. პარალელურად კი ფილმებში თამაშობდა და სერიოზული როლებით, უკვე ჩამოყალიბებული „ლაამაზმანის“ სტერეოტიპის დამსხვრევას ცდილობდა.

ფილმის — „მინესოტას შეგრძნება“ (1996 წ.) გადაღებების დროს კამერონმა მსახიობი მეტ დილანი გაიცნო. მათ შორის მხურვალე რომანი გაჩაღდა, მაგრამ საბოლოოდ, ეს ურთიერთობა უშედეგოდ დასრულდა. ფილმში — „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილი“ — ნათამაშებმა როლმა კამერონ დიასს უფრო მეტი პოპულარობა მოუპოვა. ამ სურათში კამერონმა თავად ჯულია რობერტსს გაუწია პარტნიორობა.

და მაინც, მიღწეული წარმატებების

ქრელის – W ვრიალა
გარეანი უგვანოვარსი ა-
გარონ დიასის ფობოსართმა
ლაგვანა. მომხივალა
ალაგობის, ახალგაზრდა
სახისა და საქალაური მიზიდ-
ვალობის წყალობით, 36 წლის
პარსკლავები ასაისთვის უჩუ-
ლოდ აარგად გამოიყარება.
გაითხვალს გვანახანათ, რომ
ცობა ხნის წინ, აგარონ დიასმა
ქრელისთვის – GQ საგაოდ
თაგამ ფობოსასიაში მიიღო
მონადილაობა.





მიუხედავად, დიასი კვლავ „მეორე პლანის“ მსახიობად რჩებოდა. სიტუაცია 1998 წელს შეიცვალა, როდესაც ევრანებზე წლის ყველაზე შემოსავლიანი კომედია — „ზოგი რამ მერის შესახებ“ — გამოვიდა. ამ სურათმა ამერიკელ მაყურებელთა გულები დაიპყრო, ხოლო



კამერონის თაყვანისმცემელთა რიგები უზომოდ გაიზარდა.

უდიდესი პოპულარობის მიუხედავად, კამერონი „ვარსკვლავურ ავადმყოფობას“ გადაურჩა. მსახიობი ჩვეულებრივ ბინაში ცხოვრობს, საყიდლებზე სახლთან ახლოს მდებარე მაღაზიებში დადის და იმას იცვამს, რაც მოსწონს.

მისი ბოლო ნამუშევრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ბლოკბასტერი გოგონებისთვის“, „ჩარლის ანგელოზები“ და განამურებული „ვანილის ცა“. ამ ფილმში შესრულებულმა როლმა კამერონს „ოქროს გლობუსის“ ნომინაცია („მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის“) მოუტანა. 2001 წელს მსახიობმა წლის ყველაზე პოპულარულ მულტფილმში — „მრეკი“ პრინცესას როლი გაახმოვანა.



აჭილ ლავინი და ღებუჯი უილნი „ამას“ პატარა მითბიღებლად აკეთებენ



საყოველთაოდ ცნობილია, რომ აჭილ ლავინმა ოჯახური იდილია პოვა და კარგა ხანია, რაც დერეკ უიბლისთან ქორწინებით ტკბება. ცოლ-ქმარი ერთმანეთისადმი სიყვარულს ისე ენაფება, რომ ქალაქის პარკში, გაოცებული გადიებისა და პატარებთან ერთად მოსეირნე დედიკოების თვალწინ ერთმანეთს მოურიდებლად ეალერსება!

ქეატა ღებუჯი — იტალიური სასამართლის წინაშე

ფრანგი კინოვარსკვლავი ჟერარ დეპარდიე იტალიის სასამართლომ 800 ევროთი დააჯარიმა. მსახიობს პაპარაცისტების ფიზიკური შეურაცხყოფა ედება ბრალოდ. თავად დეპარდიე სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა. ინციდენტი 2005 წლის 3 ოქტომბერს მოხდა. ჟერარ დეპარდიე თანამგზავრ ქალბატონთან ერთად, მაღაზიაში შევიდა. ჟურნალისტმა ფოტოსურათის გადაღება სცადა, მაგრამ... დაზარალებული პაპარაცი აცხადებს, რომ დეპარდიემ მას ანიშნა, ახლოს მისულიყო, შემდეგ კი მოულოდნელად თავს დაესხა და თავი ცხვირში ამოარტყა! მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ 2005 წელს ჟერარ დეპარდიე კიდევ ერთ სკანდალში აღმოჩნდა გახვეული, როდესაც ფრანგული ტელევიზიის ტოქშოუში მონაწილეობა და მთვრალ მდგომარეობაში მისულმა მსახიობმა ჟურნალისტს „სულელი“ და „იდიოტი“ უწოდა, რადგან მან კინოვარსკვლავის კულინარული წიგნი გააკრიტიკა...



ბილი სკოტის ახალი ფილმი

კინოსტუდიამ — Warner Bros. რიდილი სკოტი დრამის — The Kind One — რეჟისორად მიიწვია. ფილმის სცენარს, მწერალ ტომ ეპერსონის რომანის მიხედვით, თავად ავტორი გადაამუშავებს. სურათის სიუჟეტი 1930-იანი წლების ლოს-ანჯელესში ვითარდება. მთავარი გმირი — ამნეზიით დაავადებული ადამიანი გაარკვევს, რომ იგი The Kind One-ად („კეთილი“) წოდებული, დაქირავებული მკვლელისთვის მუშაობს; ამასთანავე, გმირს მისი ბოსის გოგონა შეუყვარდება, რომელიც განგსტერთა ინტერესებს ემსახურება... რიდილი სკოტის ახალ სურათში მთავარ როლს მსახიობი კეისი აფლექი ითამაშებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ის ფილმში — „როგორ მოკლა მსდამა რობერტ ფორდმა ჯესი ჯეიმსი“ — ნათამაშები როლისთვის 2007 წელს „ოსკარის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი.



ზურაბ ანჯაფარაძის ზოგადი სწავლება, დიდ პერიოდსა და დასავლეთსა და მის „პლანეტას ბარბარული“ ზედს ამიჯანაშობილი

„ის განსაკუთრებული მოვლენა იყო და სწორედ ამიტომ, მოსკოვის დიდი თეატრი და ყოფილი საბჭოთა სივრცე დაპყრობილი ჰქონდა... „აბესალომის სახით სცენაზე იდგა ნამდვილი ქართველი პრინცი“... „ქალები მასზე ცქუას კარგავდნენ, გამორჩეული ვაჟკაცობით შემკულს, მგონი, ვერც ერთი რუსი პრინციდან სელიდან ვერ დაუსხლტა“, — ასე იგონებს

გამორჩეულ საოპერო მომღერალს — ზურაბ ანჯაფარაძეს რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე.

აპრილში ბატონ ზურაბს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღის აღსანიშნავად, ოპერისა და ბალეტის თეატრში შემოქმედის კოლეგები, მეგობრები და მისი ნიჭის თავიანთისმცემლები შეიკრიბნენ. ერთ-ერთი საგანგებოდ ამ საღამოზე დასასწრებად, ცნობილი საოპერო მომღერალი გელამ გრიგორიანი ჩამოვიდა.



მანანა ბაბრიჭიძე

გიგა ლორთქიფანიძე:

— ზურაბ ანჯაფარაძე განსაკუთრებული მოვლენა იყო და სწორედ ამიტომ, ათწლეულების განმავლობაში მოსკოვის დიდი თეატრი და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცე დაპყრობილი ჰქონდა. იშვიათია, როცა ასეთ მომღერალს შესანიშნავი მსახიობური ნიჭიც აქვს. დაუფიქარია მისი აბესალომი, რომელიც კონსერვატორიის დამთავრებისას შესარულა: სცენაზე იდგა ნამდვილი ქართველი პრინცი, შუადარბეული, რომლის სრულყოფილების სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია... გასაოცარი სახეები შექმნა — რადამესის, გერმანის, ხოზეს და ასე შემდეგ. ბედნიერი ვარ იმით, რომ მოსკოვში ხშირად მიხდებოდა ყოფნა იმ პერიოდში, როდესაც ის და დათიკო გამრეკელი დიდ თეატრში მუშაობდნენ. ორივე, იუმორით საცხე პიროვნება იყო და ბევრი თავგადასავალიც ჰქონდათ, ერთი კი განსაკუთრებით დამამახსოვრდა: ზურაბ ანჯა-

ფარაძე და დავით გამრეკელი, კარგად შექციფიანებული, გვიან ღამით სახლში ტაქსით ბრუნდებოდნენ. მანქანაში სიმღერა ნამოინყეს და განგებ, ძალზე დამახინჯებულად მღეროდნენ. ტაქსის მძღოლი მელომანი აღმოჩნდა და შეეკითხა მათ, — სადაურები ხართო? — ქართველებო, — უბასუხეს. — მერე, ქართველები მუსიკალური ხალხია და თქვენ რატომ ხართ ასეთი უნიჭობით?! შუაღამეზე მძღოლმა მანქანა გააჩერა და შეუდგა სიმღერის სწავლებას. როცა იფიქრა, რაღაცა მაინც შევასმინეო, გზა განაგრძო. მაგრამ მათ სიმღერა ძველებურად განაგრძეს, ჩავლისას კი სავიზიტო ბარათები გაუწოდეს და მეორე დღისთვის, სპექტაკლები მიიწვიეს. ტაქსის მძღოლი გაგიჟდა, როდესაც სავიზიტო ბარათებში, მისთვის კარგად ნაცნობი გვარ-სახელები ამოიკითხა: მის წინაშე დიდი თეატრის ორი გამორჩეული სოლისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები იდგნენ!.. ზურიკომ შემდეგ მძღოლი მინ მიიწვია და დილაზე აქეფა... ზურიკომ მუდამ ქეიფობდა და მის ხმაზე არაფერი მოქმედებდა. ზამთარში მაცივრიდან წყალს მიირთმევდა და არც არაფრის შიში ჰქონდა, ალბათ იმიტომ, რომ იცოდა — მისი ხმა გულიდან ამოდიოდა. ბარ მომღერლისთვის დამახასიათებელი კაპრიზები ჰქონდა და ამიტომაც, განსაკუთრებულ ექსპლუატაციას უწევდნენ — ძალიან ბევრ სპექტაკლში აძლევდნენ. მოსკოვის დიდ თეატრში უბრალო სცენის მუშასაც კი განსაკუთრებულად უყვარდა. ხოლო ყველაზე ბედნიერი მამინ იყო, როცა იცოდა — მის მოსასმენად, დარბაზში ქართველი იჯდა. დიდი თეატრი დღესაც ცნობილია „კარნაჟილობით“, მაგრამ ზურაბ ანჯაფარაძის სახელით მისული ნებისმიერი ქართველისთვის,

ყველა კარი ღია იყო. ქალები მასზე ცქუას კარგავდნენ. მისი გამორჩეული გარეგნობისა და ვაჟკაცობის წყალობით, მგონი, ვერც ერთი რუსი პრინციდან ვერ დაუსხლტა სელიდან... ერთმანეთი სკოლაში სწავლის პერიოდში გავიცანი და შემდგომში ოჯახებით ვმეგობრობდით. ჩემი მონაფე იყო მისი უმცროსი ძმა, უნიჭიერესი პიროვნება — ჯემალ ანჯაფარაძე, რომელიც სამუშაოზე, ნადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან... დედა — ქალბატონი ალექსანდრა ნამდვილი ქართველი ხალხის განსახიერება გახლდათ. იგი ნადრევად დაქვრივდა, მაგრამ შვილებისთვის უმამობა არ უგრძობობინებია. ზურიკოს არც ერთი სპექტაკლი არ გაუცდენია და ყურადღებას არც მის მეგობრებს გვაკლებდა. ზურაბ ანჯაფარაძე-უმცროსი უნიჭიერესი პიროვნებაა. პირველად ლივანში ვნახე, სულ პატარა იყო, ცნობილ საოპერო არიებს შესანიშნავად რომ ასრულებდა. ზურიკო-უფროსი დარდობდა: პატარა ასე რომ მღერის, დიდობაში ხმაზე არ იმოქმედოსო. ახლა მან უკვე გადალახა რთული ასაკი და ქართველი ხალხის სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ ზურაბ ანჯაფარაძის სახე ისევ გამეორდება ქართულ საოპერო ხელოვნებაში.

მიღმა პირანაშვილი:

— ზურიკო ჩემთვის უსაყვარლესი ძმა, მეგობარი და პარტნიორი იყო. ერთმანეთს მუდამ ვუზიარებდით ჩვენს სიხარულს. ხელოვანი თვითკმაყოფილი ნაკლებად არის და რჩევასაც ხშირად ვეცითხებოდი. თვითონაც ასე იქცეოდა. გერმანის პარტიის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად იყო აღიარებული, არადა თავიდან, ამ პარტიის შესრულება გასძნელებია, რჩევა კი მამაჩემისთვის (გამორჩეული მომღერალი ვეტრე ამირანაშვილი. — ავტ.) უკითხავს. მამა ისწენებდა: როგორც კი ერთი მაგალითი უჩვენებ, მეტი აღარც დასჭირვდებაო... კონსერვატორია წარმატებით დავამთავრე, მაგრამ ერთი წელი თბილისის ოპერის თეატრში არ მიმიღეს. ზურიკომ მითხრა, — დაწერე განცხადება და „ფაუსტი“ მარგარიტას პარტიას იმღერებო. მართლაც, დაწერე და ზურიკომ ოპერის დირექტორთან, დიმიტრი მჭედლიძესთან წაიღო. მამინე ჩამრიცხეს დასში და დიმიტრი მჭედლიძის უსაყვარლესი მომღერალიც გავხდი... მამაჩემის საიუბილეო საღამოზე სცენაზე დიდი ეკრანი იყო დამონტაჟებული და უჩვენეს ნანყვეტი „აიღიდან“, სადაც აიდას პარტიას საკონცერტო შესრულებით ვმღეროდი. მე და ზურიკო კულისებიდან ვადევნებდით თვალს. უეცრად მომიბრუნდა და მითხრა: რა კარგი ყოფილხარ, მაგო, რანაირად „გადამირჩიო“?.. ქალები მართლაც, ძალიან უყვარდა. მოსკოვიდან დაბრუნებული, მეგობრებს ხშირად გვიყვებოდა თავისი რომანების შესახებ. ქუთაისში როცა ჩავიდოდით, გვერდიგვერდ ბინებში გაჩერება გვიხდებოდა. თეატრიდან სულ ათიოდ წუთით სავალზე იყო, მაგრამ ლაპარაკ-ლაპარაკით რომ გავუყვებოდით, ხშირად სახლამდე მისვლას ორი საათიც კი



ზურაბ ანჯაფარაძე განსაკუთრებული მოვლენა იყო



მხარებს შურაბ ანჯაფარიძე-უმცროსი მამის სსოვნას დიდი რუ-ღუნებით რომ ეპყრობა

ვუნდებოდით... მოსკოვიდან მისი დაბრუნება ჩემი დამსახურებაც იყო: საგასტროლოდ რომ ჩამოვიდოდა ხოლმე, ოპერასთან მილიციის ჯარი იდგა. ერთხელ ვუთხარი, — ვიდრე არ დაჩაჩანაკდები, არ გინდა, შენს სამშობლოში დაბრუნდემეთქი?... მის ოჯახში ინახება წერილები, რომლებსაც დიდი თეატრიდან უგზავნიდნენ და სინანულს გამოთქვამდნენ მისი წასვლის გამო... შურიკოს გარდაცვალება ჩვენთვის მესხის გავარდნასავით იყო. ჩემ მიერ შესრულებული არიით (მაროს დატირება „დაისიდან“) გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე. დღეს, მისი მეთულე — მარინა მაჭავარიანი ყველაფერს აკეთებს შურაბ ანჯაფარიძის სახელის უკვდავსაყოფად. შურაბ ანჯაფარიძე-უმცროსის შესანიშნავი ვოკალური მონაცემები აქვს, კარგი განათლების მიღებას აპირებს და საუკეთესო მომღერალიც დადგება.

მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძე

— მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს: წინანდალში ისვენებდა, ჩამობრძანდა, დაგვლოცა და უღამაზესი ჯვრები გვაჩუქა მე და შურაბ ანჯაფარიძე-უმცროსს. დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს საღამო მოაწყო, განსაკუთრებით, მის მთავარ ორგანიზატორს, შურაბის მეგობარს გურამ ქაშაკაშვილს. ამით მათ, ჩემს ოცნებას შეასხეს ფრთები. საიუბილეო საღამო მოსკოვის დიდ თეატრშიც გაიმართება, ოღონდ როდის, ჯერჯერობით არ არის დადგენილი... საბედნიეროდ, საქართველოში მრავლადაა ქუჩა და დანსებულებები, რომელიც შურაბ ანჯაფარიძის სახელს ატარებს: ქუთაისში მუსიკალური ათწლედიცაა და ქუჩაც; შესანიშნავი მუსიკალური სკოლაა ჭიათურაში, უღამაზესი სკვერი — ბორჯომში, მუსიკალური სკოლა — თბილისში, ბასტიონის ქუჩაზე. შურიკოს გარდაცვალების შემდეგ, ზუსტაფონში მისმა მეგობრებმა ძველი თვითმფრინავი გადაადნეს და გლობუსის ფორმის პატარა მუზეუმი მოაწყვეს (შურიკოს ზუსტაფონი განსაკუთრებულად უყვარდა და თვე არ გავიდოდა ისე, იქ რომ არ ჩასულიყო). ამ „გლობუსში“ არის შურიკოს ნივთები, მათ შორის, პატფონიცი. ძალიან მხარებს შურაბ ანჯაფარიძე-უმცროსი მამის სსოვნას დიდი რუღუნებით რომ ეპყრობა. მან უზარმაზარი შრომა გასწია, მამის კომპაქტდისკები რომ

გამოცემულიყო: დიდი ხნის განმავლობაში დადიოდა ოჯახებში და მიმოხეულ ფირფიტებს აგროვებდა, ზაფხულის გაუსაძლის სიცხეში იჯდა არქივებში და ქალაქის პატარა ნაგლეჯსაც კი, რომელიც მამამისის სახელს უკავშირდებოდა, უყრიდა თავს. იმედი მაქვს, საოპერო ხელოვნებაშიც იტყვის თავის სიტყვას... ხალხს განსაკუთრებულად უყვარდა შურაბ ანჯაფარიძე და ამ სიყვარულს დღესაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ. როცა მის საფლავთან მივდივარ, ყოველთვის მხვდება ყვავილები, რომლებიც უცხო ადამიანების მიერაა მიტანილი... შურიკოს ბევრი მეგობარი ჰყავდა, დავით გამრეკელთან კი განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდა. ჩემი დედამთილი იხსენებდა: ყოველდღე სადილს დათიკოს გემოვნების გათვალისწინებით ვაკეთებდი, იგი ქართულ კერძებს საიმოვნებით მიირთმევდა, ყველაზე მეტად კი საცივი უყვარდაო. ლეგენდარულ მომღერალს ყველგან დიდ პატივს სცემდნენ. როდესაც გარდაიცვალა და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს, შურიკო იმასაც კი განიცდიდა, — ეს რამხელა ქვა ადევს გულზე, ნეტავ, ხომ



შურიკო ჩემთვის უსაცხარლესი მამა, მეგობარი და პარტნიორი იყო

არ აწუხებს მის სულს?... საფლავზე ხშირად მიდიოდა და თან პატარა შურიკოც მიჰყავდა... აქვე არ შემიძლია, განსაკუთრებულად არ აღვნიშნო, თუ როგორ აუტკინა გული ჩვენს ოჯახს სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალებამ. ამ ქვეყნიდან მისი წასვლა ჩვენთვის აბოლოელი ადამიანის, ანჯაფარიძეების კიდევ ერთი ჩამომავლის დაკარგვას ნიშნავდა. ვერიკო ანჯაფარიძესთან შურიკოს სისხლით ნათესაობა არ აკავშირებდა, მაგრამ ძალიან ახლობლობდნენ. ერთხელაც, შურიკოს რომ უმღერია, დარბაზში დიდი ვერიკო მუწინშნავს, მასთან მისულა და უთქვამს, — არჩილის შვილიშვილი ვარო (მათი სოფლები სამეგრელოში გვერდივედრდ მდებარეობს და ოჯახების წარმომადგენლები ერთმანეთს იცნობდნენ) ვერიკოს ძალიან გახარებია და უპასუხია: ანჯაფარიძეები ჩვენს სიტყვას ვიტყვით ქართულ კულტურაში, ამ გვარის ერთი წარმომადგენელი დრამაში წავედი, შენ კი საოპერო ხელოვნებაში დაიპყრობ მწვერვალსო. ამის შემდეგ სულ სთხოვდა: „ქალბატონო ვერიკო“ კი არა —

„ვერიკო მამიდა“ დამიძახეო... უურნალისტები სულ მთხოვენ, — იქნებ, რაიმე ისეთი გაიხსენო, რაც არსად გითქვამსო. მეც ვიხსენებ დაუსრულებლად... ახლა კი გადავწყვიტე, წიგნი დავწერო. შურიკოსთან გატარებული ყოველი დღე სასიამოვნო მოგონებას წარმოადგენს. ეს ჩემთვის იქნება პირველი წიგნი, თორემ შურაბ ანჯაფარიძეზე მისმა მეგობრებმა უკვე ორი წიგნი გამოცემეს...

შურაბ ანჯაფარიძე-უმცროსი

— გადანყვეტილი მაქვს, ოპერის მომღერალი გავხდე. კარგად ვიცი, რამდენად რთული პროფესიაა, მაგრამ თუ კაცი მოინდომებს, შეუძლებელი არაფერია. რადამესის პარტია „აიდიდან“, ერთ-ერთი უსაცხარლესია ჩემთვის. მამის ჩანაწერებს თითქმის სულ ვუსმენ, ცუდი ხარისხის ჩანაწერები იყო და ზედმეტი ხმებისგან გაინჟინდა. ხრიალი მოაშორეს, მაგრამ ხრიალთან ერთად, მოშორდა ის სილამაზე, რომლითაც შურაბ ანჯაფარიძის ხმა გამოირჩეოდა. საბედნიეროდ, უკვე მოვახერხეთ ამ ჩანაწერების სრული რესტავრაცია. აღდგენილი ვარიანტი 12 აპრილს იხილა საზოგადოებამ... შურაბ ანჯაფარიძის სახელობის ფონდს ამიერიდან მე ვუხელმძღვანელებ. ფონდმა უკვე ბევრი გამოჩენილი ხელოვანი დააჯილდოვა შურაბ ანჯაფარიძის სახელობის ოქროს მედლით. ფონდის მთავარ მიზანს, შურაბ ანჯაფარიძის სახელის პოპულარიზაცია წარმოადგენს. მას არა მხოლოდ საქართველოსა და რუსეთში, არამედ ევროპის ქვეყნებშიც უნდა იცნობდეს ჩემი თაობა. სამწუხაროდ, მამაჩემის მოღვაწეობის პერიოდში საზღვრები ჩაკეტილი იყო. ცოტა ხნის წინ, ინტერნეტსაიტი შევქმენით, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება შურაბ ანჯაფარიძის ჩანაწერების მოსმენა, იმ წერილების გაცნობა, რომლებსაც ახლობლებს უგზავნიდა თუ ახლობლებისგან იღებდა... ძალიან მისარია, რომ მოსკოვლმა კინემატოგრაფისტებმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც 13 აპრილს ტელეარხ „კულტურის“ ეთერში გავიდა. სამომავლოდ კი მხატვრული ფილმის გადაღებაც იგეგმება, სადაც ახალგაზრდა შურაბ ანჯაფარიძეს მე განვსახიერებ. ვიცი, რადგან შურაბ ანჯაფარიძის შვილი ვარ, სცენაზე გამოჩენისთანავე დიდ ყურადღებას მივიპყრობ, მაგრამ ყველა სირთულის დასაძლევად მზად ვარ...



გადაწყვეტილი მაქვს, ოპერის მომღერალი გავხდე

დასაწყისი გვ. 19

რომ მანიაკის პირისპირ აღმოჩნდნენ, პანიკაში ჩაცვენილებმა, გაქცევა სცადეს, მაგრამ სადისტ ბოროტმოქმედს თავი ვეღარ დააღწიეს. გამოძიების ინფორმაციით, მილერმა მხოლოდ ერთი გოგონა გააუპატიურა, დანარჩენების მიმართ გარყვნილი ქმედებები ჩაიდინა. ვიდრე მანიაკი „ერთობოდა“, ერთ-ერთმა გოგონამ ფანჯრიდან გადახტომა და გაქცევა მოახერხა. ტრასაზე გასულმა კივილი მორთო, მაგრამ იმის გამო, რომ დილის 4 საათი იყო, მშველელი ვერაინ ნახა. რამდენიმე მეტრი გაირბინა და როგორც იქნა, იქვე მდებარე ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელს მიაწვდინა ხმა. როცა

ამ უკანასკნელმა შეიტყო, რაც ხდებოდა, მაშინვე პოლიცია გამოიძახა. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა მილერის სახლს ალყა შემოარტყეს, შემდეგ რამდენიმე პოლიციელი შიგ შეიჭრა. მანიაკს მათ თითქმის გონწასულ ბავშვებთან ერთად შეუსწრეს.

რიჩარდ მილერი მაშინვე დააკავეს, დაზარალებულები კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოზარდებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაც ჩაუტარდათ და სხეულზე სექსუალური ძალადობისა და ცემის კვალი დაუფიქსირდათ.

გასულ ორშაბათს ბრალდებული სასამართლოს წინაშე წარდგა. ბრალდების მხარემ მის წინააღმ-

დეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ეს ეპიზოდიც მიუმატა. ყველაფერთან ერთად, ის შინაპატიმრობის წესების დარღვევაშიც დაადანაშაულეს. სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, შინიდან გასვლის გარდა, მილერს 17 წლამდე მოზარდებთან ნებისმიერი სახის კონტაქტი ეკრძალებოდა. გამონაკლისი ამ მხრივ, მხოლოდ ბრალდებულის ქალიშვილი იყო...

სისხლის სამართლის საქმე 12 ეპიზოდს შეიცავს. მათ შორისაა, 6 წლის გოგონას მოტაცებისა და გაუპატიურების ფაქტიც. მილერი ამ დანაშაულს, ისევე, როგორც დანარჩენს, ჯერჯერობით კატეგორიულად უარყოფს.

მიშვიდეკლასელი გოგონების სასტიკი მკვლელობა 23 წლის მანიაკმა აღიარა

ზლატოუსტის №77 საშუალო სკოლის მიშვიდეკლასელი მოსწავლეების — ანა ლიუტიასა და ანა მოხნატკინას დაკრძალვის დღეს ქალაქში გლოვა გამოცხადდა. დაკრძალვის ხარჯები მთლიანად მერიამ გაიღო. გარდა ამისა, ქალაქის ხელმძღვანელობამ დაზარალებულ ოჯახებს დახმარების სახით, 150-150 ათასი რუბლიც გადასცა.

ბავშვების დასახიჩრებული გვაშები სამართალდამცველებმა მკვლელობიდან მეორე დღეს — 2008 წლის 2 აპრილს, ზლატოუსტის სასაფლაოსთან მდებარე ტყის მასივში იპოვეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, ორივე გოგონა სასტიკად იყო ნაცემი. ერთი მოახრჩვეს, ხოლო მეორე — ბასრი იარაღით, სავარაუდოდ, დანით მიყენებუ-

ზლატოუსტელი მანიაკი, რომლის შესახებაც „გზის“ წინა ნომერშიც ვწერდით, საზარელ დანაშაულში გამოტყდა და მიშვიდეკლასელი ბავშვების მკვლელობა აღიარა. მანიაკის ფოტორობოტი მილიციამ შემთხვევით, სასწაულებრივად გადარჩენილი პირველკლასელი გოგონას დახმარებით შეადგინა. ეჭვმიტანილი, მკვლელობიდან დაახლოებით 2 კვირაში დააკავეს. მის მიერ დანერხილი აღიარებითი ჩვენების გარდა, გამოძიებას სხვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებებიც აქვს. მანიაკი მოწმეებმაც ამოიცნეს...



კალეიდოსკოპი

სიქაჩლე ფიზიკური ნახლი არ არის

შოტლანდიაში უჩვეულო პროცესი გაიმართა. გლაზგოს შრომითი საქმეების სასამართლომ არ დააკმაყოფილა 61 წლის ჯეიმს კემპბელის სარჩელი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ სკოლაში ნორმალურად მუშაობაში ხელი ეშვებოდა და ამის მიზეზი — მისი სიქაჩლეა... ყოფილი პედაგოგი აცხადებს, რომ მოსწავლეები, მისი ნაკლის გამო გამუდმებით დასცილდნენ და ამცირებდნენ. საბრალო მასწავლებელი სკოლის შენობიდან მხოლოდ გვიან ღამით გამოდიოდა, რათა აბეზარ მოსწავლეებს არ გადაჰყოფოდა. სასამართლომ დაასკვნა, რომ კემპბელის სიქაჩლე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ნაკლი არ არის და შესაბამისად, ეს შემთხვევა ინვალიდთა დისკრიმინაციის შესახებ კანონის ფარგლებში არ განიხილება. კანონი, რომელიც ინვალიდთა განათლებისა და შრომითი მოწყობის უფლებებს იცავს, ბრიტანეთში 1995 წელს ამოქმედდა.



ლი ღრმა ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა. ექსპერტებმა ისიც აღნიშნეს, რომ ბავშვი ფაქტობრივად, აჩეხილი იყო. ჭრილობები სხეულის სხვადასხვა ადგილზე დაფიქსირდა, სასიკვდილო კი — გულმკერდისა და კისრის არეში მიყენებული დაზიანებები აღმოჩნდა.

საქმის მასალების მიხედვით, გოგონები კლასელები და ახლო მეგობრები იყვნენ. გაკვეთილების დასრულების შემდეგ, სკოლიდან ერთად გავიდნენ, მაგრამ რამდენიმე წუთით ჭიშკართან შეყოფდნენ. ისინი ანა ლიუტიას უმცროს დას — 7 წლის ლერას ელოდებოდნენ, რათა შინ წაეყვანათ. ლერას თქმით, სახლისკენ, როგორც ყოველთვის, ფეხით წავიდნენ. ამ დროს მათ უცნობმა მამაკაცმა დაუძახა და დახმარება სთხოვა. გოგონებიც გაჰყვნენ. გამოძიების ინფორმაციით, უცნობმა ისინი ტყისკენ წაიყვანა, იქ კი სამივეს, სათითაოდ, ცემა დაუწყო. როგორც ლერა ლიუტიას სიტყვებიდან



ირკვევა, უფროსი დისა და მოხნატკინას მკვლელობის შემდეგ, დანამომარჯვებული ბოროტმოქმედი მას მიუბრუნდა. ბავშვი გაიქცა, მაგრამ მკვლეული სასაფლაოს ტერიტორიაზე მანინც დაენია და დანა პირდაპირ ზურგში ჩაარტყა. გოგონა მაშინვე წაიქცა. ექსპერტების თქმით, მკვლელმა მას მსუბუქი ხარისხის ჭრილობები გულმკერდისა და კისრის არეშიც მიიყენა, რის შემდეგაც, გააუპატიურა. მერე იქვე მიატოვა, თავად კი მიიმალა.

მომავლადვი ბავშვი გამვლელმა იპოვეს. „იმ დროს მანქანით ვმოდრაობდი. საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ გზაზე მანინც დავინახე, ორ მოქალაქეს პატარა გოგონა როგორ მოჰყავდა. მაშინვე ვიფიქრე, რომ რაღაც უბედურება მოხდა. გავეჩრდი და იმ მამაკაცებს დავუძახე. მეც მათკენ წავედი. ბავშვს რომ დავხედე, მკვდარი მეგონა. სულ დასისხლიანებული იყო... სასწრაფოდ მანქანაში ჩავსვით და უახლოეს საავადმყოფოში მივიყვანეთ. ექიმებმა გოგონა მაშინვე რენანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. გვითხრეს, ორი წუთითაც რომ დაგეგვიანებინათ, უთუოდ მოკვდებოდა, ჩვენ ვერაფრით ვუშველიდითო“, — აღნიშნავს მოწმე.

ვლადიმერ მარკინი, საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი:
„ექვმიტანილი, ზღატოუსტის მკვიდრია. იმავე რაიონში ცხოვრობს, სადაც დანაშაული მოხდა. ჩხრეკისას მისი ბინიდან გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ბევრი ნივთი ამოვიღეთ, რომელსაც საქმეს, მტკიცებულების სახით დავურთავთ. თავიდანვე რამდენიმე ვერსიაზე ვმუშაობდით. მათგან სამი განსაკუთრებით გამოიკვეთა, მათ შორის — შურისძიების მოტივით ჩადენილი მკვლელობა. გადარჩენილი გოგონა ამბობს, რომ მაშინ, როცა მკვლეელი მის დას კისერში ხელებს უჭერდა, შურისძიებაზე ლაპარაკობდა. ეს თურმე რამდენჯერმე გაიმეორა. ახლა ვადგენთ, აქვს თუ არა რაიმე კავშირი ექვმიტანილის ლიუტაიების ოჯახთან. თავად დაზარალებული ოჯახის წევრები მასთან ნაცნობობას ან რაიმე სახის კავშირს უარყოფენ. ლერა ლიუტაიაც ამბობს, რომ ის კაცი იმ დღეს პირველად ნახა.

ამ ეტაპზე დადგენილია ექვმიტანილის ნასამართლეობის საკითხი: ნარსულში მან ქურდობისთვის და სხულის განზრახ, მიიმე დაზიანებისთვის მოიხადა სასჯელი. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლითაა აღძრული. დანაშაული სასჯელის ზომად, სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს“.

ბოროტმოქმედის ფოტორობოტის შედგენის შემდეგ, ოლქის გუბერნატორმა გამოძიების დახმარებისთვის, ნებისმიერი რეალური ინფორმაციის სანაცვლოდ, ფულადი ჯილდო — 500 ათასი რუბლი დაანწესა. რამდენიმე დღეში ჯილდო მილიონ-ნახევარ რუბლამდე გაიზარდა. მომხდარ ფაქტს არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც გამოეხმაურნენ. საზოგადოება შემფოთებულია ბოლო დროს

ქვეყანაში გახშირებული სადისტური დანაშაულით. შოკის მომგვრელი სტატისტიკა გამოაქვეყნა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომაც. ოფიციალური ცნობით, ბოლო 4 წლის მანძილზე ქვეყანაში სექსუალურ მანიაკთა, მათ შორის პედოფილთა რიცხვი 25-ჯერ გაიზარდა. ხალხი ეჭვობს, რომ ბევრია გაუხმაურებელი და გამოუვლენელი დანაშაულიც. სამართალდამცველები მოსახლეობას სიტუაციის კონტროლზე აყვანასა და ზომების მიღებას ჰპირდებიან. თუმცა მარტო აპრილის დასაწყისში, პრესითა და ტელევიზიით, მცირეწლოვანთა გაუპატიურების 15 ახალი ფაქტი გაშუქდა. მათგან 9 შემთხვევა მხოლოდ ერთი დღე-ღამის განმავლობაში — 1-ელ აპრილს დარეგისტრირდა.

ნომერი ინიციალი: 2 პრესბარი

კაპიტან პავლუნის პატივსაცემად

იყიდება

არსენალი

1000 მარტოული მარტოული

და პოლიციაში მარტოული

კაპიტან მონდის პატივსაცემად

„კონკრეტული საუბარები“

მხედართმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ჰვადიმირ სუხოდაევი



დასაწყისი იხ. „გზა“ №44-16

ნიგში „მოგონებები და განსჯანი“ მარშალი ჟუკოვი აღნიშნავს: „შუთქლებულია ყველა მათგანის ჩამოთვლა, ვინც სტალინის ნდობით სარგებლობდა. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ის კარგად იცნობდა მათ პირადად, აფასებდა, ცოდნისა და საქმისადმი თავდადებისთვის და, როცა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანა დადებოდა, მის გადაწყვეტას უპირველესად, სწორედ ამ ადამიანებს მიანდობდა ხოლმე“.

მაგრამ თემას — სტალინი და ცნობილი მხედართმთავრები — არაკეთილსინდისიერი ისტორიკოსები და პუბლიცისტები დღემდე ამახინჯებენ. ზოგი წერს, რომ მარშლები და სამხედრო მეთაურები ასწავლიდნენ სტალინს „ოპერატიული ხელოვნებისა და სტრატეგიის ანბანურ ქეშმარიტებს“ (ვოლკოგონოვი), სხვები ირწმუნებიან, რომ სტალინი გააუმჯობესებდა მთავარად სარდლებს და ანიოკებდა მათ ან სულაც ერთმანეთის სანინაღმდეგოდ განაწყობდა და ამის საილუსტრაციოდ, ჩვეულებრივ, ბერლინზე იერიშისთვის მზადებასა და ამ ბრძოლის მსვლელობას იშველიებენ. მსგავს ავტორებს მარშალ ჟუკოვის ერთ-ერთ გამოხატულებას შევასხენებთ: „გამიჭირდება და არცაა საჭირო, ბერლინის ოპერაციის მონაწილეთაგან განსაკუთრებულად გამოიყო ვინმე. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს გაშლილი ამ უდიდესი ფინალური ბრძოლის დროს, თითოეული საბჭოთა ჯარისკაცი შეუპოვრად იბრძოდა და პირ-

ნათლად ასრულებდა მისთვის მიწოდებულ ამოცანას, ძალებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური დაძაბვის ხარჯზე. საერთოდ, სხვადასხვა ოპერაციაში მიმდინარე ბრძოლის დროს მონაწილედგის განადგურება — მთელი კოლექტივის საქმე, საერთო საქმეა. ის, ვინც ცდილობს, კოლექტივზე მალა დადგეს, ან ის, ვისაც სურს, ვინმე ამაღლოს მასზე, ცრუობს“.

აუცილებელია, ყველაფერი ითქვას, რათა არ მოხდეს სტალინის მხედართმთავრული მოღვაწეობის დამცირება. როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ და იმავდროულად, პარტიის ცკას გენერალურმა მდივანმა და მთავრობის თავმჯდომარემ, სტალინმა უდიდესი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის სამინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხის გადანყვეტაში. მოკლედ რომ ვთქვათ, ის წყვეტდა უამრავ ისეთ პრობლემას, რომელიც არ შედიოდა სამამულო ომის მხედართმთავართა კომპეტენციაში, თუნდაც ეს მხედართმთავრები ჟუკოვის, როკოსოვსკის, ვასილევსკის, კონევის დონის ყოფილიყვნენ. რაც მთავარია, ისინი ბელადთან ერთად ქმნიდნენ სამამულო ომის სტრატეგიასა და ტაქტიკას და ამის წყალობით, ნითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებულის ავტორებად მოგვევლინენ.

1945 წლის 24 მაისს საბჭოთა კავშირის მთავრობამ ნითელი არმიის ჯარების სარდალთა პატივსაცემად, კრემლში მიღება გამართა. მიღებაზე სიტყვის ნარმოთქმისას სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა ხალხის და უპირველესად კი რუსი ხალხის, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი ერებისგან ყველაზე გამორჩეული ერის, დამსახურება..

1945 წლის მაისის ბოლოს, ბელადის წინადადებით, გადაწყდა, რომ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად, მოსკოვში ჩატარებულიყო გამარჯვების ალღუმი, რომელშიც ყველა გმირსა და გამორჩეულ მებრძოლს — ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ოფიცრებს და გენერლებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

„ამ იდეას, — იგონებდა ჟუკოვი, — ყველამ მსურვალედ დაუჭირა მხარი, თან მაშინვე შეჰქონდათ მთელი პრაქტიკული წინადადებები... როგორც მახსოვს, 18-19 ივნისს უმაღლესმა მთავარსარდალმა თავისთან აგარაკზე გამოიძახა. მან მკითხა, ხომ არ გადავეჩვევ ცხენზე ჯირითს?“

— არა, არ გადავეჩვევივარ.
— ჰოდა, გამარჯვების ალღუმის მიღება მოგიწევთ. ალღუმს როკოსოვსკი უსარდლებს.
მე ვუპასუხე:
— გმადლობ ასეთი პატივისთვის, მაგრამ

უმჯობესი ხომ არ იქნება, ალღუმი თავად რომ მიიღოთ? უმაღლესი მთავარსარდალი ბრძანდებით, ალღუმის მიღება თქვენი უფლებაცაა და მოვალეობაც.

სტალინმა მიპასუხა:
— ალღუმების მისაღებად, უკვე მოვხუცდი. თქვენ მიიღეთ, თქვენ უფრო ახალგაზრდა ხართ“.

ამასვე გვიამბობს როკოსოვსკიც: „როცა მთელი მოსამზადებელი სამუშაო შესრულებული იყო, გაიმართა თათბირი, რომელზეც ფრონტების სარდლები იყვნენ მონაწილე. მათ მიანოდეს ინფორმაცია ალღუმის რიტუალის შესახებ. ღიად დარჩა ერთი საკითხი: ვინ მიიღებდა გამარჯვების ალღუმს და ვინ უსარდლებდა მას.“

ერთიმეორის მიყოლებით გამოსულ მარშლებს შემოჰქონდათ ერთი და იგივე წინადადება — გამარჯვების ალღუმი ამხანაგმა სტალინმა უნდა მიიღოს.

ბელადი, როგორც ეს მას სჩვეოდა, კაბინეტში ბოლთას სცემდა, ყურადღებით უსმენდა გამომსვლელებს და თანდათან იღუმებოდა. შემდეგ, მაგიდასთან მივიდა.

— ის, ვინც გამარჯვების ალღუმს მიიღებს, ნითელ მოედანზე ცხენით უნდა შემოვიდეს. მე კი მოხუცი ვარ და ცხენის გაჭენებას ვერ მოვახერხებ.

ყველამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეთ:

— რა აუცილებელია ცხენი? აშშ-ის პრეზიდენტი რუზველტიც უმაღლესი მთავარსარდალია, მაგრამ ალღუმებს მანქანაში მჯდარი იღებდა.

სტალინმა ჩაიღიმა.

— რუზველტი აქ რა მოსატანია? მას ფეხები ჰქონდა პარალიზებული, მე კი მადლობა ღმერთს, ფეხები არ მანუხებს... ჩვენ ასეთი ტრადიცია გვაქვს — ნითელ მოედანზე ცხენით გამოსვლა. — და კიდევ ერთხელ, ხაზგასმით თქვა: — ტრადიცია! — პაუზის შემდეგ მე და ჟუკოვს გადმოგვხედა და დასძინა:

— ჩვენ გვყავს ორი მარშალი-კავალერისტი — ჟუკოვი და როკოსოვსკი. ჰოდა, ერთერთი მათგანი ალღუმს უსარდლებს, მეორე კი ამ ალღუმს მიიღებს“.

უმაღლესი მთავარსარდალის — სტალი-



ქანდაკება
ტრებტოფ-
პარკვი

ნის ბრძანებით, 1945 წლის 24 ივნისს მოსკოვში, ნითელ მოედანზე, მოქმედი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და მოსკოვის გარნიზონის ჯარების ალლუმი — გამარჯვების ალლუმი გაიმართა.

სტალინის გვერდით მავგოლოეუმის ტრიბუნაზე ჟუკოვი იდგა. როცა ძლიერი წვიმა წამოვიდა, ჟუკოვს სურდა, ლაბადა მოეხურა. სტალინი გაუნძრევლად იდგა, ყურადღებას არ აქცევდა წყლის ნაკადს, მისი ქუდიდან რომ მოედინებოდა. როდესაც ეს შეინშნა, ჟუკოვმა ხელი აიღო განზრახვაზე. იქვე მდგომმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა და სამხედრო მეთაურებმაც გადამწყვიტეს, ყურადღება არ მიექციათ დროებითი უსიამოვნებისთვის.

სტალინის რჩევით, ბერლინში დაბრუნებულმა ჟუკოვმა მიმართა მოკავშირეებს წინადადებით, ფაშისტურ გერმანიაზე საერთო გამარჯვების აღსანიშნავად, სექტემბერში, რაიხსტაგისა და ბრანდენბურგის ქიშკრის სიახლოვეს ოთხი სახელმწიფოს ალლუმი გაემართათ. სახელმწიფოთა მთავრობები ამ წინადადებას დათანხმდნენ, მაგრამ ალლუმის წინადადეს აცნობეს, რომ მოკავშირე ჯარების მთავარსარდალებს არ შეეძლოთ ბერლინში ჩასვლა და მათ ნაცვლად, მოადგილეებს აძლევდნენ უფლებას, მონაწილეობა მიეღოთ ალლუმში. როცა ჟუკოვმა ამის შესახებ ბელადს მოახსენა, მან ამაში, ანტიპოლიტიკური კოალიციის ჯარების ალლუმის მნიშვნელობის დაჭინება დაინახა. საქმე ისიც გახლდათ, რომ ამ დროს საბჭოთა არმია მის შეიარაღებაში ახალი საბრძოლო ტექნიკის საჩვენებლად ემზადებოდა. სტალინმა უბრძანა ჟუკოვს, თვითონ მიეღო ალლუმი. მოკავშირე ჯარების მაღალჩინოსან მეთაურთათვის ნაჩვენებ ტანკებსა და იარაღის სხვა უახლესი ნიმუშების ჩვენება ერთგვარი გაფრთხილება იყო იმ შემთხვევისთვის, თუ დასავლელი პოლიტიკოსები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რაიმე ახალი ავანტიურის წამოწყებას დააპირებდნენ...


1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეებმა ტოკიოში ხელი მოაწერეს აქტს უპირობო კაპიტულაციის შესახებ.

1945 წელს პოლიტიკოსების წინადადებით, სტალინს, დიდ სამამულო ომში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის ნოდება მიენიჭა. ამასთანავე, იგი დაჯილდოვდა „გამარჯვების“ მეორე ორდენით და საბჭოთა კავშირის გმირის ნოდებაც მიენიჭა.

გენერალისიმუსის ნოდების მიღების საკითხი რამდენჯერმე იყო განხილული და ყოველ ჯერზე ბელადი არწმუნებდა გარშემო მყოფთ, რომ ეს არ უნდა გაეკეთებინათ. მხოლოდ საქმეში როკოსოვსკის ჩარევით შემდეგ დათანხმდა, როდესაც მარშალმა უთხრა: „ამხანაგო სტალინ, თქვენც მარშალი ხართ და მეც მარშალი ვარ, თქვენ მე ვერ დამსჯით!“

სტალინი იმაზეც ძლივს დაიყოლიეს, რომ „გამარჯვების“ მეორე ორდენით მისი დაჯილდოება აუცილებელი იყო. საბჭოთა კავშირის გმირის ნოდებაზე ბელადმა გადაჭრით თქვა უარი. „მე არ შევეფერები საბჭოთა კავშირის გმირის სტატუსს, — თქვა მან. — არანაირი გმირობა არ ჩამიდენია“.

თუმცა მხატვრები სტალინს ორი ვარსკვლავით ხატავდნენ ხოლმე — სოციალისტური შრომის გმირისა და საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავებით, მაგრამ გმირის ოქროს ვარსკვლავი მუდმივად, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ჯილდოთა განყოფილებაში ინახებოდა. რაც შეეხება სოციალისტური შრომის გმირის ნოდებას, რომელიც მას დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭა, ოქროს ვარსკვლავი ახალდაუთოებულ კიტელზე მისმა ქალიშვილმა — სვეტლანამ მიამაგრა და რადგან აღმოსავლეთში არსებობს ჩვეულება, — რაც ქალმა გააკეთა, უცვლელად უნდა დარჩეს, — სტალინსაც ეს ვარსკვლავი სიცოცხლის ბო-



მოქანდაკე ვუჩტიჩი

ლომდე აღარც მოუხსნია...

გადანყდა, რომ ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის გამარჯვების აღსანიშნავად, ბერლინის ტრეპტოვ-პარკში აღმართულიყო სკულპტურული ანსამბლი-ძეგლი. საბჭოთა მთავრობის დადგენილებით, ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელად დაამტკიცეს მოქანდაკე ვუჩტიჩი, რომელმაც სამამულო ომის წლებში გრძელი და ხიფათით აღსავსე გზა გაიარა — მოხალისე ჯარისკაციდან ბატალიონის მეთაურამდე. ვუჩტიჩი ჰყვებოდა, რომ 1945 წლის აგვისტოში ვოროშილოვმა მას ასეთი რეკომენდაცია მისცა:

„— ცოტა ხნის წინ, გამარჯვებულთა პოტსდამის დეკლარაციას, საბჭოთა ხალხის სახელით, ამხანაგმა სტალინმა მოაწერა ხელი. ეს ნიშნავს, რომ ანსამბლ-ძეგლის ცენტრში სტალინის ფიგურა უნდა იყოს გამოქანდაკებული. ძეგლი ბრინჯაოსგან უნდა დამზადდეს და ბელადს ევროპის ან გლობუსის ნახევარსფეროს გამოსახლება უნდა ეპყრას ხელთ“.

ვუჩტიჩმა შესაბამისი ესკიზი გააკეთა. მაგრამ მასთან ერთად, კიდევ ერთი ესკიზი მოამზადა — „ჯარისკაცი-განმათავისუფლებელი“, რომელიც შთააგონა ნამბობმა იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა საბჭოთა ჯარისკაცმა, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ბერლინის შტურმის დროს, გერმანელი გოგონა. ორივე ესკიზი მოსკოვის კრემლის ერთ-ერთ დარბაზში გამოფინეს. მოქანდაკის ნამუშევრის სანახავად, ბევრი ხალხი მივიდა. ყველანი გენერალისიმუსის მეტრნახევრის სკულპტურულ ფიგურასთან შეიკრიბნენ და ხმამაღლა გამოთქვამდნენ აღფრთოვანებას ამ ნამუშევრით. ჯარისკა-

ცის ფიგურას, რომელიც გოგონასთან ერთად იყო გამოქანდაკებული, თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ. გამოჩნდა სტალინი. მან აუქანებლად შემოუარა გარს ესკიზებს. შემდეგ მოქანდაკისკენ შებრუნდა და ჰკითხა:

„— მომისმინეთ, ვუჩტიჩი, არ მოგებუნდათ ეს... ულვაშიანი?.. — მან მუნდშტუცი ბელადის მეტრნახევრის ფიგურის სახეს მიაშვირა.“

— ეს ჯერ კიდევ ესკიზია... — სცადა ვილაკამ მოქანდაკის გამოსარჩლება.

— მართალია, ავტორმა კონტუზია მიიღო ფრონტზე, მაგრამ მეტყველების უნარი არ დაუკარგავს, — შეანყევტინა სტალინმა და მზერა ცელოფანის ქვეშ მოთავსებული ფიგურას მიაპყრო: — ეს რა არის?

— ესეც ესკიზია, — უპასუხა ვუჩტიჩმა.

— არის და... თითქოს არც არის... — შენიშნა სტალინმა. — მაჩვენეთ...“

ვუჩტიჩმა ჯარისკაცის ფიგურას ცელოფანი მოხსნა. სტალინმა ტუნნად გაიღმა და თქვა:

— აი, სწორედ ამ ჯარისკაცს დავდგამთ ბერლინის ცენტრში, მაღალ ბორცვზე... დაე, ბრინჯაოში გამოკვეთილ ამ გოლიათს, გამარჯვებულს ჰყავდეს გოგონა გულზე მიხუტებული — როგორც ფაშისტებისგან გათავისუფლებული ერის ნათელი იმედი!

შემდეგ დაუმატა:

— ოლონდ იცოდეთ, ვუჩტიჩი: ავტომატი, რომელიც ჯარისკაცს ხელში უჭირავს, რაღაცნით უნდა შეცვალოთ. ავტომატი ჩვენი დროის უტილიტარული საგანია, ძველი კი საუკუნეების განმავლობაში იდგება. ხელში მას რაიმე, სიმბოლური მიეცით — ვიქვით, ხმალი, მძიმი, სოლიდური. ამ ხმლით ჯარისკაცმა ფაშისტური სვასტიკა გაანადგურა. მართალია, ხმალი დაშვებული აქვს, მაგრამ ვაი იმას, ვინც ამ გოლიათს აძოლებს, კვლავ აღმართოს ეს ხმალი!.. მეთანხმებით?

— ცოტა მადროვეთ, რომ მოვიფიქრო, — უპასუხა ვუჩტიჩმა.

— ფიქრი არავის ეკრძალება. იფიქრეთ. წარმატებას გისურვებთ... სანინალმდეგო აზრი არ მქმის... ვფიქრობ, არცაა საჭირო...“

სტალინმა მაგრად ჩამოართვა ხელი ვუჩტიჩის“.

ასე შეიქმნა ყველასთვის კარგად ცნობილი, ოცდაათმეტრის ბრინჯაოს „ჯარისკაცი-განმათავისუფლებელი“, რომელიც ლაბადაშია გამოწყობილი, თავშიშველი დგას და ჩემით თელავს დამარცხებულ და განადგურებულ სვასტიკას; მარცხენა ხელით კი მტკიცედ უჭირა მკერდზე მიხუტებული გოგონა, ხოლო დაბლა ჩამოშვებულ მარჯვენა ხელში მძიმი ხმალი უჭირავს.

„საბჭოთა არმიის მეგრძოლთა ძეგლი, რომელიც ფაშისტებთან ბრძოლის დროს დაუცვენ“ 1949 წლის 8 მაისს გაიხსნა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ 1937 წელს ჰიტლერს სურდა, ამ ადგილას, ტრეპტოვ-პარკში დაედგა ძეგლი, რომელიც მის ეპოქას განადიდებდა. ანსამბლი უნდა დაესრულებინა გამარჯვების სასახლეს. ათასობით დამუშავებული ელემენტი, რომელიც ნაციონალური მემორიალისთვის მზადდებოდა, საბჭოთა არმიის ძეგლ-ანსამბლის მოსაპირკეთებლად გამოიყენეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ახალკაცი არველაძესა და ივანკოვიჩს შეხვდა, ხოლო ქეცბაიას კვიპროსზე ეწვია

მათაუსისა და ვან გაალის ვარიანტი გამოირიცხა

ლამა თაბაბარი



შოთა არველაძე

საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან გერმანელი კლაუს ტოპმოლერის დათხოვნის შემდეგ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ახალი მწვრთნელის მოსაძებნად ევროპას მიაშურა.

როგორც აღმოჩნდა, ფედერაციის ჩინოვნიკები გუნდში მოსაწვევად, არა მხოლოდ უცხოელი მწვრთნელების, არამედ ქართველი სპეციალისტების კანდიდატურებსაც განიხილავენ. კერძოდ, ნოდარ ახალკაცმა ნაკრების თავკაცობა შოთა არველაძეს და თემურ ქეცბაიასაც შესთავაზა.

„შოთა არველაძესთან ხანგრძლივი საუბარი გვექონდა. განვიხილეთ ყველა შესაძლო ფორმა, ეროვნულ ნაკრებში მისი აქტიური მოღვაწეობის შესახებ. ჩვენი შეთავაზება მრავალფეროვანი იყო. არველაძემ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა“, — განაცხადა ახალკაცმა.

ჩვენს კითხვაზე, — აღნიშნულ შეთავაზებებში ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელობა თუ იგულისხმებოდა? — ფედერაციის პრეზიდენტმა გვიპასუხა: ცხადია, ეს საკითხიც შედისო.

35 წლის შოთა არველაძე მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, აქტიურ საფეხბურთო მოღვაწეობას ასრულებს და 3 ივნისს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მისი გამოსათხოვარი მატჩი შედგება. მასში ერთმანეთს საქართველოს ნაკრები და არველაძის მეგობრების გუნდი დაუპირისპირდებიან.

ქართველი ფეხბურთელი თბილისში ისეთი ცნობილი ვარსკვლავების მონჯევას აპირებს, როგორებიც არიან: ლუიშ ფიგუ, პაოლო მალდინი, ედგარ დევიდსი, მიქაელ ლაუდრუპი, რონალდ დე ბური, ფრანკ დე ბური, არტურ ნუმანი, აარონ

ვინტერი, რობ ვიჩგი, ბარი ფერგიუსონი, დანი ბლინდი, შტეფან კლოსი, პატრიკ კლუვერტი და ბარი ფერგიუსონი.

გარდა ამისა, შოთამ ცნობილი პოლანდიელი სპეციალისტი, ლუის ვან გაალიც დაპატიჟა.

სანაკრებო თემას თუ დავუბრუნდებით, თემურ ქეცბაიას მთავარ მწვრთნელად მონჯევის თაობაზე, ახალკაცმა ასეთი რამ თქვა:

„ქეცბაიასთან მხოლოდ სატელეფონო საუბარი გვექონდა და სავიზო პრობლემის გამო, მასთან პირისპირ შეხვედრა ვერ მოხერხდა. თუმცა ჩვენ კვიპროსზე აუცილებლად ჩავალთ და სანაკრებო თემაზე ქეცბაიას დეტალურად დავლაპარაკებთ. ისევე, როგორც არველაძის შემთხვევაში, მზად ვართ, საქართველოს ნაკრებთან ყველა ფორმით მისი თანამშრომლობის საკითხი განვიხილოთ“.

ამჟამად, ქეცბაია კვიპროსის „ანორთოსისის“ მთავარი მწვრთნელია და წელს გუნდს ქვეყნის ჩემპიონობა მისი არსებობის ისტორიაში მეცამეტედ მოაგებინა.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველი მწვრთნელების გარდა, ფედერაციის პრეზიდენტი ჩვენს ქვეყანაში უცხოელის ჩამოყვანის ვარიანტსაც განიხილავს. ამ მიზნით, იგი ლუბლიანაში ხორვატ სპეციალისტ ბრანკო ივანკოვიჩს შეხვდა.

„ივანკოვიჩთან შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა. გვანტირებდა — მისი შეხედულება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მუშაობასთან დაკავშირებით ჩვენს მოთხოვნებს რამდენად შეეფერებოდა. შემძღია გითხრათ, რომ საქართველოში ჩამოსვლა ივანკოვიჩს



ბრანკო ივანკოვიჩი



თემურ ქეცბაია

ნამდვილად აინტერესებს. ამ სპეციალისტთან კიდევ ერთი შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი, რომელზეც უკვე კონკრეტული საუბარი იქნება“, — განაცხადა ახალკაცმა.

ივანკოვიჩი 1997-1999 წლებში ხორვატიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის, მიროსლავ ბლაჟევიჩის პირველი ასისტენტი იყო. 1998 წელს მან საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრებთან ერთად, ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. 2003-2006 წლებში, ირანის ეროვნული გუნდის თავკაცი გახლდათ, ხოლო 2006-2008 წლებში — ზაგრების „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი.

ნოდარ ახალკაცის თქმით, ქართული მხარე ნაკრების თავკაცის პოსტზე ლოთარ მათეუსის და ლუის ვან გაალის კანდიდატურებსაც განიხილავდა, მაგრამ ეს ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა.

„ჩვენ კონტაქტი გვექონდა ლოთარ მათეუსთან, მაგრამ სამწუხაროდ, მან პრაქტიკულად, დაასრულა მოლაპარაკებები ისრაელის კლუბ ნეთანიას „მაკაბისთან“ და საქართველოში მისი ჩამოსვლა გამოირიცხა“, — თქვა ახალკაცმა.

ვან გაალთან დაკავშირებით კი მან შემდეგი განაცხადა:

„ვალენსიაში შოთა არველაძესთან ვიმყოფებოდი და ცხადია, ლუის ვან გაალის თაობაზე გვექონდა ლაპარაკი. თუმცა, ვან გაალმა „ალკმაარში“ დარჩენა გადაწყვიტა და შესაბამისად, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად მისი დანიშვნა აღარ მოხდება“.

გარდა ამისა, ახალკაცმა გვაუწყა, რომ ეროვნული გუნდის ყოფილი მეორე მწვრთნელი — გია გურული ფედერაციას, ფრანგ სპეციალისტებთან კონტაქტის დამყარებაში ეხმარება.

იქაური მწვრთნელებიდან ერთ-ერთი, რომლის კანდიდატურაც გურულმა ქართულ მხარეს შესთავაზა, ფაჯ სანტინია.

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს სერბი სპეციალისტი განვრთნის

მას შემდეგ, რაც გასულ შემოდგომაზე „ბ“ დივიზიონში მყოფმა, საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა „ა“ დივიზიონის საგზურის მოპოვება ვერ შეძლო, გუნდიდან მთავარი მწვრთნელი — კენ შილდსი დაითხოვეს. მის მაგივრად, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ სერბი სპეციალისტი იგორ კოკოშკოვი დანიშნა.

ლამა თაბაგარი

ეროვნული გუნდის ახალი თავაპცი, 1971 წლის 17 დეკემბერს ბელგრადში დაიბადა. 1993 წელს ამავე ქალაქის უნივერსიტეტი დაამთავრა. კოკოშკოვი კალათბურთს თავადაც თამაშობდა, ტრავმა მიიღო და იმულებული გახდა, დიდი სპორტისთვის თავი დაენებებინა. სამაგიეროდ, იუგოსლავიური კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახდა. 1995 წელს, 24 წლის კოკოშკოვი კლუბ „ბელგრადს“ ჩაუდგა სათავეში. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, მან სერბია-ჩერნოგორიის იუნიორთა ნაკრებში იმუშავა. 1999 წელს კოკოშკოვი აშშ-ის სტუდენტურ ლიგაში (NKAA) მოსპარეზე საუნივერსიტეტო გუნდის სამწვრთნელო შტაბში შეიყვანეს. ის პირველი არაამერიკელი მწვრთნელი აღმოჩნდა, რომელიც NKAA-ში მოხვდა. 2000 წელს სერბი „ლოსანჯელეს კლიპერსის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ დაინიშნა და ამ შემთხვევაშიც, პირველი არაამერიკელი გახდა, რომელიც NBA-ს კლუბის სამწვრთნელო შტაბში მოხ-

ფედერაციამ კონტრაქტი „დეტროიტ პისტონსის“ მწვრთნელს გაუფორმა

ვდა. 2003 წლიდან კი იგორ კოკოშკოვი „დეტროიტ პისტონსში“ მთავარი მწვრთნელის, ფლიპ სონდერსის ასისტენტია.


2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებსა და 2005 წლის ევროპის ჩემპიონატზე, სერბია-ჩერნოგორიის ეროვნულ გუნდში მთავარი მწვრთნელის — ჟელკო ობრადოვიჩის თანაშემწე იყო.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ იგორ კოკოშკოვს ხელშეკრულება 2+2 გაუფორმა: პირველი ორი წლის განმავლობაში მას ეროვნული გუნდის „ბ“-დან „ა“ დივიზიონში გაყვანა დაუსახეს. თუ სერბი მწვრთნელი აღნიშნულ ამოცანას შეასრულებს, მაშინ ჩვენს გუნდში კიდევ ორი წელი იმუშავებს.

აღსანიშნავია, რომ კოკოშკოვი ქართველებს მხოლოდ სამი თვის განმავლობაში — ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში განვრთნის — ანუ მაშინ, როდესაც NBA-ში შესვენებაა. დანარჩენ დროს ის „დეტროიტ პისტონსში“ გაატარებს.

თავად კოკოშკოვი თბილისში ჯერჯერობით არ ჩამოსულა და კალათბურთის ქართველი გულშემატკივრებისადმი მიმართვა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მეშვეობით გაავრცელა:

„მე განვაცხადე თანხმობა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე და მჯერა,



რომ ეს ახალი გამოწვევა იქნება. დიდხანს არ მიიფიქრია იმაზე, დავთანხმებულიყავი თუ არა ამ შემთავაზებას, რადგან ვიცი, თურას ელიან ეროვნული გუნდისგან საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და ნაკრების გულშემატკივრები. ვიცი, რომ საქართველოში ბევრს გული დასწყდა, შესარჩევ ციკლში ნაკრების წარუმატებლობისა და იმის გამო, რომ ერთი დივიზიონით მაღლა ვერ ავიდა. ჩემი მიზანია, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების გაყვანა. ნაკრების ბევრი მოთამაშე ევროპის სხვადასხვა კლუბში და ამერიკაში გამოდის, რამაც მათ შესახებ საკვებით საკმარისი წარმოდგენა შემიქმნა. ჩემი აზრით, გუნდური სულისკვეთება და საქმისადმი ნაკრების თითოეული მოთამაშის პოზიტიური დამოკიდებულება ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება. ჩემი მიზანია სწორედ ესაა — ნაკრებში და მის ირგვლივ დადებითი ატმოსფერო შევქმნა.

ჩემი ამოცანაა, შევარჩიო საუკეთესო მოთამაშეები, რომლებსაც ეროვნულ გუნდში ასპარეზობის დიდი სურვილი ექნებათ. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ახალ სამუშაოსთან დაკავშირებითაც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი“.

ნიკო ჩხეიძე, მომღერალი:

— ყოველ კვირას ოჯახში თითქმის ყველა უურნალს ვყიდულობთ. მათ შორის არის „გზაც“. უნდა აღვნიშნო, რომ ეს უურნალი ჩემთვის, თავისი თემატიკით, ცოტათი მძიმეა... თუ უურნალი „ჟვითელი“ არ არის, ვერ ვკითხულობ, რასაც ვერ ვიტყვი ჩემს მეუღლეს. ის, ჩემგან განსხვავებით, „გზას“ თავიდან ბოლომდე ეცნობა. „გზავნილებშიც“ მგონია, რომ ხშირად ტრაგიკული ამბები ჭარბობს, რაც ცუდ განწყობილებაზე მათქმობს. თუმცა ძალიან მომწონს რუბრიკა — „უურნალისტის როლში“, რომელშიც მე თვითონ რამდენჯერმე უკვე მივიღე მონაწილეობა და დიდად ვისიამოვნე.



ჟურნალისტებმა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში კენთაგონის საიდუმლო პროკაბანდისტები აღმოაჩინეს

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმს“ იუწყება, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია და პენტაგონი, საზოგადოებრივი აზრის სათავესოდ მომართვის მიზნით, ფარულად იყენებდნენ დამოუკიდებელ სამხედრო ანალიტიკოსებს, რომლებიც ცნობილ ამერიკულ ტელეარხებსა და ბეჭდვით გამოცემებთან თანამშრომლობენ. ამის დასამტკიცებლად, გამოცემა ჟურნალ „ტაიმის“ განკარგულებაში არსებულ, პენტაგონიდან წამოსული საიდუმლო დოკუმენტების, ელექტრონული შეტყობინებების, საუბრებისა და შეხვედრების სტენოგრამების 8000 გვერდს იმონებს. ამ დოკუმენტებში სამხედრო ანალიტიკოსები არაორაზროვნად არიან დასახელებ-

თვით დაზვერვის მონაცემებსაც კი უმხელდნენ, რომლის სხვა წყაროებიდან მიღება უბრალოდ, შეუძლებელი იყო. თავად ანალიტიკოსები კი მიღებულ ინფორმაციას ფართო აუდიტორიას, როგორც საკუთარ მოსაზრებას, ისე აწვდიდნენ.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ანალიტიკოსს მინოდებულ ცნობებში არასაკმარისი ანდა სულაც ტენდენციური ეჩვენებოდა, მათ პროკაბანდას მაინც აგრძელებდა, რადგან შიშობდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ, ინფორმაციის გარეშე დატოვებდნენ.





დონალდ რამსფელდი

ყების (რასაც ამერიკელთა უმეტესობა არ იწონებდა) აუცილებლობაში საზოგადოების დარწმუნების საჭიროება.

„ინფორმაციული დომინირების“ კონცეფცია მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, დონალდ რამსფელდის მოადგილეს საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში, ტორი კლარკს ეკუთვნოდა. მისი მოსაზრებით, საზოგადოებრივ აზრზე ეფექტიანი გავლენის მოხდენა, ჟურნალისტებზე მეტად, „ავტორიტეტულ და დამოუკიდებელ ადამიანებს“ შეუძლიათ. კლარკი საკვანძო ფიგურებად მიიჩნევდა სამხედრო ანალიტიკოსებს, რომელთა უმეტესობა ორდენებით იყო დაჯილდოებული და ნამდვილ ეროვნულ გმირადაც მიიჩნეოდა. კლარკის აზრით, ასეთი სამხედრო ანალიტიკოსების მხრიდან აუდიტორიაზე ზემოქმედება განსაკუთრებით შედეგიანი იმიტომაც იქნებოდა, რომ მათი დიდი ნაწილი ბუშის ადმინისტრაციისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით იყო ცნობილი.

ყოველ კონკრეტულ ანალიტიკოსზე შექმნილი იყო სპეციალური დოსიე, რომელიც მათ ბიოგრაფიებს, საქმიან კავშირებსა და იმ პოზიციების დაწვრილებით აღწერასაც შეიცავდა, რომელიც მათ ერაყთან მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით ჰქონდათ. „ნიუ-იორკ ტაიმისი“ მონაცემებით, პენტაგონმა 75 ასეთი სამხედრო ანალიტიკოსის შეკრება შეძლო. მათი უმეტესობა ტელეარხებთან — FOXS News, NBC და CNN და აგრეთვე, CBS და ABC-თან თანამშრომლობდა.



ჟურნალისტების ხელში მოხვედრილ პენტაგონის დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი ანაფერია ნათქვამი იდეებდნენ ანალიტიკოსები ამ სამუშაოში ან საერთოდ, თუ არსებობდა ასეთი გასამრჯელო. მიუხედავად ამისა, ამ ანალიტიკოსთა უმეტესობა სამხედრო ლობის, ერაყში სამხედრო მოქმედებების გაგრძელებით დაინტერესებული წვრილი და მსხვილი სამხედრო მოიჯარეთა ინტერესებს წარმოადგენდა.

ბული იმ ძალად, რომელსაც მილიონობით ამერიკელამდე ქვეყნის ადმინისტრაციის პოზიციის ისე მითანა შეუძლია, თითქოს ეს პირადად მათი (სამხედრო ანალიტიკოსების) აზრი იყოს.

სწორედ ამ მიზნით, ანალიტიკოსებს ყოველკვირეულად ასწრებდნენ თავდაცვის მინისტრისა თუ შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავჯდომარის საგანგებოდ გამართულ ბრიფინგებს, ახვედრებდნენ სხვა მალალი თანამდებობის სამხედროებსა და ჩინოვნიკებს.

ამ შეხვედრებზე ანალიტიკოსებს ისეთ საიდუმლო ინფორმაციასა და

გაზეთის მიმომხილველის აზრით, საკუთარი მიზნებისთვის ტელევიზიასა და პრესაში მოღვაწე სამხედრო ანალიტიკოსთა გამოყენების იდეა პენტაგონში ჯერ კიდევ 2002 წელს, 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ გაჩნდა. მაშინ, ბუშის ადმინისტრაციის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ერაყში ომის დაწ-

ალეზა დიქსონი — კარიუს ახალი გატაცება?

როგორც ჩანს, ბირმინგემის „ასტონ ვილასა“ და ნორვეგიის ნაკრების თავდამსხმელმა ჯონ კარიუსმა ახალი მეგობარი გოგონა გაიჩინა. ცოტა ხნის წინ ფეხბურთელმა მონანილეობა მიიღო ბრიტანულ ტელეშოუში — „ვარსკვლავთა ცეკვები“, სადაც მისი პარტნიორი ალეზა დიქსონი იყო.



გაზეთი „სან“ იწყებდა, რომ მისმა პარტნიორმა, რომელსაც მსგავს შოუებში მონანილეობის დიდი გამოცდილება აქვს, შესაძლოა, ვარსკვლავთა ცეკვებში გამარჯვებისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ითამაშოს. მის დიქსონი კოლექტივ Mis-Teeq-ის ყოფილი წევრია, რომელიც 1999 წელს დაარსდა (ჯგუფში ასევე შედიოდნენ სუ-ელისი და საბრინა ვაშინგტონი) და 2005 წელს დაიშალა. მისი ყველაზე პოპულარული კომპოზიცია კი Scandalous-ია, რომელიც 2002 წელსაა დაწერილი.

ბრაზილიელი ლამაზიანი აბასის გასწორებაზე ოცნებობს


ცნობილმა ბრაზილიელმა ფოტომოდელმა დანიელა სარაიბამ საკუთარი სიმბათია საჯაროდ გამოხატა — პრესასთან ურთიერთობისას აღნიშნა, რომ ჩოგბურთელ ანდრე აგასითაა მოხიბლული. შევითხვებუე, — თუ ვის მიიჩნევს იგი ყველაზე სექსუალურ სპორტსმენად? — ლამაზმანმა უყოყმანოდ უპასუხა: „რატემა უნდა, აგასის. მისი გაცნობა ძალიან მინდა! ის სექსუალური და კორტზე ყოფნისას წარმოუდგენლად მომხიბვლელია. იქ ჩანს მისი ქარიზმა“. საინტერესოა, თუ როგორი რეაგირება ჰქონდა ამაზე მის მეუღლეს — ვოლფ კლაბინს, რომელსაც დანიელა სულ რაღაც ერთი წლის წინ გაჰყვა ცოლად?..



სარაიბამ მოდელის კარიერა მამის გარდაცვალების შემდეგ, 12 წლის ასაკში დაიწყო. მის მიერ გამოქვეყნებული თანხით მთელი ოჯახი ცხოვრობდა. ამჟამად ის 23 წლისაა და ყოველ წელს მონანილეობს ჟურნალის — Sports Illustrated — მიერ მოწოდებულ ფოტოსესიაში. გარდა ამისა, დანიელა ბრაზილიის ყველაზე ლამაზ გოგონათა რიგში შედის.

არ გამოგვრჩეთ!

აპრილის ნომერი



**თქვენ სოც გამოვნიანი
გაითხვალე ბრძანებით...**



აზკინსონი ბანგონს მესამე ადგილზე აყენებს

ჯემა ატკინსონი, რომელმაც სამოდელი ბიზნესში თეთრეულის დემონსტრირების წყალობით მიაღწია წარმატებას, თავისი სამუშაოსა და ოჯახის შემდეგ, მხოლოდ მესამე ადგილზე აყენებს პრემიერლიგის კლუბ „უიგანის“ თავდამსხმელ მარკუს ბენტონთან ურთიერთობას. „მანჩესტერის“ ვარსკვლავის, კრიშტიანუ რონალდუს ყოფილმა გელფრენდმა და „საპნის ოპერების“ ვარსკვლავმა გაზეთ The Sun-ის საიტის მეშვეობით თავიანთი მცემლებთან თავის პირად ცხოვრებაზე გულახდილი საუბრით გაითქვა სახელი. გარდა ამისა, მან საიტის მომხმარებელს თავისი აკვიატებული იდეის შესახებაც მოუთხრო, რომელიც მსოფლიო რესტლინგის ვარსკვლავ ჯონ ჩენტან ერთად, პეკინში საქველმოქმედო ღონისძიების მოწყობაში მდგომარეობს. ამ უკანასკნელს New Kids On The Block ერქმევა. ამასთან, ლამაზმანი კინოგადაღებებში მონაწილეობასაც აპირებს, თანაც, მზადაა, ლესბოსურ სცენებშიც ითამაშოს...

მაიკ ტაისონი ფსიქოთერაპევტის აპელუას ირგებს

მიმინონოსანთა შორის მსოფლიო ექსპერტიზის მაიკ ტაისონი მზადაა, ფსიქოლოგიური დახმარება აღმოუჩინოს ყოფილ ფეხბურთელს პოლ გასკოინს: „ტოტენჰემის“, „ლაციოს“, „რეინჯერსისა“ და აგრეთვე, ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი ლეგენდა პოლ გასკოინი ამჟამად სულიერ კრიზისს განიცდის; არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ის ნარკოლოგიური საავადმყოფოდან გამოწერეს, სადაც ალკოჰოლიზმისაგან იკურნებოდა. „ვიცი, რომ გაბა ახლა ძალიან ცუდად გრძნობს თავს, რადგან ერთ დროს მეც ასეთ დღეში ვიყავი. ამასთან დაკავშირებით, პოლს შეუძლია, ჩემი დახმარების იმედი ჰქონდეს“, — თქვა 41 წლის ტაისონმა „ევროსპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ცნობილი მოკრივე იმასაც უსვამს ხაზს, რომ გასკოინის მძიმე მდგომარეობას რაღაც, ექსტრაორდინარულ მოვლენად არ მიიჩნევს: „ბევრ დიდ სპორტსმენს ექმნება სირთულეები პირად ცხოვრებაში იმ პერიოდში, როდესაც კარიერას ასრულებს. პირადად მე, დიდ პატივს ვცემ პოლს და დღესაც, გამორჩეულ მოთამაშედ, ფეხბურთის არტისტად მივიჩნევ. სამი



წლის წინ უეინ რუნის გაფუნიე დახმარება. მაშინ მას გადაჭარბებული აგრესიული მოთხოვნის აკრიტიკებდნენ. ამჯერად კი გაზასაც მხარში ამოვუდგები“.



გარდაიხველა Jaguar-ისა და Land Rover-ის თავკასი

ცოტა ხნის წინ ავსტრალიაში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 60 წლის ასაკში, Jaguar-ისა და Land Rover-ის ხელმძღვანელი ჯეფრი პოლიტისი გარდაიცვალა. სიკვდილის ზუსტს მიზეზს არ ასახელებენ, თუმცა კომპანია „ფორდის“ ავსტრალიური განყოფილების პრეზიდენტი და ამავე დროს მისი მეგობარი, ბილ ოსბორნი აცხადებს, რომ ჯეფრი პოლიტისი ორი წლის განმავლობაში მძიმე სენისგან იტანჯებოდა. ავსტრალიაში იგი ოჯახის მოსანახულებლად და პირველი შვილიშვილის დაბადების დღის აღსანიშნავად ჩასულა.

პოლიტისი მეღბურნში დაიბადა. კარიერა კომპანია „ფორდში“ 1970 წელს დაიწყო, სადაც ერთ-ერთი მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობდა. ბოლოს ის Ford Australia-ს ხელმძღვანელი გახდა, ხოლო მოგვიანებით — Jaguar-სა და Land Rover-ს ჩაუდგა სათავეში.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფატი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБЗРЕНИЕ	82.80	496.8
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2



პრესის
გაერთიანების
სააგენტო

ქ. თბილისი
თბილისის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74

E-mail: elva@wirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები



„პორშე“ სამოდ- სამოდლო ხაზს აფართოებს

კომპანია „პორშე“ Cayenne-ის სამოდ-
ლო ხაზი ამ ყველაგანმავლის ყველაზე
მძლავრი მოდიფიკაციით გააფართოვა. მას
Turbo S დაარქვეს. სიახლე პეკინში გამა-
რთულ საერთაშორისო საავტომობილო
გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. მისი
გაყიდვა ევროპის ბაზარზე მიმდინარე წლის
აგვისტოდან დაიწყება. Turbo S-ის ვერსია
სხვა Cayenne-ბისაგან იმით განსხვავდება,
რომ ძარას წინა აირშემწოვი ცხაური,
მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული 21-

დუიმიანი საბორბლე დისკები და გამონ-
აბოლქვის განსხვავებული სისტემა ექნება.
ასეთი მანქანისთვის კლიენტებს ძარას ექსკ-
ლუზიურ ფერსაც შესთავაზებენ, რომელ-
საც Lava Grey Metallic უწოდებს. სალონში
სპორტულ წინა სავარძლებს დაამონტაჟე-
ბენ. ამასთან, Turbo S-ის ვერსიისთვის სა-
ვარძლების ტყავის ორფერიანი გადასაკრე-
ლის ორი ვარიანტი დამზადდება.

ახალი ყველაგანმავლი 550 ცხ.ძ. სიმძლავრის,
4,8-ლიტრიანი, ორტურბინიანი V8 ტიპის

ძრავით აღიჭურვება, რომელიც გადაცემა-
თა ექვსაფეხურიანი ავტომატური კოლოფით
იმუშავებს. ჩვეულებრივ Cayenne Turbo-სთან
შედარებით, სიახლის აგრეგატი 50 ცხ.ძ-ით
გაიზარდა. როგორც „პორშეს“ მიერ გავრ-
ცელებულ ოფიციალურ განცხადებაშია ნათქ-
ვამი, 100 კმ/სთ სიჩქარეს Turbo S 4,8 წმ-ში
განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე
კი 280 კმ/სთ-ია. ევროპაში Porsche Cayenne
Turbo S-ის მინიმალური ფასი 111.400 ევრო
იქნება.

„ბრაბუსი“ Mercedes SLK-ს განაახლებს

რამდენიმე დღის წინ, Mercedes-Benz-ისა და Smart-ის ავტომობილების
მოდერნიზებით ცნობილი გერმანულმა კომპანიამ — Brabus — გაავრცე-
ლა ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ როდსტერის — Mercedes
SLK — განაახლება იგეგმება. ეს მანქანა ფართო პუბლიკას დეტროიტის
საერთაშორისო ავტოსალონზე წლეულს იანვარში წარუდგინეს. ავ-
ტომობილის ყველაზე მძლავრი მოდიფიკაცია აღჭურვილი იქნება 445



ცხ.ძ. სიმძლავრის, 6,1-ლი-
ტრიანი ძრავით, რო-
მელიც შეიდე-
საფეხურიანი

„ავტომატით“ იმუშავებს. ასეთი აგრეგატი ტიუნინგირებულ როდ-
სტერს 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება სულ რაღაც 4,3 წმ-ში
შეუძლია, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 305 კმ/სთ-ია. განახლებ-
ის პროგრამა, საკიდრისა და მოტორების მთელი გამის გარდა,
ახალ გამოშვებ სისტემას, უფრო მძლავრ სამუხრუჭე მექანიზმე-
სა და საფირმო საბორბლე დისკებსაც ითვალისწინებს.

აბდულა მეორეს მოსლის თვალით დანახვა არ სურს

იორდანის მეფემ, აბდულა მეორემ
საერთაშორისო საავტომობილო ფედ-
ერაციის (FIA) პრეზიდენტ მაქს მო-
სლისთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.
გავრცელებული ინფორმაციით, FIA-ს
თავაკცი ესპანეთში დაგეგმილი, „ფორ-
მულა 1“-ის გრან-პრის ნაცვლად, იორ-
დანიაში ჩასვლას გეგმავს. მოსლი, რალ-
იში მსოფლიო ჩემპიონატის (WRC) პირვე-
ლი ეტაპის გახსნაზეა მიწვეული. იგი მე-
ფის ძმის, პრინც ფეისალის სტუმარი
იქნება. FIA-ს მიერ გავრცელებულ ოფი-
ციალურ პრესრელიზში ნათქვამია, რომ
„მოსლიმ რბოლის ორგანიზატორები
დააფასა და ეს მიწვევა მიიღო“. გაზეთ
„ტაიმის“ მიერ გავრცელებული ინფორ-
მაციის თანახმად, იორდანის ოფი-
ციალური პირები ნეგატიურად აღიქ-
ვამენ FIA-ს თავაკცის მომავალ ვიზიტს

მათ ქვეყანაში. ერთ-ერთი ამანელი
ექსპერტის აზრით, ქვეყნის ხელისუფლება
მოსლის გავლენის ქვეშ მოექცა, რადგან
ამ უკანასკნელმა იორდანიაში რალის
ეტაპის ჩატარების გადაწყვეტილება მი-
იღო. „ისინი დიდი სიამოვნებით
ჩაშლიდნენ მის ვიზიტს იორდანიაში,
მაგრამ იძულებული არიან, მოსლი მი-
იღონ, რადგან მასზე არიან დამოკიდე-
ბულნი, — განაცხადა „ტაიმის“ რესპონ-
დენტმა, — ყოველ შემთხვევაში, მეფესთან
შეხვედრა მაინც არ იგეგმება. ხოლო ეს
რომც მოხდეს, საინფორმაციო საშუალე-
ბები ამის შესახებ ვერაფერს შეიტყობენ“.

უფრო ადრე, „ფორმულა 1“-ის გრან-
პრიზე მოსლის დასწრების წინააღმდეგ
ბაჰრეინის სამეფო ოჯახმა გაილაშქრა.
FIA-ს პრეზიდენტის სახელთან დაკავ-
შირებული სკანდალი მარტში აგორდა,

როდესაც ტაბლოიდმა — News Of The
World — გამოაქვეყნა 90-წუთიანი ვიდე-
ორგოლი, რომელშიც ასახულია მაქს
მოსლის „ცელქობა“ ქალაქ ჩელსიში მეძა-
ვებთან. ფირზე აღბეჭდილ კადრებში ჩანს
ნაცისტური ატრიუტიკაც (მაქსი, ბრი-
ტანელ ფაშისტთა ლიდერის, ოსვალდ
მოსლის ვაჟიშვილია). ორი დღის გან-
მავლობაში, სკანდალური ვიდეო, ინ-
ტერნეტის დაახლოებით 1,5-მა მილიონმა
მომხმარებელმა იხილა. 6 აპრილს კი
მოსლიმ გაზეთს სასამართლოში უჩივ-
ლა. მიმდინარე წლის 3 ივნისს პარიზ-
ში, საერთაშორისო საავტომობილო
ფედერაციის წევრები ჩაატარებენ დას-
ურულ კენჭისყრას, რომლის დროსაც
222 დელეგატი გადაწყვეტს, დარჩება თუ
არა მოსლი თავის ამჟამინდელ თანამ-
დებობაზე.

რამდენად კარგად იხნობთ თქვენს მეორე ნახევარს?

სიასლოვე თქვენ შორის — ეს გახლავთ, რამდენად კარგად იცნობთ თქვენს მეორე ნახევარს, როგორია ის სინამდვილეში და რამდენად კარგად ხვდება ის, როგორი ხართ თქვენ... გულწრფელად უპასუხეთ რამდენიმე შეკითხვას და შეიტყობთ, ჭეშმარიტად თქვენი მეორე ნახევარი გყავთ თუ არა გვერდით.

1. ქმართან და მეგობრებთან ერთად რესტორანში სუფრა შეუკვეთეთ. თქვენ, მეგობრებთან ერთად უკვე ადგილზე ხართ და ელოდებით საკუთარ ქმარს, რომელიც რატომღაც აგვიანებს. თქვენ:

ა) როცა ის ბოლოს და ბოლოს გამოჩნდება, სიტყვის უთქმელად, საყვედურით აღსაყვამ გამოიმეტყველებით უმზერთ;

ბ) ცდილობთ სხვების დარწმუნებას, რომ მის გარეშე შეგიძლიათ დაინყოთ, — ის თავის შეკვეთას მოსვლის შემდეგ მისცემს;

გ) მისთვისაც უკვეთთ, კერძსა და სასმელს, ვინაიდან კარგად მოგესხენებათ, რა უყვარს მას.

2. სატრენაჟორო დარბაზში, სადაც თავად სისტემატურად ვარჯიშობთ, შემოდის ლამაზი გოგონა. მეგობარი გეუბნებათ, რომ ეს არის ტატა, ვისთანაც თქვენი ქმარი თქვენამდე დადიოდა. თქვენ:

ა) დაიბნევით, რადგან ქმართან არასოდეს გისაუბრიათ მისი წარსულის შესახებ;

ბ) რაღაც-რაღაცებზე თქვენთვის ცნობილია ტატას შესახებ, მაგრამ დეტალურ ინფორმაციას არ ფლობთ;

გ) თქვენ ყველაფერი იცით ტატას შესახებ და ქმართან ერთად არაერთგზის გისუბრიათ მისი ზედმეტად დამთმობი ბუნების თაობაზე.

3. საქორწინო სუფრას უსხედხართ და პირველი თავი კერძის მირთმევის შემდეგ, მის დაჟინებულ მზერას გრძნობთ. თქვენ:

ა) ვერ გარკვეულხართ, რამდენად კარგ ხასიათზეა ის;

ბ) ხვდებით, რომ ის თავს უბედურად გრძნობს, მაგრამ რამდენად უბედურია, ზუსტად არ იცით;

გ) ორივენი შეთქმულებივით საძინებლისკენ იყურებით, ერთდროულად დგებით სუფრიდან და გაქცევის გეგმას ახორციელებთ.

4. ინფექცია გაქვთ. თქვენ:

ა) არაფერს ეუბნებით ქმარს ამის თაობაზე, თავს არიდებთ ხეცს და უმაღლავთ წამლებს;

ბ) დაავადების თაობაზე მას საქმის კურსში ჩააყენებთ;

გ) სთხოვთ მას, რომ შინ დაბრუნებისას ავთიაქში შეიაროს და წამლები მოგიტანოს.

5. ქმართან ერთად წვეულებაზე იმყოფებით. მას გვერდით მკერდსავე ლამაზმანი უზის. ეს ქალბატონი სისულელეებს ლაპარაკობს, თქვენი ქმარი კი თანხმობის ნიშნად თავს უქმნევს. თქვენ:

ა) გიკვირთ, როგორ შეუძლია მას ასეთ სისულელეზე დათანხმება;

ბ) მიგაჩნიათ, რომ ის უბრალოდ ზრდილობიანად იქცევა;

გ) გულში გეცინებათ, რადგან იცით, რომ ის თანამოსაუბრის სავსე ფორმებშია მოხიბლა.

6. საკმაოდ სასვე მკლავები გაქვთ და ეს ამბავი განუხებთ. თქვენი მეუღლე:

ა) თქვენთვის უსახელო ბლუზას ყიდულობს;

ბ) გეუბნებათ, რომ მართალია, სასვე, მაგრამ ლამაზი მკლავები გაქვთ და არ ესმის, რატომ განციდით ამას;

გ) როცა მარტონი ხართ, გიკონცნით მკლავებს და დასცინის თქვენს კომპლექსს.

7. რაღაცამ განყინათ და გულის რევის შეგრძნება და ლებინება გტანჯავთ.

ა) თქვენი მეუღლე მეორე ოთახში გაუშვით, რომ ამ მდგომარეობაში მყოფს არ გიყუროთ;

ბ) მან მთელი ღამე სააბაზანოს კართან გაატარა და კითხულობდა, როგორ გრძნობდით თავს;

გ) თქვენი შუბლი ეჭირა და ცუდად ყოფნის დროს გვერდიდან არ მოგცილებიათ.

8. ნერვები დაჭიმული სიმივით გაქვთ, რადგან ახლახან შეიტყვეთ სამსახურში მოსალოდნელი ატესტაციის თაობაზე.

ა) მეუღლეს უკვირს, რატომ ნერვიულობთ ასე;

ბ) განტვირთვის მიზნით დალევას გთავაზობთ;

გ) ყურადღებით ისმენს თქვენს ნუნუნს და ცდილობს დაგანყნაროთ — გეუბნებათ, რომ ეს მხოლოდ ნერვების ბრალია.

ტენტის შედეგები

თუკი თქვენს შემთხვევაში „ა“ ვარიანტის პასუხი ჭარბობს: ჩათვალეთ, რომ ამ ადამიანს საერთოდ არ იცნობთ და არც ის იცით, რა ხდება მის თავში. შესაძლოა, ეს თქვენი ურთიერთობების დასასწავლა და დროთა განმავლობაში გამოსწორდეს. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ასე ცხოვრება ორივეს ხელს გაძლევდეთ. პოზიცია — „თითოეული თავ-თავის კუთხეში“ — რაღაც თვალსაზრისით, შესაძლოა, ხელსაყრელიც აღმოჩნდეს: აღარ მოგიწევთ სმირი ბრძოლა, რადგან ორივენი საკმაოდ ცოტას ლაყობთ. თუკი ინტიმურ სფეროში ყველაფერი შესანიშნავად გაქვთ, თქვენი კეთილდღეობის მოწვევებითობას ეს კიდევ უფრო აძლიერებს. როგორ უნდა მოიქცეთ, თუკი მხოლოდ ინტიმური სიასლოვე არ გაკმაყოფილებთ? ორი მდუმარე ველურისათვის ეს საკმაოდ მწვავე პრობლემაა, მაგრამ მაინც უნდა შეეცადოთ... პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დაუსვავთ შეკითხვა: „რისი მეშინია?“

თუკი თქვენს შემთხვევაში „ბ“ ვარიანტის პასუხი ჭარბობს: უმრავლესობა, სწორედ ამ კატეგორიის ჩარჩოში თავსდება. დროდადრო თქვენ კარგად გესმით, რაზე ფიქრობს ის, ხანდახან კი — არა. გაქვთ საერთო ინტერესები, მაგრამ ასევე გაქვთ მისგან განსხვავებული ინტერესებიც. რა არის ამასი ცუდი?

არაფერი. ადამიანთა უმრავლესობას ამგვარი ურთიერთობები აკმაყოფილებს და თავს ბედნიერადც გრძნობს. მაგრამ თუკი უფრო მეტი სიასლოვე გინდათ, ეცადეთ, მეტი ელაპარაკოთ მას. ნუ ირწმუნებთ მითს იმის შესახებ, რომ როცა უყვარხარ, ის შენს აზრებს კითხულობს. ზოგჯერ არ იცის, რა გინდათ თქვენ და ამის თაობაზე თავად უნდა უთხრაო. კარგი იქნება, თუ საამისოდ შესაფერის დროს შეარჩევთ, მაგალითად, სადილობისას გამორთეთ ტელევიზორი და გულწრფელად დაელაპარაკეთ მას.

თუკი თქვენს შემთხვევაში „გ“ ვარიანტის პასუხები ჭარბობს: ემოციური თვალსაზრისით თქვენ სიამის ტყუპი ხართ. იმდენად ახლოს ხართ ერთმანეთთან, რომ ერთურთის უსიტყვოდაც გესმით. საუბრობთ ყველაფერზე, მათ შორის, საკუთარ ირაციონალურ შიშებსა თუ გინეკოლოგიურ პრობლემებზე. მართალია, ეს შესანიშნავია, მაგრამ ამას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს: ადამიანს სახლის გარეთაც სჭირდება ახლობლები და აუცილებელია საკუთარი ინტერესების ქონაც. გაითვალისწინეთ, ყველაზე ახლო და იდეალურ ურთიერთობასაც აქვს თავისი განვითარების სხვადასხვა სტადია. ასე რომ, ეზრადეთ მომავლისთვის და სხვა ადამიანებთან მეგობრული ურთიერთობები შეინარჩუნეთ.



ჰოროსკოპი

(24 - 30 აპრილი)

ვიწი:

თავდაჯერებულობა და დამოუკიდებლობის სურვილი დაგეგმარებათ როგორც სასიყვარულო ურთიერთობაში, ისე მატერიალური დოვლათის მოგროვებაში. უცარი მოვლენების გამო ნუ გამოიცივლით სამუშაო ადგილს. ასევე არახელსაყრელი პერიოდია მოგზაურობებისა და მივლინებებისთვის.

კუჩრი:

არახელსაყრელი პერიოდია ქორწინებისთვის. ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში დაიოკეთ ემოციები, რათა ყველაფრის მიმართ გულგრილი არ გახდეთ. გაიზრდება თქვენი აქტიურობა და ამაღლება შექოქმედებითი პოტენციალი, რაც საშუალებას მოგცემთ, განაახლოთ ადრე დაწყებული საინტერესო საქმეები.

ცუფუცები:

ადამიანები დახარების ხელს გამოგიწვდიან; გაგიმარტივებთ სესხის აღების პროცედურა. დადებითი ემოციები და სტაბილური მდგომარეობა კი დაგეგმრებათ საქმეების წარმატებულად დასრულებაში. შესაძლოა, დაფიქრდეთ ოჯახის შექმნაზე ან ბავშვის გაჩენაზე.

კიჩხობა:

ხელმძღვანელი პირებისა ან ზემდგომი ორგანოებისგან მოსალოდნელია ზენოლა. ამის გამო გაგიჭირდებათ გადამწყვეტილების მიღება. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში იხელმძღვანელებთ ინტუიციით. წინსვლასა და მიზნის მიღწევაში იღბალი დაგეგმარებათ, თუმცა შესაძლოა გადაიღალოთ, რაც ცუდად იმოქმედებს ჯანმრთელობასა და გუნება-განწყობილებაზე.

ღობი:

გაანალიზეთ საკუთარი ქცევა, რათა არ დაუშვათ ადრინდელი შეცდომები. ეს პერიოდი არახელსაყრელია აზარტული თამაშებისა და გამოუცდელ პარტნიორებთან თანამშრომლობისთვის. სამსახურში დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა კი დროებით, ჯობს, საიდუმლოდ დაფაროთ.

უახვადი:

დროა, გარკვეულ სიამოვნებაზე უარი თქვით და დაივიწყოთ მავნე ჩვევები და კომპლექსები. ნუ ჩაერევით სხვის საქმეში და მონაწილეობას ნუ მიიღებთ კამათსა და დისკუსიებში. მეტი დრო გაატარეთ ბავშვებთან, საყვარელ ადამიანთან ან მეგობრებთან ერთად.

სახსრობი:

ზედმინეწით შეამონწმეთ ყველა საბუთი და არ დაუჯეროთ ჭორებს. სამსახურებრივი რომანი პრობლემებს შეგიქმნით ისედაც დაძაბულ ოჯახურ ურთიერთობაში. სამაგიეროდ, გამოგისწორდება ფინანსური მდგომარეობა და ბავშვებთან თამაშისა და გართობის ხალისი გაგიჩნდებათ.

ვიწი:

შესაძლოა, აუცილებელი გახდეს კვალიფიკაციის ამაღლება. ეს მშვენიერი პერიოდია ცოდნის მისაღებად, კომერციული და ჟურნალისტური საქმიანობისთვის. დაიცავით ოჯახური ტრადიციები და თავს უფრო დაცულად იგრძნობთ.

მშვიდდობა:

პირადი პრობლემები თქვენთვის უმნიშვნელოვანესი გახდება. ამიტომ, ყველა სხვა საქმე უკანა პლანზე გადაინევს, რამაც შესაძლოა, კოლეგებისა და ხელმძღვანელი პირების უკმაყოფილება გამოიწვიოს. წინააღმდეგობების გადალახვა გაგიაფილდებათ, თუ ინტუიციას დაუჯერებთ და წინდახედულად იმოქმედებთ.

ღობი:

პარტნიორებთან ურთიერთობისას ჯობს თავი აარიდოთ საჭირობოტო საკითხების განხილვას, რადგან ძალზე დაბნეული იქნებით და არასერიოზულ შთაბეჭდილებას დატოვებთ. საყვარელ ადამიანს ეცადეთ, მეტი სითბო და კომფორტი შეუქმნათ.

ვიწი:

მეგობრებთან ერთად დაწყებული საქმე ძალზე პერსპექტიული აღმოჩნდება. ახალ სფეროში განათლების მიღება ან ძველის გაღრმავება დიდ შემოსავლებს გიქადით. მუშაობისას დალტას ვერ იგრძნობთ, თუმცა თქვენი ორგანიზმის რეზერვები უსაზღვრო არაა და დროდადრო სასურველია შეისვენოთ.

ღობი:

უსასყიდლოდ ნურავის ნურაფერს გაუყეთებთ. ახალ პარტნიორებთან მოლაპარაკებების ჩატარება და ხელშეკრულებების დადება წარმატებით ჩაივლის და თქვენ წინაშე მშვენიერი პერსპექტივები გადამიშლება. დაასრულეთ ადრე დაწყებული საქმეები და ეცადეთ, სამომავლოდ არაფერი გადალოთ.

იაპონური სენსაცია

სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

5	1	3	8	9	4	2	7	6
8	6	9	7	2	3	4	1	5
2	4	7	5	1	6	8	9	3
9	3	1	4	8	2	5	6	7
4	5	8	9	6	7	3	2	1
6	7	2	3	5	1	9	4	8
1	8	5	6	4	9	7	3	2
7	2	4	1	3	5	6	8	9
3	9	6	2	7	8	1	5	4

6	5	9	3	1	7	4	8	2
8	7	2	9	4	6	5	1	3
3	4	1	8	5	2	6	9	7
1	8	3	4	7	5	9	2	6
9	2	7	6	8	1	3	5	4
5	6	4	2	9	3	8	7	1
2	9	8	1	6	4	7	3	5
7	1	6	5	3	8	2	4	9
4	3	5	7	2	9	1	6	8

6	7	5	8	4	9	1	3	2
3	2	8	6	1	7	5	4	9
9	1	4	2	5	3	6	8	7
4	6	1	9	3	2	8	7	5
2	8	1	7	5	3	6	4	9
5	3	7	1	6	8	2	9	1
1	5	6	7	8	1	2	3	4
7	9	3	5	2	6	4	1	8
8	4	2	3	9	1	7	5	6

*** მარტივი**

	7	1	3	8
1	8	5		4
5		6		9
	2	7		1
		5	3	7
7	3	2	8	5
	5		1	3
2	6		7	9
	9	4	6	7


**** საშუალო**

9		5	6
		3	1
7	9		3
8		2	7
1		8	6
	4		1
	4		2
4			5
9		1	
5		7	

***** რთული**

	5	8	4
6			3
3	8		2
9			1
4		5	7
1		7	
2		9	1
	9		3
	6	1	7

ფოტოკუჩიოზები



საბა SABA

პირველი ელიტური სახლი ბუჩაქში



ღმრთელი

ბუჩაქში



ინდივიდუალური გადახდის სისტემა

 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიძის 78 (მატრო "გურამიძისთან")

ბინა შედგება
PASCHAI-ის (პერმანია)
სამშენობლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ბინები 65 მ² - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აუთიაჟი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ფართობი 5000 მ²
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

სიასლა!!! ხელშეკრულება გაბარდება სახელმწიფო რეესტრში